ცოდნა

Lgnorantia juris nocet, ignoratio facti non nocet

კანონის არცოდნა არ ითვლება
გამამართლებელ არგუმენტად,
გამამართლებელია ფაქტის არცოდნა.

Scire leges non hoc est verba earum tenere, sed vim ac potestatem

კანონების ცოდნა მდგომარეობს არა
სიტყვების, არამედ აზრის დამახსოვრებაში.

ISBN 978-99940-985-5-2

ЮНИТИ
UNITY
www.unity-dana.ru

ცოდნა

Н.В. МИХАЙЛОВА, А.А. ИВАНОВ, С.Р. АСАНИДЗЕ

Серия «Экзамен»

РИМСКОЕ ПРАВО

ЮНИТИ
UNITY
Закон и право • Москва • 2007

ნ.ვ მიხაილოვა, ა.ა. ივანოვი, ს.რ. ასანიძე

რომის სამართალი

რეკომენდებულია სასწავლო-მეთოდური ცენტრის „პროფესიული სახელმძღვანელო“ მიერ, როგორც სასწავლო დახმარება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, რომლებიც შეისწავლიან „იურისპრუდენციის“ სპეციალობას.

სამართლიანი საქართველო
თბილისი 2009

„რომის სამართლის“ სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანები

1. რომის სამართლის, როგორც სასწავლო დისციპლინის, ცნება, საგანი და მნიშვნელობა

რომის სამართალი არის სამართლებრივი სისტემა, რომელიც ძველ რომში ჩამოყალიბდა და საფუძვლად დაედო კონტინენტური ევროპის უმეტესი სახელმწიფოების ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს. ეს განსაკუთრებული სამართლებრივი წესია, რომელიც არსებობდა რომის სახელმწიფოში 753 წლიდან ჩვ. წ-ხვით (რომის დაარსების წელი) 565 წლამდე ჩვ. წ-მდე (ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს გარდაცვალება, რომლის დროსაც ჩატარდა მთელი რომის კანონმდებლობის ოფიციალური სისტემატიზაცია).

ყურადსაღებია, რომ რომის სახელმწიფომ თავისი არსებობის მთელი საუკუნეების მანძილზე მაინც ვერ შექმნა იურისპრუდენციის მეცნიერება. სამართლის ანტიკური მცოდნენი არასოდეს ისწრაფოდნენ ფართო განზოგადებებისკენ, სამაგიეროდ სამართლებრივი რეგულირების ცალკეულ, კერძო საკითხებს უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ, ანუ მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტებისა და კონსტრუქციების რუდუნებით და გულმოდგინებით დამუშავებას, რომელიც დინამიკურად განვითარებულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ურთიერთობების ჰარმონიული რეგლამენტირების საქმეს ემსახურებოდა. სწორედ ასეთი მიდგომის გამო რომის სამართალმა მთელი თავისი აქტუალობა დღემდე შეინარჩუნა და კაცობრიობის კულტურის საგანძურში დაიმკვიდრა ადგილი.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში რომის სამართალს თავისი წმინდა სახით, რასაკვირველია, აშკარა პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. იმ დროს, როდესაც რომის სამართლის სასწავლო და სამეცნიერო მნიშვნელობის გადაფასება ძალზე ძნელია. წარმოადგენს რა პროფესიული იურიდიული განათლების ბუნებრივ მეთოდოლოგიურ ბაზას, დღეისათვის იგი ისწავლება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. რომის სამართალი თანამედროვე სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისა და დარგების, თავად მისი ლოგიკის გაგების სავალდებულო საფუძველია; გვაცნობს მისი დიდაქტიკის საფუძვლებს, მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ კონსტრუქციებს, უნივერსალურებს, ყველა არსებული სამართლებრივი სისტემის თვალსაზრისით; ხელს უწყობს დამწყები იურისტის თვალთახედვის გაფართოებას და იურიდიულ საქმიანობაში შემოქმედებითი საწყისები შეაქვს; იურიდიული ენისა და, მთლიანად, იურიდიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-სამართალმცოდნეების მომზადების საქმეში რომის სამართლის აღნიშნულ მნიშვნელობას მთლიანად ითვალისწინებს უმაღლესი პროფესიული განათლების (სპეციალობით „იურისპრუდენცია“) სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი და შესაბამისი დისციპლინების ფარგლებში შემდეგი ასპექტების წარმოჩენას მოითხოვს: „რომის სამართლის როლი სამართლის ისტორიაში; რომის სამართლის წყაროები; ჩვეულებითი სამართალი და კანონი; იურისტების მოღვაწეობა; სარჩელები; რომის მოქალაქეების და რომის სამართლის სხვა სუბიექტების უფლებრივი მდგომარეობა; ქონებრივი უფლებები; კერძო საკუთრების უფლების შინაარსი; სერვიტუტები; ემფიტევზისები და სუპერფიციები; ვალდებულებითი უფლება; ხელშეკრულების სახეობები; ვალდებულებების შესრულება და პასუხისმგებლობა შეუსრულებლობაზე; ანდერძითა და კანონით მემკვიდრეობის უფლება; ლეგატები და ფიდეიკომისები; რომის სამართლის რეცეპცია“.

ამრიგად, ***რომის სამართლის სასწავლო კურსის საგანს წარმოადგენს*** რომის საჯარო სამართლის ისტორიული განვითარების ძირითადი ტენდენციების, აგრეთვე კერძო-სამართლებრივი ინსტიტუტების შინაარსისა და ევოლუციის, მათი წარმოქმნისა და ჩამოყალიბების თავისებურებების შესწავლა; სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სისტემებით რომის სამართლის ძირითადი კატეგორიებისა და კონსტრუქციების მიზეზებისა და სპეციფიკის რეცეპტირება.

ეს გამოცემა სრულად ითვალისწინებს აღნიშნულ მომენტებს და შეიცავს მასალას, რომელიც აგებულია კითხვების რამდენიმე მსხვილი ბლოკისგან, რომელთა ჩარჩოებშიც განიხილება ძველი რომის სახელმწიფოს საფუძვლები და მასში მოქმედი და საზოგადოების, სამართლის განვითარების თავისებურებებით განპირობებული სპეციფიკური თვისებები. ისწავლება ძველი რომის საჯარო წესისა და სამართლის საფუძვლები. მათ შორის, რომის სახელმწიფოს ისტორიის პერიოდიზაცია და მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე ხელისუფლებისა და მართვა-გამგეობის ორგანოების თავისებურებანი და ურთიერთქმედება; სისხლის სამართლის და სამართალწარმოების თავისებურებანი. განიხილება რომის სამართლის წყაროები და ისტორიის პერიოდიზაცია, მისი სისტემა და ფუძემდებელი პრინციპები; არსებული სისტემატიზაცია, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ სამართლის ისტორიული ბედი, მისი რეცეპცია შუა საუკუნეებში. თუმცა მთავარი ყურადღება რომის კერძო სამართლის ძირითადი ინსტიტუტებისა და კონსტრუქციების დახასიათებას ეთმობა. რომის სამართლის სწავლებაში გამყარებული მდგომარეობისა და მოცემული კარის ჩარჩოებში საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად განიხილება:

რომის კერძო სამართალში პირთა სამართლებრივი მდგომარეობა (ფიზიკურ პირთა სამართლებრივი სტატუსის ცნება, კლასიფიკაცია და შინაარსი, კორპორაციების მდგომარეობა); საქორწინო-საოჯახო ურთიერთობანი (მეუღლეების ქონებრივი ურთიერთობანი, მამის ძალაუფლება, ბავშვების მდგომარეობა; ქორწინების სახეობები და პირობები); მეურვეობა (მათი სახეობები, პირობები და მოცემული ურთიერთობების სუბიექტებისადმი მოთხოვნები); ქონებრივი უფლების ძირითადი საწყისები (ქონებრივი უფლების ცნება, ნივთების კლასიფიკაცია; მფლობელობისა და საკუთრების უფლების შინაარსი, მათი შეძენა და გასხვისება, სასარჩელო და სხვა საშუალებებით დაცვა; სხვის ნივთებზე უფლება (სერვიტუტები და გირაო); ვალდებულებითი უფლების თავისებურებანი (სახეობები, საშუალებები, უზრუნველყოფა, შეწყვეტა და პასუხისმგებლობა ვალდებულებების შეუსრულებლობაზე); ვალდებულებების წყაროები (ხელშეკრულებები, პაქტები, დელიქტები); მემკვიდრეობის უფლების ზოგადი დებულებები (მემკვიდრეობის ცნება და შინაარსი, მისი სახეობები; მემკვიდრეობითი ურთიერთობების სუბიექტები; საანდერძო დაკისრების ფორმები); რომის სამოქალაქო პროცესის თავისებურებანი (მისი სახეობები და პრინციპები).

თემა 1. საჯარო წესის და სამართლის საფუძვლები ძველ რომში

2. ძველი რომის სახელმწიფოს ისტორიის პერიოდიზაცია და თავისებურებანი

ძველი რომის სახელმწიფომ თითქმის თორმეტი საუკუნე იარსება. მდინარე ტიბრის ნაპირზე ბორცვებს შორის პატარა სოფლის დასახლებიდან რომი ძალიან მალე გადაიქცა განვითარებული ქალაქის თემად, შემდეგ კი იმპერიად, რომელმაც მიიტაცა უზარმაზარი ტერიტორიები და მრავალრიცხოვანი ხალხი მორჩილებაში ამყოფა. რომის მთელი ეკონომიკა, პრაქტიკულად, მუდამ სხვისი ტერიტორიების დაპყრობასა და ძარცვას ეფუძნებოდა. ამასთან, რომმა მათი მართვის განსაკუთრებული სტილის შემუშავება შეძლო, რომელიც განსაკუთრებული იმპერიის დომინირებასთან ერთად ადგილობრივი ზნე-ჩვეულებების გათვალისწინებაზე იყო დაფუძნებული.

რომის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლის მიზნით, იგი იყოფა სამ ძირითად პერიოდად 1. მეფეთა პერიოდი; 2. რესპუბლიკის ხანა; 3. იმპერიის ეპოქა.

I – მეფეთა პერიოდი (VIII ს. შუა – VI ს. დასასრული ჩვ. წ-მდე) – იარსება რომის დაარსებიდან 753 წ. ჩვ. წ-მდე უკანასკნელი მეფის, ტარკვინიუს ამაყის გაძევებამდე 510 წ. ჩვ. წ-მდე. მეფეთა პერიოდი

გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების წამოყალიბების, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმირების ეპოქაა.

ეგრეთ წოდებულ არქაულ დრომდე, რომის საზოგადოების სათავეში სამი პატრიციული გვარი იყო: რამნესები, ტიციუსები და ლუცერიუსები (Ramneses, Titienses, Luceres). ყოველი ათი გვარი კურიას ქმნიდა (30 კურია), რომელთა წარმომადგენლები კურიონები იყვნენ, ხოლო ათი კურია – ტრიბუსს. სამი ტრიბუსი შეადგენდა „რომაელ ხალხს, კვირიტებს“ (Populus romanus Quiritum). არის მოსაზრება, რომ ტრიბუსების ასეთი რიცხვი არქაულ დრომდე ლათინთა, საბინთა და ეტრუსკების გვარის არსებობის გამო შეიქმნა.

იმდროინდელი უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციები სამხედრო ბელადების (მეფეების), უხუცესი საბჭოს (სენატის) და პატრიციების სახალხო კრებების (კურიატული და ტრიბუტული კომიციების) მეშვეობით ხორციელდებოდა.

მეფის ძალაუფლება საკმაოდ ვრცელი იყო. მონარქის კომპეტენციაში უშუალოდ ისეთი საქმეები შედიოდა, როგორიცაა: საჯარო მკითხაობებისა და მსხვერპლშეწირვების ჩატარების მეშვეობით თემის წევრების ინტერესების დაცვა ღმერთების წინაშე; თემის სახელით სხვა ხალხებთან ხელშეკრულებების დადება; კერძო და საჯარო დავების გამო გადაწყვეტილებების გამოტანა; სამხედრო კამპანიის დროს დანაშაულის ჩამდენი მოლაშქრეების დასჯა; სახალხო კრებისთვის სიკვდილმისჯილის აპელაციაზე სებართვის გაცემა; სახელმწიფო ფინანსების განკარგვა და სხვ.

რომის სენატი რომაული გვარის სამასი უხუცესისგან ჩამოყალიბდა და წარმოადგენდა მეფისა და რესპუბლიკის პერიოდების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს. თავდაპირველად 300 სენატორი იყო, სულას დიქტატურის დროს (82-79 წ.წ. ჩვენს ერამდე) – 600, იულიუს კეისრის დიქტატურის დროს (49-44 წწ. ჩვ. წ-მდე) მათი რიცხვი 900 ადამიანამდე გაიზარდა. ოქტავიანე ავგუსტუსმა ეს რიცხვი კვლავ 600 კაცამდე დაიყვანა და სენატორების რეგულარული შეცვლა შემოიღო. გვიანდელ რესპუბლიკაში სენატორის წოდება მემკვიდრეობითი გახდა და აღნიშნავდა ერთ-ერთ მაღალ წოდებას. ამ სენატორთა წოდებაში (ordo senatorius) შედიოდნენ რომის მოქალაქეთა უმაღლესი წოდების წარმომადგენლები, რომლებიც ეკუთვნოდნენ პატრიციულ-პლებეურ არისტოკრატიასა და ნობილიტეტს.

ამ პერიოდში სენატს მეტისმეტად ფართო უფლებამოსილება გააჩნდა, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესი იყო: საგარეო ურთიერთობებით სახელმწიფოს გამგებლობა; ომის გამოცხადება და მშვიდობის დამყარება; ინტერექსის დანიშვნა და სახელმწიფოს მართვა უმეფობის ხანაში; დიქ-

ტატორის დამტკიცება კონსულების წარდგენით; შემოსავლებისა და გასავლების საერთო სახელმწიფო რეესტრის შედგენა; სახელმწიფო ქონების მართვა; მხედართმთავრებს შორის საომარ მოქმედებათა ასპარეზის განაწილება (თავდაპირველად პროვინციებად წოდებული); აქტიური საომარი მოქმედებების პერიოდში არმიისა და საზოგადოების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა; ჯარში მიღების გამოცხადება და ჩატარება; არმიის მეთაურებზე კონტროლი და მსხვილი საომარი ოპერაციის შესახებ ანგარიშის ჩაბარება; უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელების დანიშვნა; გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ მხედართმთავრისთვის ტრიუმფის მინიჭების თაობაზე და სხვ. მრ.

ამასთანავე, სენატმა საკანონმდებლო ფუნქციები მხოლოდ იმპერიის პერიოდში მიიღო. იქამდე მას შეეძლო სახალხო კრებების გადაწყვეტილებები მხოლოდ კანონის სახით დაემტკიცებინა.

მართალია, სახელმწიფოს გადასარჩენად საგანგებო მდგომარეობის პირობებში სენატს ნებადართული ჰქონდა გამოეცა დადგენილებები, რომელთაც კანონის ძალა გააჩნდა და მიმართული იყო ზოგიერთი მაგისტრატურის უფლებამოსილების არსებით გაფართოებაზე და რომლებიც მოსალოდნელი საფრთხის ან უბედურების თავიდან აცილების მიზნით მკვეთრად ზღუდავდნენ მოქალაქის უფლებებს – სენატუსკონსულტუმები ულტიმუმები (senatusconsultum ultimum, სენატის საბოლოო გადაწყვეტილება). სენატის, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მნიშვნელობამ სამოქალაქო ომებისა და სამხედრო დიქტატურის (ძვ. წ. I ს.) დროს მოწინააღმდეგე მხარეების მიერ მისი გამოყენების შედეგად ელვისებურად დაიწყო დაცემა. პრინციპატის დროს (ჩვ. წ. I-II სს.) სახალხო კრების აქტიურობის თანდათანობითი დაცემისას მოჩვენებითი რესპუბლიკური დემოკრატიის შესანარჩუნებლად მას უფლება მიეცა ხალხის სახელით მიეღო სენატუსკონსულტები. დომინატის პერიოდში სენატი უკვე გადაიქცა რომში ქალაქის მმართველობის უბრალო ცენტრალურ ორგანოდ.

სახალხო კრებები შედგებოდა ყველა ქმედუნარიანი რომის მოქალაქეთაგან და ყველაზე მთავარ საკანონმდებლო ორგანოებს წარმოადგენდა. განასხვავებდნენ სახალხო კრების რამდენიმე სახეობას: *კურიატული კომიციები* (რომის პატრიციული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრების უძველესი გვაროვნული კრებები, სადაც წყდებოდა მათი უმნიშვნელოვანესი საკითხები შემდეგში საერთო კრებაზე გამოსატანად); *ცენტრალური კომიციები* (სამხედრო რაზმების კრებები, სადაც წყდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხები: ომისა და მშვიდობის საკითხები; უმაღლესი მაგისტრატების თანამდებობაზე არჩევა; უცხოელებისთვის მოქალაქეობის ბოძება; კანონპროექტების მიღება ან უარყოფა; სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა; სასამართლოებისა და მაგისტრატების გადაწყვეტილებების მიხედვით აპელაციის მიღება); *ტრიბუტული კომიციები* (რომის მოქალაქეთა კრებები ტერიტორიული ნიშნების, ტრიბების (ტერიტორიული ოლქების) მიხედვით).

რომის საზოგადოებაში, აგრეთვე, იყო მრავალრიცხოვანი ქურუმთა კოლეგიები, რომლებიც აქტიურად იჩენდნენ თავს კერძო და საჯარო სფეროში. მათ შორის გამოირჩეოდნენ პონტიფიკუსები, ფეციალისები, ავგურუსები, ფლამინიუსები, სალიები და სხვ.

სერვიუს ტულიუსის რეფორმები ძვ. წ. 555 წ. რომის სრულუფლებიანი მოსახლეობის დაყოფა თავდაპირველად მიმდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ წარმოშობის მიხედვით – პატრიციუსები და პლებეები. რომის მეექვსე მეფემ, სერვიუს ტულიუსმა არსებულ წოდებრივ დიფერენციაციას ქონებრივი ნიშნის მიხედვით ხუთ თანრიგზე დაყოფა დაუმატა და გააერთიანა 193 ცენტურიაში (ასეულებში). ახალი სოციალური პირამიდის თავში იდგნენ რომის საზოგადოების შეძლებული წარმომადგენლები – მხედრები. მათი მნიშვნელოვნობის ან შესაძლებელია არამრავალრიცხოვნობის გამო მათგან არ ჩამოაყალიბეს რომელიმე ცალკეული თანრიგი რაზმი, მაგრამ ისინი არც ჩართეს რომელიმე არსებულში, და მაინც, ყველა სამწყობრო სვლისას ისინი პირველი თანრიგის წარმომადგენლებთან ერთად იყვნენ. პირველ თანრიგში მოიაზრებოდნენ პირები, რომელთა მთელი ქონება შეფასებული იყო არანაკლებ 100 ათასი ასისა. ასეთი პირებისგან მხედრებთან ერთად ჩამოყალიბდა 98 ცენტურია – 1800 კავალერისტი და 8000 ქვეითი ჯარისკაცი. მეორე თანრიგს – არანაკლები 75 ათასი ასისა, გამოყავდა 22 ცენტურია ქვეითი ჯარისკაცების; მესამეს – არანაკლები 50 ათასი ასისა, გამოყავდა 20 ცენტურია ქვეითი ჯარისკაცების; მეოთხეს – არანაკლები 25 ათასი ასისა, აგრეთვე გამოყავდა 20 ცენტურია ქვეითი ჯარისკაცების; ხოლო მეხუთე თანრიგს – არანაკლები 11 ათასი ასისა, უნდა გამოეყვანა 30 ცენტურია ქვეითი ჯარისკაცების. ყველა ხელმოკლე რომაელი მოქალაქე პროლეტარების ფენას შეადგენდა. ისინი ლაშქარში ჩარიცხულები არ იყვნენ, მაგრამ სახალხო კრებებში ხმის უფლებით სარგებლობდნენ. და ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რამეთუ ისინი თანრიგსაც არ ეკუთვნოდნენ; მაგრამ ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ რომაელ მოქალაქეთა ყველაზე დაბალ ფენას – ერარიებს.

კენჭრისყრა მიმდინარეობდა ცენტურიების მიხედვით, მაგრამ პირველი თანრიგი იყო აბსოლუტური უმრავლესობაში, ამიტომ გადაწყვეტილებებსაც მათ სასარგებლოდ იღებდნენ.

ასე, გვაროვნული თემი ტერიტორიულმა შეცვლა, ხოლო უკანასკნელი მეფის (მისი ბოროტმოქმედებისათვის) გაძევებასთან ერთად მეფეთა პერიოდი რესპუბლიკურმა ხანამ შეცვალა.

II – რესპუბლიკის ხანა (ძვ. წ. VI ს. ბოლო – I ს. ბოლო) ხასიათდება მოქალაქის უფლებისათვის პლებეების პატრიციებთან ბრძოლის პროცესში განვითარებული დემოკრატიული სახელისუფლო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირებით, აგრეთვე სახელმწიფო ტერიტორიის მაქსიმალური გაფართოებით.

განსახილველი ხანა სამი მსხვილი, თვისებრივად განსხვავებული პერიოდისგან შედგება (ძვ. წ. 509 წლიდან 27 წლამდე):

1. ადრეული რესპუბლიკა (ძვ. წ. V-IV სს.);
2. რომის რესპუბლიკის აყვავება (ძვ. წ. III-II სს.);
3. გვიანი რესპუბლიკა (ძვ. წ. II-I სს.).

რესპუბლიკის ხანა, არსებითად, ჯერ კიდევ მეექვსე მეფე სერვიუს ტულიუსის, თავისი მნიშვნელობით, კარდინალური რეფორმებიდან იწყება. როგორც უკვე ითქვა, მან რომის მთელი სრულუფლებიანი მოსახლეობა ქონებრივი და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით თვითნებურად დაყო რამდენიმე თანრიგად. ყოველი თანრიგი შედგებოდა, ეგრეთ წოდებული, ცენტურიებისგან – განსაკუთრებული სამხედრო რაზმებისგან.

რესპუბლიკის ხანაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის სისტემა შედგებოდა მუდმივად მოქმედი სენატისგან, რომაელი მოქალაქეებისა და აღმასრულებელ-განმკარგულებელი ხელისუფლების ორგანოების არჩეულ პირთა სახალხო კრებების სისტემისგან – სხვადასხვა მაგისტრატურისგან.

რომის სახელმწიფოსი და მთელი მისი ისტორიის თავისებურება ის იყო, რომ მთელი უმაღლესი ხელისუფლების წყაროდ მხოლოდ და მხოლოდ რომაელი ხალხი ითვლებოდა, ხოლო მისი ნების გამომხატველად – სენატი (senatus populusque Romanus). ეს ფუნდამენტური მდგომარეობა, თუმცა დროთა განმავლობაში სინამდვილეში ფიქციადაც კი გადაქცეული, თავისი წარმოშობის საკრალურობის გამო იმპერიის ეპოქაშიც კი შენარჩუნებული იყო.

კენჭრისყრა ყველა სახალხო კრებებში ღიად მიმდინარეობდა: ყოველ ამომრჩეველს უნდა გაევლო ვიწრო წანწალა და აზრი გამოეთქვა თავისი კანდიდატის შესახებ, რომლის სახელის პირდაპირ სპეციალური მოხელე წერტილს სვამდა. ძვ.წ. II ს. მეორე ნახევრიდან მაგისტრატების არჩევის, რომაელი მოქალაქის უფლებაუნარიანობის, სახელმწიფო ღალატის, კანონების მიღების საკითხებზე შემოღებული იყო ფარული კენჭრისყრა

(კრების ყოველი მონაწილე იღებდა პატარა გასანთლულ ფიცარს, რომელსაც კანდიდატის სახელთან ერთად აგდებდა კალათაში).

მაგრამ, სახალხო კრებები თანდათან კარგავდა თავის განსაკუთრებულ სასამართლო უფლებამოსილებას. უპირველესად, მათ ჩამოერთვა საქმეების განხილვის შესაძლებლობა, რომელთა განაჩენების მიხედვითაც უნდა ყოფილიყო სიკვდილით დასჯა. ძვ. წ. 149 წლიდან საქმეების უმრავლესობა გადაეცა განსაკუთრებულ მუდმივ კომისიებს, რომლებიც სპეციალიზებულები იყვნენ სისხლის სამართლის კონკრეტულ კატეგორიებზე. ასე, მათგან ერთნი არჩევდნენ საქმეს ჯადოქრობასა და მოწამლვაზე, მეორენი – ღალატზე, მესამენი – კორუფციასა და თანამდებობის პირთა შეუფერებელ ქცევაზე და ა.შ. ავგუსტუსის დროს ცოლქმრული ღალატის საქმეზე დაემატა კვესტიონესი.

სახალხო სუვერენიტეტის იდეის რეალიზაცია განსაკუთრებით ნათლად ვლინდებოდა რომის მაგისტრატურების საქმიანობაში, რომელთა დიდი აქტიურობაც დაკავშირებულია სწორედ რესპუბლიკის ხანასთან.

მაგისტრატურები ხასიათდებოდა უსასყიდლობით, საყოველთაო არჩევითობით, გადაწყვეტილებების მიღების კოლეგიურობით, საქმიანობის საჯაროობით, უფლებამოსილების ვადების წლიური პერიოდით შეზღუდვით (უმეტესობას ერთი წლით ირჩევდნენ), და მისი გასვლის შემდეგ თავისი ფუნქციების არასათანადო შესრულებაზე პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობით, ე.ი. ანგარიშვალდებულებით. მაგისტრატურები, როგორც სახელმწიფო აპარატი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძვ. წ. IV საუკუნისთვის, სადაც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკუთვნოდათ ორ კონსულს, ორ პრეტორს, ორ ცენზორს, ოთხ ედილს, ათ პლებეურ ტრიბუნს, ოთხ კვესტორს, აგრეთვე რამდენიმე კოლეგიას. საგანგებო ვითარების დროს სენატი კონსულების წარდგენით ნიშნავდა დიქტატორს მისი, პრაქტიკულად, განუსაზღვრელი უფლებამოსილებით.

ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებულ კლასიფიკაციად ითვლება ყველა მაგისტრატურის დაყოფა ჩვეულებრივსა და საგანგებოზე.

ძველი რომის ჩვეულებრივი მაგისტრატურები. ორდინარულ მაგისტრატურებად იყო კონსულების, პრეტორების, ცენზორების, კვესტორების, ედილების თანამდებობები.

რესპუბლიკის ხანაში მთელი უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება (სამართალშემოქმედების უფლებამოსილების მნიშვნელოვანი მოცულობით) რომაელ მეფეთა საკრალურ სამართალმემკვიდრეებს ეკუთვნოდა – ორ კონსულს (ძვ. წ. 509 წლიდან, სიტყვიდან consulere, თათბირი). მათი საქმიანობა რიგითობის წესით მიმდინარეობდა, წლის განმავლობაში თითო თვით. თავდაპირველად კონსულებს (ასაკით არანა-

კლები 42 წ.) ცენტურიატულ კომიციებზე ირჩევდნენ, ხოლო ძვ. წ. 366 წლიდან ერთი მათგანი სავალდებულო წესით პლებეური ფენის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. მათ ჰქონდათ დაკისრებული არმიის მეთაურობა, მტერთან დროებითი ზავის დადება, სენატისა და სახალხო კრებების მოწვევა, მათ, აგრეთვე, უფლება ჰქონდათ გაეუქმებინათ ყველა სხვა მაგისტრატურის (ტრიბუნების გარდა) გადაწყვეტილებები და ა.შ. კონსულების, როგორც წმინდა მეფის ძალაუფლების მემკვიდრეების, უფლებამოსილების მოცულობა ტრადიციული უფლებების ერთობლიობისგან შედგებოდა: ღმერთებთან ურთიერთობის უფლება (მკითხაობის უფლება); სენატსა და ხალხს შორის საშუამავლო მდგომარეობა, რომელიც განაპირობებდა კანონპროექტის შეტანის უფლებას რომის საზოგადოებაში ჰარმონიის შესანარჩუნებლად; შესასრულებლად საყოველთაო ბრძანებულებების გამოცემის უფლება.

ორი პრეტორის თანამდებობაზე (praetores, წინ მიმავალი) ირჩევდნენ პირებს, არანაკლებ 40 წლის. რესპუბლიკის ხანის დასაწყისში ისინი კონსულების თანაშემწეები იყვნენ, მოგიანებით ასრულებდნენ, ძირითადად, სასამართლო და საზედამხედველო ფუნქციებს გარკვეული მნიშვნელოვანი კატეგორიების საქმეებზე. თავდაპირველად შემოღებული იყო ქალაქის პრეტორის თანამდებობა (რომაელ მოქალაქეთა საქმეებზე, ძვ.წ. 367), შემდეგ ქალაქში უცხოელების მომრავლებასთან ერთად – პერეგრინების საქმეებზე (ძვ. წ. 242). სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად ახალი ტერიტორიების მართვისთვის დაიწყეს სპეციალური პრეტორების დანიშვნა, თავად ქალაქშიც კი მათი რაოდენობა 16 კაცამდე აღწევდა. პრეტორულმა მაგისტრატურამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ფორმულარული სასამართლო პროცესის შემოღებასთან ერთად (ძვ. წ. II ს. შუა პერიოდი) შეიძინა. პრეტორები თავმჯდომარეობდნენ სხვადასხვა მუდმივ სასამართლო კომისიებს (კონკრეტული კატეგორიის საქმეებზე).

ორი არჩეული ცენზორის მაგისტრატურა შემოიღეს ძვ. წ. 443 წელს მოსახლეობის პერიოდული აღწერის განხორციელებისათვის და გასტანა ძვ. წ. 22 წლამდე. ძვ. წ. 351 წლიდან ერთ-ერთ ცენზორს პლებეებიდან ირჩევდნენ, თუმცა ამას პატრიციები კიდევ დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ.

ცენზორები ინიშნებოდნენ ყოფილი სენატორებისა და კონსულებიდან, რომელთაც კრისტალურად სუფთა რეპუტაცია ჰქონდათ და გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული პრინციპულობითა და სიმკაცრით. სხვა თანამდებობის პირებისგან განსხვავებით ისინი თავის ფუნქციებს მთელი ხუთი წელი ასრულებდნენ და ამ ვადაში ისინი ასევე ახორციელებდნენ თავიანთ რეალურ უფლებამოსილებას – 18 თვე. ცენზორები ადგენდნენ და ახმოვანებდნენ სენატორების სიებს, ხუთ წელიწადში ერთხელ კი

ტარდებოდა ყოველი სახლის პატრონის ქონებრივი შეძლებულობის შეფასება (ცენზი), რომლის შედეგების მიხედვითაც ირიცხებოდა შესაბამის თანრიგში. ამის გარდა, აგრეთვე ფასდებოდა რომის მოქალაქის მორალური სახე (განსაკუთრებით მაღალი ფენებიდან). დაწყებული ძვ. წ. 312 წლიდან „უხამსი ქცევისთვის“ ცენზორებს შეეძლოთ განსაკუთრებული აქტის გამოტანის გზით ნებისმიერი მოქალაქე გაერიცხათ შესაბამისი თანრიგიდან მისთვის გამომდინარე შედეგებით (უფლებრივი სტატუსის შემცირებიდან სიკვდილით დასჯის განაჩენამდე). ამასთან ერთად, ცენზიდან გადახვევა ან მცდარი ცნებების მიწოდება ითვლებოდა ერთ-ერთ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულად და სერვიუს ტულიუსის დროს შეიძლება დაესაჯათ „ბორკილებითა და სიკვდილით“, ხოლო მოგვიანებით – „მხოლოდ“ მოქალაქეობის ჩამორთმევით.

ოთხი ედილი (aediles, „სახლის მეპატრონენი“) – ორი კურუალური ან კურულური (ძვ. წ. 367) და ორი პლებეური (ძვ. წ. 494), რომაელთა ასაკი არ უნდა ყოფილიყო 37 წელზე ნაკლები, ძირითადად ახორციელებენ ადმინისტრაციულ-პოლიციურ ფუნქციებს. ისინი რომის მოედნებზე, ქუჩებსა და აკვედუკებზე წესრიგს თვალყურს ადევნებდნენ, იძიებდნენ ქურდობის შემთხვევებს, წვრილმან სამართალდამრღვევებს თავად ასამართლებდნენ და სჯიდნენ, აწყობდნენ თამაშებსა და სანახაობებს, პასუხისმგებლები იყვნენ ქალაქის სურსათით მომარაგებაზე, ღარიბებს შორის მათ განაწილებაზე, სურსათისა და პირველადი საჭიროების საგნების სპეკულაციასთან ბრძოლაზე, თვალყურს ადევნებდნენ მშენებლობის წესების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიული მოთხოვნების შესრულებას, გზების მდგომარეობას და ა.შ.

კვესტორები (quaestores, ასაკი არანაკლები 30 წლისა), თავდაპირველად სულ ორნი ან ოთხნი იყვნენ, თავდაპირველად კონსულების თანაშემწეების ფუნქციებს ასრულებდნენ და სამხედრო ლაშქრობების დროს მთელი ფინანსები მათ გამგებლობაში იყო. ძვ.წ I საუკუნის ბოლოსთვის კვესტორების რიცხვი რამდენიმე ათეულს შეადგენდა. მათ ეკისრებოდათ ქალაქის არქივისა და ხაზინის გამგებლობის ამოცანები. გარდა ამისა, ისინი დაკავებულები იყვნენ სავაჭრო დავების განხილვით, სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებისა და დანაშაულის გამოძიებით. კვესტურა რომის მაგისტრატურის დაბალი საფეხური იყო. ლაშქრობების დროს კონსულების თანმხლები კვესტორები ნადავლს ითვლიდნენ და ჯარისკაცებს ჯამაგირს ურიგებდნენ. ისინი აგრეთვე იმყოფებოდნენ პროკონსულებთან და ლეგატებთან (ელჩებთან) ერთად პროვინციებში.

ათი სახალხო ტრიბუნი (tribuni plebis), მათი თანამდებობა შემოღებული იყო ძვ.წ. 494 წელს, ისინი თავდაპირველად პლებეებს იცავდნენ

პატრიციების ბოროტმოქმედებისა და მათი ძალაუფლებისგან, ამიტომაც პლებეურებს უწოდებდნენ. შემდეგ მათი არჩევა ყველა თანრიგიდან ხდებოდა. ისინი თავიანთი მდგომარეობით თავმჯდომარეობდნენ პლებეების კრებებს, ქალაქის დატოვების უფლება ჰქონდათ მხოლოდ რამდენიმე საათით, მათი სახლის კარი მთხოვნელთათვის მუდამ ღია უნდა ყოფილიყო (VI საუკუნის შუა პერიოდიდან, მათ შორის, პატრიციებისთვისაც). გააჩნდათ რა ხელშეუხებლობის სტატუსი და განსაკუთრებული სასამართლო ფუნქციები, ტრიბუნებს შეეძლოთ ნებისმიერი მაგისტრატურის (დიქტატორის გარდა) ყველანაირი გადაწყვეტილების დაბლოკვა, მათ შორის თავიანთი კოლეგებისაც. უფრო მეტიც, მათი სამართლებრივი მდგომარეობა მათ ანიჭებდა უფლებამოსილებას კრებაზე შეეტანათ წინადადება ამა თუ იმ მაგისტრატის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ტრიბუნის ძალაუფლება ქალაქის კედლებისგან ერთი მილით შემოიფარგლებოდა, როგორც, სხვათა შორის, მისი ხელშეუხებლობა.

დაბალ დონეზე წესრიგზე ყურადღება ეკისრებოდათ მაგისტრატურებს, რომლებიც გაერთიანებულები იყვნენ *„ოცდაექვსი მამაკაცის“* სახელწოდებით (viginti sex viri). ასე ეწოდებოდა ხუთ სპეციალურ კომისიაში შემავალ პირებს: ქალაქის პრეტორს დაქვემდებარებულ სამ მაგისტრატს უნდა უზრუნველყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება და ღამის დამნაშავეებთან ბრძოლა, აგრეთვე საპატიმროებსა და სიკვდილით დასჯის განაჩენის შესრულებაზე ზედამხედველობა; ათი ადამიანი დაკავებული იყო სამოქალაქო საქმეებისა და უფლებაზე დავის საკითხების განხილვით; ექვსი წევრისგან შემდგარი ორი კომისია პასუხს აგებდა გზებისა და სახლების ფასადების სათანადო მდგომარეობაზე, სანიტარიულ წესრიგზე ქალაქში, ქუჩების სისუფთავესა და ნაგავსაყრელებზე, მათ შორის ქალაქის კედლებს გარეთაც; ოთხკაციანი კომისიის წევრები აუცილებლობის შემთხვევაში სამართალწარმოების განხორციელების მიზნით მიემართებოდნენ პროვინციულ ქალაქებში; სამკაციანი კომისია სენატისგან მინიჭებული უფლებამოსილების შედეგად განაგებდა მონეტების წარმოების საქმეს.

სახელმწიფო დაწესებულებების (კანცელარიების) აპარატი გააზატებულ (თავდახსნილ) და სახელმწიფო მონებისგან შეკრებილი მოსამსახურეებისგან (გადამწერები, ლიქტორები, შიკრიკები, მაუწყებლები) შედგებოდა. ისინი ასრულებდნენ სხვადასხვა სახის დავალებებს და სამუშაოებს (მეცხოვნეები, ჯალათები) და სხვ. გარდა ამისა, ყოველ მაგისტრატს მის საქმიანობაში ვალდებულნი იყვნენ დახმარებოდნენ ნათესავები („სხვისი უფლების“ პირები), კლიენტები და მონები.

საგანგებო (არაჩვეულებრივი) მაგისტრატურების სახეობები და კომპეტენცია. ექსტრაორდინარულ მაგისტრატურებს შორის შეიძლება დავასახელოთ დიქტატორი, ინტერექსი, დეცემვირები და დუუმვირები.

დიქტატურა განსხვავდებოდა გამგებლობის პირობებით, რაც პირდაპირ აისახებოდა ამ მაგისტრატურების უფლებამოსილებების დონეზე. მაგალითად, სენატის მიერ კონსულების წარდგინებით დანიშნული დიქტატორი სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის საგანგებო პირობებში უმაღლესი ძალაუფლების (summum imperium) ყველა უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. ასეთი დიქტატურის პირობებში კანონები საგანგებო წესით მოქმედება. სასამართლოების საქმიანობა, როგორც წესი, შეჩერდებოდა ხოლმე, იკრძალებოდა არა მარტო საკუთრივ დიქტატორის მოქმედებების გასაჩივრების უფლება, არამედ თანამდებობის პირთა, აგრეთვე პროტესტის შეტანის შესაძლებლობაც. რესპუბლიკის მეორე ნახევარში ზოგჯერ ინიშნებოდნენ დიქტატორები რაიმე ერთჯერადი, მაგრამ უკიდურესად საპასუხისგებლო ღონისძიებების (მაგ., სურსათის შეტანა ქალაქში ან მეკობრეებთან ბრძოლა) ჩასატარებლად. ასეთ განსაკუთრებულ მაგისტრატებს (imminuto iuro) რაიმე აბსოლუტური უფლებამოსილება არ გააჩნდათ, მათი საქმიანობა ჩვეული წესით მიმდინარეობდა სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში მომუშავეებთან ერთად.

დიქტატურა, საზოგადო წესით, შეიძლება გაგრძელებულიყო არა უმეტეს ექვსი თვისა, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ თავად დიქტატორს შესაძლებელ მკაცრ ზომებზე არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. თავად დიქტატორი ამ ექსტრაორდინარული მაგისტრატურის გამგებლობისას აღკვეთილი მიზეზების შემდეგ იხსნიდა უფლებამოსილებას (ცინცინატის დიქტატურა ძვ. წ. 458 წ. გაგრძელდა სულ ორ კვირამდე). მაგრამ სამოქალაქო ომების ეპოქაში დიქტატურის ვადები უკვე წლებით განიზომებოდა (სულას დადგენილება გრძელდებოდა ძვ.წ. 82 წლიდან 79-მდე, ხოლო იულიუს კეისარი დიქტატორად იყო 49, 48-46, 45 წწ. ხოლო 44 წლიდან დაინიშნა მუდმივ დიქტატორად).

დიქტატორთან ერთად შემოღებული იყო *კავალერიის უფროსად* წოდებული მაგისტრატურა. ეს იყო დიქტატორის თანაშემწე და მისი მოადგილე. საჭიროების გავლის შემდეგ იგი, როგორც დიქტატორი, უფლებამოსილებას იხსნიდა.

საგანგებო მაგისტრატურებს მიეკუთვნება *დეცემვირების კოლეგიაც* (decemviri, ათი მამაკაცი) — კანონების ძირითადი ტექსტების შემქმნელების, რომლებსაც მოგვიანებით ეწოდა თორმეტი ტაბულა (decemviri consulari imperio legibus scribundis, ძვ.წ. 451).

რესპუბლიკის ხანის სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფოებრივი მართვის სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ განშტოებების, გარკვეული ორგანოებისა და მათი დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების პრინციპების დომინირება. მაგალითად, ადრეული რესპუბლიკის ხანაში (ძვ. წ. V-IV) სახალხო კრებებისა და მაგისტრატურების საქმიანობასთან შეფარდებით სენატის ძალაუფლება საკმაოდ შესამჩნევი იყო. ამდენად, შესაძლებელია საუბარი მმართველობის ისეთ ფორმებზე, როგორიც არის *არისტოკრატიული რესპუბლიკა.* ძვ. წ. III ს. შუა ხანებიდან ასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული დემოკრატიზაცია, რამაც სახალხო კრებების როლი გაზარდა და რომლებმაც მიიღეს დამატებითი უფლებამოსილებანი. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს სახელმწიფოს სამფლობელოების სწრაფი გაფართოება (უპირველესად, პუნიკური ომების შედეგად), სენატორულ ზედაფენას (ნობილიტეტს) და მხედრიონს შორის ბრძოლა მაღალი სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის და ა.შ. ამ დროს სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში ერთვება მოსახლეობის სულ ახალი ფენები, ჯარი ხდება დაქირავებული, რომის სამოქალაქო საზოგადოება აღარ არის უკიდურესად დახურული კორპორაცია და იძენს ახალ წევრებს, კომისიების საქმიანობა მაგისტრატურების მსგავსად ხასიათდება მაქსიმალური აქტიურობითა და ეფექტიანობით. ამდენად, შესაძლებელია საუბარი *დემოკრატიული რესპუბლიკის* ნათელი ელემენტების არსებობის შესახებ.

გვიანი რესპუბლიკის ისტორია (ძვ. წ. II-I სს.) დაკავშირებულია ყველა სფეროში გახანგრძლივებულ და ერთთავად გაძლიერებულ კრიზისთან, რომლებმაც რესპუბლიკა სამოქალაქო ომებამდე და რიგ გრძელვადიან დიქტატურამდე მიიყვანა. შედეგად მოხდა სახელმწიფო ხელისუფლების მაქსიმალური გაძლიერება რესპუბლიკისთვის ყველა ტრადიციული მმართველობის ინსტიტუტის უფლებამოსილების ერთის ხელში (თავდაპირველად დიქტატორის, ხოლო შემდეგ პრინცეპსის) ფაქტობრივ თავმოყრასთან ერთად. ამგვარად, რესპუბლიკური იდეოლოგიის გაძლიერებულმა კრიზისმა მმართველობას მონარქიულ ფორმამდე მიიყვანა.

III – რომის იმპერიის ეპოქა (ძვ.წ. I ს. ბოლო – ჩვ. წ. V ს. შუა ხანა). მისი ისტორია იყოფა ორ ეტაპად:

- პრინციპატი (ძვ. წ. I – ჩვ. წ. III ს.);
- დომინატი (ჩვ. წ. III – V სს. შუა ხანები).

პრინციპატი (ძვ. წ. 27 წ. – ჩვ. წ. 284 წ.) რომში მონარქიული მმართველობის საწყის ეტაპად ითვლება, რომელიც დასრულდა დემოკრატიული პრინციპების სრული გაუქმების ფორმით აბსოლუტიზმის დაწესებით და იმპერატორის პირადი ძალაუფლების ტოტალიტარული რეჟიმით.

პრინციპატის პერიოდში, როცა ოქტავიანეს ოფიციალურად მიანიჭეს ავგუსტუსის ტიტული (Augustus, განდიდებული ღმერთების მიერ), ჯერ კიდევ ფორმალურად იყო შემორჩენილი და მოქმედებდა ძირითადი რესპუბლიკური პრინციპები და მაგისტრატურები, მაგრამ მთელი სახელმწიფო და რელიგიური ძალაუფლება უკვე განუყოფლად იყო *პრინცეპსის* – სახელმწიფოს პირველი მოქალაქის (princeps civitatis) ან სენატის პრინცეპსის ხელში. პრინცეპსის დროს რესპუბლიკური არჩევითი და ყოველწლიურად ცვლადი მაგისტრატურების საპირისპიროდ ყალიბდება მისი აპარატი, რომელიც ხასიათდება მკაცრი ცენტრალიზებულობითა და იერარქიულობით და ფართოვდება სახელმწიფოებრივ დონემდე. მაგალითად, ასე დაემართა მის საბჭოსა და კანცელარიას.

სენატი უკვე პირველი მონარქების ხელში ხდება მორჩილი იარაღი, მაგრამ უწინდელი დემოკრატიულობის მოჩვენებითი სახის შესანარჩუნებლად თავისი გადაწყვეტილებებით ხალხის სახელით მათ განუსაზღვრელ სტატუსს აღიარებს (ლეგიტიმაცია). ამ მიმართებით მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს კანონის ძალის მქონე სენატის დადგენილებები – სენატუსკონსულტები. შესაბამისად მათთან პრინცეპსებსა და იმპერატორს მინიჭებული ჰქონდათ უმაღლესი უფლებამოსილება, რაც გამოიხატებოდა: იმპერატორისათვის ნებართვის მიცემაში, რათა ხელშეკრულებები დაედო ვისთანაც მოისურვებდა; მოეწვია სენატი და ეხელმძღვანელა მისი მუშაობისთვის; რეკომენდაცია გაეწია კანდიდატებისთვის მაგისტრატის თანამდებობაზე; ყოველმხრივ გაეფართოვებინა პომერიის საზღვრები. ყველაფერი, პირადად იმპერატორის მიერ ან მისი ბრძანებულებით გაკეთებული კანონის მოქმედებაში შესვლამდე გამოცხადებული იყო როგორც სენატისა და ხალხის ნება: „მას, რაც ხელმწიფეს ნებავს, კანონის ძალა აქვს, რამეთუ სწორედ ხალხმა უმაღლესი კანონის მიმნიჭებელმა Lex regia (მეფის კანონი) საშუალებით შეატყობინა მას თავისი უზენაესი ძალაუფლება“... განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო, რომ წინა დადგენილებებთან ამ კანონის წინააღმდეგობის შემთხვევაში მას ერთადერთს გააჩნდა პრიორიტეტული მდგომარეობა: „... და ყველაფერი, რასაც იგი (პრინცეპსი) სახელმწიფოს სასარგებლოდ და მისი დიდებისათვის ღვთაებრივი, ადამიანური, საზოგადოებრივი და კერძო საქმეებიდან საჭიროდ ჩათვლის, დაე, ამის მოსახდენად მას ჰქონდეს ძალაც და უფლებაც...“ ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში იმპერატორების უფლებამოსილება მხოლოდ ფართოვდებოდა.

იმპერიის დასაწყისში ტრადიციულ ქალაქის მაგისტრატურებთან თანაშემწეების სახით გაჩნდა *პროფესიულ მობელეთა* მრავალრიცხოვანი

ფენა, რომლებსაც მაგისტრატების წლიური ვადისგან განსხვავებით იმპერატორი განუსაზღვრელი დროით ნიშნავდა.

ქალაქის ყოველ 256 კვარტალს ხელმძღვანელობდნენ ვიკომაგისტრები. მათ, როგორც წესი, არაწარჩინებული წოდების წარმომადგენლებისგან ირჩევდნენ, უმთავრესად კი გააზატებულებისგან. რელიგიური ვალდებულებების გარდა, რასაც ისინი ასრულებდნენ, როგორც რაიონის მამასახლისები, ვიკომაგისტრები პასუხს აგებდნენ თავის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვასა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე.

დომინატი (სიტყვიდან dominus, ბატონი, პატრონი, მბრძანებელი ჩვ. წ. 284-476) რომის იმპერიის განვითარების მეორე (დასკვნითი) ეტაპის პირობით სახელწოდებად ითვლება. იგი ხასიათდება: რესპუბლიკის ინსტიტუტების საბოლოო გაუქმებით (სახალხო კრებები დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, სენატი საბოლოოდ ქალაქის მმართველობის ორგანოდ გადაიქცა, მაგისტრატები ინიშნებოდნენ და იცვლებოდნენ იმპერატორის საბჭოს მიერ, ხოლო თავის მოღვაწეობაში მუდმივი ედიქტით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც თავისებურ „თანამდებობრივ ინსტრუქციად იქცა"); მონარქის მიერ ფორმირებული და ერთადერთი მის წინაშე ანგარიშვალდებული იმპერატორის საბჭოს მეთაურობით სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებით; მთელი მაღალი წრის ძალაუფლების მინიჭებით იმპერატორისთვის; იმპერიის დაყოფით აღმოსავლეთსა და დასავლეთზე; ქრისტიანული ეკლესიის ლეგალურობის აღიარების დასაწყისად მილანის ედიქტის გამოცემის გზით 313 წ. და მისი დასრულება ედიქტის დებულებით De fide catrolica 380 წ.; ადრე დაპყრობილი პროვინციების სწრაფი დაკარგვით (პირველი დაკარგული პროვინცია 270 წ. იყო დაკია); ბარბაროსების პერიოდული თავდასხმებით (barbaros) ქალაქზე და საბოლოო მისი დაცემით.

ტრაიანეს მმართველობაში (97-117 წწ.) სიტყვა Dominus (ბატონი) მონარქის ოფიციალურ ტიტულში იყო ჩართული. 270 წლიდან იმპერატორების ტიტულში შეტანილი იყო ფორმულირება „ბატონი და ღმერთი" („Dominus et Deus"). ამრიგად, იმპერატორის ხელში არა მხოლოდ მთელი ხელისუფლება გადავიდა, არამედ გაღმერთებული იყო მისი პიროვნება[1].

[1] ამასობაში ზოგიერთი იმპერატორი იმდენად სძულდა ხალხს მათ მიერ სიცოცხლეში ჩადენილი სიგიჟეებისა და ბოროტმოქმედებების გამო, რომ მათი სიკვდილის (მკვლელობის) შემდეგ გვამები ტიბრში იყო გადაყრილი, ხოლო მათი სტატუეტები მეორე დღესვე დამსხვრეული, მათი ხსენება კი აკრძალული იყო. ზოგიერთი მონარქი წარმოშობით ჯარისკაცი იყო (III ს. „ჯარისკაცთა იმპერატორების" სახელწოდებითაც კი მოინათლა) ან მონაც კი (მაკრინე, 217 წ.).

სახელმწიფო მართვის სისტემა *მაქსიმალურად ცენტრალიზებული* იყო. იმპერატორის დროს ყველა მმართველობის საკითხის გადასაწყვეტად არსებობდა იმპერატორის საბჭო სათათბირო ხმის უფლებით – კონსისტორია, რომელიც შედგებოდა სახელმწიფოში ყველაზე გავლენიანი ადამიანებისგან, აგრეთვე სახელმწიფოს ცხოვრების, მათ შორის, სამართლის, ყველაზე განსხვავებული დარგების სპეციალისტებისგან. ამ საბჭოს ხელმძღვანელობდა წმინდა სასახლის კვესტორი.

მოხელეები, რომლებიც ბიუროკრატულ აპარატს შეადგენდნენ სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი შესატყვისი შიდა რანჟირებით: სამოქალაქო (dignitates civiles, სამოქალაქო საპატიო თანამდებობა), სამხედრო (dignitates militares, სამხედრო საპატიო თანამდებობა) და სასახლის (dignitates palatinae, სასახლის თანამდებობა). სახელმწიფო მართვის აპარატში ყველაზე მაღალი თანამდებობის მფლობელები განსაკუთრებულ საპატიო ტიტულებს ატარებდნენ, რომელიც ხაზს უსვამდა მათ რანგს: ბრწყინვალენი (illustres, გამოჩენილი, შესანიშნავი), დიდებულები (spestabilis), უგანათლებულესნი (clarissimi, სხივმოსილი) და ა.შ.

ამასთან ერთად, პრივილეგიური წოდებებისა და პლებეების წარმომადგენლებიც იმპერატორის უმაღლესი ხელისუფლების განუკითხაობის წინაშე სრულიად დაუცველნი იყვნენ (როგორც ეს იყო, მაგალითად, სულას და ტიბერიუსის დიქტატურის დროს).

დომინატის პერიოდისთვის დამახასიათებელია *ფეოდალური ურთიერთობების საფუძვლების გაფორმება* ბატონყმობის ინსტიტუტის, კოლონატის სახით. მონური შრომის დომინირებაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა დროთა განმავლობაში მთელი სიცხადით სუსტდებოდა. უკვე ჩვ.წ. I საუკუნეში სოფლის მეურნეობის. უფრო და უფრო დიდი კრიზისის პირობებში მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად ფართოდ გავრცელდა თავისუფალი, მაგრამ მუდამ ღარიბი „პროვინციალებისთვის", აგრეთვე გააზატებულებისა და მონებისთვის პატარა მიწის ნაკვეთების – პარცელების (pars, ნაწილი) დარიგების პრაქტიკა მისი დამუშავებისა და გამოყენების მიზნით. ასე თანდათან ჩამოყალიბდა მოძრავი და უძრავი ქონების (პეკულიის) ინსტიტუტი. ამასთან ერთად, ასეთი წვრილი მოიჯარეები ძალიან მალე ექცეოდნენ ნაკვეთის მეპატრონისგან (სახელმწიფოსგან ან კერძო მფლობელისგან) სრულ დამოკიდებულებაში და პირადად თავისუფლები სიცოცხლის ბოლომდე ამ მიწას იყვნენ მიმაგრებულნი მეპატრონის სასარგებლოდ ფულის და ნატურალური ბეგარის გადახდის ვალდებულებით. ამასთან, კოლონატის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან ერთად ხდებოდა მონებისა და უადგილმამულოების მდგომარეობის (ახლა უკვე თავისუფლების, მოიჯარეების) დაახლოება.

ასე თანდათან დაიწყო ჩამოყალიბება რომის საზოგადოების წიაღში ფორმალურად ჯერ კიდევ კოლონატურმა, მაგრამ ფაქტობრივად უკვე ბატონყმურმა ურთიერთობებმა. 332 წელს კონსტანტინეს ედიქტის შესაბამისად მოხდა თავისუფალი მიწათმოქმედის დამონება, ყმად გახდომა.

ისღა დაგვრჩენია დავამატოთ, რომ საუკუნეობით დაგროვილი რომის საზოგადოების შიდა წინააღმდეგობები, რომელმაც გახანგრძლივებულ და მწვავე კრიზისამდე მიიყვანა, დაემთხვა იმ მოვლენის დასაწყისს, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც ხალხთა დიდი გადასახლება (IV-VII სს.). როდესაც რომის იმპერიის განაპირას ადრე მცხოვრებმა წვრილმა და მხსვილმა ტომებმა და ხალხებმა უცებ ქაოტურად დაიწყეს ევროპაში გადასახლება იმ მიზნით, რათა თავი დაეღწიათ ჰუნების ურდოებისგან. რომს მათი დახმარების, ისევე როგორც რომის კედლების დაცვის ძალა არ შესწევდა ამიტომ, უკვე V ს. (410) დასაწყისში მან თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მეორედ განიცადა დარბევა, რის შემდეგაც წელში უკვე ვეღარ გაიმართა.

476 წ. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ აღმოსავლეთ რომის იმპერიამ (ბიზანტია) კიდევ იარსება 1453 წლამდე, სანამ დიდ მარცხს განიცდიდა და თურქი-ოსმანები დაიპყრობდნენ.

თემა 2. სისხლის სამართლის თავისებურებანი და სისხლის სამართლის სამართალწარმოება ძველ რომში

3. საჯარო დელიქტების ცნება, თავისებურებანი და სახეობანი. დანაშაული

რომის საზოგადოების ადრეულ ეტაპზე „დელიქტზე პასუხისგებას არ შეიძლება ეწოდოს არც სამოქალაქო-სამართლებრივი, რამეთუ დარღვევის შედეგები სისხლის სამართლებრივი ხასიათის იყო და არც სისხლის სამართლებრივი, ვინაიდან ზემოქმედება კერძო პირთა ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა და ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი საფრთხის ცნება“. ასე გრძელდებოდა ხელშეკრულება ნექსუმის გამოჩენამდე, რაც უკვე ქონებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობას ითვალისწინებდა.

ძველი პერიოდის კანონმდებლობა უკვე განასხვავებდა ვალდებულებების ორ სახეობას: ხელშეკრულებებიდან და დელიქტებიდან. ამასთან ერთად, დელიქტები, თავის მხრივ, ასევე ორი სახის იყო: კერძო და საჯარო.

კერძო დელიქტები (delictum privatum) განიხილებოდა როგორც ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობათა სფეროში სამართლის ნორმების ხელშეკრულების გარეშე დარღვევები, რაც გამოიხატებოდა კერძო პირის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი დარღვევის შედეგად მისთვის, მისი ოჯახისთვის ან ქონებისთვის ზარალის მიყენებაში (ამ პირის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდის ან ზარალის ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნასთან ერთად, რაც ჩადენილ ქმედობას მოჰყვა). სამართალდარღვევების ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა პიროვნებისთვის ზიანის მიყენების, სხვისი ქონების განადგურების ან დაზიანების, ძარცვის ან ქურდობის, გაიძვერობის, თაღლითობის, მუქარის ან ძალადობის სხვადასხვა შემთხვევები და სხვ.

საჯარო დელიქტებს (delictum publicum) განეკუთვნებოდა ზიანის მიყენების ყველა შემთხვევა, რომელიც იდევნებოდა და ისჯებოდა რომის ხალხის სახელით სახელმწიფოს მიერ, თანაც გადახდილი ჯარიმები და ბაჟი კერძო პირების კი არა, სახელმწიფოს სასარგებლოდ მიდიოდა.

აღსანიშნავია, რომ რომის სამართალში, საკუთრივ, ცნება დანაშაული არ იყო. თავად საჯარო დელიქტი მრავალფეროვანი იყო და ამა თუ იმ სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება ყოფილიყო, როგორც საკუთრივ delictum (დანაშაული, გადაცდომა), maleficium (ზიანი, ბოროტმოქმედება, ჯადოქრობა, ძალადობა), malum (უბედურება, სიბოროტე, დანაშაული, გასაჭირი), nefarium (ბიწიერი, დანაშაულებრივი), noxa (ზიანი, ზარალი), admissum (შეცოდება, გადაცდომა), fraus (ვერაგობა, სიცრუე, ტყუილი), peccatum (ცოდვა, შეცოდება), parricidium (მკვლელობა, ღალატი) და სხვ. მაგრამ ყველაზე გავრცელებული სახელწოდებები იყო crimen (ბრალდება, დანაშაული) და დანაშაული scelus (ბოროტმოქმედება, დანაშაული).

რომის სამართლის მკვლევარების მიერ ყველა დანაშაული პირობითად დაყოფილია ორ მსხვილ სახეობად:

- *ტრადიციულები* (crimen ordinaria) ან კანონიერები (crimina legitima), რომლებიც გათვალისწინებული იყო ძველი კანონებით (მაგალითად, თორმეტი ტაბულით, აქვილიუსის კანონით) და შემდეგშიც შეეძლოთ განვითარება, მხოლოდ ამ დასახელებული შემთხვევების ფარგლებში. ამასთან, ასეთი შემადგენლობებით პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობა საკმაოდ მცირე იყო, ვინაიდან მოსამართლე მკაცრად იფარგლებოდა ჩანაწერის ფორმალური საზღვრებით;
- *საგანგებო* დანაშაულებები (crimen extraordinaria), რომელთა შემადგენლობაც პრეტორთა, ხოლო შემდეგ იმპერატორთა პრაქტიკაში

ჩამოყალიბდა. გარდა ამისა, დროთა განმავლობაში, განსაკუთრებულად იმპერიის პერიოდში, აგრეთვე ხდებოდა გაუფრთხილებლობით ჩადენილი და ამიტომ ადრე აღიარებული კერძო-სამართლებრივი წესით დასჯადი მოქმედებების ინტენსიური კრიმინალიზაცია. Crimen extraordinaria-ს მიმართ, ძველ დანაშაულებათა შემადგენლობისგან (crimina legitima) განსხვავებით, მოსამართლეებს ფართო მოქმედების შესაძლებლობები გააჩნდათ, როგორც დამამტკიცებელი საბუთების შეფასების, ასევე სასჯელის კონკრეტული ზომის, მისი შემსუბუქების ან მისგან განთავისუფლების განსაზღვრების დროს. სიცოცხლისა და ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მძიმე დანაშაულებებს ჰქონდა სახელწოდება, რომელიც სიცოცხლეს ეხებოდა (crimen capitale).

დანაშაულებები ძველი და გვიანდელი რომის სამართალში. კანონების XII ტაბულის მერვე და მეცხრე ტაბულაში ხსენებული სამართალდარღვევების შემადგენლობები განსაკუთრებით მრავალფეროვანია, თუმცა თავად სამართალდარღვევების წრე საკმაოდ ვიწროა და საზოგადოებრივი საფრთხის ხასიათის მიხედვით კანონში არ არის დაყოფილი. ცილისწამება, შეურაცხყოფა, წყენინება ისეთი ქმედობების გვერდით დგას, როგორიცაა ცეცხლის წაკიდება, ქურდობა, ასოთდამშავებლობა. ამასთან, მევახშეობა უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე აშკარა ქურდობა. სანქციები, აგრეთვე, უცნაურად აერთიანებს არქაულ ტალიონსა და სისხლის აღებას ჯარიმებსა და სტატუსის დამცირებასთან.

საჯარო დელიქტებს განეკუთვნებოდა, მაგალითად: მკვლელობა (caedes, ხოცვა-ჟლეტა), რომელიც შეიძლება დასჯილიყო როგორც სიკვდილით, ასევე ჯარიმის გადახდით; რელიგიური დანაშაულებები ან „ღმერთების შეურაცხყოფა“ (მაგალითად, თავისი კლიენტის მიმართ ულირსი ქცევის გამო მფლობელის დაწყევლა „გადაეცეს მიწისქვეშა ღმერთებს“); ქურდობა სამხილით შეპყრობისას – ფიზიკური დასჯით; არასრულწლოვანთათვის – ფიზიკური დასკით, ან ზარალის ანაზღაურებით. თუმცა, ღამით ქურდობის დროს დამნაშავეს სიკვდილი ემუქრებოდა ადგილზე, ამასთან მკვლელი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა; დღისით, დამნაშავის შეიარაღებული წინააღმდეგობის დროს მისი მოქმედებების აღსაკვეთად დაწესებული იყო მეზობლების დაძახება; მოპარული ნივთის შენახვისას ჯარიმა შეადგენდა ამ ნივთის ღირებულების სამმაგ თანხას და ა.შ.

ჩამოთვლილის გარდა, კანონით დამკვიდრებულ დანაშაულებათა შორის მარტო სიკვდილით დასჯადი საკმაოდ მრავლად იყო: სხვა პირებზე ჭორის შემცველი სიმღერების შეთხზვა და მღერა („... თუ

ვინმემ შეთხზა ან იმღერებს სხვის მიმართ შეურაცხმყოფელ ან ჭორის შემცველ სიმღერას“); „რომაელი ხალხის მტრის რომის სახელმწიფოზე თავდასხმაზე“ წაქეზება; ცრუმოწმეობა (დამნაშავე კლდიდან ვარდებოდა); ხანძრის განზრახ გაჩენა, სხვისი მოსავლის მალულად განადგურება, რომელიც სიკვდილით ისჯებოდა და ითვლებოდა „უფრო მძიმე დანაშაულად, ვიდრე ადამიანის მკვლელობა“; სხვისი მოსავლის წახდენა ან ღამის საათებში მკა; ჯადოქრობა (ნათესების შელოცვა, სხვისი მოსაცლის საკუთარ ნაკვეთზე გადმობირება); ზოგიერთი სამსახურებრივი დანაშაული (მოსამართლის ან შუამავლის მიერ ქრთამის აღება) და ა.შ.

დროთა განმავლობაში სახელმწიფოს გაძლიერებასთან ერთად რიგი კერძო დელიქტებისა გახდა საჯარო, ესე იგი, სისხლის სამართლით დასჯადი. ასე დაემართა, მაგალითად, ძარცვის შემადგენლობას (rapina), რომელიც ჩვ. წ-მდე 76 წელს გამოეყო ქურდობას, ხოლო იმპერატორის პერიოდში მთლიანად გადავიდა საჯარო სამართალდარღვევების თანრიგში. იგივე დაემართა ქურდობას გატეხითა და ძალადობით, ქურდობას შარაგზაზე და ა.შ. ამასთან ერთად, სახელმწიფო ასეთ გადაცდომებთან ბრძოლისას დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებას ხშირად კერძო ინიციატივას გადასცემდა. იმპერიის პერიოდშიც კი დაზარალებულს მისი დარღვეული უფლებებისა და საჯარო-სამართლებრივი წესით თავისი საქმეების გადასაწყვეტად შეეძლო სახელმწიფო ორგანოებისთვის მიემართა, ასევე შეეძლო კერძო სარჩელის შეტანით გადაეჭრა საქმე.

ამას მოსდევს XII ტაბულის კანონებით დაფიქსირებული კიდევ ორი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დებულება: ჯერ ერთი, სასამართლოს გარეშე ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა (კანონები, ტაბულ. IX. 6), ხოლო მეორეც, მკაცრად იყო მითითებული, რომ მოქალაქის სიკვდილით დასჯის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ცენტურიატულ კომიციას შეეძლო.

სახელმწიფო სანაშაულებანი. ყველაზე მძიმე სახელმწიფო დანაშაულად *„სიდიადის შეურაცხყოფის“* (crimen laesio majestatis)[1] მრავალრიცხოვანი შემადგენლობა იყო. ასეთი იყო მათი შინაარსი: თავდასხმა

[1] კანონი „რომაელი ხალხის სიდიადის შეურაცყოფის შესახებ“ (lex laesae majiestatis Populi Romani, ჩვ. წ-მდე 103 წ.) – სამართლის ნორმების ერთობლიობა, განამტკიცა დანაშაულებათა შემადგენლობიდან ერთ-ერთი, რომელიც ცნობილია როგორც „უდიდებულესობის შეურაცხყოფა“.
Lex Appuleja ჩვ.წ. 15 წლიდან გახდა მასობრივი რეპრესიების აუცილებელი საფუძველი, იმ რეპრესიების, რომელსაც იმპერატორი თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგების და უბრალოდ არასასურველი პირების მიმართ ატარებდა. ამ ბრძოლებმა ყველაზე სასტიკი სახე მიიღო ტიბერიუსის დროს, ხოლო რამდენადმე შერბილდა კლავდიუს I და ტიტუსის დროს.

(ფართო გაგებით) სახელმწიფოს საფუძვლების უსაფრთხოებაზე; მართვის წესის დარღვევა (ტრიბუნების ინტერცესიის წინააღმდეგობა, მაგისტრატების საქმიანობისთვის დაბრკოლებების შექმნა); რომაელი ხალხის ან მისი უმაღლესი წარმომადგენლების – პრინცეპსის, იმპერატორის „უდიდებულესობის“ შეურაცხყოფა და ა.შ.

„სიდიდის შეურაცხყოფის“ ბრალდებით არა მარტო მონებს აწამებდნენ, არამედ ყველაზე წარჩინებულ მოქალაქეებსაც. სასჯელი, როგორც წესი, იყო ერთი – სიკვდილით დასჯა. რომაელი ხალხის სიდიადის შეურაცხყოფის გამო კანონს განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ. თითქმის მთლიანად ჩვ. წ. I ს. დაწყებული ავგუსტუს ტიბერიუსის მეკვიდრით (14-37 წწ.) და დამთავრებული დომიციანეთი (81-96 წწ.).

„სიდიადის შეურაცხყოფის“ შემდეგ შემთხვევების სიმრავლით მომდევნო იყო *უპატიოსნობა* (impietas). ეს შემადგენლობა იმდენად განვრცობადი იყო, რომ შეიძლებოდა ნებისმიერი მოქმედების „მისადაგება“. მაგალითად, კარაკალას მმართველობის დროს რამდენიმე ადამიანი იმისთვის გაასამართლეს, რომ მათ იმპერატორის სტატუეტს თავზე დამჭკნარი გვირგვინი ახლით შეუცვალეს; იმპერატორის მეფობის დროს მისთვის პატივის არ მიგება – არა მისი სახელით ფიცის დადება; იმპერატორის სტატუეტის წინაშე მსხვერპლშეწირვის აუცილებლობის იგნორირება (ზედაშეს შეწირვა, გუნდრუკის კმევა). კალიგულა ტაძარში ღმერთების სტატუეტებს შორის დგებოდა და საკუთარ თავს ლაციუმის იუპიტერს უწოდებდა და შესაბამის მოპყრობას მოითხოვდა; მის და შემდეგ დომიციანეს („ათენას ვაჟი“) დროს იმპერატორისადმი მიმართვისას, თუნდაც ოფიციალურ დოკუმენტებში, სახელის „ღვთაებრივი“ შემთხვევით გამორჩენაც კი მკაცრად ისჯებოდა. გალმერთების ტრადიცია მორიგი იმპერატორის დროს გაგებული იყო შემდეგნაირად: სახლის კერპებს შორის მიღებული იყო მონარქის პატარა გამოსახულებაც ყოფილიყო, მაგრამ თუ არ იყო, გარკვეული ვითარებების დროს ასევე შეიძლებოდა ახსნილიყო, როგორც მოქმედი ხელისუფლებისადმი არალოიალობის გამოვლენა[1].

რელიგიური დანიშნულებანი. რომის სამართალში ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებამდე არ იყო ისეთი შემადგენლობა, როგორიც ღვთის გმობაა. თანაც, ეს დანაშაული არ უნდა ავურიოთ რელიგიური დანაწესების დარღვევაში. რომის მსოფლმხედველობის რელიგიურობა, საკრალური წარმოშობის რომაელების ღრმა წარმოდგენით, იყო რომის სამართლის თავად კვინტერენცია. უძველესი კანონებით

[1] „ზნეობის წახდენის საუკუნეში მეტისმეტად პირფერობა ან საერთოდ უპირფერობა ერთნაირად სახიფათოა“ (ტაციტ, ან IV.17).

განმტკიცებული ცხოვრებისეული საფუძვლების სიწმინდის დარღვევა ისჯებოდა კატეგორიულად, უმალ და სასტიკად. მაგალითად, ფიციდან გადახვევა, ხელის აღება, პარტნიორის მიერ მოვალეობების დარღვევა თავისი კლიენტის მიმართ, სახალხო ტრიბუნის მკვლელობა, მშობლების უპატივცემლობა, ქურუმი ქალის (ვესტალის) მიერ უბიწოების (ქალწულობის) აღთქმის გატეხა და სხვ. მრ.

არსებული სახელმწიფო ღმერთების (იუპიტერი, სატურნი, იუნონა და სხვ.) მთელი დასისა და, აგრეთვე ოჯახის მრავალრიცხოვანი საგვარეულო კულტების თაყვანისცემას რომაელები საკმაოდ მშვიდად აღიქვამდნენ: „რომაელები თავიანთი ღმერთების პატივსაცემად ზეიმს სიყვარულისა და პატივისცემის გამო კი მართავდნენ, არამედ უბრალოდ ასე იყვნენ მიჩვეულნი“ (ვ.ვ. ბოლოტოვი). ალბათ, თავად ღმერთებს ასეთი ურთიერთობა სავსებით აწყობდათ. ვარაუდობდნენ, რომ ღმერთებს „თავად უნდა დაეცვათ თავი“ „ღმერთებს კი არ უახლოვდებიან სისუფთავით, განმსჭვალულნი ღვთისმოსაობით... ვინც სხვაგვარად მოიქცევა, ღმერთი თავად დასჯის მას“. არსებითად, რომაელები ხელმძღვანელობდნენ პრინციპით: „ღმერთების შეურაცხყოფისათვის დაე, თავად ღმერთებმა დასაჯონ“.

რომაელებს ასევე არ აღიზიანებდათ სახელმწიფოში სხვა ხალხების უამრავი კულტის არსებობა. ოღონდაც არ შეიძლებოდა ქალაქში მათი ღიად პროპაგანდა. სწორედ ამისთვის, მაგალითად, ჩვ. წ-მდე 170 წელს რომში დაანგრიეს იზიდას ტაძარი, ხოლო 132 წელს ქალაქიდან გააძევეს ფრიგიელი ქურუმები. მთლიანობაში, რჯულშემწყნარებლობა იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რამდენადაც ამის უფლებას იძლეოდა რომის საზოგადოების არსებობის თავად საფუძვლების შესახებ წარმოდგენები.

პირველი ქრისტიანების დევნის მიზეზებიც კი, არსებითად, უფრო სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა, ვიდრე იდეოლოგიას. მართებულია, ვაღიაროთ, რომ ქრისტიანთა თემების გაერთიანებები თავდაპირველად დადგენილი წესისა და ფორმის არსებითი დარღვევებით იქმნებოდა და ამიტომაც გააჩნდათ *აკრძალული კრებების შესახებ* (collegii illiciti) დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. ქრისტიანების საქმიანობის ზოგიერთ მხარეს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე, ნამდვილად დანაშაულებრივის კვალიფიკაცია ეძლეოდა. მაგალითად, ისეთი დანაშაულებების შემადგენლობების შესაბამისად, როგორებიცაა: *მკრეხელობა* (sacrilegium), რაც რესპუბლიკურ ხანაში გამოიხატებოდა რომის სახელმწიფოს რელიგიური კულტების უარყოფაში (რაზედაც ხელისუფლება, საერთოდ, თვალს ხუჭავდა), მაგრამ მოქმედი „საღვთო“ კანონების უპატივცემულობა, უკვე ფორმალური საფუძვლების გამო საპატიო

ვერ იქნებოდა; იმპერიის პერიოდში ქრისტიანებს სჯიდნენ იმისთვის, რომ ისინი მონარქის მიმართ მიღებული მისი სრული ტიტულის მოხსენიებისას გამო უარს აცხადებდნენ: „ბატონი და ღმერთი ჩვენი“ („Dominus et deus noster“); *ჯადოქრობა* (ars magica, ჯადოქრობის ხელოვნება), მის გამოვლენას ხშირად მიაკუთვნებდნენ დასჯილი ქრისტიანების სიმტკიცეს, გამძლეობას, თავდაჭერილობას, რასაც განცვიფრებაში მოჰყავდა ცირკის არენაზე დასჯილების წამებასა და სისხლს შეჩვეული რომაელებიც კი; *საიდუმლო და თანაც ღამის კრებები*, რომლებსაც ესწრებოდნენ პირველი ქრისტიანები, ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონების დროიდან დანაშაულებრივად ცხადდებოდა, თვლიდნენ რა ასეთ შეკრებებს რომის ხალხისა და სახელმწიფოს პირდაპირ საფრთხედ. ეს კი იყო ყველაზე მძიმე სახელმწიფო დანაშაული და კვალიფიცირდებოდა, როგორც *რომაელი ხალხის სიდიადის შეურაცხყოფა* (crimen laesae majestatis).

ქრისტიანობის ოფიციალური აღიარების შემდეგ რომის სამართალში არა მარტო ღვთის გმობა შევიდა, არამედ მრავალი *რელიგიური დანაშაულება* (წარმართობა, მწვალებლობა, რჯულგანდგომილობა, ტაძარში ქურდობა, მკრეხელური დამოკიდებულება ქრისტიანული კულტის საგნების მიმართ და ა.შ.).

თანამდებობრივი დანაშაულებანი. დანაშაულებათა რიცხვს, რომელიც უშუალოდ ეხებოდა რომის სახელმწიფოს ინტერესებს, განეკუთვნებოდა, აგრეთვე, *მოხელეთა დანაშაულებანი.* მათ შორის ყველაზე გავრცელებული იყო: მექრთამეობა, გამოძალვა, ხაზინის ქურდობა, მიტაცება, სახაზინო ქონების მითვისება და სახელმწიფო თანხების გატაცება, სიყალბე, მონაწილეობა აკრძალულ თავყრილობებსა და გაერთიანებებში, ხორბლითა და სხვა პროდუქტებით სპეკულაცია, გადასახადების გადაუხდელობა, მოქალაქეების მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ა.შ.

დანაშაულებანი მართვის წესის წინააღმდეგ. მართვის წესის წინააღმდეგ დანაშაულებებს განეკუთვნებოდა მოსყიდვა (ambitus, პირფერობა, ჩალიჩი, ხრიკები), რაც გამოიხატებოდა საზოგადოების მიერ დაგმობილი მოქმედების საშუალებით რაიმე სახელმწიფო თანამდებობის მაძიებლობაში. მაგალითად, „საჭირო“ ადამიანების გამოყენება, პოტენციური ამომრჩევლების მოქონვა და სხვ. თუმცა, ძველად სახელმწიფო პოსტების მაძიებლებისთვის ფორუმსა და მარსის ველზე შეგროვილ მოქალაქეთა შორის სიარული და თავის სასარგებლოდ ხმების თხოვნა აკრძალული არ იყო.

ოფიციალური *განცხადებებისა და განკარგულებების განზრახ დაზიანება ან ჩამოგლეჯა* („რაც გამოფენილია თეთრ დაფაზე, ქაღალდზე ან

სხვა მასალაზე მუდმივი იურისდიქციის დაწესებისთვის (ესე იგი, მაგალითად, პრეტორული ედიქტის ტექსტი – ი.ა.)“, სახალხო სარჩელის შეტანის (actio popularis) შედეგად თავისუფალი ადამიანები 500 ოქროთი ჯარიმდებოდნენ, ხოლო მონები – ფიზიკურად ისჯებოდნენ (ულპიანე, D. 2.1.7.1-5).

სამხედრო დანაშაულებანი და მათი დასჯა. იმასთან დაკავშირებით, რომ რომი მუდმივ ომებს აწარმოებდა და სწორედ ამით ზრდიდა თავის დოვლათიანობას, არმიას ექცეოდა მნიშვნელოვანი ყურადღება. ყურადსაღებია, რომ საჯარო დელიქტის ინსტიტუტის საერთო დაუმუშავებლობის დროს სამხედრო-სისხლის სამართლის ნორმები იუსტინიანეს დიგესტებში შედარებითი სისტემატიზებულობით ხასიათდებოდა. სამხედრო დანაშაულის დეფინიციის მცდელობაც კი იყო: „ლეგიონერების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობანი ან დაუდევრობები შეიძლება იყოს სპეციალური ან ზოგადსამოქალაქო. ამის გამო დევნაც (ასეთ ქმედობებზე) ან სპეციალურია, ან ზოგადი. სპეციალურ სამხედრო დანაშაულად ისეთი დანაშაული ითვლება, რომელიც ლეგიონერის სახით მოქმედმა პირმა ჩაიდინა“ (არიუს მენანდერი, D. 49.16.2.1). ამრიგად, განაგრძობს რომაელი იურისტი, „სამხედრო დანაშაულად ითვლება ყველაფერი ის, რაც საერთო დისციპლინის მოთხოვნებს არღვევს“ და შემდეგ ამატებს: „რაღაც: დანაშაულებრივი სიმხდალე, დაუმორჩილებლობა, უსაქმურობა“ (არიუს მენანდერი, D. 49.16.6). უმალვე მოსდევდა შენიშვნა იმის შესახებ, რომ მკაცრად ისჯებიან ლეგიონთა რიგებში შეღწეული პირები, ვისაც თავისი სტატუსის მიხედვით ამის უფლება არ აქვთ: „ისეთი პირის სამხედრო სამსახურში შესვლა, რომელსაც ეს ეკრძალება, მძიმე დანაშაულად ითვლება და (სასჯელი ამის გამო) ისევე მძიმდება, როგორც სხვა დანაშაულებრივი ქმედობების დროს ჯარის (მინიჭებული) ღირსების, რანგისა და სახეობის მიხედვით“ (D. 49.16.2.2)[1].

მეორე მხრივ, სამართალი მკაცრად სდევნიდა იმ პირებს, რომლებიც სამსახურს თავს არიდებდნენ ან კანონიერი საფუძვლის გარეშე ტოვებდნენ (დეზერტირობა, თვითნებური წასვლა სამუშაოდან, საგუშაგოს დატოვება). დიგესტებში ნათქვამი იყო: „ყველაზე მძიმე დანაშაულს წარმოადგენს სამხედრო ბეგარისგან თავის არიდებას, ვიდრე მისი მეძიებლობა“ (D. 49.16.4.10). „ძველად ვინც თავს არიდებდა სამხედროში გაწვევას, როგორც თავისუფლების მოღალატეებს, მონობა ელოდათ, მაგ-

[1] პირებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურის უფლება არ ჰქონდათ, განეკუთვნებოდნენ: სუბიექტები გაურკვეველი სამართლებრივი მდგომარეობით; მოვალეები, რომლებმაც კრედიტორებს ვალი არ გადაუხადეს; მრუშობაში ან სხვა დანაშაულში ბრალდებული პირები.

რამ ახლა არმიის შემადგენლობის ცვლილებასთან ერთად (მარიას რეფორმისა და შემდგომი ცვლილებების შემდეგ – ა.ი.) სიკვდილით დასჯაზე უარი განაცხადეს, ვინაიდან არმიის რიგები, უმეტესად, მოხალისეებით ივსება". მაგალითად, მშვიდობიან დროს მამის მიერ წვევამდელი შვილის დამალვა ისჯებოდა ჯოხით ცემით, ხოლო შვილი ირიცხებოდა საჯარიმო ნაწილში, ომიანობის დროს – შესაბამისი გვარის ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა, ხოლო მისი უფროსი – გადასახლებას. შვილისთვის განზრახ მიყენებული დაზიანებებისთვის მამას ელოდა გადასახლება.

დეზერტირობა (desertororis) განიხილებოდა, როგორც თავის ნაწილში არყოფნა „იმდენად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომ შეიძლება განიხილოს როგორც ლტოლვილი" (D. 49.16.4.13). დეზერტირებზე, დამნაშავის საქმისა და პიროვნების გარემოებათა მიხედვით, გამოყენებული იყო სასჯელთა მთელი სპექტრი. მაგრამ ამ დანაშაულზე პასუხისმგებლობა ექვემდებარებოდა საგულდაგულო ინდივიდუალიზაციას: „ყველა დეზერტირი ერთნაირ სასჯელს არ იმსახურებს. ყურადსაღებია იარაღის სახეობა, ჯამაგირის ოდენობა, წოდება, აგრეთვე საიდან გამოიქცა (იდეზერტირა), მასზე დაკისრებული მოვალეობები და წარსულში მისი ქცევა; ამგვარადვე, მხედველობაშია მისაღები ის, რომ დეზერტირობის დროს დამნაშავე მარტო იყო, თუ ვინმესთან, ან ბევრ ადამიანთან ერთად; დეზერტირობის დროს ხომ არ იყო ჩადენილი რაიმე სხვა დანაშაული; გასათვალისწინებელია, აგრეთვე, დეზერტირობაში გატარებული დრო და დამნაშავის შემდგომი ქცევა..." (D. 49.16.5).

სამხედრო სამსახურში ჩადენილი დანაშაულთა დიდი რაოდენობა *სიკვდილით ისჯებოდა*: მტრის ბანაკში გადასვლის მცდელობისას დაკავება; მტრის მხარეს გადასვლა და შემდეგ უკან დაბრუნება; ლაშქრობის დროს იარაღის დაკარგვა (შემამსუბუქებელი გარემოებების დროს გადაჰყავდათ სხვა ნაწილში); მეთაურის ბრძანების დარღვევა ან შეუსრულებლობა, ან ლეგიონის უფროსის განკარგულების უბრალო დაუმორჩილებლობა; ბანაკის გარშემო მიწაყრილზე გადასვლა ან ბანაკში კედლიდან შესვლა (თხრილზე გადახტომას არმიიდან გაძევება მოსდევდა)[1];

[1] ამ დანაშაულის არსის ახსნაში, როგორც წარმოგვიდგენია, შეიძლება დაგვეხმაროს სხვა შემადგენლობის ფორმულირება, რომელიც განეკუთვნება სუბიექტების ფართო წრეს: „თუკი ვინმე კედლებს დააზიანებს, იგი ისჯება სიკვდილით, როგორც ის, ვინც კიბის დახმარებით ან სხვა საშუალებით კედელზე გადაძვრება, რამეთუ რომის მოქალაქეებს გამოსვლა შეუძლიათ (ქალაქიდან) უთუოდ ჭიშკრიდან; *კედელზე გადაძრობა მტრული აქტია* (კურსივი ჩვენია – ა.ი.) და უნდა უარვყოთ: და რემი, რომულუსის ძმა, როგორც გადმოგვცემენ, მოკლეს იმისთვის, რომ კედელზე უნდოდა გადაძვრომა" (პომპონიუსი, D. 1.7.11).

ლეგიონერების მოწოდება აჯანყებისკენ; თავისი მეთაურისთვის დახმარების არგამოჩენა, რამაც დაღუპვამდე მიიყვანა (თუ წინააღმდეგობის შესაძლებლობა არ იყო, მაშინ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა); მძიმე დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულის შესვლა ლეგიონერების რიგებში (გარემოებათა მიხედვით მოსდევდა არმიიდან სამარცხვინო გაძევება); საკუთარი უფროსისთვის დარტყმის მიყენება; მტრისთვის სამხედრო საიდუმლოს გადაცემა; მტრის შიშით ავადმყოფობის სიმულაცია და სხვ.

ჩამოქვეითება (მაგალითად, მხედრის ქვეით ჯარისკაცამდე, ლეგიონერი ჯარისკაცის მსუბუქად შეიარაღებულამდე) *ან არმიიდან გაძევება* შესაძლებელი იყო შემდეგ შემთხვევებში: ლეგიონერებს შორის არეულობის გამომწვევი მუდმივი უკმაყოფილება, საჩივრები; საგუშაგოს მიტოვება (გარემოებათა მიხედვით შესაძლებელი იყო ფიზიკური დასჯა); თანამებრძოლისთვის ქვით მიყენებული ჭრილობები (ან სიკვდილით დასჯა, თუკი ჭრილობა მახვილით არის მიყენებული); დეზერტირობის მრავალი შემთხვევა და სხვ.

ვაზის ჯოხების ან როზგების საშუალებით განხორციელებული *ფიზიკური დასჯით* ისჯებოდა: მწყობრის მიტოვება შესაბამისი ნებართვის გარეშე; მოწინავე პოსტის მიტოვება და ა.შ.

რასაკვირველია, არსებობდა სამხედრო მოსამსახურეების სხვა სასჯელებიც. მაგალითად, ჯამაგირის ან სამხედრო წილის შემცირება. სხვა სასჯელები იყო: ჯამაგირის შემცირება, დროებითი მოთავსება ბანაკს გარეთ საცხოვრებლად, სამხედრო ვარჯიშების შესრულება ტვირთით, ხორბლის შეცვლა ქერის ულუფით და სხვ.

ზოგიერთი სასჯელები გამოიყენებოდა მთელი ქვედანაყოფის მიმართ. მაგალითად, რესპუბლიკის პერიოდიდან ამბოხისთვის, ბრძანების შეუსრულებლობისა და ბრძოლის ველიდან გაქცევისთვის, ქვედანაყოფის დროშის დაკარგვისთვის მთელი პირადი შემადგენლობა *დეციმაციას* განიცდიდა (სიტყვიდან decimus, მეათე), რაც ნიშნავდა მწყობრში ყოველი მეათის სამარცხვინო დასჯას ან კენჭისყრის საშუალებით დანარჩენი ჯარისკაცების მწყობრის წინ ჯოხებით ცემის დაწყებას (იმპერიის ხანაში სჯიდნენ უკვე ყოველ მეოცეს (vicesimatio), ან მეასეს (centesimatio); დანარჩენები თავსდებოდნენ ბანაკის გარეთ დაცვის გარეშე და უკიდურესად შემცირებული სასურსათო ულუფით.

დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულებათა შორის, გარდა მკვლელობების სხვადასხვა სახეობისა, საჯარო დელიქტების მიხედვით უკვე „შეურაცხყოფებიც" ითვლებოდა, უპირველესად, სხეულის დაზიანება, რაც XII ტაბულის კანონების მიხედვით განი-

ხილებოდა, როგორც კერძო დელიქტი. მაგალითად, ძარცვა, როგორც აღინიშნებოდა ჩვ. წ-მდე I ს. შუა წლებში, განიხილებოდა როგორც ქურდობის ნაირსახეობა, ხოლო შემდეგ შეიძინა დამოუკიდებელი შინაარსი, როგორც სხვისი ქონების ღია და ძალადობრივი წართმევა. გარდა ამისა, ძარცვისგან მას განასხვავებდა ჩადენის სხვა კვალიფიცირებული გარემოებანიც (ქურდობა ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, გემის დაღუპვის დროს, ხელყოფის ჯგუფური ხასიათი და სხვ.). ძარცვის კერძო სამართლებრივი შემადგენლობისგან განსხვავებით, დასჯელის მიერ – მიმდინარე წლის განმავლობაში – ნაძარცვი ქონების ოთხმაგი საფასურის სახით, ხოლო ერთი წლის გასვლის შემდეგ – ქონების ნომინალური საფასურის გადახდით, საჯარო წესით იგი უთუოდ სიკვდილით ისჯებოდა.

ჩვ. წ-მდე 83 წ. სულას კანონების მიხედვით სიკვდილით, ან კუნძულზე გადასახლებითა და მთელი ქონების კონფისკაციით ის პირები ისჯებოდნენ, რომლებიც ამზადებდნენ და ყიდდნენ შხამებს, მკვლელობის ჩასადენად იარაღს ატარებდნენ, ჰქონდათ ქურდების ინსტრუმენტები, აგრეთვე ისჯებოდა სიყალბე, ანდერძის გატაცება ან განადგურება და სხვ.

დანაშაული ზნეობრიობისა და ოჯახის წინააღმდეგ. დროთა განმავლობაში გაფართოვდა, აგრეთვე, დანაშაულებათა წრე, რომელიც განეკუთვნებოდა ოჯახისა და ზნეობრიობის სფეროს (სისხლის აღრევა, ცოლქმრული ღალატი, ორცოლიანობა, უპატიოსნო ქორწინება, გათხოვილ ქალთან თანაცხოვრება, ქალის მოტაცება, მაჭანკლობა, მამათმავლობა და ა.შ.).

4. საჯარო დელიქტებზე პასუხისმგებლობის თავისებურებანი. სასჯელი

დანაშაული საჯარო სამართალში. „ადამიანები სამართალს არღვევენ განზრახ, გრძნობაარეულები ან შემთხვევით. განზრახ – ყაჩაღთა ბრბო, გრძნობაარეულები – მთვრალები ჩხუბის დროს, მათ შორის, იარაღით ხელში, შემთხვევით – როდესაც ნადირობისას ნადირზე დამიზნებული ისარი ადამიანს კლავს“ (დიგესტები). ამრიგად, რომის სამართალმა იცოდა *დანაშაულის ცნება* (culpa, დანაშაული, შეცდომა, ცოდვის ჩადენა, გადაცდომა, თავდასხმა, სიზარმაცე) და მას ორ მსხვილ სახეობად ყოფდა: განზრახვითად და გაუფრთხილებლობითად. მაგრამ, თუკი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში უხეშ დაუდევრობაზე, მსუბუქ გაუფრთხილებლობასა და გამოუცდელობაზე მისი დადგენისა და გრადაციის

მთავარ კრიტერიუმად იყო აღნიშნულ შემთხვევაში თავისთავზე აღებული ვალდებულებების შესრულების დროს საჭირო მზრუნველობის არგამოჩენის ხარისხი, **მაშინ საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოდიოდა უკვე მხოლოდ სამართლით აღნიშნული ქცევის განზრახ დაუცველობა** კონკრეტულ სიტუაციაში.

თანამედროვე სისხლის სამართალი განზრახვას დანაშაულის ისეთ ნაირსახეობად განიხილავს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის მიერ თავისი ქმედობის (ქმედობის ან უმოქმედობის) სამართალსაწინააღმდეგობის და მავნებლობის შეგნებასთან, საზიანო შედეგების განჭვრეტასა და მათი დაშვების ან დადგომის სურვილთან. რომის სამართალში ჩვენს დროში მიღებული განზრახ დანაშაულის დაყოფა პირდაპირსა და ირიბზე არ ყოფილა. პატარა და უკიდურესად კონსოლიდირებული ეროვნული თემის მოქალაქისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენება ძალზე აღმაშფოთებელ ფაქტს წარმოადგენდა – *ბოროტ განზრახვას* (dolus malus). ამიტომ, აღნიშნულ შემთხვევაში საკმარისი იყო მავნებლური მოქმედებების მიზანმიმართულების კონსტატირება (დადასტურება). განზრახ ზიანის მიყენების შედეგების აღმოფხვრა კერძო წესით, მხარეებს შორის სპეციალური ხელშეკრულების დადების გზით.

ძველ აღმოსავლურ კანონებთან (წარსულისა და თანამედროვესგან) განსხვავებით იუსტინიანეს კრებულის დებულებებში განმტკიცებული იყო მითითებები ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავის პიროვნების თავისებურებების (ასაკი, საქმის ან ხელობის განსწავლულობის ხარისხი); პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების (ბრალდებულის წინა და შემდგომი კრიმინალური ქცევა, მასზე სხვა პირების მოქმედება) გათვალისწინების შესახებ და სხვ. რომის სისხლის სამართალში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ასეთი საწყისები განსაკუთრებით ნათლად ვლინდებოდა 49 დიგესტის წიგნის XVI ტიტულში „სამხედრო საქმის შესახებ (De re militari)“. ამასთან ერთად, პრაქტიკაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და სასჯელის დანიშვნის სფეროში განსაკუთრებული წესი არასოდეს ყოფილა. ეს, განსაკუთრებით, ეხებოდა Lex Laesae majiestatis Populi Romani ნორმების გამოყენებას, რომლის დებულებებიც თვითნებობისა და ბოროტმოქმედებების უსაზღვრო საშუალებებს იძლეოდა. საიმპერატორო რომისთვის, საერთოდ, დამახასიათებელი იყო სასჯელის სადამსჯელო მიმართულობების მკვეთრი გაძლიერება და მათი სახეობების რაოდენობის ერთდროული გაზრდა. საუკუნეების მანძილზე სამართლისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი შურისგების პრინციპი სასჯელით დაშინების ყოვლისშთამნთქმელი მიზნით შეიცვალა.

სასჯელის ცნება და შინაარსი. თავდაპირველად სხვისი უფლებებისა და ინტერესების ყოველი დარღვევა მხარეებს შორის მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე საჭიროებდა სავალდებულო შეთანხმების მცდელობას („დაამტვრევს, აანაზღაუროს“ კანონები VIII ტაბულა. 5). ასეთ წესს *კომპოზიცია* ეწოდებოდა (compositio, დავის, უთანხმოების შეწყვეტა, თანხმობა). თუკი ეს არ ჭრიდა, კანონი ტალიონის პრინციპის გამოყენების ნებას რთავდა, როგორც სასჯელის „სწორით სწორის მაგიერ“ („თუკი მიაყენებს ასოთდამშავებლობას და (დაზარალებულს) არ შეურიგდება, დაე, თავად მასაც დაემართოს იგივე“ კანონები, VIII ტაბულა. 2). ამასთან ერთად, ძველად სამართალდარღვევაზე ყველაზე გავრცელებული რეაქცია იყო მატერიალური ანაზღაურება, რომელსაც ეწოდებოდა *poena*. ამ სიტყვას მრავალნაირი აზრობრივი დატვირთვა გააჩნდა და შეიძლებოდა გაგებულიყო, როგორც სასჯელი, დაჯილდოება, შურისგება, გასამრჯელო, გამოსყიდვა, დაკმაყოფილება.

ოდნავ მოგვიანებით რომის მაგისტრატების პრაქტიკაში, რომლებსაც მართლწესრიგის დარღვევების აღკვეთის უფლებამოსილება გააჩნდათ (jus coercitionis, თავშეკავების უფლება), გამომუშავდა კოერციის ცნება (coercitio, თავშეკავება, დაცხრომა, შეზღუდვა, სასჯელი), რაც ნიშნავდა სხვადასხვა სამართალდარღვევის მიმართ სასჯელის გამოყენებას. კოერციის ფარგლებში მაგისტრატები კანონში არსებული შემადგენლობებისა და სასჯელის სახეობების მიმართ არ იყვნენ შემოფარგლულნი რაიმე „ჩვევებით“.

სასჯელის სახეობები და მათი გამოყენება. მთლიანად, რომის სამართალში სასჯელების ფართო სისტემა იყო გამომუშავებული. ყველა ისინი იყოფოდა ორ დიდ ჯგუფად:

- მძიმე, რომელსაც *კაპიტალიები* ეწოდებოდა (სიტყვიდან capitalis fraus, სასჯელი, რომელიც სიცოცხლეს ეხება) და ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას, ასოთდამშავებლობას, გაძევებას, მაღაროებში გადასახლებას და ა.შ.
- ყველა სხვა (მათ შორის: *ჯარიმები* (poena, სასჯელი), როგორც სხვისი ინტერესების დამრღვევებზე მატერიალური ზემოქმედების ზომა, გამოიყენებოდა კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილ შემთხვევებსა და წესით; ფიზიკური დასჯა როზგებით, ჯოხებით ცემის სახით და სხვ.).

რომის სამართალში დაპატიმრება, როგორც სასჯელის სახეობა, არ იყო. როგორც, სხვათა შორის, მისი თანამედროვე სახელმწიფოების სამართალში და უფრო გვიანდელი პერიოდის სახელმწიფოების სამართალშიც. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დაწესებულებები (როგორც

წესი, მომავალი ბედის გადაწყვეტამდე), სადაც დროებით ათავსებდნენ ხელისუფლებისთვის არასასურველ, ძიებაში მყოფ პირებს, გაკოტრებულ მოვალეებს და დამნაშავე სუბიექტებს არ არსებობდა. რომის ციხეებიდან – *კარცერებიდან* (carcer, ზღუდე, გალავანი, დილეგი) შეიძლება დასახელდეს უძველესი, ფორუმის გვერდით არსებული – მამერტინის ციხე (carcer Mamertinus) მისი მიწისქვეშა ნაწილით – ტულიანუმით (Tullianum), რომელსაც ხშირად იყენებდნენ დამნაშავეების დასასჯელად[1]. დასჯილების სხეულებს კაპიტოლიუმის ბორცვიდან დაღმართით მიათრევდნენ მდინარე ტიბრში და სწორედ ბევრისთვის ამ უკანასკნელმა გზამ ხალხში შეიძინა სახელწოდება „ქვითინის კიბეები“.

კაპიტოლიუმის მახლობლად, ქვის ნანგრევებში, აგრეთვე, უძველესი დროიდან იყო ლაუტუმიას კარცერი (Lautumiel). გარდა ამისა, მსხვილ მამულებში – ლატიფუნდიებში იყო, ეგრეთ წოდებული, *ერგასტულუმები* (ergastulum აქ: მუშა, დამმორჩილებელი სახლი, ციხე), სადგომები ბატონის სახლის ტერიტორიაზე განცალკევებით მდგომ შენობაში, რომელიც დროებით დასჯილი ტყვეებისთვის კარცერს წარმოადგენდა და მონებისთვის, რომლებიც რაღაც გადაცდომისთვის განწირულნი იყვნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე ბორკილებით მუშაობაზე – მუდმივ სამყოფელ ადგილს. ერგასტულუმს, აგრეთვე, უწოდებდნენ განსაკუთრებულ ციხეს მოქალაქეებისათვის, სადაც მდიდარი გამსესხებლები კეტავდნენ გამოუსწორებელ მოვალეებს და იყენებდნენ ყოველდღიური მუშაობისთვის.

სიკვდილით დასჯა, რომლის ფართო გამოყენება იმპერიის პერიოდთან არის დაკავშირებული, სხვადასხვა ხერხით ხდებოდა: თავის მოკვეთა ყველაზე მძიმე, ძირითადად, სახელმწიფო და რელიგიური დანაშაულებების ჩადენისთვის (ცულით – სამოქალაქო პირები, მახვილით – ჯარისკაცები); წყალში დახრჩობა (მაგალითად, მამის მკვლელსა და მის თანამზრახველებს თავს მგლის ტყავით უხვევდნენ, ჯოხებით ცემდნენ, ხოლო შემდეგ შეკერილ ტყავის ტომარაში ძაღლთან, მამალთან, გველსა და მაიმუნთან ერთად ახრჩობდნენ მდინარეში ან ზღვაში „რამეთუ სიცოცხლეშივე წაართვან მიწა და სიკვდილის შემდეგ ცა“); ჯვარცმა (ადრე ყველაზე მძიმე რელიგიური დანაშაულებებისთვის, შემდეგ მონებისთვის

[1] მამერტინის ციხესთან დაკავშირებულია წმინდა მოციქულების, პეტრესი და პავლეს სახელები, რომლებმაც ამ სარდაფში ყოფნისას შებოჭილებმა თავიანთი ჩაფრები, პროკესი და მარტინიანე, შემდგომში წამებულად წოდებულნი, თავის სარწმუნეობაზე მოაქციეს.

და პლებსებისთვის); ტარპეის კლდიდან გადმოგდება[1]; დაწვა, ჩამოხრჩობა და ა.შ.

სიკვდილით დასჯის აღნიშვნისთვის სპეციალური სიტყვათშეწყობა არსებობდა: „Furca et fossa“, რაც ითარგმნებოდა როგორც „სახრჩობელა და ორმო“ და ნიშნავდა ჩამოხრჩობას მამაკაცებისთვის, ხოლო ქალებისთვის – დახრჩობას“[2].

რესპუბლიკისა და იმპერიის მიჯნაზე რომის მოქალაქეებისთვის სიკვდილით დასჯა შეცვალეს (თავდაპირველად ნებაყოფლობითი) გაძევებით და მოქალაქეობის დაკარგვით (ექსციილიით – „ცეცხლისა და წყლის წართმევით“). მოგვიანებით იმპერატორებმა ისეთი ფორმულა გამოიყენეს, როგორიც იყო „კუნძულზე გასახლება“ (deportatio in insulam), ხოლო მოქალაქეებისთვის სიკვდილით დასჯა არათუ აღადგინეს, არამედ მეტისმეტად გააფართოვეს.

ასევე ძალზე გავრცელდა:

- *კატორღული სამუშაოები* მაღაროებში, ამასთან მსჯავრდადებული განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოს სამუდამო მონა[3];
- *იძულებითი სამუშაოები*, რომლებსაც უსჯიდნენ სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულებისთვის როგორც მოქალაქეებს (მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ), ასევე უცხოელებს (გზების მშენებლობაზე, მაღაროებში, გლადიატორების სკოლებში და ა.შ.;
- *გლადიატორად მიცემა* ან დამოუკიდებელი სასჯელი იყო, ან იძულებითი სამუშაოების ნაირსახეობა;
- *გადასახლების* სხვადასხვა სახეობა: „გაძევება და გასახლება ნიშნავს სამშობლოს წართმევას, საცხოვრებლის ადგილის გამოცვლას და დაბადების ადგილის კანონების მფარველობის დაკარგვას“. ამ დებულებების საფუძველზე ასე ამბობდნენ: „არის გაძევების სამი სახეობა: განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის აკრძალვა; ყველა ადგილზე ყოფნის აკრძალვა, ერთის გარდა; კუნძულზე გასახლება“ (რომიდან გაძევება მოქალაქეობის ჩამორთმევით, კუნძულზე გადასახლება სრული იზოლაციით, დროებითი გადასახლება);
- *ფიზიკური სასჯელები* (მაგალითად, დამნაშავე ჯარისკაცების მიმართ გამოიყენებოდა ფუსტუარიუმი (სიტყვიდან fustis, ხელკეტი, ჯოხი). ესე იგი, დამნაშავეებს ჯოხებით სცემდნენ და ქვებს უშენდნენ;
- მსჯავრდადებულების *ქონების კონფისკაცია*, რომელიც ყველგან გამოიყენებოდა (მრავალი წარჩინებული მოხელე, იმპერატორის თვითნებობის შიშით, სიცოცხლეშივე ნიშნავდნენ მას მოქმედ მემკვიდრედ);
- ასევე ფართოდ გამოიყენებოდა *ასოთდამშავებლობა და ფიზიკური სასჯელები* (გაშოლტვა);
- *ჯარიმები და მოქალაქის სტატუსის შეზღუდვა* (მაგალითად, მაგისტრატობის აკრძალვა), დაკრძალვის უფლების ჩამორთმევა.

დამნაშავის პიროვნება და სასჯელის გამოყენება. რომის სამართალი მთელ მოსახლეობას თავდაპირველად რამდენიმე მსხვილ კატეგორიად ყოფდა: თავისუფლებსა და მონებზე, მოქალაქეებსა და არამოქალაქეებზე, მაღალი და დაბალი წოდების წარმომადგენლებზე. ამასთან დაკავშირებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის გამოყენება თავის სპეციფიკას ითვალისწინებდა. იმპერიის პერიოდში დაზარალებულის და დამნაშავის წოდებრიობა სასჯელის სახეობისა და ზომის განსაზღვრაში დომინირებულ კრიტერიუმად იქცა. სენატორები, მხედრები, დეკურიონები და ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი პერსონები კატორღისა და იძულებითი სამუშაოებისგან, ფიზიკური სასჯელებისგან და ა.შ. თავისუფლდებოდნენ და სასჯელი იცვლებოდა გადასახლებით. ადრეულ იმპერიაში პრივილეგირებულ პირებს სიკვდილით სჯიდნენ მხოლოდ ნათესავების მკვლელობის შემთხვევაში, ხოლო დომინატის პერიოდში – ოთხ შემთხვევაში: მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, მაგია (ჯადოქრობა) და, რასაკვირველია, „უდიდებულესობის შეურაცხყოფა“.

სასჯელების სფეროში ზოგიერთი პრივილეგია, ტრადიციულად, ჯარისკაცებს ჰქონდათ. იმათ არ უსჯიდნენ ჩამოხრჩობას, მაღაროებში გადასახლებას, თუმცა, ზოგიერთი დანაშაულის მიხედვით მათი პასუხისმგებლობა უფრო მეტად მკაცრი იყო. წარჩინებულებს და ჯარისკაცებს მახვილით სჯიდნენ, ხოლო დაბალი წოდების ადამიანებს საზიდავით გლეჯდნენ, ცოცხლად მარხავდნენ მიწაში ან წვავდნენ.

---

[1] ტარპეის კლდე კაპიტოლიუმის ბორცვზე, არსებითად, ქალაქის ცენტრში მდებარეობდა.

[2] სიტყვა „furca“ სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ორთითი ორი კბილანით“. ეს იყო ერთგვარი უღელის მსგავსი მოწყობილობა, რომელსაც მისჯილს უკეთებდნენ კისერზე, ბოლოებზე კი ხელებს უბავდნენ (ire sub furcam, სამარცხვინო მონობაში მოხვედრა). სიკვდილით დასჯის აღნიშვნისათვის არსებობდა მრავალი სიტყვა. ზოგიერთი მათგანი იყო „figo“, „fictum“ (ჩაცემა, განგმირვა, გარჭობა, მოკვლა) და სხვ.

[3] მარტო ესპანეთის ვერცხლის მაღაროებში დასაქმებული იყო 40 ათას მონამდე.

რომის მართლმსაჯულება განსაკუთრებით მკაცრი იყო მოქალაქეთა დაბალი წოდების წარმომადგენლების და მონების[1] წრიდან „დამნაშავეების“ მიმართ. ამ ფენების მიმართ გამოიყენებოდა მძიმე სასჯელების მთელი სპექტრი, მათ შორის, სიკვდილით დასჯაც. მონების უმცირესი გადაცდომა უმკაცრესად ისჯებოდა. ამასთან ერთად, დიდკაცური თვითნებობა არაფრით იყო შეზღუდული, ხოლო მონების ბედი შინა სასამართლოებში წყდებოდა.

ყველაზე ხშირი სასჯელები მონებისთვის იყო გაროზგვა უბრალო ან წაწვეტებული ჯოხით, წკეპლათი, ქამრით. ასევე ხშირად მომუშავე მონებს ხელებზე ან ფეხებზე ადებდნენ ბორკილებს, ფიწალით უჭყლეტნენ კისერს, შიმშილითა და სიცივით სჯიდნენ. ათავსებდნენ შინა კარცერში (ერგასტული) ან აგზავნიდნენ ადგილობრივ ქალაქის ციხეში. შუბლზე დაღს ასვამდნენ, აგზავნიდნენ წისქვილში, ქვისსამტეხლოსა და მაღაროებში გამასავათებელ სამუშაოებზე, ამფითეატრში მხეცებთან დასაგლეჯად ან აუზში – მურენებთან. ასეთ სასჯელს ad bestias (მხეცებთან) ეწოდებოდა. და ეს თანაც იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯის ოფიციალური განაჩენი (და ყველაზე ხშირად გამოყენებული) იყო ტარპეის კლდიდან გადმოგდება ან ჯვარცმა.

ჩვ.წ. 10 წელს სილანიის სენატუსკონსულტის მიერ დაწესებული იყო მეპატრონის მკვლელობის შემთხვევაში სახლში მყოფი ყველა მონის სიკვდილით დასჯა, თუკი მათ არაფერი იღონეს მის გადასარჩენად. თანაც, ეს დებულება ანდერძით განთავისუფლებულ მონებსაც ეხებოდა. 61 წელს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ერთდროულად 400 ადამიანი დაისაჯა სიკვდილით.

მონებს გასაქცევი არსად ჰქონდათ, რამეთუ თავდაპირველად ქომაგობის ადათი ტაძარში (როგორც საბერძნეთის სახელმწიფოებში) არ არსებობდა, ხოლო კერძო პირნი, სხვისი მონის დაფარვისთვის, მონის ფასის შესატყვისად ჯარიმდებოდნენ. ჯერ კიდევ კონსტანტინეს დროს დაჭერილ მონას ფეხს კვეთდნენ, უკეთეს შემთხვევაში კი მაღაროში ასახლებდნენ.

[1] რომის სამართლის მიხედვით მონა „მოლაპარაკე იარაღს“ წარმოადგენდა და გათანაბრებული იყო ნივთთან, მარტივ, უბრალო ინსტრუმენტთან და ამიტომაც არის აქ ბრჭყალები გამოყენებული.

5. სასამართლო პროცესის თავისებურებანი საჯარო დელიქტების მიხედვით

რაც შეეხება საჯარო სამართალდარღვევების შესახებ საქმეების საპროცესო მხარეს, რომის სამართლის ფუნდამენტური საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლის შესაბამისად „არ არის სარჩელი – არ არის დარღვევა“, რესპუბლიკის დროს საქმეები აღიძვრებოდა მხოლოდ იმ შემთხვევებში: თუკი კანონში იყო შესაბამისი სარჩელი ან პრეტორს შეჰქონდა ეს სარჩელი; თუკი ასეთი სარჩელი შეტანილი იყო. ერთი სიტყვით, როგორი დანაშაულიც არ უნდა ყოფილიყო, თუკი პირდაპირი სარჩელი არ იყო (კანონითა და პრეტორული პრაქტიკით არ არის გათვალისწინებული) ან არ იჩენდნენ კერძო ინიციატივას, ვინმეს ინტერესის დამრღვევი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან სრულიად იგნორირებული იყო. თუკი, რასაკვირველია, გარკვეულ ჩარჩოებს არ სცილდებოდა.

თუმცა, ასე კატეგორიულად თქმაც არ შეიძლება, ვინაიდან რომის მაგისტრატები თავიანთ საქმიანობაში, შეავსეს რა მნიშვნელოვნად ძველი სამართლის კონსერვატიზმი, წარმოებაში იღებდნენ საქმეებს და განსაკუთრებული ფორმალობის გარეშე წყვეტდნენ მათ. არსებული უფლებამოსილების შედეგად პრეტორები, ედილები და ქალაქელი და პროვინციელი მაგისტრატები შემთხვევების შესახებ საქმეებს სპეციალური პროცედურის, კოერციის, ჩარჩოებში განიხილავდნენ.

Coercitio სამართალწარმოების გამარტივებული ფორმა იყო. საქმე აღიძვრებოდა, ან როგორც მიღებული იყო, კერძო პირის საჩივრით, ან თავად მაგისტრატის მიერ, თუკი რაიმე არსებით დარღვევას აღმოაჩენდა. განცხადების შეტანის პროცედურა არ იყო დამოკიდებული ლეგისაქციური და, თუ გნებავთ, ფორმულარული პროცესის პედანტური ფორმალიზმით გამორჩეული კანონებისგან. განცხადების შეტანა შეიძლებოდა საკმაოდ თავისუფალი ფორმით და ამ სახით მისი მიღება მხოლოდ პრეტორზე იყო დამოკიდებული. მაგისტრატი ასევე თავისუფალი იყო საქმის ვითარების დადგენაში, მხარეების მტკიცებულებების მიღებასა და შეფასებაში და ბრალეული პირის კონკრეტული სასჯელის არჩევაშიც კი. იმასთან დაკავშირებით, რომ უშუალო გარჩევის პროცედურა სახალხო კრებაზე ტარდებოდა, თავად პროცესი მაინც საკმაოდ რთული იყო.

ალბათ, მიმდინარე სამართალწარმოების ზოგიერთი რამის გამარტივებისათვის ჩვ. წ-მდე 149 წლიდან დაწყებული (კალპურნიის კანონი) საჯარო წესრიგის დარღვევების შესახებ საქმეებს, აგრეთვე, ავალებდნენ სპეციალურად ორგანიზებულ საგამოძიებო კომისიებს – *კვესტიოს* (quaestio, გამოძიება). დროთა განმავლობაში, საქმეების კონკრეტული კატეგორიების მიხედვით, მათგან ჩამოყალიბდა სპეციალური სასამართლოები:

მოხელეების ბოროტმოქმედებისა და მექრთამეობისთვის; ყაჩაღობისთვის მკვლელობასთან ერთად; მოწამვლებისთვის; სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის; არჩევნების დროს დარღვევებისთვის; სახელმწიფო დანაშაულებებისთვის და სხვ.

იმპერიის საწყისების გაძლიერებასთან ერთად სახელმწიფო მართვის სფეროში სულ უფრო ბევრი საქმე გადაეცემოდა სახელმწიფო ორგანოების მოხელეთა იურისდიქციაში, მათ შორის, სენატის. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საქმეებზე მთავარ სასამართლოებად ჩვ.წ. III საუკუნებდე კვლავ კვესტიონესი რჩებოდა.

დიოკლეტიანეს დროს გაჩნდა მრავალრიცხოვანი სასამართლოები ნაკლებმნიშვნელოვან საქმეებზე – *defensor civitatis* (სიტყვასიტყვით საზოგადოებრივი დამცველი, ქომაგი), რომლებიც მთელი სამართლებრივი საკითხების ძირითად ნაწილს წყვეტდნენ. დეფენზორის უფლებამოსილება, სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, შეზღუდული იყო, მას შეეძლო დამრღვევის მხოლოდ დაპატიმრება და პროვინციის მმართველის სასამართლოზე გადაგზავნა.

დომინატის დროს სისხლის სამართლის პროცესმა ნათლად გამოხატული ინკვიზიციური ხასიათი მიიღო (საიდუმლო, წამება, დასმენებით საქმის აღძვრა), რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მოსამართლის, იმპერატორის მოხელის ხელში საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციების თავმოყრა. ძალზე შეიზღუდა ბრალდებულის მოვალეობა თავისი არაბრალეულობის დამტკიცების თაობაზე. ინკვიზიციური პროცესისათვის დამახასიათებელი გახდა ის გარემოებაც, რომ აქ მაღალი კლასის წარმომადგენლის ჩვენებას უფრო მეტი ძალა ჰქონდა, ასევე მხედველობაში მიიღებოდა პირის სარწმუნეობა. ფართოდ გამოიყენებოდა ცემა და წამება არა მარტო ბრალდებულთა, არამედ მოწმეთა მიმართაც. სწორედ რომიდან იღებს სათავეს ინკვიზიციური პროცესი ევროპის ქვეყნებში. საქმის წარმოება ხასიათდებოდა შემდეგი ნიშნებით: საქმე იწყებოდა დასმენით ან რაიმე მიღებული ცნობის საფუძველზე, რათა ადგილი ჰქონოდა დანაშაულს. საქმის აღმძვრელი მოხელე იწყებდა საქმის გამოკვლევას. აგროვებდა დამამტკიცებელ საბუთებს, დაკითხავდა მოწმეებს. ეს მოხელე ერთდროულად იყო გამომძიებელიც, მბრალდებელიც და მოსამართლეც. იგი თავის შეხედულებისამებრ იქცეოდა პროცესის ყველა სტადიაზე. სასამართლო განაჩენი შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო აპელაციური წესით საიმპერატორო სასამართლოში. ბრალდებულისათვის ახალი და ერთადერთი გარანტია გახდა იმპერატორის ტაძრებსა და იმპერატორის სტატუეტებთან ახლოს თავშეფარვის უფლება, რასაც დაპატიმრებისგან დროებით გადარჩენა შეეძლო.

თემა 3. რომის სამართლის განვითარების პერიოდიზაცია და წყაროები

6. რომის სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპები

რომის სამართლის განვითარება სათავეს იღებს რომის დაარსებიდან, ხოლო მისი დასრულება დაკავშირებულია უკვე სხვა სახელმწიფოს – ბიზანტიის ისტორიასთან. ზუსტად რომ ვთქვათ, დაწერილი რომის სამართალი სახელმწიფოს წარმოქმნაზე გაცილებით გვიან გაჩნდა, მხოლოდ XII ტაბულის კანონების შექმნასთან ერთად.

რომის სამართლის ისტორიის პერიოდიზაცია, სწავლების მიზნით, სამ მსხვილ ეტაპად იყოფა:

- ძველი პერიოდის სამართალი (ჩვ. წ-მდე VI-III სს.);
- კლასიკური პერიოდის სამართალი (ჩვ. წ-მდე III - ჩვ. წ. III);
- პოსტკლასიკური პერიოდის სამართალი (ჩვ. წ. III-VI).

ძველი პერიოდი. ჩვ. წ-მდე V საუკუნის შუახანებამდე ყველაზე გავრცელებულ წყაროებად ადათები და რომის მეფეების, განსაკუთრებით, ნუმა პომპილიუსის და სერვიუს ტულიუსის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი ითვლება. მაგრამ, საკუთრივ რომის სამართლის ისტორია რომის კვირიტული სამართლის სისტემატიზაციიდან დაიწყო XII ტაბულის კანონების სახით (დაახლ. ჩვ. წ-მდე 450 წ.). შემდგომში ეს კანონები შეავსეს ნორმებით, რომელიც ასევე ითვალისწინებდა რომის ქალაქ-თემის პლებეების ნაწილის უფლებებსა და ინტერესებს, ამიტომაც ეწოდა ცივილური სამართალი. ყველა არამოქალაქე (პერეგრინები) სარგებლობდა „თავიანთი“ პერეგრინების სამართლით (jus gentium) – ქალაქში მცხოვრები მრავალი ხალხის წარმომადგენლების ყველაზე სხვადასხვაგვარი ადათის ჭრელი ნარევით.

რომის სამართალი ამ პერიოდში რელიგიის მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა, ხასიათდებოდა ყოვლისშთანმთქმელი, პედანტური ფორმალიზმით, დაუსრულებლობით და ა.შ.

რომის სამართლის განვითარების კლასიკური პერიოდი. ამ დროს, უკვე არსებული უკიდურესად კონსერვატიული ცივილური სამართლის ფონზე სწრაფად ვითარდება პერიოდული სამართალი (პრეტორების ედიქტები), ფორმალიზმიდან თავისუფალ ხალხთა სამართალი, აქტიურდება იურისტების საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის ახსნა-განმარტებისა და ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობების შესატყვისი ახალი სამართლებრივი ნორმების შექმნის მხრივ.

212 წ. იმპერატორ კარაკალას ედიქტმა რომის იმპერიის ყველა პროვინციაში ყველა თავისუფალ რომაელზე გაავრცელა სამართალი. ამიტომ ადრე არსებულმა მკაფიო დაყოფამ ცივილურ და პერეგრინულ სამართალზე თავისი აქტუალობა დაკარგა და თანდათან გაქრა.

პოსტკლასიკური პერიოდი. ეს დრო ემთხვევა დომინატის პერიოდს, რომის აბსოლუტური მონარქიის ეპოქას, რითიც აიხსნება მისი ძირითადი თავისებურებანი. ასეთი თავისებურებების რიცხვს, უპირველესად, განეკუთვნება მონარქების – პრინცეპსების და იმპერატორების კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების გაფართოება. აქ დამყარებულია იმპერატორის განუსაზღვრელი და შეუზღუდავი ძალაუფლება არა მარტო ფაქტობრივად, არამედ იურიდიულადაც. იმპერატორი გამოცხადებული იყო რომის უზენაეს გამგებლად. დომინატის პერიოდში იმპერატორმა მიისაკუთრა კანონების გამოცემის უფლება. რითაც ჩამოაშორა სენატს, პრეტორებს კი დარჩათ მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილებანი. იმპერატორის განკარგულებებს ეწოდებოდა „კონსტიტუციები“. ისინი ოთხი სახისა იყო: *ედიქტები* ანუ მთელი მოსახლეობისათვის საერთო სავალდებულო განკარგულებები; *რესკრიპტები* – ცალკეულ ნორმატიულ აქტებზე გამოცემული განკარგულებები; *მანდატები* ანუ იმპერატორის მიერ მოხელეებისათვის მიცემული დავალებები, ინსტრუქციები; *დეკრეტები* ანუ იმპერატორის გადაწყვეტილებები მასთან შესულ სადავო საქმეებზე.

იმპერატორის მმართველობის აპარატის მიერ კანონშემოქმედებითი ფუნქციების მონოპოლიზების შედეგად საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციაში უწინდელი მოქნილობა და ლაზათი სრულიად გაქრა, ხოლო შექმნილი ნორმატიული აქტების ტექნიკურ-იურიდიული დონე არსებითად ჩამოქვეითდა. 426 წლიდან სამართლებრივი რეგულირების უფრო მეტად სადავო საკითხებში ყველაზე ცნობილი სამართალმცოდნეების აზრმა კანონის ძალა შეიძინა, რის შედეგადაც გაჩნდა ასეთი სიტუაციის რამდენადმე შერბილებისა და კორექტირების საშუალება.

7. რომის სამართლის ძირითადი წყაროები

ადათი (mores majorum) რომის სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენდა. ადათები შერწყმული იყო რელიგიურ და მორალურ ნორმებთან. არსებობდა ადათების მრავალი სახეობა: წინაპართა ადათები, ჩვეულებითი პრაქტიკა (მოსამართლეების, მაგისტრატების, ქურუმების), პროვინციების ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი და სხვ. თავად რომის კერძო სამართლის საფუძველიც – XII ტაბულის კანონები, სხვა არაფერი იყო, თუ არა უძველესი ადათების ჩანაწერი.

მაგრამ თანდათან ადათმა თავისი კონსერვატიზმით, არაოპერატიულობით, არქაულობით ხელი შეუშალა სასაქონლო-ფულადი და პოლიტიკური ურთიერთობების სწრაფ განვითარებას. ამიტომაც ის შეცვალა კანონმა, ხოლო 533 წ. იუსტინიანეს კრებულის შექმნის შემდეგ ადათების დამოწმება და მასზე მითითება უკვე აიკრძალა („ადათის ავტორიტეტი მისი ხანგრძლივი გამოყენების გამო მნიშვნელოვანია, მაგრამ ის არ უნდა იყოს კანონზე ძლიერი“ იუსტინიანე).

კანონები (Leges). რომის მთელი ისტორიის მანძილზე შემუშავდა რვაას კანონამდე და ითვლებოდა საზოგადოებრივი ყოფის კეთილდღეობის ფუნდამენტად და საწინდრად. ამაზე მეტყველებს რომის წყაროებში არსებული განსაზღვრებები: „კანონი არის საზოგადო (ყველასათვის) დანაწესი, გამოცდილი ადამიანების გადაწყვეტილება, განზრახ ან უცოდინარობით ჩადენილი დანაშაულებების ალაგმვა, სახელმწიფოს საზოგადო (ყველა მოქალაქესთვის) დაპირება“ (პაპინიანე); „კანონი მეფეა ყველა ღვთიური და ადამიანური საქმისა; იგი უნდა იყოს კეთილებისა და ბოროტების უფროსი; სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ცოცხალი არსების ბელადი და ხელმძღვანელი; სამართლიანისა და უსამართლოს საზომი, რომელიც უნდა მბრძანებლობდეს მას, რაც გასაკეთებელია და კრძალავდეს მას, რაც არ უნდა იყოს გასაკეთებელი“ (ქრისიპე).

კანონებს იღებდნენ სენატი, სახალხო კრებები (ცენტურიატული კომიციები და პლებეების კრებები), ხოლო მოგვიანებით მონარქები. მაგრამ იუსტინიანემდე კანონები არასოდეს ყოფილა სისტემატიზებული.

ყველა კანონი მათში გათვალისწინებული სანქციების კრიტერიუმის მხრივ დაყოფილი იყო რამდენიმე სახეობად:

- *სრული სახის კანონები* (ჩატარებულ მოქმედებას აუქმებდა);
- *ნაკლებად სრული სახის კანონები* (დამრღვევის დაჯარიმებას ითვალისწინებდა, მაგრამ, ამასთან, მიმდინარე სამართალურთიერთობებს არ წყვეტდა);
- *არასრული სახის კანონები* (მათში განმტკიცებული დებულებების დარღვევის შედეგის სახით სასჯელს არ ითვალისწინებდა);
- *უფრო მეტი ვიდრე სრული სახის კანონები* (არა მარტო მივყავდით მომხდარი გარიგების იურიდიული შედეგების უბადრუკობამდე, არამედ ამისთვის აჯარიმებდნენ).

ყველა კანონი აუცილებლად უნდა ეცნობებინათ მოქალაქეებისთვის. ფარულ ნორმატიულ აქტს არ ჰქონდა უზენაესი იურიდიული ძალა. იგი მთლიანად უნდა ყოფილიყო მიღებული ან უარყოფილი. კანონის ტექსტს გარკვეული მოთხოვნები ჰქონდა წაყენებული: შესავლის არსებობა ან მისი გამოცემის ვითარების აღწერა (კანონპროექტის ავტორები, მითითება

კონკრეტულ სახალხო კრებაზე, სადაც კანონი მიიღეს); გასაგები და მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტი (თავები, კარები, პარაგრაფები); მითითება მოთხოვნათა დარღვევის არახელსაყრელ შედეგებსა და დამრღვევების პასუხისმგებლობაზე და სხვ.

XII ტაბულის კანონებს (Leges duodecim tabulorum. დაახ. ჩვ.წ-მდე 450 წ.) მიაკუთვნებენ რომის ერთ-ერთ პირველ დაწერილ კანონებს. ამ კანონების უზენაესი ძალა ჩადებული იყო ჯერ კიდევ მათი შექმნის დროს, როცა აკრძალული იყო კანონების შინაარსის თუნდაც რამდენიმე შემცვლელი რაიმე ნორმების სამომავლოდ მიღება. მთელი შემდგომი საკანონმდებლო მოღვაწეობა XII ტაბულის კანონების დებულებების ახსნა-განმარტების საშუალებით მიმდინარეობდა და მიმართული იყო მასში დაფიქსირებული სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებისკენ. მათ წერილობით განამტკიცეს პატრიციული (ვირიტული) გვარის ძველი ადათები და დასაბამი მისცეს ცივილური სამართლის ფორმირებას.

XII ტაბულის კანონების შინაარსი მოიცავდა სამართლებრივი რეგულირების იმდროინდელ ყველა ცნობილ სფეროს. როგორც ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი მიუთითებდა „XII ტაბულის კანონები არის წყარო როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლისა“. XII ტაბულის კომენტირებას მიეძღვნა მრავალი რომაელი იურისტის მოღვაწეობა. ციცერონი აღნიშნავს, რომ მან ახალგაზრდობაში, ისევე როგორც სხვებმა, XII ტაბულის კანონები შეისწავლა, როგორც „აუცილებელი საგანი“. იგი, აგრეთვე, წერდა, რომ „ყველა მათგანისთვის, ვინც ეძებს სამართლის საფუძვლებსა და წყაროებს, XII ტაბულის კანონების ერთი პატარა წიგნი თავისი ავტორიტეტის წონითა და სარგებლობის მოცულობით ჭეშმარიტად ჯობნის ფილოსოფოსების ყველა ბიბლიოთეკას“.

XII ტაბულის კანონები შედგებოდა ათი ძირითადი და ორი დამატებითი ტაბულისგან:

ა) I, II და III ტაბულაში მოცემულია სამოქალაქო პროცესის საკითხები;

ბ) IV და V ტაბულები ეძღვნება საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობას, მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობებს, მემკვიდრეობის გადაცემის წესებსა და სხვ.;

გ) VI და VII ტაბულებში მოცემულია სანივთო და ვალდებულებითი სამართლის საკითხები. აქ განხილულია მიწის მესაკუთრეთა საკითხები, გირაოს, სერვიტუტების ანუ სხვისი ნივთით სარგებლობის უფლებების, სხვადასხვა სახის ხელშეკრულების თუ გარიგების საკითხები;

დ) VIII-IX ტაბულებში მოცემულია სისხლის, საზოგადოებრივი სამართლის საკითხები, აქ ჩამოთვლილია სასჯელთა ცალკეული სახეები;

ე) X ტაბულა ეხება საკრალური (საეკლესიო) სამართლის საკითხებს;

ვ) XI-XII ტაბულები შეიცავს დამატებით მუხლებს წინა ათი ტაბულის ხარვეზების შესავსებად (პლებეებსა და პატრიციებს შორის ქორწინების აკრძალვა მონათა დანაშაულებანი და სხვა).

XII ტაბულის კანონები გამოკრული იყო ფორუმზე, ყოველი რომაელი სრულწლოვანების მიღწევის დღეს ვალდებული იყო გამოემჟღავნებინა თავისი ცოდნა. აღსანიშნავია, რომ ეს კანონები თავისი პირვანდელი სახით უკვე ჩვ. წ-მდე II საუკუნის შუა ხანებისთვის, პრაქტიკულად, აღარ მოქმედებდა. თუმცა, მათი დებულებები შემდგომშიც წმიდათაწმიდა და ურყევი იყო. ამასთან, კანონს აშკარა ხარვეზები გააჩნდა, რასაც რომაელები შესანიშნავად აცნობიერებდნენ: ურთიერთობათა ფიქსაცია, რომელიც შორეულ წარსულს ეკუთვნოდა (გვაროვნული წყობილების გადმონაშთები); მკაცრი, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისთვის უკვე ხელის შემშლელი, სამართლის ფორმალიზმი; კანონების რელიგიური სათავეების ხაზგასმა; მათი დაუსრულებლობა, ნახევრულობა, ქრონიკული ხარვეზიანობა და სხვ. ამიტომ, XII ტაბულის კანონების ხარვეზიანობისა და არქაულობის შესავსებად პრაქტიკამ დროთა განმავლობაში გამოიმუშავა ორი ხერხი: უმაღლესი იურიდიული ძალის (Lex) მქონე პატრიციული სახალხო კრების დადგენილებები; თემის პლებეური ნაწილის გადაწყვეტილებები, რომელიც ჰორტენზიის (ჩვ. წ-მდე 287 წ.) კანონის მიხედვით, აგრეთვე, კანონებთან იყო გათანაბრებული (Plebiscitum), ხოლო ჩვ. წ-მდე 250 წლიდან გახდა კანონშემოქმედების ძირითადი (დომინირებული) ფორმა.

ამრიგად, XII ტაბულის კანონები წარმოადგენდა რომის საზოგადოების ცხოვრების ყველა საფუძვლის ყოვლისმომცველ წყაროს. ამასთან, XII ტაბულის კანონების გარდა, აგრეთვე, ასევე მნიშვნელოვანი იყო სხვა კანონებიც, რომელიც შემდეგ საუკუნეებში მომხდარ არსებით ცვლილებებს ითვალისწინებდა და ამით ავითარებდა ფუნდამენტურ სამართლებრივ საფუძვლებსა და ტრადიციებს[1].

მოგვიანებით, როცა რომი გაფართოვდა, გაიზარდა და სახალხო კრებების მოწესრიგებული საქმიანობა შეუძლებელი გახდა, კანონშემოქმედებითი ფუნქციები თანდათან სენატს გადაეცა. მათ მიერ გამოცემულ აქტე-

[1] რომის სახელმწიფოს ისტორიიდან ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის ჩამონათვალი და მოკლე დახასიათება წარმოდგენილია წინამდებარე გამოცემის დამატების კარში.

ბს *სენატკონსულდები* ეწოდა. მონარქიული საწყისების განმტკიცებასთან ერთად კანონმდებლობის გამოცემაზე სახალხო უფლებამოსილება პრინცეპსის პიროვნებასთან ასოცირდებოდა, რომელმაც ფაქტობრივად, უკვე ჩ.წ. I ს. სამართალშემოქმედებითი პროცესის მონოპოლიზება მოახდინა.

მაგისტრატორული (პრეტორული) სამართალი (jus homorarium). ყველა დონისა და ფართო სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილების მქონე რომის მაგისტრატორების აქტიურმა და ყოველმხრივმა საქმიანობამ განაპირობა, ეგრეთ წოდებული, *მაგისტრატორული სამართლის* შექმნა, რაც პრეტორებისა და კურიის ედილების მიერ პრაქტიკით შემუშავებული სამართლებრივი ნორმებისა და სარჩელების ერთობლიობას წარმოადგენდა. პრეტორული სამართალშემოქმედების ყველაზე მეტი აქტიურობა შეიმჩნევა ჩვ. წ-მდე 250-80 წწ. პერიოდში.

პრეტორული სამართალი ხასიათდებოდა მუდმივად ცვლად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე რეაგირების დინამიზმითა და ოპერატიულობით, აგრეთვე, ნაციონალური (კვირიტული, ცივილური) სამართლისა და ხალხთა სამართლის ჰარმონიული შეერთებით. კანონების შეცვლა პრეტორებს არ შეეძლოთ, მაგრამ თავიანთი ნორმებით (განმარტებით) იმას აღწევდნენ, რომ უძველესი კვირიტული კანონები, ფაქტობრივად, აღარ მოქმედებდა.

მაგისტრატების ედიქტები წარმოადგენდა ქალაქის მმართველობის აპარატის მაღალი თანამდებობის პირთა ერთჯერი ან წლიური მოქმედების განკარგულებებს და მიმართული იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტული სფეროების რეგულირებაზე („კანონები ერთი წლით“). პრეტორების მიერ ყოველწლიურად შეთავაზებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგლამენტაციის ყველაზე სრულყოფილი ფორმები ედიქტიდან ედიქტში გადადიოდა და დროთა განმავლობაში მოქმედი სამართლის განუყოფელი ელემენტები ხდებოდა. ამა თუ იმ ედიქტის შექმნის სუბიექტების მიხედვით განსხვავებული იყო, როგორც პრეტორების ედიქტები, ედილის ედიქტები, ქალაქის პრეფექტის ედიქტები, პროვინციული ედიქტები.

ჩვ.წ. 67 წლიდან მუდმივი ედიქტის მიერ, პრეტორების ფართო სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილება, არსებითად, შეზღუდული იყო. 131 წლისათვის, როცა პრეტორების ყველა ედიქტმა გაიარა თავისი სისტემატიზაცია, სენატის მიერ მოწონებულ იქნა „*მარადიული ედიქტი*“, რომელიც თანამდებობაზე დანიშნულ პრეტორს მოქმედებისთვის სახელმძღვანელოდ უნდა გამოეყენებინა და, ამასთან, არანაირი ინიციატივა არ უნდა გამოემჟღავნებინა.

სამართლებრივი პრეცედენტი რომის სამართალში (praecedo). პრეტორები, რომლებსაც არც გაუქმების, არც ცივილური სამართლის ნორმების შეცვლის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ, მაგრამ, ამასთან ჰქონდათ ადმინისტრაციულ-მოსამართლის ფართო უფლებამოსილება, გამოსცემდნენ თავის ედიქტორებს, რომელიც მომავალში ამა თუ იმ სამართლებრივი სიტუაციის გადაწყვეტის მოდელებად გვევლინებოდა. მოსამართლეთა ფუნქციების რეალიზაციის ჩარჩოებში, ფორმულების შექმნისას პრეტორები ამით მოქმედ კანონმდებლობაში ხარვეზებს ავსებდნენ. დებულებები, რომელსაც ედიქტები და ფორმულები შეიცავს, როგორც წესი, აღიქმებოდა მიმდინარე სამართლებრივი პრაქტიკით, გადადიოდა ერთი პრეტორის ედიქტიდან მეორეში, ხოლო პრეტორული სასარჩელო ფორმულები, საერთოდ, აღნიშნული კატეგორიის ყველა შემდეგი საქმის გადაჭრის მხრივ გვევლინებოდა სამოდელო სამართლებრივ დასაწესებლად.

პირდაპირი პრეცედენტების ძალა საუკუნეების შემდეგ იმპერატორის რესკრიპტებმა შეიძინა. იგი წარმოადგენდა კონკრეტული სიტუაციის მიმართ ამა თუ იმ ნორმატიული დებულებების განმარტების მხრივ კერძო ან თანამდებობრივ პირთა შეკითხვებზე ოფიციალურ პასუხებს.

იურისტების მოღვაწეობა და სამართლებრივი დოქტრინა, როგორც რომის სამართლის წყარო. ძველ რომში ყოველი საქმე (გადაწყვეტილება) შეიძლება განმარტებულიყო გამოჩენილი მეცნიერ-იურისტების მიერ. რომში კანონიც კი მოქმედებდა მოსამართლეებისა და სამართალშემფარდებლების მიერ. ბუნდოვან და სადავო შემთხვევებში სამართლის ყველაზე მეტად გამოჩენილი მცოდნეების შრომების დებულებების სავალდებულო გათვალისწინების შესახებ („ციტირების შესახებ“, 426 წ.).

რომის იურიდიული პრაქტიკა თავისი ფესვებით შორეულ წარსულში მიდის, იგი იწყება ქურუმთა კოლეგიის წარმომადგენლების მოღვაწეობიდან.

ჩვ. წ-მდე III ს. (254 წ.) პონტიფიკოსმა პლებეების წრიდან ტიბერიუს კორუნკანუსმა იწყო კონსულტაციების გაწევა ცივილურ სამართალში. იგი იურიდიულ დახმარებას უწევდა განურჩევლად ყველა მოქალაქეს. აქედან მოყოლებული იურისპრუდენცია აღარ იყო მხოლოდ ქურუმთა პრეროგატივა და ფართოდ გავრცელდა საერო პირთა შორის და თუკი ქურუმები სამართლის ნორმების მნიშვნელობას არ უღრმავდებოდნენ, იურისტები იყენებდნენ რა მას, არა მარტო შეისწავლიდნენ და განმარტავდნენ, არამედ ასწავლიდნენ კიდეც სამართალს.

რომაელი იურისტების მოღვაწეობა მრავალი მიმართულებით ხორციელდებოდა: 1) იურიდიულ მოქმედებათა შესატყვისი ფორმულების ჩამო-

ყალიბება. ლათინურად ასეთ ფუნქციას უწოდებდნენ *cavere*-ს (კავერე), ანუ ფორმულების შედგენის ფუნქციას; 2) იურიდიულ საკითხებზე მოქალაქეთათვის, ასევე სახელმწიფო მოღვაწეთათვის რჩევის, კონსულტაციების, ახსნა-განმარტებების მიცემა, იურიდიული ნორმების შინაარსის გარკვევის ფუნქცია *respondere* (რესპონდერე). იურისტთა ასეთ დასკვნებს ზოგჯერ სავალდებულო ძალა ენიჭებოდა; 3) სასამართლოში მოსარჩლის ან მოპასუხის მხარეზე გამოსვლით ამა თუ იმ მხარის ინტერესების დაცვის ფუნქცია *agere* (აგერე). სხვანაირად, სასამართლოში მხარეთა საპროცესო მოქმედებათა ხელმძღვანელობის ფუნქცია.

მაგრამ ძალაუფლების განხორციელების მონარქიული ფორმებისკენ გადასვლის, მათი გაძლიერებისა და დომინირების პროცესში, იურისტების მოღვაწეობა თანდათან გადაიქცა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სახელმწიფო ზემოქმედების ერთ-ერთ ოპტიმალურ ინსტრუმენტად. პრეტორული სამართალშემოქმედება სულ უფრო იფარგლებოდა პრინციპების განკარგულებათა ჩარჩოებით. თავად პრაქტიკოსი იურისტები კი, შექმნილ პირობებში გადაიქცნენ ჩვეულებრივ კლერკებად, სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოხელეებად, რომელთა ძირითადი ამოცანაც გახდა მონარქების მიერ თანდათან მონოპოლიზებული საკანონმდებლო მოღვაწეობის განხორციელება. ამ კავშირში პოსტკლასიკურ პერიოდში სამართლის ერთადერთ წყაროდ მონარქის მიერ გამოცემული კანონი ხდება.

426 წელს მიიღეს კანონი „ციტირების შესახებ“, რომლის შესაბამისად მოსამართლეებსა და სხვა თანამდებობის პირებს, უფლებამოსილებს განეხილათ სხვადასხვა სახის იურიდიული საქმე, კანონმდებლობის ხარვეზების ან კოლიზიების არსებობისას უნდა გაეთვალისწინებინათ ხუთი გამოჩენილი იურისტის – პაპინიანეს, პაულიუსის, გაიუსის, ულპიანესი და მოდესტინეს საერთო აზრი (responsa). მითითებული მეცნიერების აზრთა წინააღმდეგობრიობის შემთხვევაში მართებული იყო უმრავლესობის აზრის გათვალისწინება. თანაბარი ხმების დროს – პაპინიანეს აზრის. თუ არც მისი თვალსაზრისი იყო, მოსამართლეს შეეძლო დამოუკიდებლად მოქმედება, მაგრამ მკაცრად მოქმედი იმპერატორის კონსტიტუციების ფარგლებში. ამრიგად, სამართლის ყველაზე ცნობილი მცოდნეების აზრმა თვით კანონის ძალა მიიღო.

8. იურისპრუდენციის მეცნიერებისა და იურიდიული განათლების ჩამოყალიბება ძველ რომში

ჩვ. წ-მდე I ს-დან ჩვ. წ. III ს-ის ჩათვლით პერიოდი რომის სამართლებრივი მეცნიერების „ოქროს საუკუნედ“ ითვლება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ იმ დროისთვის განვლილი საუკუნეების მანძილზე დაგროვილი იყო უზარმაზარი ნორმატიული მასალა, რომელიც შესწავლას თუ არა, სულ მცირე, გარჩევასა და ანალიზის მცდელობას საჭიროებდა. ამ პოზიციიდან სრულიად გასაგებია, თუ რატომ აქტიურდება ამ დროს სამართლებრივ სფეროში როგორც კვლევითი, ასევე სამასწავლებლო მოღვაწეობა.

ამ მიზნით დაიწყო სპეციალური სახელმძღვანელოების გამოცემა სამართალში, ეგრეთ წოდებული, ინსტიტუციები (დარიგებები). მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი იყო პირველი დამხმარე სახელმძღვანელო რომის კერძო სამართალში, მისი დაწვრილებითი, მაგრამ, ამავდროულად ელემენტარული ანალიზის სახით, რომელიც ჩვ.წ. 143 წელს შეადგინა პროვინციელმა იურისტმა, გაიუსმა. ეს სახელმძღვანელო ისტორიაში შევიდა გაიუსის ინსტიტუციების[1] სახელწოდებით. ყოველდღიურმა პრაქტიკამ საჭირო გახადა მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სხვადასხვა სახის კომენტარები. მათ შორის, აღსანიშნავია შრომები მიმდინარე კანონმდებლობის განმარტების მიხედვით, აგრეთვე პრეტორული სამართალი – commentariis, ასევე უწინდელი ეპოქების იურისტების ნაწარმოებების ვრცელი კომენტარები – digesta. დიდ ინტერესს წარმოადგენდა რომის სამართლის მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკის მანძილზე შემუშავებული იურიდიული სენტენციების, წესებისა და ანდაზური თქმების – რეგულების (regulae) კრებულები. იურისტების მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობის სხვა სახეობა, რაც მდგომარეობდა სხვა ავტორების შრომებისა და კანონების ტექსტების კიდეებზე ავტორების მიერ მინაწერების დატოვებაში, იყო ნოტა (შენიშვნა).

ცნობილია, აგრეთვე, მონოგრაფიული ხასიათის მრავალრიცხოვანი ტრაქტატი. მათ განეკუთვნება ულპიანეს ცნობილი „ფრაგმენტები“ (ჩვ. წ. III ს.), იულიუს პაულიუსის „სენტენციები (ჩვ. წ. III ს.) და მრ. სხვ. მათთან ერთად ყველაზე უფრო ცნობილი იურისტები, რომელთა შრომებმაც საუკუნეებს გაუძლო და ჩვენთვისაც ცნობილი გახდა, იყვნენ კატონი

[1] გაიუსის ინსტიტუციები დაყოფილია ოთხ წიგნად და ეძღვნება სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს: პირებს (personae), სანივთო სამართალს, ვალდებულებით სამართალს (res), საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალს (actiones).

უფროსი, მარკუს მანილიუსი, აკვილიუს გალი, პუბლიუს მუციუს სცევოლა, იუნიუს ბრუტოსი, ულპიანე, გაიუსი, კაპიტონი, ციცერონი, პომპონიუსი, პაპინიანე, პაულიუსი და სხვ.

ჩვ. წ. I-III სს. პერიოდის რომის *იურისპრუდენციაში ჩამოყალიბდა და მოქმედებდა ორი მეცნიერული მიმართულება*, რომელიც, ერთმანეთს ეჯიბრებოდა ფრიად უმნიშვნელო საკითხებში (ხელშეკრულების არსი, სპეციფიკაციის, ქმედუნარიანობის ხასიათი და სხვ.). პირველ მიმართულებას განეკუთვნებოდნენ, ეგრეთ წოდებული, *საბინიანელები* (sabiniani) – კაპიტონი, საბინი, კასიუსი, პომპონიუსი, გაიუსი – რომლებიც აღნიშნული საკითხების მიხედვით კონსერვატიულ პოზიციებზე იდგნენ. მეორეს – *პროკულიანელები* (proculiani). მისი წარმომადგენლები იყვნენ ლაბეონი, პროკლე, პეგაზი, ცელზი - მამა, ცელზი - შვილი. ისინი სთავაზობდნენ გარკვეულ ნოვაციებს დავის საგანთან მიმართებაში. დროთა განმავლობაში აბსოლუტიზმის იდეოლოგიის წნეხის გამო ყველანაირი სხვაობა მთლიანად გაქრა.

იმპერატორთა აქტიური სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობა და სახელმწიფო აპარატის კვალიფიციურ მოხელეებში გაზრდილი მოთხოვნილება *იურიდიული განათლების სისტემის* განვითარებას მოითხოვდა, რომლის ჩამოყალიბებაც V ს. დასრულდა. ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული ცენტრებიც კი იყო – კონსტანტინეპოლის და ბეირუთის სამართლებრივი სკოლები.

თავდაპირველად, ვისაც სურვილი ჰქონდა ზიარებოდა იურისპრუდენციას განსაკუთრებული კეთილგანწყობილების სახით ან ჰონორარზე შეეძლო დასწრებოდა ცნობილი იურისტების კონსულტაციებს და ამით სამართლის საიდუმლოებებს ჩაწვდომოდა.

საზოგადოებრივი ურთიერთობების ინტენსიფიკაციასა და სამართლებრივი ინფორმაციის გაზრდასა და გართულებასთან ერთად მომზადების ასეთი სისტემა აშკარად უსაფუძვლო გახდა, რამაც ცვლილებები მოითხოვა. საზოგადო წესით, იურისპრუდენციის სწავლება ორ სავალდებულო და თანამიმდევრულ ეტაპს ითვალისწინებდა. მათგან პირველ, „დარიგების“ ეტაპზე მოსწავლეები უნდა გაცნობოდნენ რომის კერძო სამართლის ძირითად დებულებებსა და პრინციპებს, მათ შორის, ცნობილი იურისტების შრომებსაც. მეორე – „მოსამზადებელ“ ეტაპზე, ერთ-ერთი პრაქტიკოსი იურისტის ხელმძღვანელობით მოსწავლეებს უნდა განემტკიცებინათ მიღებული თეორიული ცოდნა. გარდა ამისა, სწავლების მეორე წელს ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო პრეტორული ედიქტების დებულებების შესწავლა. III ს. დასაწყისში პაპინიანემ სწავლების მესამე წლის მომზადების სისტემა შესთავაზა, რომელიც მოქალაქეთა რეალური

მიმართვებისა და გადაწყვეტილებების მიხედვით მათ გამო მიღებულ ანალიზს ეფუძნებოდა.

9. რომის სამართლის სისტემის თავისებურებანი (დარგები, ნორმები, ინსტიტუტები)

რომის სამართლის სისტემა არსებითად განსხვავდებოდა მისი თანამედროვე ხედვისა და გაგებისგან. და ეს სავსებით გასაგებია: როგორც თავად სამართალი, ასევე მისი სისტემა მაშინ იმყოფებოდა ჯერ კიდევ საწყის, ჩამოყალიბების მდგომარეობაში. თუმცა, რასაკვირველია, ყველა აუცილებელი ელემენტი – სამართლის ნორმები, ინსტიტუტები, დარგებიც კი უკვე არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ რომის სამართლის დარგობრივი დაყოფა მხოლოდ თავის საწყის მდგომარეობაში იმყოფებოდა და ამიტომ აშკარა დაუსრულებლობით ხასიათდებოდა, რადგან იურისპრუდენცია დარგების თეორიულ დიფერენციაციას (კერძო და საჯარო) არ გასცდენია. მატერიალური და საპროცესო სამართალი ზოგჯერ არც კი იყო ერთმანეთისგან გამოყოფილი.

რომის სამართლის ნორმა (regulae iuris). სამართლის ნებისმიერი სისტემის საფუძველშია „ელემენტარული ნაწილაკი“ – სამართლის ნორმა. რომის სამართალი მის პოზიტიურ (საკანონმდებლო) ფორმებში, ავრეთვე, ბუნებრივია, სამართლის ნორმებისგან შედგებოდა. *რომის სამართლის ნორმა* სავსებით შესაძლებელია შევადაროთ თანამედროვე ანალოგიურ კონსტრუქციას და განვსაზღვროთ როგორც ნორმატიულ-სამართლებრივ აქციაში არსებული სახელმწიფოს მიერ საყოველთაო, ფორმალურად განსაზღვრული, სტრუქტურულად ორგანულის სათანადო, შესაძლებელი, წამახალისებელი ზომების (სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული ვალდებულების დადგენის გზით სოციალური სინამდვილის სუბიექტების საქმიანობის რეკომენდებული ან აკრძალული ვარიანტების) დანაწესი. თუმცა რომის კანონების იურიდიული ნორმები სრულად არ პასუხობდა ზოგიერთ თანამედროვე მოთხოვნას (მაგ., არ იყო სტრუქტურული ელემენტების მკაფიო გამოხატულება), მთავარი, რითაც ეს სამართლის ნორმები განსხვავდებოდა სხვა სავალდებულო დანაწესებისგან იყო მათი ფორმალური გამოხატულება და სამართლის დაწერილ წყაროებში განსაკუთრებული განმტკიცება.

სამართლის ნორმები, როგორც ზოგადად სამართალი, განსხვავდებოდა როგორც *„მკაცრი სამართლისა“* და *„სამართლიანობისა და კეთილი სინდისის“* დანაწესები. სამართალი რეგლამენტს უქვემდებარებდა საზოგადოებრივ ურთიერთობებს იმპერატიული და დისპოზიტიური ნორმების რეალიზაციის საშუალებით. ამასთან, სამართლის *იმპერატიული* (*იძულე-*

ბითი) ნორმები შეიცავდა მბრძანებლურ დანაწესებს და ამ მოთხოვნებიდან არანაირ სხვა განმარტებასა და გადახრას არ უშვებდა, ამიტომ მკაცრად სავალდებულო შესასრულებლი იყო იმ პირების მიერ, ვისკენაც იყო მიმართული. იმპერატიული ნორმების მოთხოვნებზე აგებული იყო საკრალური (საღრმთო, საღვთო) და საჯარო სამართლის დებულებები. იმპერატიულის საპირისპიროდ *სამართლის დისპოზიტიური (ნებადართული) ნორმები* სუბიექტებს შესაძლებლობას აძლევდა მოცემულ ნორმებში დაფიქსირებული კანონის ზოგადი მოთხოვნების ჩარჩოებში თავისი უფლებებისა და ვალდებულებების მოცულობისა და ხასიათის შესახებ საკითხები გადაეჭრათ თავისი შეხედულებისამებრ.

რომის სამართლის პარტიკულარიზმი. სამართლის მდგომარეობას, რომელიც გამოიხატებოდა ერთიანი სამართლებრივი ფორმების არარსებობაში სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და სამართლებრივი სისტემის ბატონობაში, რომელიც დაფუძნებული იყო ყველაზე სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ სამართლის წყაროებზე, სამართლებრივ ადათებსა და ჩვეულებებზე, პრინციპებსა და იუსტიციაზე მეცნიერებაში სამართლის *პარტიკულარიზმი ეწოდება*. რომის სამართალი პირდაპირ გაჯერებული იყო ამ დანაწევრებით, მაგრამ მეტისმეტად თავისებურად. იგი წარმოადგენდა სამართლის რამდენიმე სხვადასხვა სახეობისა და ფორმისგან ჰარმონიულად ჩამოყალიბებულ ფენომენს.

<u>პირველ ჯგუფს</u> განეკუთვნება ისეთი მსხვილი დაყოფა, როგორიც არის საღვთო და ადამიანთა სამართლის გარჩევა. *საღვთო სამართალი* (ius divinum) ეფუძნებოდა შესაბამის იმპერატიულ ნორმებს, რომელსაც ფასი (წინა მხარე) ეწოდებოდა (ჭეშმარიტების უცილობლობა, მათ შორის, სტუმართმოყვარეობის სიწმინდე, ხელშეკრულებების შესრულება, გვარის ან თემის უფროსის სტატუსი და სხვ.) და რომლის დარღვევასაც თემიდან გაძევება მოსდევდა ან „ღმერთების ნებას გადაცემა“. საღვთო სამართლის ფარგლებში *საკრალური სამართლის* გარკვეული ქვესისტემა ჩამოყალიბდა (ჩვეულებითი და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოებაში ზოგიერთი მოქმედი ნორმის წმინდა (რელიგიური) ხასიათის შესახებ წარმოდგენაზე, აგრეთვე, დებულებებზე, რომელიც პირდაპირ რეგლამენტს უქვემდებარებს ღვთისმსახურების ურთიერთობებს, ფიცსა – და მსხვერპლად შეწირვას). *ადამიანთა სამართალი* (jus humanum) ანუ, როგორც მას უწოდეს მოგვიანებით, სამოქალაქო სამართალი, ეფუძნებოდა იუსს. საღვთოსგან განსხვავებით, ეს იყო სამართალი ზოგადად, რომელიც მოიცავდა როგორც ბუნებით (jus naturale) სამართალს, ასევე ყველაფერ იმას, რასაც შემდეგში პოზიტიური სამართალი ეწოდა (ჩვეულებითი სამართალი, კანონები, მაგისტრატების ედიქტები, სენატის გადაწყვეტილებები, იურისტების სამართალი, პრინცეპსების დადგენილებები, იმპერატორების კონსტიტუციები და ა.შ.), ესე იგი, ეს არის სამართალი ნორმატიული დანაწესების სახით, რომელიც დადგენილია ადამიანთა საერთო თანაცხოვრებით.

<u>მეორე ჯგუფს</u> განეკუთვნებოდა ჩვენს დროშიც ცნობილი მთელი (ადამიანთა) სამართლის დაყოფა საჯაროსა და კერძოზე. აქ აღსანიშნავია, რომ სამართლის დაყოფა რომის სახელმწიფოში ყველაფერთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ძველ რომში *საჯარო სამართალი* (ius publicum) სამართლებრივი ნორმებისა და ურთიერთობების ერთობლიობას წარმოადგენდა, იგი მხარს უჭერდა და იცავდა სახელმწიფო და პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფოს სამართლებრივ მდგომარეობას, მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა იურიდიულ სტატუსსა და კომპეტენციას და აგრეთვე ადგენდა საჯარო წყობილების საფუძვლების დამრღვევ პირთა სასჯელის რეალიზაციის საფუძველსა და წესს; განამტკიცებდა საგადასახადო, ბაჟისა და მოსაკრებლის სისტემას; რომის არმიაში ვოლონტიორთა (მოხალისეთა) მოგროვებისა და არჩევის ორგანიზაციასა და სამსახურში დანაშაულზე პასუხისმგებლობის ზომებს განსაზღვრავდა. საჯარო სამართალი იყო „ის, რაც ეხებოდა რომის მდგომარეობას, წმინდანებს, ქურუმებს, მაგისტრატებს...“, „რომის სახელმწიფოს მდგომარეობას“. ის ყალიბდებოდა ნათლად გამოკვეთილი სისხლის სამართლის, საფინანსო და სამხედრო სამართლის ქვესისტემებიდან. *კერძო სამართალი* იმ ნორმების ერთობლიობას წარმოადგენდა, რომელიც კერძო პირთა ანუ ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს იცავდა და არეგულირებდა მათ უფლება-მოვალეობებს, ამასთან ეფუძნებოდა იურიდიული თანასწორობის საწყისებსა და რომაელ მოქალაქეთა ურთიერთობების დამოუკიდებლობას, მათი კერძო საკუთრების, გარიგებების თავისუფლების, დარღვეული უფლებების დამოუკიდებელი სასამართლო დაცვის ხელშეუხებლობას. რომში ეს იყო, უპირველესად, მისი სამოქალაქო სამართალი საოჯახო, სამემკვიდრო, სანივთო ვალდებულებითი და, მნიშვნელოვანწილად, საპროცესო სამართლის ნორმების სახით.

<u>მესამე ბლოკის ჩარჩოებში</u>, თავის მხრივ, მთელი კერძო სამართალი ყალიბდებოდა *სამართლის ცივილური* (კვირიტული), პერეგრინული და პრეტორული სახეობების მრავალფეროვნებიდან. ცივილური სამართლის (ius civile) საფუძველს კვირიტული სამართალი წარმოადგენდა – რომის სამართლის ძველთაძველი სისტემა, რომელიც გამოდიოდა, როგორც საკუთრივ, რომის თემის მოქალაქეთა ეროვნული სამართალი და ხასია-

თდებოდა წარმოშობის საკრალურობით, უკიდურესი სიმკაცრითა და ფორმალიზმით. XII ტაბულის კანონების შექმნასთან ერთად კვირიტულ სამართალს, რომელიც პლებეებზეც გავრცელდა, ცივილური ეწოდა. მაგრამ რომში ცხოვრობდა მრავალი უცხოელი და სხვა არამოქალაქე-პერეგრინები, რომლებიც რომის საზოგადოების ცხოვრებაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და რომლებზედაც ცივილური სამართალი არ ვრცელდებოდა. ერთმანეთთან ურთიერთობების რეგულირებისათვის რომში მცხოვრები ყველაზე განსხვავებული ხალხების (რომლებიც ძალაუნებურად სარგებლობდნენ თავიანთი ეროვნული სამართლებრივი ტრადიციებითა და ჩვეულებებით) წარმომადგენლების ადათების შერევის შედეგად თანდათან ჩამოყალიბდა, ეგრეთ წოდებული, *ხალხთა სამართალი* (ius gentium). შემდეგ, პრეტორების აქტიური სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალებით, პერეგრინების სამართალი ცივილურს შეერწყა და იქცა, ეგრეთ წოდებული, რომის კლასიკური სამართლის საფუძვლად.

ბუნებით სამართალში გარკვეული რომის მაგისტრატები თავიანთ ყოველდღიურ მოღვაწეობისას (ედიქტები და ფორმულები) უზარმაზარი და მოუქნელი ცივილური სამართლის საფუძვლებს თანდათან უახლოვებდნენ ხალხების ცოცხალი და ნათელი სამართლის ნორმებს. ისინი განმარტავდნენ შექმნილ სიტუაციას და სთავაზობდნენ მისგან დაღწევის საშუალებებს. მოქმედი სამართლის სრულყოფისთვის ასეთი მოღვაწეობის შედეგად გაჩნდა *პრეტორული სამართალი* (ius praetorium).

ბოლოს და ბოლოს, იმპერიის მთელი მოსახლეობისათვის რომის მოქალაქეობის ბოძებისა და ცივილური, პერეგრინებისა და პრეტორული სამართლის ფაქტობრივი შერწყმის შედეგად 212 წ. ჩამოყალიბდა ერთიანი სამართლებრივი სისტემა, რომელსაც ეწოდა *რომის კლასიკური სამართალი,* რომლის წყაროც იუსტინიანეს კანონების კრებული (533 წ.) გახდა. რომის სამართლის მეორე და საბოლოო სისტემატიზაცია მოხდა უკვე დასავლეთ რომის დაცემის შემდეგ – აღმოსავლეთ რომის იმპერიაში იმპერატორ იუსტინიანეს დროს. თავისი სახელწოდება Corpus iuritas civitas (სამოქალაქო სამართალის კრებული) უკვე შუა საუკუნეებში მიიღო.

იუსტინიანეს კოდიფიკაცია ოთხი დიდი ნაწილისგან შედგებოდა: იუსტინიანეს კოდექსი (იმპერატორების განკარგულებების 12 წიგნი 200 წლის მანძილზე), დიგესტები (რომაელ იურისტთა შრომებიდან ამოკრებილი ფრაგმენტების კრებული. მასში შეტანილია 40 რომაელი იურისტის შრომებიდან ამოკრებილი ცალკეული გამონათქვამები, მოსაზრებები თუ ცნებები ამა თუ იმ საკითხებზე, რამაც 50 წიგნი შეადგინა), ინსტიტუციები (რომის კერძო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპებისა და

კონსტრუქციების 4 წიგნი) და ნოველები (თავად იუსტინიანეს კონსტიტუციები).

გრძელვადიან პერსპექტივაში იგეგმებოდა ყველა არსებული კოდექსისა და დიგესტის შეცვლა ერთიანი კოდიფიცირებული აქტით, მაგრამ ეს არ იქნა და არ გაკეთდა.

10. რომის სამართლის რეცეპცია

რომის სამართალი და ბარბაროსული კანონები. V ს. ბოლოდან, ანუ გერმანული ტომების მიერ რომის დარბევის რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ეს უკანასკნელნი მთელს ევროპას მოედვნენ და დაიწყეს ახალი, ჯერ კიდევ პრიმიტიული სახელმწიფოების – ბარბაროსული სამეფოების შექმნა. მათ ეროვნულ კანონმდებლობას არსებული ადათების უბრალო ჩანაწერი წარმოადგენდა, თუმცა რომის კულტურის ცალკეული ელემენტების, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობილების საფუძვლების ზოგიერთი გავლენა მათში მაინც ვლინდებოდა. სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის ნორმების კრებულების ფორმირება იწყება V ს. ბოლოდან და გრძელდება XI ს. შუა ხანებამდე და ასახავდა გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალურზე გადასვლის რთულ პროცესებს. ისტორიაში მათ ეწოდათ „ბარბაროსული კანონები“ ან ბარბაროსული სიმართლეები.

ბიზანტიური კანონშემოქმედება. რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის დაცემისა და რომის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შეწყვეტის შემდეგ მისი აღმოსავლეთი ნაწილი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა და თითქმის ათასწლეულის მანძილზე იცავდა და ავითარებდა თავისი ისტორიული აკვნის ტრადიციებს. ბიზანტიაში იუსტინიანეს კრებულის შექმნის შემდეგ კვლავ დაიწყო პერიოდული მუშაობა სამართლის სისტემატიზაციასა და კოდიფიკაციაზე. გადამუშავების მთავარი მიზანი იყო აღნიშნული კრებულის გამარტივება, შემოკლება და დროის მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა. იუსტინიანეს კრებულის გადამუშავების შედეგად მიღებულ იქნა: ეკლოგა (726 წ.), ბაზილიკა (886-912 წწ. ბასილ მაკედონელისა და ლეონ ფილოსოფოსის დროს), მიწათმოქმედების კანონი (VIII ს.), პროხირონი ანუ სამართლის შემოკლებული გადმოცემა ინსტიტუციების მსგავსად (პროხირონი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დახმარებას), იგი გამოცემულია დაახლოებით 1300 წელს, კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეული (1345) და სხვ.

შუა საუკუნეების პერიოდის რომის სამართალი. გლოსატორები. შუა საუკუნეების პერიოდი დაკავშირებულია რომის სამართლის გამოვლენას-

თან, აღორძინებასა და რეცეპციასთან, და აგრეთვე ამ ფონზე ძალზე ვიწრო რელიგიური დოგმებისგან განთავისუფლებული იურიდიული მეცნიერებისა და კანონმდებლობის აღორძინებასთან.

ამასთან, რომის სამართლის რეცეპცირება წარმოებდა, ეგრეთ წოდებული, *გლოსატორებისა* და მათი მიმდევრების – პოსტგლოსატორების მოღვაწეობის დროს. გლოსატორები, უმეტესწილად, იტალიელი იურისტები იყვნენ (XI-XIII სს.). მათ არა მარტო პირველებმა დაიწყეს რომის სამართლის კომენტირება კოდექსებისა და დიგესტების ტექსტების კიდეებზე შენიშვნების შედგენის გზით და ამით გააცნეს შუა საუკუნეების ევროპას რომის სამართლის საუნჯე, რომელსაც ისინი დროის გარეშე და ზესახელმწიფოებრივად (დაწერილ გონებად) თვლიდნენ, არამედ ჩაატარეს უზარმაზარი სამუშაო ტექსტების თანამედროვე პირობებზე ადაპტაციის მხრივ. მათ, აგრეთვე, რომის დაცემის შემდეგ პირველად ჩაატარეს მთელი იუსტინიანისეული კანონმდებლობის პირველადი სისტემატიზაცია და ამით დასაბამი დაუდეს იურიდიული კულტურისა და მეცნიერების აღორძინებას. ყველაზე ცნობილ გლოსატორებს მიეკუთვნებოდნენ ამ სკოლის დამფუძნებელი ირნერიუსი (1065-1125) და მისი მიმდევრები (ბულგუნდიო, როჟერი, აზო, პილიუსი, როფრუა, აკურსიუსი და იაკობი და სხვ.). რომის სამართალმა მათი დახმარებით თანდათან შეაღწია შუა საუკუნეების საზოგადოებაში.

რომის სამართალი ახალ დროში. XV-XVII სს. რომის სამართლის პრინციპებისა და ცალკეული ნორმების პრაქტიკულ აღქმასთან ერთად მის მიმართ გაჩნდა სუფთა თეორიული ინტერესი, როგორც რაღაც ფენომენისადმი, უნივერსალური საშუალებისადმი (მიუხედავად საზოგადოებრივი ყოფის ყველა პირობისა). ასეთი შესწავლის ფონზე სამართლის ისტორიული თეორიის შესახებ სწავლა არაჩვეულებრივად ფართო გაქანებას იძენს. ამ სკოლის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ გ. ჰუგო (1764-1844) და ფ.კ. სავინი (1779-1861).

ბურჟუაზიული რევოლუციების დროს რომის სამართალზე კვლავ გაჩნდა მოთხოვნა. იგი გახდა ყველაზე პირველი და ცნობილი კერძო სამართლის ნორმების კოდიფიკაციის საფუძველი – საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1804 წ. (Code Civil ან ნაპოლეონის კოდექსი). ეს საკანონმდებლო აქტი აგებული იყო რომის სამართლებრივი ტრადიციების შესატყვისად ინსტიტუციური სისტემის მიხედვით (პირები, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი). სხვა ქვეყნებში სხვა გზით წავიდნენ და წინანდელ სამრგოლიან ფორმას კიდევ ორი დაამატეს. ასე წარმოიქმნა სამოქალაქო სამართლის ნორმატიულ-სამართლებრივი წყაროს პანდექტური სისტემა. პანდექტური სისტემის მიხედვით კოდიფიკაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო დებულება (სჯულდება) (Burgerliches Gesetrbuch) 1900 წ., რომელიც 5 წიგნისგან შედგებოდა: ზოგადი ნაწილი, ვალდებულებითი სამართალი, სანივთო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

თემა 4. რომის კერძო სამართალში პირთა სამართლებრივი მდგომარეობა

11. უფლებაუნარიანობის (caput) ზოგადი საწყისები რომის სამართლის მიხედვით

რომის სამართალი თანამედროვეობისგან განსხვავებით სამართლის სუბიექტების მხოლოდ ერთ კატეგორიას ცნობდა – ფიზიკურ პირებს. რომაული სამართლისათვის არ არის ცნობილი „იურიდიული პირის“ სახელწოდება, მაგრამ პრაქტიკა განასხვავებდა ცალკე პირის, პერსონას უფლებებს და კორპორაციის ანუ გაერთიანების უფლებებს. რომაულმა სამართალმა ღრმად დაამუშავა ადამიანის ანუ პერსონას უფლებრივი მდგომარეობა, მისი სტატუსი.

სამართლის სუბიექტებად (personae) ითვლებოდნენ რომის მოქალაქეები, არანაკლები 25 წლის მამრობითი სქესის უფლებაუნარიანი პირები, რომლებიც რელიგიური და სხვა მოსაზრებების გამო კანონიერ აკრძალვებსა და შეზღუდვებს არ განიცდიდნენ. ქონებრივი უფლებაუნარიანობა მხოლოდ სახლის პარტრონის (ბატონის) სიკვდილის შემდეგ დგებოდა, სავარო უფლებაუნარიანობა – 17 წლიდან, 60 წლიდან მოქალაქე შეიძლება გათავისუფლებულიყო თავისუფლდებოდა პირადი ბეგრისაგან.

პირების სამართლებრივი მდგომარეობა მათი *უფლებაუნარიანობის* (caput) სისრულით განისაზღვრებოდა. სრული უფლებაუნარიანობის მდგომარეობა, ერთი მხრივ, სავარო და კერძო სფეროებში შემდეგი უფლებამოსილების იდეალურ ერთობლიობაში გამოიხატებოდა და მდგომარეობდა: სრულფასოვანი, კანონით აღიარებული *ქორწინების* უფლებაში, რის შედეგად ოჯახის ყველა წევრს გარანტირებული ჰქონდა თანაბარი და კანონით გათვალისწინებული სარგებელი და შედეგები; სავაჭრო ბრუნვაში მონაწილეობის, სანივთო და ვალდებულებითი სამართლის *სუბიექტად* გამოსვლისა და კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა გარიგებებში მონაწილეობის უფლებაში; საკუთარი ქონების *ანდერძით დატოვების* და ანდერძით დატოვებულის მიღების უფლებაში; *კანონიერი სარჩელის წარდგენისა* და მათგან კვირიტული სამართლით დაცვის

უფლებაში; სახალხო კრებებში მონაწილეობის უფლებაში; ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობის შესრულების უფლებაში, თანამდებობის პირთა მოქმედებებზე სახალხო კრებებში საჩივრით მიმართვის უფლებაში. ქალები და არასრულწლოვნები, პრინციპში, არ ითვლებოდნენ უფლებაუნარიანებად. სხვა დანარჩენ პირთა ინტერესები შეიძლება ყოფილიყო წარდგენილი და რეალიზებული მხოლოდ კლიენტელას (ძველ რომში პატრონზე დამოკიდებული ადამიანთა არასრულუფლებიანი კლასი) სამართლებრივი მდგომარეობით.

პირის სრული უფლებაუნარიანობა ანუ სრული უფლებამოსილება რომაულად იწოდებოდა როგორც სტატუსი და შედგებოდა სამი ელემენტისგან: თავისუფლების სტატუსი (თავისუფალი და არათავისუფალი მოქალაქეები, ანუ მონები); მოქალაქეობის სტატუსი (რომაელი მოქალაქეები და არარომაელები — ლათინები, პერეგრინები); საოჯახო სტატუსი (ოჯახის უფროსი და მისი ხელქვეითი ოჯახის წევრები).

12. თავისუფლების სტატუსი (status libertatis), როგორც პირის უფლებაუნარიანობის საფუძველი

ჯერ კიდევ ძველად თავისუფლების სტატუსი ასე განისაზღვრებოდა: ყველა ადამიანი „ან თავისუფალია, ან მონა“. ამიტომ რომში თავისუფლებად ითვლებოდნენ: რომის მოქალაქეები, გაათავისუფლებულები (თავდახსნილები), ლათინები და პერეგრინები.

რომის სამართლის დებულებების თანახმად მონა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს. იგი სამართლის ობიექტია, რადგან გათანაბრებულია ნივთთან. მას მოლაპარაკე იარაღს უწოდებდნენ. კვირიტული კანონების მიხედვით მონობის წყაროდ ითვლებოდა: დაბადებით მონობა (თუნდაც მამა თავისუფალი მოქალაქე ყოფილიყო, ხოლო თუ მონის დედა მონა იყო, იგი მონად ითვლებოდა და თუ დედა თავისუფალი მოქალაქე იყო, მისი შვილი თავისუფალი მოქალაქე ხდებოდა, თუნდაც მამა მონა ყოფილიყო); სამხედრო ცხოვრება ან უბრალოდ, ტყვედ ჩავარდნა; მონად გაყიდვა (ძველ ეპოქაში); მონად დასჯა (თუ პირს მიესაჯა სიკვდილით დასჯა და შეეცვალა იგი მონად დასჯით, ასევე ვალგადაუხდელობის გამო). მონათმფლობელი უფლებამოსილი იყო მონა ეყიდა ან გაეყიდა, გაეცვალა, გაეჩუქებინა, გაექირავებინა, მზითევში გაეტანებინა, დაბოლოს ფიზიკურად გაენადგურებინა.

მონობის შეწყვეტა ხდებოდა მხოლოდ მონის სიკვდილთან ერთად ან რომის ტერიტორიის გარეთ თავის თვისტომებთან გადასვლით. დროთა განმავლობაში მონობის შეწყვეტის სხვა გარემოებები წარმოიშვა. მონათმფლობელი საჯაროდ აცხადებდა მაგისტრატის წინაშე, რომ ათავი-

სუფლებდა მონას; მოქალაქეთა სიების შედგენისას, რაც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ხდებოდა — ბატონს შეეძლო თავისი მონა თავისუფალ მოქალაქეთა სიაში შეეტანა, მაგრამ ეს უნდა სცოდნოდა ცენზორს; გააზატების საშუალება იყო მონათმფლობელის ანდერძი, რომ სიკვდილის შემდეგ მისი მონა თავისუფალი იქნებოდა; ოც წელზე მეტი თავისუფლებაში ცხოვრება.

ამასთან ერთად, განთავისუფლების პროცედურა მუდამ საგანგებოდ იყო ხელოვნურად გართულებული: არ შეიძლებოდა ყველა მონის ერთბაშად გაშვება ან არსებითი მოტივაციის გარეშე განთავისუფლება. გვიანდელ პერიოდში მონობამ ცოტა შერბილებული ხასიათი შეიძინა. მაგალითად, ჩვ. წ. I ს. ქალაქის ხელისუფლების ნებართვის გარეშე მონებს გლადიატორებად ველარ უშვებდნენ (პეტრონიუსის კანონი). II ს. მონის არამოტივირებული მკვლელობა უთანაბრდებოდა პერეგრინის მკვლელობას. მონები დაცვისთვის იმპერატორის სტატუეტებს მიმართავდნენ, ხოლო ქალაქის ხელისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი მონის საჩივრით.

ამასთან ერთად, მონების მდგომარეობის, ძალაუნებურად, შერბილებასთან ერთად მცირე მიწა-წყლის მქონე გლეხობის მიმართ თანდათანობით დაიწყეს წნეხის გამკაცრება. ამ ფენების თანდათანობითმა წაშლილმა საზღვრებმა წარმოშვა დამოუკიდებელი გლეხების კლასი. ასე რომ, მონათმფლობელობა შეცვალა ბატონყმობამ.

თავდახსნილების (Libertini) კატეგორია, ძირითადად, გვიანი რესპუბლიკის პერიოდში ჩამოყალიბდა განთავისუფლებული მონებისგან. თანაც, ლიბერტინებად შეიძლება გამხდარიყვნენ განთავისუფლებული მონები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ როგორც კერძო პირებს, ასევე კორპორაციებს, ცალკეულ ქალაქსა და სახელმწიფოსაც კი. კლიენტების სტატუსით ყოფნისას მათ თავისუფალი მდგომარეობა ჰქონდათ, მაგრამ სამუდამოდ იყვნენ ყოფილი ბატონის პატრონატის დაქვემდებარებაში, იქამდე, რომ ბატონს უფლება ჰქონდა თავისი თავდახსნილისთვის შინა სასამართლო მოეწყო. მათ უნდა შეესრულებინათ მის სასარგებლოდ სამუშაოები, მის მიმართ მუდმივად გამოევლინათ პატივისცემა, დღესასწაულებზე მიერთმიათ მისი მდგომარეობისთვის შესაფერისი საჩუქრები, გაჭირვების დროს აღმოეჩინათ მატერიალური დახმარება, გაეწიათ ცხოვრებისეული სამსახური, უფლება არ ჰქონდათ მის წინააღმდეგ სამარცხვინო სარჩელი შეეტანათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უკანასკნელთ კვლავ მონობაში დაბრუნება ელოდათ, ყოფილ ბატონს შეეძლო თავისი უშვილო თავდახსნილის ქონების მემკვიდრე ყოფილიყო, თუკი იგი გარდაიცვლებოდა ისე, რომ ანდერძს არ დატოვებდა.

ლიბერტინის შვილები უკვე თავისუფლები იყვნენ. დროთა განმავლობაში მოსახლეობის ამ კატეგორიამ სოციალურ იერარქიაში საკმაოდ მყარი მდგომარეობა შეიძინა, რამეთუ მისი წარმომადგენლები რომის სახელმწიფოს ისტორიაში ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ეს წამოწყება ოქტავიანე ავგუსტუსს ეკუთვნის, რომელმაც გვაროვნული რომის არისტოკრატიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით აქტიურად დაიწყო თავდახსნილების სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა. შემდგომში, მრავალმა მათგანმა დიდი ქონება შეიძინა და სახელმწიფოებრივი მართვისა და სასახლის სამსახურის სისტემაში მაღალ თანამდებობებს მიაღწია. მთლიანად კი საჯარო-სამართლებრივ სფეროში ლიბერტინების უფლებრივი სტატუსი არსებითად შეზღუდული იყო. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მათთვის თავისუფალდაბადებულებთან ქორწინება აკრძალული იყო, ასევე აკრძალული იყო რომის ლეგიონებში სამხედრო სამსახური, სენატში თანამდებობის დაკავება, ხოლო ჩვ.წ. I საუკუნიდან მათ ჩამოერთვათ სახალხო კრებების საკანონმდებლო და სასამართლო საქმიანობაში მონაწილეობის უფლება.

თავისუფლები, მაგრამ პოლიტიკურად ასევე უუფლებონი იყვნენ *ლათინები* (Latini). ისინი დაყოფილები იყვნენ რომის შემოგარენში (ლაციუმში) ძირითად მცხოვრებლებზე – ძველი ლათინები, რომლებიც ცხოვრობდნენ თვითმმართველობის თემებში და უძველესი დროიდან მსახურობდნენ არმიის საგანგებო ქვედანაყოფების შემადგენლობაში და რომის კოლონიის მცხოვრებლებზე[1]. თავდაპირველად ძველ ლათინებს ისეთივე სამოქალაქო უფლებები ჰქონდათ, როგორც რომის მოქალაქეებს. მაგრამ ჩვ. წ-მდე 268 წ. ისინი რომაელების წინააღმდეგ აჯანყდნენ და ამის გამო დაკარგეს სამოქალაქო უფლებების ნაწილი. თუმცა ჩვ. წ-მდე 91-89 წწ. მოკავშირეთა ომების შედეგად ყველა ლათინმა, სხვათა შორის, როგორც ყველა იტალიკმა, სამოქალაქო უფლებები მიიღო.

რომის თავისუფალი მცხოვრებლების კატეგორიას ასევე განეკუთვნებოდნენ უცხოელები – *პერეგრინები* (peregrinus). მათ არანაირი პოლიტიკური უფლება არ გააჩნდათ, ხოლო მოქალაქის უფლება უკიდურესად შეზღუდული ჰქონდათ. ამიტომ რომის მოქალაქეებთან ერთად გარკვეული გარიგებების შესასრულებლად, საკუთარი ინტერესების დასაცავად, აგრეთვე, მონობაში რომ არ მოხვედრილიყვნენ, მოქალაქეთა შორის

[1] Latini coloniarii არსებითად შემოიფარგლებოდნენ სამოქალაქო სამართალურთიერთობით: როგორც კლიენტებს, მათ თავიანთ ქონებაზე ანდერძის დატოვების უფლება არ ჰქონდათ, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში ეს ქონება ბატონთან გადადიოდა. სწორედ მათზე იყო სამართალში ნათქვამი: „ცხოვრობენ როგორც თავისუფალნი, კვდებიან როგორც მონები“.

თავიანთთვის პატრონი უნდა მოეძებნათ (დამცველი), ესე იგი, კლიენტები უნდა გამხდარიყვნენ. დროთა განმავლობაში, პრეტორული სამართლის განვითარებასთან ერთად, პერეგრინები რომის სოციალურ სტრუქტურასა და მის სამეურნეო-სამართლებრივ ურთიერთობებს სულ უფრო და უფრო მყარად ერგებოდნენ. პერეგრინებს შორის იყო მრავალი ცნობილი ხელოსანი, ვაჭარი, მასწავლებელი, ექიმი საბერძნეთიდან, ეგვიპტიდან, კართაგენიდან, ახლო აღმოსავლეთიდან. პერეგრინებს ერთმანეთთან ურთიერთობისას (საქორწინო-საოჯახო, სამემკვიდრო) თავიანთი ეროვნული სამართლებრივი ადათებისა და პრინციპების ფართო გამოყენების უფლება ჰქონდათ, რაც შემდგომში სისტემატიზებული, ეგრეთ წოდებული, ხალხთა სამართლის საფუძვლად იქცა.

13. მოქალაქის სტატუსის შინაარსი (status civitatis)

მოქალაქეობის სტატუსი განისაზღვრებოდა იმით, რომ ყველა პირი განიხილებოდა როგორც რომის მოქალაქე (მათ შორის პროლეტარები) და როგორც სხვა თავისუფალი ადამიანები (ლათინები და პერეგრინები). ადრე სრულუფლებიან მოქალაქეებად (populus Romanus) მხოლოდ პატრიციები ითვლებოდნენ, შემდეგ, მწვავე და ხანგრძლივ ბრძოლებში პლებეებმაც[1] მოიპოვეს თავიანთი უფლებები. დროთა განმავლობაში სხვაობები გაქრა და გაჩნდა სრულუფლებიან მოქალაქეთა ერთი ფენა (cives optimo jure). პატრიციებსა და პლებეებთან ერთად არსებობდა არასრულუფლებიან რომაელ მოქალაქეთა კიდევ ორი კატეგორია – პროლეტარები და ლიბერტინები (თავდახსნილები).

რომის მოქალაქეობა უამრავ პრივილეგიასა და შეღავათს გულისხმობდა. მაგალითად, გვიანდელი რესპუბლიკის დროს, საკუთრივ, რომის მოქალაქეების ფიზიკური დასჯა იკრძალებოდა, მშვიდობიან დროს არ შეიძლებოდა მათი პატიმრობაში ყოფნა, წამება, ბორკილების დადება. განთავისუფლებულები იყვნენ, აგრეთვე, ჯვარცმისგან, რაც ერეტიკოსების, მძიმე დამნაშავეებისა და მონების ხვედრი იყო (რომაელები კი თავის მოკვეთით ისჯებოდნენ). განთავისუფლებულები იყვნენ ზოგიერთი განსაკუთრებულად დამამძიმებელი ქონებრივი სასჯელისგან და სხვ. გარდა ამისა, შეეძლოთ ქალაქგარეთ მაგისტრატების მოქმედების გასაჩივრება. მოქალაქეობა, მნიშვნელოვანწილად, უზრუნველყოფდა მისი მატარებლის პირად ხელშეუხებლობას იმპერიის უსასრულო ტერიტორი-

[1] ხანგრძლივი დროის მანძილზე, შეადგენდნენ რა რომის არმიის უმრავლესობას, სამხედრო ნადავლიდან ყველაზე მცირე წილი ხვდებოდათ, ხშირად სწორედ ისინი იმყოფებოდნენ პატრიციებთან კაბალურ მონობაში.

აზე. შემთხვევით არ არის, რომ გვიან რომში რომის მოქალაქის წოდების თვითნებურად მინიჭების მხოლოდ ფაქტი უალტერნატივოდ სიკვდილით ისჯებოდა.

რომის მოქალაქეობის მიღება. რომის მოქალაქეობის წყაროებს (cives Romani) წარმოადგენდა ბუნებითი და საჯარო-სამართლებრივი საფუძვლები.

რომის ადათები ცნობდა რომის მოქალაქეობის მიღების რამდენიმე ბუნებრივ საფუძველს. უპირველესად, *ნამდვილი რომაელი მოქალაქეებისგან დაბადება, რომაელი მოქალაქის* მიერ განსაკუთრებული პროცედურის მეშვეობით *უცხოელის შვილად აყვანა.* დაბოლოს, რომაელი მოქალაქის მიერ თავისი მონისთვის *თავისუფლების ჩუქება.*

ასევე მრავალგვარი იყო მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენციაში არსებული საჯარო-სამართლებრივი საფუძვლები. ეს სია იწყება *უცხოელისთვის მოქალაქეობის ჩუქებით* (ადამიანისთვის, თემისთვის, პროვინციისთვის) მისი სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებების გამო. სახელმწიფოს ასევე შეეძლო *თავისუფლების ჩუქება* მისი კუთვნილი მონებისთვის. გვიანდელი რესპუბლიკის დროიდან რომის არმიაში *ოცწლიან სამსახურსაც* შეეძლო აგრეთვე მოქალაქეობის მიცემა.

რომის მოქალაქეობის ჩუქებასთან ერთად იმპერიის, პრაქტიკულად, ყველა მცხოვრებისთვის (212 წ.) უთანასწორო სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრებოდა უკვე ქონებრივი კრიტერიუმით. ერთ მხარეს იყვნენ უმაღლესი წოდების წარმომადგენლები — ნობილიტეტი (სენატორები, მხედრები, დეკურიონები), ხოლო მეორე მხარეს — მრავალრიცხოვანი დაბალი წოდების წარმომადგენლები — პლებსები.

რომის მოქალაქეობის დაკარგვა. რომის მოქალქეობის როგორც მიღება იყო შესაძლებელი, ასევე დაკარგვაც. სიცოცხლეში რომის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. თავისუფალი რომაელი მოქალაქეობას კარგავდა შემდეგ შემთხვევაში: გარდაცვალების შემთხვევაში, თუ რომაელი მოქალაქე ტყვედ ჩავარდებოდა, თუ რომაელი მოქალაქე ჩაიდენდა დანაშაულს, ასევე, თუ რომაელი მოქალაქე განდევნილი იქნებოდა რომიდან. ნებისმიერ შემთხვევაში ლაპარაკი იყო მონის სტატუსში გადასვლაზე. მოგვიანებით ზემოთ აღნიშნული საფუძვლები ზოგიერთ განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულზე სასჯელებმა შეცვალა. ამ შემთხვევაში საუბარია პირის უფლებაუნარიანობის მაქსიმალურად დაკნინების შესახებ. ზოგჯერ კი (უფრო გვიანდელ დროში) მოქალაქეს თავად შეეძლო მოქალაქეობაზე უარის თქმა კოლონიის მიწების მიღების გამო. გვიანდელი იმპერიის ხანაში ასეთი შემთხვევები ძალზე გავრცელებული იყო.

რომაელი მოქალაქეების განსხვავებული კატეგორიები. თავისუფალ, მაგრამ არასრულუფლებიან რომაელ მოქალაქეთა განსაკუთრებულ კატეგორიას *პროლეტარები* (proletarii) წარმოადგენდნენ. ფორმალურად მათ განეკუთვნებოდნენ ქონების მქონე პირები, რომლის საერთო თანხა 11 ათას ასს არ აღემატებოდა (ჩვ. წ. II ს. პირველი ნახევრიდან — 4 ათას ასს). თუმცა გვიანდელი რესპუბლიკის პერიოდში პროლეტარების ძირითად მასას უკვე შეადგენდა აშკარად მარგინალური ელემენტი — ლუმპენ-პროლეტარები და პაუპერები. უმეტესწილად, ესენი იყვნენ გლეხები მიწა-წყლის გარეშე, გაკოტრებული წვრილი ხელოსნები. მათ არ ჰქონდათ შემოქმედებითი შრომის შესაძლებლობა, ხოლო დროთა განმავლობაში ამ შრომისადმი ინტერესიც დაკარგეს; სავალდებულო სამსახურისგან და გადასახადებისგან განთავისუფლებულებს, ესე იგი, სამხედრო ნადავლის გაყოფისგანაც თავისუფლებს, რომის სოციალურ წყობაში მაინც გარკვეული ნიში ეკავათ და ხმის მიცემის უფლებაც ჰქონდათ. უფრო მეტიც, გაიუს გრაკხის წინადადებით ჩვ. წ-მდე 123 წლიდან დაწყებული რეგულარული ხდებოდა მათზე პურის გაცემა.

რომაელ მოქალაქეთა კიდევ ერთი კატეგორია არსებობდა — *ერარიები.* ისინი თავისი სოციალურ-სამართლებრივი სტატუსით პროლეტარებზე დაბლა იდგნენ. ასეთი მდგომარეობა იმ ფაქტზე ამახვილებდა ყურადღებას, რომ მათთვის არა მხოლოდ არმია და ქალაქების მაგისტრატურები იყო დახურული და ცენზის მიხედვით გადასახადების ნაცვლად იხდიდნენ ცენზორების მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე დადგენილ სულად გადასახადებს, არამედ აკრძალული ჰქონდათ სათანადო სახალხო კრებების მუშაობაში მონაწილეობის მიღება და სახელწიფო თანამდებობის ამა თუ იმ მაძიებელზე ხმის მიცემის უფლება. სხვა ჯგუფების წარმომადგენლებისთვის ერარიებში გადაყვანა, რომელსაც ცენზორები შერცხვენილი პირების მიმართ ზოგჯერ იყენებდნენ, ყველაზე საშინელ სასჯელს წარმოადგენდა.

უძველესი დროიდან მოყოლებული პრივილეგირებულ წოდებას მიეკუთვნებოდნენ მხოლოდ სენატორები და მხედრები, შემდეგ ნობილები გაჩნდნენ, პრინციპატის პერიოდში კი რომის არისტოკრატიული ფენა ერთიანი გახდა.

სენატორების წოდების წარმომადგენლებს, თავდაპირველად, მეფეები ნიშნავდნენ, შემდეგ კონსულები მარტოოდენ პატრიციებიდან, ხოლო ჩვ. წ-მდე IV ს. ბოლოდან — ცენზორები ყოფილი, ყველაზე დამსახურებული მაგისტრატებიდან, მათ შორის, პლებეებიდან. გვიანდელი რესპუბლიკის დროს სენატორის წოდება მემკვიდრეობითი გახდა. სენატორებს, რათა თავიანთი მაღალი წოდების ღირსება არ შეელახათ, ჩვ. წ-მდე 218 წლი-

დან კლავდიუსის კანონის მიხედვით ეკრძალებოდათ სავაჭრო და საფინანსო საქმეების წარმოება, მაგრამ ამასთან, ოქტავიანე ავგუსტუსიდან დაწყებული, მათი ქონება უნდა შეფასებულიყო არანაკლებ ერთი მილიონი სესტერციუსისა.

შემდეგი პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი იყო *მხედრიონი.* მხედრების წოდება ჩამოყალიბდა მდიდარი ვაჭრებისა და მევახშეების სხვადასხვა წოდებრივი ფენებიდან. არქაულ დრომდე ისინი რომის სამხედრო ძლიერებას ახორციელებდნენ. როდესაც საზოგადოებრივი პროცესების განვითარებამ შესაძლებელი გახადა, რათა მეორეხარისხოვანი წოდების წარმომადგენლებს არსებითი ფინანსური წარმატებებისთვის და საუკეთესო საბრძოლო აღჭურვილობის, მათ შორის ცხენის შეძენისა და შენახვის საშუალებებისთვის მიეღწიათ, ამან საზოგადოებაში მხედრიონელთა როლის დაცემა გამოიწვია. ჩვ. წ-მდე I ს. მეორე ნახევრიდან ცენზორები მხედრიონთა წოდებას ყველა იმ პირს აკუთვნებდნენ, ვისი ქონებაც არანაკლებ 400 სესტერციუსს შეადგენდა. ამიტომ, პირველი პრინცეპსების დროიდან მხედართა მნიშვნელობა და პატივი განუხრელად ძირს ეცემოდა.

კიდევ ერთი პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი იყო *ნობილიტეტი.* იგი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ჩვ. წ-მდე III-II სს. მიჯნაზე კონსოლიდირებული უმდიდრესი პატრიციული და პლებეური გვარიდან. თავდაპირველად ის მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთიან და ყველაზე არისტოკრატიულ ფენად იქცა. როგორც წესი, ამ წოდების არსებობის საფუძველი იყო თაობიდან თაობაში გაზრდილი მნიშვნელოვანი ქონება და მაღალი, ხშირ შემთხვევაში, კონსულატის ან ტრიუმფის მიერ აღნიშნული მამულის წინაშე სახმედრო დამსახურებები. თუმცა, საზოგადოებრივ იერარქიაში მაღალი მდგომარეობის მიუხედავად, ნობილებს არანაირი პრივილეგია არ გააჩნდათ. პირიქით, რომის დემოკრატიული სისტემის პირობებში მისი დასაბუთებულობა მათ უნდა დაემტკიცებინათ სამშობლოს უანგარო სამსახურით და ახალ სახელმწიფო თანამდებობის მაძიებლებთან მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში მუდმივად უნდა ემოწმებინათ თავიანთი მაღალი სტატუსი, უნდა გაფრთხილებოდნენ თავიანთ ავტორიტეტს, მათ შორის, ცხოვრების მაღალზნეობრივი სტილით. ნობილიტეტი დროთა განმავლობაში რაღაც ჩაკეტილ კორპორაციად გადაიქცა, სადაც უცხო პირების შესვლა რთული და უკიდურესად იშვიათი იყო. სენატორებს ირჩევდნენ მხოლოდ ნობილიტეტის წოდების წარმომადგენლებიდან.

იმ დროს, როდესაც ნობილიტეტი არისტოკრატიული კლასი იყო, ვაჭრობისა და სარეწის (რაც განპირობებული იყო მსხვილი მიწების

საკუთრებით) აკრძალვის გამო მხედრობა წარმოდგენილი იყო მოსახლეობის სავაჭრო-საფინანსო საქმიანობის წარმმართველ ძალად.

212 წლიდან კარაკალას ედიქტის მიხედვით მოქალაქეობა მიიღო იმპერიის ყველა მცხოვრებმა, ხოლო 284 წ. დიოკლეტიანეს დროს პირველი აბსოლუტური მონარქის პერიოდში მთელი მოსახლეობა მოქალაქეობიდან ქვეშევრდომებად გადაიქცა. ამასთან ერთად, სწორედ II საუკუნიდან იწყება საზოგადოების მკვეთრი დაშლა ფენებად, ახლა უკვე საკუთარი ქონებრივი ნიშნის მიხედვით წოდებებად თავისი ვიწრო კორპორაციული ინტერესებით. მოხდა ვაჭრების, ხელოსნების, დაქირავებული ჯარისკაცების, მუნიციპალური მოხელეების კონსოლიდირება. დანარჩენი მოსახლეობა მიეკუთვნებოდა მდაბიო ხალხს (plebs).

14. საოჯახო სტატუსის თავისებურებანი (status familiae)

საოჯახო სტატუსის დახასიათებისას უნდა განვასხვავოთ ნათესაობის ცნება, როგორც საერთო ახლობელი წინაპრების არსებობით განპირობებული ადამიანებს შორის ურთიერთობები და მოყვრობა, როგორც პირებს შორის ურთიერთობები, რომელიც ნათესაობით კი არ წარმოიშვა, არამედ საქორწინო კავშირით (ერთი მეუღლის ურთიერთობა მეორის სისხლით ნათესავებთან, ასევე მეუღლეების ნათესავებს შორის).

საოჯახო სტატუსი განიხილებოდა ან როგორც აბსოლუტური ძალაუფლების მდგომარეობა თავისი ოჯახის წევრებზე, ან სრული ფორმალური უუფლებობის მდგომარეობა. სრულძალაუფლებიანობა მხოლოდ ოჯახის უფროსს ეკუთვნოდა, რომელიც ყველა საჯარო და კერძო საქმეში მას წარმოადგენდა. პატერფამილიასი იყო „თავისი უფლების პირი“ (sui iurie). ოჯახის დანარჩენი წევრები ხელქვეითის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და იყვნენ „სხვისი უფლების პირები“ (alieni iuris).

ძველ პატრიციულ ოჯახში თავად საოჯახო ურთიერთობები აგებული იყო არა სისხლით ნათესაობაზე (cognatio), როგორც ეს მიღებულია თანამედროვე საზოგადოებაში, არამედ სახლის პატრონის ძალაუფლების დაქვემდებარების იდეაზე (agnatio). დროთა განმავლობაში კოგნატურმა ნათესაობამ მაინც შეავიწროვა აგნატური.

ამრიგად, ყველა სტატუსის მქონე პირი (status libertatis, status civitatis, status familiae), ესე იგი, **სავსებით უფლებაუნარიანი და არავის მიმართ მორჩილი, მხოლოდ სახლის პატრონი იყო** (paterfamilias) – რომის პატრიარქალური ოჯახის უფროსი.

15. რომაელი მოქალაქის სტატუსის შემცირების შემთხვევები და სახეობები (capitis deminutio)

აღნიშნული სტატუსებიდან თუნდაც ერთ-ერთის ჩამორთმევას მოსდევდა უფლებაუნარიანობის ან შემცირება, ან დაკარგვა. თავდაპირველად ასეთი დანაკარგი განიხილებოდა, როგორც პირის სამოქალაქო სიკვდილი გამომდინარე ყველა შედეგით. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მდგომარეობა უფრო მეტად დიფერენცირებული გახდა და რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებდა: *უფლებაუნარიანობის მაქსიმალური შემცირება* უკავშირდებოდა თავისუფალი ადამიანის სტატუსის დაკარგვას, რაც გამოწვეული იყო რომაელის ტყვედ ჩავარდნით ან მისი მონად გაყიდვით უცხოელზე, საკარო-სამართლებრივ დელიქტებზე ზოგიერთი სასჯელის გამოყენებით; *უფლებაუნარიანობის საშუალო შემცირება* გამოიხატებოდა მოქალაქის სტატუსის დაკარგვაში განდევნის ან გადასახლების მიზეზის გამო; *უფლებაუნარიანობის მინიმალური შემცირება* ხშირად ხდებოდა შიდასაოჯახო სტატუსის ცვლის ან დაკარგვის გამო, რომელიც სხვა ოჯახში გადასვლასთან იყო დაკავშირებული (გათხოვება, შვილად აყვანა).

16. ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის ცნება, შინაარსი და შეზღუდვა

ქმედუნარიანობა, ესე იგი, იურიდიული შედეგების მქონე მოქმედების დამოუკიდებლად შესრულების შესაძლებლობა, მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ოჯახის უფროსის არსებობის დროს საოჯახო სტატუსიდან გამომდინარე ოჯახის ნებისმიერი სხვა წევრის არანაირ სრულ ქმედუნარიანობაზე არ იყო საუბარი.

ასაკის კრიტერიუმის მიხედვით ყველა პირი დაყოფილი იყო არასრულწლოვანებსა (impuberes) და სრულწლოვანებზე (puberes). 7 წლამდე ყველა ბავშვი არაქმედუნარიანი იყო. მათი თავისუფლება უმნიშვნელო იყო. 7 წლიდან კი ნაწილობრივ ქმედუნარიანნი ხდებოდნენ (infantiae majores). თუმცა ასეთი ქმედუნარიანობა მხოლოდ შეძენის გარიგებებზე ვრცელდებოდა. იმ შემთხვევაში, როცა ზარალის ან ვალდებულების დაწესების ალბათობა იყო, ასეთი გარიგებისას საჭირო იყო მეურვის ნებართვა.

სრულწლოვანება (puberes) გოგონებისთვის ითვლებოდა 12 წლიდან, ხოლო ვაჟებისთვის 14-დან. თუმცა თუ პირი ოჯახის უფროსი არ იყო, მაშინ ამ ასაკთან ერთად ცნობილი პოლიტიკური საფუძვლიანობის შეძენით სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში სრულ ქმედუნარიანად არ ითვლებოდა.

სამართალში ცნობილი იყო ქმედუნარიანობაში შეზღუდვების მრავალი შემთხვევა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: *სულით ავადმყოფობა, ჭკუასუსტობა* (ფორმდებოდა სპეციალური მეურვეობა, მზრუნველობა – cura furiosi); *მფლანგველობა,* რაც სრულ გაკოტრებას უქადდა ადამიანს (ამას მოყვებოდა ქონების განსხვისების გარიგებებზე წარმომადგენლობის გაფორმება, რაც არადელიქტური ვალდებულებების აღებას გულისხმობდა); *მტკიცე ფიზიკური ნაკლოვანებანი* (უსინათლობა, სიმუნჯე, სიყრუე); რომის ისტორიის მთელ მანძილზე ქალები თავიანთ ქმედუნარიანობაში არსებითად შეზღუდულები იყვნენ. მაგალითად, როგორც აღინიშნებოდა, მათ ბუნებრივი ზედმეტად მიმნდობი თვისების გამო უფლება არ ჰქონდათ აეღოთ სხვისი ვალდებულებები, დაეკავებინათ საზოგადოებრივი თანამდებობები, აგრეთვე მეურვეობა (საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების გარდა); *შერცხვენის* სხვადასხვა სახეობა, რაც გაკიცხვის შედეგი იყო იმ ურთიერთობების გამო, სადაც განსაკუთრებული პატიოსნება იგულისხმებოდა (დავალება, შენახვა, მეურვეობა), ან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ერთი წლის გასვლამდე დაქორწინება, მაჭანკლობა.

რომაულმა სამართალმა შეიმუშავა შერცხვენის სხვადასხვა საფუძველი და მისი იურიდიული შედეგები. შერცხვენის ნაირსახეობებს წარმოადგენდა: *ინტესტაბილიტასი* (მოწმის ან მწონავის უარის გამო, რათა დაემოწმებინა ოდესღაც დადებული კანონიერი გარიგება, ან ცილისმწამებლური მონაჭორის შემთხვევაში მოწმედ ყოფნა იკრძალებოდა); *ინფამია* ან საეჭვო რეპუტაცია (საძრახის ან გაურკვეველ საფუძველზე არმიდან გაძევების შემდეგ, ასევე ცრუმოწმეობაში, ქურდობაში, ორცოლიანობაში ან უღირს მეურვეობაში, ამხანაგობის ხელშეკრულებების დარღვევების, შენახვის მხილების შემდეგ დროებით იკრძალებოდა ნებისმიერ თანამდებობაზე არჩევა, სამეურვეო ვალდებულებების აღება, სასამართლოში მესამე პირთა ინტერესების წარმომადგენლის სახით გამოსვლა და სხვ.); *ტურპიტუდუმი* (გლადიატორების, მაჭანკლების, პროსტიტუციის ცრუმორწმუნეობრივ საქმიანობაზე სამემკვიდრო სამართლის სფეროში მნიშვნელოვანი შეზღუდვები იყო დადგენილი).

17. კორპორაციების სამართლებრივი მდგომარეობა (universitates)

რომის სამართალი ფიზიკურ (კერძო) პირებთან ერთად უკვე ჩვ. წ-მდე III-II საუკუნიდან იცნობდა ***იურიდიულ პირებს,*** თუმცა პირდაპირ არასოდეს უწოდებდა. ძველად, კორპორაციები (კოლეგიები), როგორც გაერთიანებები არანაკლებ სამი წევრისა, არაკანონსაწინააღმდეგო მიზნებით შეი-

ძლება ჩამოყალიბებულიყო ნებადაურთველად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. თუმცა იულიუს კეისარმა ეს ყველაფერი დაშალა. ოქტავიანე ავგუსტუსმა ეს განკარგულება რამდენადმე შეარბილა, მაგრამ ახალი კოლეგიების დიდი უმრავლესობის შექმნა მხოლოდ ნებართვით შეიძლებოდა.

რომში მოქმედი კორპორაციების ძირითად სახეობებს განეკუთვნებოდა:

- *ქალაქის თემები* – მუნიციპიები, ადრე ყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ხოლო შემდეგ რომის მიერ მიერთებული და დასაჩუქრებული თვითმმართველობისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის უფლებით, სახელმწიფოს სასარგებლოდ გარკვეული ბეგარის გადახდის ვალდებულებებით;
- *სახელმწიფო ფულის ხაზინა* (ერარიები), ჯერ კიდევ ძველად გაჩნდა, როგორც მთელი რომის საზოგადოების ქონების ერთობლიობა;
- *პრინცეპსის / იმპერატორის პირადი ხაზინა* (ფისკი), რომლის შევსებაც მისი საკუთარი პროვინციებიდან შესული შემოსავლების ხარჯზე ხდებოდა, და რომელმაც, თავისი განსაკუთრებული პრივილეგირებული სტატუსის გამო საზოგადოებრივი ხაზინა თანდათან სრულიად განდევნა;
- *კერძო კორპორაციები* (მაგალითად, ხაბაზების, ხელოსანთა, საზღვაოსნო, მაგისტრატებთან დაბალ თანამდებობებზე მომსახურეთა, მენქვილეთა და მცხობელთა, დამკრძალავი საზოგადოების, მწერალთა და მსახიობთა კორპორაციები, მოიჯარე-შემსყიდველთა კავშირები და სხვ.);
- *დაწესებულებები,* რომელთაც განეკუთვნებოდა რელიგიური და ქველმოქმედების საზოგადოებრივი დაწესებულებები (საავადმყოფოები, თავშესაფრები);
- *ლეგიონები,* რომელთა პირადი შემადგენლობაც დროთა განმავლობაში მთლიანად ახლდებოდა, თუმცა ქონება და ატრიბუტიკა კვლავაც წინანდელი რჩებოდა და მუდამ საერთო განკარგულებაში იყო და არანაირად სხვაგვარად.

ნებისმიერ სამართალურთიერთობებში, საკუთრივ, კერძო კორპორაცია, როგორც ასეთი, რომაულ სამართალში არ განიხილებოდა. მას დამოუკიდებლად არ შეეძლო გარიგებების შესრულება, ვალდებულებებზე პასუხი და სხვ. ამიტომ, ყველა საჭირო შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენლად გვევლინებოდა თავად წევრების მიერ არჩეული სანდო კერძო პირი (აქტორი). ეს ადამიანი მოქმედებდა საზოგადოების საკითილდღეოდ, იძენდა უფლებებს, ასრულებდა ვალდებულებებსა და გააჩნდა პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მეორე მხრივ, ივარაუდებოდა რომ

ორგანიზაცია ერთი პირის ან რამდენიმე ცალკეული პირის სახით მოქმედებს.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა იურიდიული პირის დამახასიათებელი გარკვეული თვისებები: კორპორაცია, როგორც ერთი მთლიანი და განუყოფელი, განიხილება როგორც კერძო პირი; კორპორაციის შემადგენლობიდან ცალკეულ წევრთა გასვლის შემდეგ მისი იურიდიული არსებობა არ წყდება; კორპორაციის ქონება არ შეესატყვისება მისი წევრების ქონებასა და პასუხისმგებლობას, იგი განუყოფელია, სანამ არსებობს თავად კორპორაცია; კორპორაცია სამართლის განსაკუთრებული და სრულუფლებიანი სუბიექტია და ამიტომ მას შეუძლია ნებისმიერი ურთიერთობა ჰქონდეს როგორც შესაფერისი სტატუსის მქონე ხალხთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან და სხვ.

კორპორაცია (იურიდიული პირი) თავის არსებობას წყვეტდა იმ შემთხვევაში, როცა: მისი შექმნის მიზნები მიღწეული იყო ან მისი არსებობის წინასწარ შეთანხმებული ვადები – ამოწურული; მის წევრებს შორის წარმოიქმნებოდა შეურიგებელი უთანხმოება და ისინი ტოვებდნენ მას; მისი წევრების რიცხვი დადგენილ დონეზე ქვემოთ იყო; მისი საქმიანობა (ან გარკვეული სახის ორგანიზაციების საქმიანობა) მოქმედი კანონების დანაწესებს ეწინააღმდეგებოდა და სახელმწიფო, შესაბამისად, ასეთს კრძალავდა; წევრების საერთო კრებაზე იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

თემა 5. რომის საოჯახო სამართლის საფუძვლები

18. ოჯახი რომის სამართალში (აგნატური და კოგნატური ნათესაობა)

რომაულ ოჯახში განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ბს, რომ სამართლებრივი მნიშვნელობა *არა სისხლით ნათესაობას* ჰქონდა (კოგნატურს), არამედ *დაქვემდებარებულს* (აგნატურს). ასეთი კატეგორიული დაყოფა იუსტინიანეს სპეციალურ განკარგულებებამდე გრძელდებოდა, რომელმაც აგნატური ნათესაობის დომინირებული მნიშვნელობა წაშალა.

ყველაფრით, ზოგჯერ უსაზღვრო სრულუფლებიანობით სარგებლობდა მხოლოდ სახლის უფროსი, მის ძალაუფლებას „manus“ (ხელი) ეწოდებოდა. ოჯახის წევრები კი ითვლებოდნენ სამართლის სუბიექტებად, მაგრამ მთელ თავის უფლებაუნარიანობას მაინც ოჯახის უფროსს გადას-

ცემდნენ. ისინი ყველა სხვისი ძალაუფლების ქვეშ იყვნენ. ვაჟის ქონებრივ უფლებაუნარიანობას ცნობდნენ მხოლოდ მამის – ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ ან *ემანსიპაციის* (ვაჟის მონობაში სამგზის ფიქტიური გაყიდვის) შედეგად ცნობდნენ, მაგრამ უკვე სამემკვიდრო უფლების დაკარგვით. ქალის ან ბავშვის სახელით გარიგებებზე მეურვე ინიშნებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში კანონის არცოდნასთან დაკავშირებით ქალებს ათავისუფლებდნენ პასუხისმგებლობისგან. ბავშვები სრულწლოვანები 25 წლის ასაკში ხდებოდნენ. უფრო გვიანდელ პერიოდში ოჯახის წევრების სამართლებრივი მდგომარეობა თანდათან რბილდება, ხოლო მათი იურიდიული უფლებამოსილება ფართოვდება. თუმცა, მთელი ოჯახის ქონების ერთადერთ სრულ მესაკუთრედ (dominium), საგვარეულო კულტის (ლარების) ქურუმად, ოჯახის მბრძანებლად და მის წარმომადგენლად სახლის უფროსი რჩებოდა. ამასთან, *მისი ხელისუფლების ქვეშ* იმყოფებოდნენ მონები, შვილები კანონიერი ქორწინებიდან, *მის ხელთ იყვნენ* ცოლი და სხვა ნათესავი ქალები, ხოლო *ფლობა* ვრცელდებოდა გააზატებულებზე, არაროგორც მოქალაქეებზე და კლიენტებზე, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ გასხვისებულნი ისევე, როგორც მონები.

19. მამის ხელისუფლება (patria potestas), მისი წარმოშობა და შეწყვეტა

ოჯახი რომაულ საზოგადოებაში მკაცრად პატრიარქალური ხასიათის იყო და სახლის უფროსის აბსოლუტურ ხელისუფლებას ეფუძნებოდა. ოჯახის უფროსი (paterfamilias) უფროს აგნატად („წინაპრების ახლობლად“) ითვლებოდა და მისი ოჯახის წევრებზე ვრცელდებოდა მისი შეუზღუდავი ხელისუფლება. ის შუდამ იყო „თავისი უფლების“ ადამიანი, თუნდაც ყოფილიყო მცირეწლოვანი. მისი ოჯახის წევრები „სხვისი უფლების“ ადამიანები იყვნენ. იურიდიულად სახლის უფროსის ხელისუფლება განსხვავდებოდა *ცოლზე ხელისუფლებასა* (manus mariti) და *შვილებზე ხელისუფლებაზე* (patria potestas). ამასთან ერთად მიუხედავად pater familias ხელისუფლების შეუზღუდაობისა, განუსაზღვრელი მაინც არ იყო, რადგან საზოგადოებრივ აზრს მკაცრად აქცევდნენ ყურადღებას. ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ოჯახის უფროსს შეიძლება თავისი ხელისუფლება დაეკარგა.

მამის ხელისუფლების წარმოშობა. Patria potestas წარმოშობის საფუძველი იყო რომაული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები, უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი, თუ ამ ბავშვს მამა

თავის შვილად ცნობდა (ლეგიციმაცია), ან სხვისი ბავშვის შვილად აყვანა (ადროგაცია, ადოპცია):

- ლეგიციმაცია (legitimatio) წარმოადგენდა უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვის თავის კანონიერ შვილად აღიარების პროცედურას და კანონიერად დაბადებული ბავშვების უფლებებთან მის გათანაბრებას.
- ადოპცია (adoptio) – „სხვისი უფლების“ (ხელქვეითი ბავშვების) პირთა შვილად აყვანის ფორმა, თავდაპირველად სრულდებოდა მისი ნამდვილი მამის მიერ ბავშვის სამგზის ფიქტიური გაყიდვის სახით შვილად ამყვანზე, შემდგომ – სასამართლოზე შვილად აყვანის შესახებ თხოვნის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებით.
- ადროგაცია (adrogatio) – შვილად აყვანის ისეთი ფორმაა, რომელიც გამოიყენებოდა „თავისი უფლების“ პირთა მიმართ, ესე იგი, მოზრდილი და დამოუკიდებელი ადამიანების მიმართ სახალხო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში, რომელიც განიხილავდა გამშვილებლისა და შვილად ამყვანის თხოვნის ყველა მიზეზსა და გარემოებას.

შვილად აყვანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მშვილებელი შვილად აყვანილზე მინიმუმ 18 წლით უფროსი უნდა ყოფილიყო.

მამის ხელისუფლების შეწყვეტა. Patria potestas სამუდამო იყო და წყდებოდა მხოლოდ მამის გარდაცვალებით ან სახლის უფროსის მიერ თავისუფლების ან რომის მოქალაქეობის დაკარგვით, რაც, არსებითად, ისევე განიხილებოდა, როგორც სიკვდილი – სამოქალაქო.

ამასთან, ძველთაძველ დროს არც სახელმწიფო მართვის აპარატში მაღალი თანამდებობები, არც სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებები, არც ბავშვების ღირსშესანიშნავი თვისებები იყო საკმარისი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მხოლოდ ვაჟიშვილის მიერ იუპიტერის კულტის ქურუმის ტიტულის მიღება, ხოლო ქალიშვილის – ქალღმერთ ვესტას ქურუმის ტიტულის მიღება ავტომატურად ათავისუფლებდა paterfamilias ხელისუფლებისგან. პოსტკლასიკურ პერიოდში განთავისუფლებას ზოგიერთი ყველაზე მაღალი სახელმწიფო თანამდებობების (კონსულების, პრეტორიანელი პრეფექტების, ქალაქების და სხვ.) დაკავება უწყობდა ხელს. გარდა ამისა, ხელქვეითებს თავისუფლების მიღება შეეძლოთ პატერფამილიას „ულირს ქცევაში“ დადანაშაულების შემთხვევაში, რომელიც შეიძლება ყოფილიყო შვილის იძულება დაკავებულიყო პროსტიტუციით, გარყვნილებით.

რომის სახელმწიფოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ოჯახის უფროსმა ვერა და ვერ მიიღო შესაძლებლობა, თავისი მოზრდილი შვილებისთვის უბრალოდ მიეცა დამოუკიდებლობა. მამის მხრიდან განთავისუფლების კანონიერი შესაძლებლობის მხოლოდ ერთი შემთხვევა არსებობდა – *ემანსიპაციის* პროცედურა (emancipatio)[1] – თუ მამა ათავისუფლებდა თავის ხელისუფლების ქვეშ მყოფს და ეს უკანასკნელიც თანახმა იყო ამაზე, ესე იგი, ხელქვეითი ბავშვის მონად მესამე პირზე ფიქტიური გაყიდვის საშუალებით ამ პირის მიერ ახლად შეძენილი „მონის“ შემდგომი განთავისუფლებით მისი მამის სასარგებლოდ. კანონის შესაბამისად ამ „მესამე პირს“ მამის თხოვნით წარმოადგენდა ვინმე სრულუფლებიანი მოქალაქე, რომელსაც ეწოდებოდა „მამა ნდობით“ (pater fiduciarius). იგი ემანსიპირებულ სხვის შვილს სამჯერ „იძენდა“ და ყოველთვის დებდა ფიცს რომ არ დაიტოვებდა მას და უკუმანციპაციის მეშვეობით ნამდვილ მამას უბრუნებდა. მესამე დაბრუნების შემდეგ მამა იტოვებდა რა ემანსიპირებული ვაჟიშვილის ქონების ნახევარზე უფლებას, აცხადებდა თავისი ხელისუფლების ქვეშ მყოფი ბავშვის სრული განთავისუფლების შესახებ. ქალიშვილის განთავისუფლებისას საკმარისი იყო ერთგზის ფიქტიური ემანსიპაცია.

მოგვიანებით ემანსიპაცია წარსულს ჩაბარდა და ოჯახის კუთვნილი „სხვისი უფლების“ პირთა გასანთავისუფლებლად საკმარისი გახდა მონარქის სპეციალური ნებართვის მიღება ან სასამართლოში განსაკუთრებული განცხადების შეტანა.

20. ბავშვების მდგომარეობა რომის სამართალში

რომის სამართალი ყველა არასრულწლოვნებს ყოფდა რამდენიმე ასაკობრივ კატეგორიაზე.

პირველს განეკუთვნებოდნენ 7 წლამდე ბავშვები, ეგრეთ წოდებული, *ყრმობის ასაკი* (infantia). საქმის წარმართვაში თავის გამოვლენის რაიმე შესაძლებლობა მათ არ გააჩნდათ, ნებისმიერი მათი ნების გამოვლენა არარად ითვლებოდა. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფს 7-დან 12 ან 14 წლამდე ეწოდებოდა *უფროსი ბავშვები* (infantiae majores) და მის წარმომადგენლებს უკვე შეეძლოთ ზოგიერთი ქონების შეძენასთან დაკავშირებით გარიგებებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ნებისმიერი სახის გასხვისების უფლება არ გააჩნდათ. თუმცა, თავიანთი მეურვის ნებართვით გარ-

[1] ძველთაძველ დროს ემანსიპაციას დასასჯელის (დამსჯელის) დატვირთვა ჰქონდა, რამეთუ მამა ასეთი მოქმედებებით, ათავისუფლებდა რა თავისი ხელისუფლების ქვეშ მყოფ შვილს, ამით აკარგვინებდა თავის მფარველობას.

კეული გარიგებების დადება შეეძლოთ. 14-16 წლიდან ადამიანი უკვე *სრულწლოვანი* იყო (pubes), მას დაქორწინების უფლება ჰქონდა, თუმცა ასევე არ ითვლებოდა სრულ ქმედუნარიანად. ამიტომ სამართალმა კიდევ ერთი ასაკობრივი საფეხური შეიმუშავა – *მინორები* (minores), რომელიც 25 წლამდე ვრცელდებოდა და პირის სამეურნეო საკითხებში ფაქტობრივ დამოუკიდებლობას ითვალისწინებდა.

სახლის უფროსის წინაშე ოჯახის ყველა წევრი სრულიად უუფლებო იყო. მას შეეძლო ისინი დაესაჯა, მონებად გაეყიდა, ხოლო არქაულ პერიოდში – ფიზიკურად გაენადგურებინა. ბავშვების ცხოვრების განკარგვის უფლება მხოლოდ ჩვ.წ. IV ს. კონსტანტინეს დროს გაუქმდა.

ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა ჩვ. წ. III ს. დასაწყისამდე არაერთგვაროვანი იყო. მაგალითად, სამართალი გამოყოფდა ბავშვების ორ კატეგორიას: *კანონიერი*, მათ შორის, შვილად აყვანილები და *უკანონო ქორწინებაში დაბადებულები*, რომლებიც ითვლებოდნენ მხოლოდ დედის ნათესავებად და არაფერზე შეეძლოთ პრეტენზიის განცხადება. *კონკუბინის* (თანაცხოვრების) შედეგად დაბადებული ბავშვები იძენდნენ დედის სტატუსს და არა მამის, თუმცა არ იყვნენ მისთვის იურიდიულად უცხონი, როგორც ქორწინებაგარეშე შვილები – სპურიები. მათ შეეძლოთ მამისგან მიეღოთ საარსებო სახსრები და პრეტენზიაც კი განეცხადებინათ მემკვიდრეობის რაღაც ნაწილზე. *სპურიები* (უკანონოდ შობილნი) ისე ითვლებოდნენ, რომ თითქოს საერთოდ არ ჰყავდათ მამა, რამეთუ ძველი რომაული შეხედულებით „მამა – ის არის, ვისზედაც მიუთითებს ქორწინების ფაქტი“.

უფროს ვაჟიშვილს ზოგჯერ ეძლეოდა, ეგრეთ წოდებული, პეკული, მის სარგებლობაში ქონების ნაწილი (ზოგიერთი ნივთი, წვრილფეხა საქონელი, ფრინველი). ოდნავ მოგვიანებით ბავშვები უკვე ქონების მესაკუთრეებად ცხადდებოდნენ, რომელსაც მემკვიდრეობით იღებდნენ დედის ან დედის მხრიდან ნათესავების სიკვდილის შემდეგ ან იღებდნენ საჩუქრად დედისა და მისი ნათესავებისგან. ხოლო იუსტინიანეს დროს დაწესდა, წესი რომლის თანახმად ვაჟიშვილს უკვე ეკუთვნოდა მის მიერ შეძენილი მთელი ქონება მამის სახსრებით ნაყიდის გარდა.

თემა 6. რომის ქორწინების სამართალი

21. რომაული ქორწინების ზოგადი დებულებები

რომაულ საზოგადოებაში, რომელიც მკაფიოდ იყო დაყოფილი სამართლებრივი მდგომარეობის საზღვრებით თავისუფლებსა და დამოკიდებულებზე, მოქალაქეებსა და არამოქალაქეებზე, პირთა გარკვეული ფენებისა და კატეგორიების საქორწინო ურთიერთობები არსებითად განსხვავდებოდა და მკაცრ იურიდიულ „პირობითობებს“ ეფუძნებოდა. საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების სიწმინდე განსაკუთრებულ მნიშვნელობას არისტოკრატიულ წოდებასთან (თავდაპირველად, პატრიციულ) მიმართებაში იძენდა, რომელთათვისაც ქორწინებას, უპირველესად, საჯარო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე კერძო. ამასთან ერთად, ქორწინებაზე ვინმეს იძულება შეუძლებელი იყო, რამეთუ საქორწინო ურთიერთობების ფუძისეული პრინციპი საკმაოდ ადრე ჩამოყალიბდა: „ქორწინება სრულიად თავისუფალი უნდა იყოს“.

ქორწინება რომის სამართალში გაგებული იყო, როგორც მამაკაცისა და ქალის სოციალურ-ნიშნადი კავშირი, რომელიც განსაზღვრავდა ამ კავშირში დაბადებული ბავშვების სამართლებრივ მდგომარეობას, მეუღლეების ქონებრივ ურთიერთობებსა და მათ მემკვიდრეობით უფლებებს. რომაულ სამართალში ქორწინების არსის შესახებ წერია: „ქორწინება არის ქმრისა და ცოლის კავშირი, მთელი ცხოვრების შეერთება, ღვთაებრივი და ადამიანური უფლების ერთობა“ (მოდესტინე); „ქორწინება – მამაკაცისა და ქალის კავშირია, რომელთა მიზანია ერთობლივი ცხოვრება“ (იუსტინიანეს კრებული); „ქორწინება (უბრალო) თანაცხოვრებით კი არ იქმნება, არამედ (მეუღლეების) თანხმობით“ (დიგესტები); „... ქორწინებას სქესობრივი კავშირი კი არ ქმნის, არამედ ცოლქმრული ერთგულება, სიყვარული“, (ულპიანე).

რომაულ სამართალში ქორწინების ყველაზე მთავარ პირობად დადგენილი იყო მუდმივი ერთობლივი ცხოვრება და ცოლქმრული ურთიერთობა. კანონი მიუთითებდა მეუღლეს, რომელიც ქმრის ოჯახში შედიოდა და მის წოდებრივ სტატუსს იძენდა, რომ პატივი ეცა ქმრისთვის. ვინაიდან ძველი კანონების მიხედვით ქალი სახლის უფროსის – ქმრის აბსოლუტურ საკუთრებაში არსებული ნებისმიერი სახლის ნივთის თანასწორად განიხილებოდა, მისთვის მიყენებული ნებისმიერი შეურაცხყოფა მეუღლისთვის ზიანის მიყენებას ნიშნავდა. ამიტომ, ამ უკანასკნელს მუდამ უნდა უზრუნველყო მისი ინტერესების დაცვა. მეუღლეებს ეკრძალებოდათ ერთმანეთის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა, აგრეთვე არ შეი-

ძლებოდა ერთმანეთის წინააღმდეგ მოწმედ გამოსვლის დაძალება. რბილად რომ ვთქვათ, ქორწინებაში მოსაწონი არ იყო ძვირფასი საჩუქრები. დიგესტებში ამის შესახებ დაწვრილებით წერია: „ეს მიღებულია იმისთვის, რომ ურთიერთსიყვარულით (მეუღლეებმა) ჩუქების გზით ქონება არ წაართვან ერთმანეთს, არ დაკარგონ ზომიერების გრძნობა და არ იმოქმედონ საკუთარი თავის მიმართ ქარაფშუტული გამფლანგველობით“ (ულპიანე, D. 24.10.1). პაულიუსმა ეს აზრი განაგრძო: „და რათა არ დაიკარგოს, უპირველესად, ბავშვების აღზრდის სწრაფვა“ (D. 24.10.2). „ჩვენმა წინაპრებმა აკრძალეს ცოლ-ქმარს შორის საჩუქრების მირთმევა; ისინი აფასებდნენ პატივსაცემ გრძნობას, სიყვარულს დაფუძნებულს მხოლოდ სულიერ ურთიერთობებზე და ზრუნავდნენ მეუღლეების რეპუტაციაზე, რამეთუ (მეუღლეების) თანხმობას არ ჰქონდა საფასურის საშუალებით შექმნილი იერი და რამეთუ უკეთესი არ გაღარიბდეს, ხოლო უარესი არ გამდიდრდეს (ულპიანე, D. 24.10.3).

22. რომაული ქორწინების სახეობები (matrimonium)

ქორწინების ფორმების ძირითადი დაყოფა მისი იურიდიული გაფორმებით ხდებოდა. ამის შესაბამისად განასხვავებდნენ:

- *კანონიერი* ან არასწორი ქორწინება (matrimonium justum),
- *და არაკანონიერი* ან სწორი ქორწინება (matrimonium injustum), რომელიც ასევე აღიარებული იყო, როგორც სრულიად ლეგალური, თუმცა აუცილებელი საკრალური ფორმულებით არ იყო ნაკურთხი.

რომაული სამართალი იცნობდა საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების კიდევ ერთ, არაიურიდიულ ქორწინებას, რომელსაც *კონკუბინატი* (concubinatus) ეწოდებოდა. ეს იყო ორი თავისუფალი ადამიანის ფაქტობრივი თანაცხოვრება ოჯახის შექმნის მიზნით. კონკუბინატის დროს, თავდაპირველად, ქორწინება იურიდიულად არ შეიძლებოდა გაფორმებულიყო (სხვაგვარად – ადიულტერი), მაგრამ რესპუბლიკის პერიოდში მოთხოვნები მნიშვნელოვნად გამარტივდა.

23. კანონიერი ქორწინება (matrimonium justum)

კანონიერი ქორწინება, ზუსტად რომ ვთქვათ, იყო ერთადერთი ლეგალური და ლეგიტიმური საქორწინო კავშირი, ვინაიდან მყარდებოდა რომაელ მოქალაქეებს შორის, რომელთაც გააჩნდათ jus conubii, ესე იგი თავად დაქორწინების უფლება და მეუღლეების სწორედ ქორწინებაში ცხოვრების გულითად განზრახვას გულისხმობდა. შეგახსენებთ, რომ, თავდაპირველად, jus conubii მხოლოდ პატრიციებსა და ძველ ლათინებს გააჩნდათ.

მოსახლეობის სხვა ფენებს, აგრეთვე გარკვეული ხარისხით დამცირებული რომის მოქალაქის სტატუსის მქონე პირებს ეს უფლება არ გააჩნდათ. მათ დაქორწინება შეეძლოთ მხოლოდ თავის სოციალურ-წოდებრივი წრის წარმომადგენლებთან, ამ ურთიერთობების დაცვის გარეშე (რომის კანონების თანახმად).

კანონიერი ქორწინება მუდამ იყო მხოლოდ ორი სახის:

- მეუღლის სრული ძალაუფლებით – ქორწინება კუმ მანუ (კონფარეაცია, კოემპცია, უზუს);
- ქმრის სრული ძალაუფლების გარეშე – ქორწინება სინე მანუ.

24. ქორწინება ქმრის ძალაუფლებით („ქორწინება ხელით", cum manu mariti) და მისი სახეობები

ქორწინების აღნიშნული სახეობა საქორწინო კავშირის უძველეს ფორმას წარმოადგენდა, იგი გულისხმობდა ქმრის აბსოლუტურ და ცალმხრივ ძალაუფლებას და იურიდიულად ცოლის გადასვლას ქმრის ოჯახში. ცოლი ამ ქორწინებაში მოკლებული იყო პირად უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების საშუალებებს. ცოლის ადრე კუთვნილი და, აგრეთვე, შეძენილი ქონება ქმრის ქონება ხდებოდა.

არქაულ დროს დაქორწინების cum manu mariti რიტუალი ოჯახებს შორის მოლაპარაკებებისა და ისტორიული ეპოქის შესაბამისი ზნე-ჩვეულებების მიხედვით რამდენიმე განსხვავებულ ვარიაციაში ტარდებოდა. დაქორწინების ასეთი ფორმები იყო:

- *კონფარეაცია,* ტარდებოდა ათი მოწმის მონაწილეობით სიმბოლური გამოცხადებით რელიგიურ პროცედურასთან ერთად, იუპიტერის წინაშე ფიცის დადებით და ქურუმი ფლამინების მიერ ქორწინების კურთხევით, ამასთან, პატარძალი წარმოთქვამდა: „სადაც შენ ხარ, გაიუს, მეც იქ ვარ, გაია" („ubi tu Gaius, ibi ego Gaia"). ქორწინების ეს სახეობა პატრიციული გვარისთვის იყო დამახასიათებელი;
- *კოემპცია,* ტარდებოდა ხუთი მოწმის თანდასწრებით მომავალი ცოლის ყიდვით მისი ოჯახისგან (წინანდელი სახლის უფროსისგან). შემდგომში პატარძლის საფასური სიმბოლური გახდა – ერთი სესტერციუსი (nummo uno ან ერთი მონეტა). არსებითად, ეს იყო მანციპაციის ნამდვილი წეს-ჩვეულება, სადაც მომავალი მეუღლე ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა;
- *უზუსი,* სიტყვასიტყვით რომ ვთქვათ, ეს ფორმა დროგადასულობისა და ხანგრძლივი არსებობის გამო ქორწინების აღიარებას წარმოადგენდა. საქორწინო ურთიერთობების ასეთი ფორმის დასასრულს ქალი

სახლდებოდა ქმრის ოჯახში, მოჰქონდა მზითევი, მეუღლეები ერთობლივად მართავდნენ მეურნეობას ქალის ნათესავების მხრიდან ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე. ასეთი კავშირების სხვა სახეობებისათვის დამახასიათებელმა საქორწინო ურთიერთობების სისადავემ და უკიდურესი სიმკაცრის არარსებობამ ქორწინების ამ ფორმის ფართო გავრცელება განაპირობა, განსაკუთრებით რომაელ მოქალაქეთა არამდიდარ ფენებში. უზუს ქორწინებას შეეძლო „ქმრის ძალაუფლების" მდგომარეობის მოპოვება მხოლოდ ქმრის სახლში ცოლის განუწყვეტელი ყოფნის ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ქმრის სახლში ცოლის სამდღიანი არყოფნის შემთხვევაში (usurpatio trinoctii) ქმარი და მისი ოჯახი კარგავდა მეუღლეზე აბსოლუტურ ძალაუფლებას, ამასთან ცოლიც კარგავდა ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას.

25. ქორწინება ქმრის ძალაუფლების გარეშე (ქორწინება „ხელის გარეშე", sine manu)

კანონიერი ქორწინების ეს სახეობა, როგორც ჩანს, უზუსიდან არის წარმოებული და ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ჩვ. წ-მდე II საუკუნისთვის. ასეთი დაქორწინება უბრალო საქორწინო თანხმობის შედეგად ხდებოდა, რომლის დროსაც ცოლი ინარჩუნებდა თავის უწინდელ იურიდიულ სტატუსს („თავისი უფლების" ან „სხვისი უფლების"), კავშირს მამისეულ სახლთან და ახალ, თავისთვის აგნატური ოჯახის ჩარჩოებში გარკვეულ დამოუკიდებლობას. თუმცა, ოჯახის ცხოვრების ადგილსა და ბავშვების აღზრდის წესების შესახებ საკითხებში ქმრის აზრი მუდამ დომინირებდა. გარდა ამისა, ქორწინების შეწყვეტა არა მარტო ორივე მხარის თანხმობით ხდებოდა, არამედ ერთ-ერთი მეუღლის თავისუფალი სურვილით. საკმარისი იყო, ეგრეთ წოდებული, *განქორწინების წერილის* გადაცემა. ასეთი განცხადებისთვის საპატიო მიზეზების არარსებობის შემთხვევაში განქორწინების განმცხადებელ მეუღლეს ქონების გაყოფისას მეორე მხარის სასარგებლოდ შეეძლო დაეკარგა რაღაც ნაწილი.

ქმარს არ გააჩნდა აბსოლუტური ძალაუფლება არც ცოლზე და არც მის ქონებაზე, გინდ შეძენილი ყოფილიყო ერთობლივი ცხოვრების პერიოდში, თუკი არ არსებობდა შესაბამისი შეთანხმება. მეუღლეები იურიდიულად თანასწორ ობიექტებად ითვლებოდნენ, შეეძლოთ ერთმანეთისთვის სარჩელი წარედგინათ (სახელის გამტეხის გარდა).

26. საქორწინო პირობები და საქორწინო დაბრკოლებები

საქორწინო პირობები. ქორწინებისთვის არსებობდა გარკვეული მოთხოვნები. მათ, უპირველესად, განეკუთვნებოდა:

- კანონიერი რომაული ქორწინების თვითონ უფლების არსებობა – ius conubi. ჩვ. წ-მდე 212 წლამდე ასეთი უფლებები ჰქონდათ მხოლოდ რომაელ მოქალაქეებსა და latini prisci (ძველ ლათინებს);
- საქორწინო ასაკის მიღწევა, ქალებისთვის 12 წელი, ვაჟებისთვის 14 წელი;
- მექორწინენი არ უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაში;
- საქმროსა და საცოლის თანხმობა, ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ისინი მშობლების ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, საჭირო იყო მათი თანხმობაც;
- ქორწინება უნდა ყოფილიყო მკაცრ შესაბამისობაში ერთ-ერთ არსებულ ფორმასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებაში იკრძალებოდა ერთმანეთისთვის საჩუქრების მირთმევა, კანონი არათუ არ უქმნიდა დაბრკოლებებს, არამედ მომავალ მეულლეს მიუთითებდა სპეციალური საქორწინო საჩუქრის მირთმევაზე (მეულლისთვის თავისი ქონების რაღაც ნაწილის მირთმევა). ეს საჩუქარი რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა. ის განასახიერებდა მისი განზრახვების ჭეშმარიტებას, უზრუნველყოფდა მტკიცე კავშირს, აგრეთვე წარმოადგენდა რაღაც დაბრკოლებას მეულლის დაუსაბუთებელ გაყრაზე განცხადების წინააღმდეგ.

ასეთი საქორწინო საჩუქარი განსხვავდება *მზითევისგან* (dos), რომელიც ქალს მიჰქონდა თავისი მომავალი მეულლის ოჯახში. მზითევის მთავარი დანიშნულება იყო ერთობლივ საოჯახო მეურნეობაში ცოლის წვლილის შეტანა და მის მართვაში ქმრის ტვირთის შემსუბუქება. ამიტომ მზითევი აუცილებელი ელემენტი იყო, რომელსაც ცოლის პატერფამილიასი, თავად ცოლი ან მესამე პირი ადგენდა. რომის ისტორიის ადრეულ ეტაპზე გაყრის შემთხვევაში მზითევი ქმართან რჩებოდა, მაგრამ მოგვიანებით ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც ქალი უკან იბრუნებდა მზითევს. შემთხვევით არ არის დიგესტებში ასეთი დებულება: „თუმცა მზითევი ქმრის ქონებაა, მიუხედავად ამისა, ის ცოლს ეკუთვნის“ (D. 23. 5. 75). ამრიგად, საქორწინო საჩუქარსა და მზითევს შორის რაღაც მსგავსება იყო.

მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა, ეგრეთ წოდებული, *დოტალური სისტემა*, რომლის მიხედვითაც ცოლის მთელი ქონება (მშობლებისგან და

სხვა პირებისგან მიღებული) ქმრის დაქვემდებარებაში შედიოდა. თავის მხრივ, ქმრის ქონება განიხილებოდა როგორც გირაოს საგანი, რომელზეც უფლება ცოლს გააჩნდა.

საქორწინო დაბრკოლებები. ბათილად ითვლებოდა ქორწინება შეშლილთან და ასევე ფიქტიური ქორწინება („მხოლოდ რომ გარეგნული იერისთვის“). მექორწინეთა შორის არ უნდა არსებულიყო ნათესაური კავშირი აღმავალი ხაზით თუ დაღმავალი ხაზით, ასევე გვერდითი ხაზით. აკრძალული იყო ერთი გვარის წევრთა ქორწინება; მეურვესა და სამეურვეო პირს შორის ქორწინება; ქმრის მოღალატე ქალისა და მისი საყვარლის ქორწინება და ა.შ.

ჩვ. წ-მდე I ს. ბოლოს სხვადასხვაგვარი შეზღუდვები უფრო გაძლიერდა, რაც ბევრად იყო დაკავშირებული პრივილეგირებული წოდების კონსოლიდაციასთან. მაგალითად, მაღალი პროვინციელი მოხელეებისა და ადგილობრივი მცხოვრები ქალების ქორწინება იკრძალებოდა. ასევე არ შეიძლებოდა დაქორწინებულიყო სენატორი გაასხატებულ ქალზე. კატეგორიულად აკრძალული იყო მსახიობებთან ქორწინება, მოდესტინეს სიტყვებით „სხვის გამრთობებთან“. თანაც ქორწინება აკრძალული იყო იმათთანაც კი, ვინც, პატრიციული წოდების მკაცრი ზნეობრივი კანონების თვალსაზრისით, ცრუმორწმუნეობრივ ცხოვრების წესს აღარ მისდევდნენ („მოქმედების საძრახისობა ამ მოქმედების შეწყვეტით არ ისპობა“). სხვა შემთხვევაში, პატრიციას სტატუსის მნიშვნელოვანი დამცირება ელოდა, ინფამიამდეც (სახელის გატეხვამდე) კი.

27. ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები

კანონიერი რომაული ქორწინების შეწყვეტა ხდებოდა შემდეგ შემთხვევებში:

1. ერთ-ერთი მეულლის გარდაცვალებით;
2. ერთ-ერთი მეულლის დაპატიმრებით;
3. ერთ-ერთი მეულლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევით;
4. განქორწინებით.

არქაული სამართლის პერიოდში, ქმრის ძალაუფლებით ქორწინებაში განქორწინების ინიციატორად მხოლოდ მამაკაცი შეიძლება ყოფილიყო. ცოლს, ხშირ შემთხვევაში, კანონი განიხილავდა, როგორც მის საკუთრებას, ამიტომ იგი ქმრის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა. ქმარს შეეძლო გაყრა მოეთხოვა სხვადასხვა მიზეზისდა გამო, მათ შორის, ღალატის, უშვილობის გამო და სხვ. ზოგ შემთხვევაში გაყრა შეიძლება მოეთხოვა ქმრის ოჯახის უფროსს. ქმრის ძალაუფლების გარეშე ქორწინებაში

განქორწინების უფლება ჰქონდა როგორც მამაკაცს, ისე ქალს. ასეთ გაყრას *რედუტიუმი* ეწოდება (redutium, დაბრუნება), ხოლო თუ ორივე თანახმა იყო – *დივორტიუმი* (divortium, გაყრა). საკმარისი იყო ამის შესახებ მოწმეების წინაშე გამოცხადება ან ფაქტობრივი ერთობლივი ცხოვრების შეწყვეტა.

ჩვ. წ-მდე I ს. ბოლოს რომაელთა ყველა კატეგორიისთვის ქორწინების უპირატეს ფორმად, პრაქტიკულად, ქორწინება რინე მანუ („ხელის გარეშე“) გახდა. ამასთან, მკაცრი რელიგიური და ზნეობრივი შეზღუდვები და წესები წარსულს ჩაბარდა, ხოლო ქორწინება ანგარიშით, დროებითი თანაცხოვრება, განქორწინებები ნორმად იქცა. საერთო ზნეობრივი დაცემა განსაკუთრებით საგრძნობლად აისახა არისტოკრატიულ წრეებზე. შემთხვევითი არ იყო ოქტავიანე აეგუსტუსის დროს (ჩვ. წ-მდე 18 ან 4 წწ.) ქორწინების შესახებ განსაკუთრებულად მკაცრი კანონების მიღება (Lex Julia de maritandis ordinibus), რათა ამ სფეროში რამდენადმე გაჯანსაღებულიყო მდგომარეობა. კანონები მოიცავდა უქორწინობის, საქორწინო-ოჯახურ ურთიერთობებში უშვილობისა და უზნეობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართულ რადიკალურ ზომებს. ზოგიერთი მათი დებულება იყო: თავისუფლად დაბადებულებსა და გაზატებულებს შორის ქორწინების დაკანონება (სენატორების ქორწინების გარდა); ზედმეტი მამისეული დაბრკოლებების აკრძალვა მათი შვილების ქორწინების გამო; ქორწინებაში ყოფნის მოვალეობის შემოღება: მამაკაცებისთვის 25-დან 60 წლამდე, ქალებისთვის 20-დან 50 წლამდე; ახალი დაქორწინების მოვალეობა: ქვრივთათვის – 2 წლის განმავლობაში, განქორწინებულთათვის – წლინახევრის განმავლობაში; ოჯახის მოვალეობა, იყოლიონ, მინიმუმ, სამი შვილი, რისთვისაც სახელმწიფოსგან გარკვეულ შეღავათებს იღებდნენ, სხვა შემთხვევაში – გადასახადი უშვილობაზე, აგრეთვე სამემკვიდრეო უფლებების არსებითი შეზღუდვები და ა.შ.

ამასთან ერთად Lex julia de maritandis ordinibus-ს დამატებით ჩვ. წ.-მდე 18 წელს გამოიცა „იულიუსის კანონი მრუშობის წინააღმდეგ“ (Lex Julia de adulteriis). კანონი, რომელსაც, ხელისუფალთა აზრით, საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებში უნდა შეეჩერებინა შემდგომში ზნეობრივი დაცემა. ამ კანონით დანაშაულს უთანაბრდებოდა არა მარტო *ცოლქმრული ერთგულების პირდაპირი დარღვევა* (adulterium), არამედ მის მიმართ მეუღლის ნათესავებისა და ახლობლების მხრიდან მიმნებებლობა. „დანაშაულის ადგილზე“ საყვარლის დაჭერის შემთხვევაში მოტყუებულ ქმარს უფლება ჰქონდა მოეკლა მეტოქე, ხოლო შერცხვენილ მამას შეეძლო მოეკლა ქალიშვილიც და მისი შეყვარებულიც. დამნაშავის პირველრიგოვანი ბრალდების უფლება ქალის მამასა და მის მეუღლეს

ჰქონდათ, ხოლო სამოცი დღის შემდეგ ეს უფლება 25 წელს მიღწეულ ნებისმიერ მოქალაქეს ეძლეოდა, თუკი ამ დროისთვის ქმარი არ პატიობდა მოღალატეს და აგრძელებდა მასთან ქორწინებაში ყოფნას. საყვარელს, სასამართლოს საბრალდებო განაჩენის შემთხვევაში, ელოდა: ქონების ზოგიერთი ნაწილის კონფისკაცია, კუნძულზე გასახლება (deportatio in insulam), ქალისთვის კანონიერ ქორწინებაში ყოფნის აკრძალვა. იმ კაცების სქესობრივი აღვირახსნილობის სხვაგვარი გამოვლენა, რომლებიც არ იყვნენ „მრუშობის“ გავლენის ქვეშ მოხვედრილები, განიხილებოდა როგორც „სახელის გატეხა“ და არანაკლებ მკაცრად ისჯებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონების მოქმედება ხანმოკლე აღმოჩნდა, უკვე მალევე მიიღეს პაპიუსისა და პოპეიუსის კანონი (Lex papia poppaea, ჩვ. წ-მდე 9 წ.), რომელმაც მათი მნიშვნელობა საგრძნობლად შეარბილა. ამასთან ერთად, ეგრეთ წოდებული, ქორწინების შესახებ იულიუსის კანონის სასტიკი დებულებები ფორმალურად გააუქმეს მხოლოდ ჩვ.წ. IV საუკუნეში.

იუსტინიანეს კრებულში გათვალისწინებული იყო დივორტიუმის განქორწინების ორი სახეობა:

- მხარეთათვის ნეგატიური შედეგების გარეშე (divortium sine damno, განქორწინება მსჯავრის დადების გარეშე), რომელიც შესაძლებელი იყო მხარეების ურთიერთშეთანხმებით, ასევე ერთ-ერთი მეუღლის ნებით;
- განქორწინება ცუდი შედეგებით (divortium cum damno, განქორწინება მსჯავრის დადებით), არაკანონიერი განქორწინების შემთხვევებში (განქორწინების შემდეგ უნდა გადაეხადათ სპეციალური ჯარიმა), ან ერთ-ერთი მეუღლის მიზეზით (ღალატი, დანაშაულის ჩადენა, მეუღლის სიცოცხლის ხელყოფა, ამორალური ცხოვრების წესი და ა.შ.).

თემა 7. მეურვეობა და მზრუნველობა რომის სამართალში

28. მეურვეობისა (tutela) და მზრუნველობის (cura) ზოგადი დებულებები

რომაულ საზოგადოებაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში, იყვნენ ადამიანები, რომელთაც ამა თუ იმ პოზიტიური თუ ნეგატიური მიზეზებით არ შეეძლოთ არსებული მათი უფლებების დამოუკიდებლად განხორციელება და კანონიერი ინტერესების რეალიზება. ესე იგი,

მათი ქმედუნარიანობა, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, რაც ან არსებითად შეზღუდული იყო, ან სრულიად არ არსებობდა. ამიტომ ასეთ პირებს არ შეეძლოთ სხვადასხვა სახის გარიგებებში მონაწილეობა და საკუთარი თავის დაცვა.

ქმედუნარიანობის შეზღუდვის ყველაზე გავრცელებული მიზეზები იყო: სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისათვის არასაკმარისი ასაკი, პირთა მედეგი ფიზიკური ნაკლულოვანებები, სულით ავადმყოფობა, მფლანგველობა, ქალებისთვის დამახასიათებელი ზედმეტი მიმნდობლობა და ა.შ.

რომის სამოქალაქო სამართალში, ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად, არსებობდა წარმომადგენლობის ინსტიტუტი. ინტერესების ასეთი წარდგენა საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ჩარჩოებში, უზრუნველყოფდა მეურვეობისა და მზრუნველობის სახსრებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ რომის სამართალში ამ ორ ინსტიტუტს შორის საკმაოდ მკაფიო განსხვავება არასოდეს ყოფილა. რომის იურიდიული დოქტრინა არსებული სხვაობის გააზრების მცდელობის იქით (მაგ., მეურვეობა ეკუთვნის სამეურვეო პირს, ხოლო მზრუნველობა – მის ქონებას) არ წავიდა. გვიანდელ პერიოდშიც მეურვეობა და მზრუნველობა წარმომადგენლობისა და ცალკეული კატეგორიის პირთა ინტერესების დაცვის ერთიან ინსტიტუტად გაერთიანდა. ნორმებისა და ურთიერთობების ამ ერთობლიობას ყველაზე ხშირად, საკუთრივ, მეურვეობას – cura[1] უწოდებდნენ.

მთლიანობაში, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების აუცილებლობის მიზეზები იყო პირების სტატუსის არსებითი შეზღუდვების შემთხვევები.

29. მეურვეობისა და მზრუნველობის სახეობები

სამეურვეო ურთიერთობების უძველეს სახეობად ითვლებოდა ოჯახის უფროსის *დაქვემდებარებაში* მყოფი ახლობლებისა და ნათესავების *ინტერესების წარმომადგენლობა*, რომელიც დაფუძნებული იყო სახლის უფროსის სტატუსის სიწმინდეზე. შემდეგ გაჩნდა *საანდერძო მეურვეობა*, როგორც პატერფამილიას უკანასკნელი ნების ასრულება, რომელიც შეიცავდა თხოვნას მისი ძალაუფლების მემკვიდრის – ოჯახის ახალი

[1] თანამედროვე სამართალი მეურვეობისა და მზრუნველობის გამიჯვნის კრიტერიუმად თვლის მოცულობას, რომელიც პირის ქმედუნარიანობის აღდგენას ექვემდებარება, ამიტომ მთლიანად არაქმედუნარიანზე საჭიროა მეურვეობის დაწესება, ხოლო ნაწილობრივ ქმედუნარიანზე – მზრუნველობის.

უფროსის აღზრდისა და ყველანაირი დახმარების აღმოჩენის შესახებ. იმ შემთხვევაში თუკი სახლის უფროსმა ანდერძის წერილი არ დატოვა, ან არ დაასახელა სამეურვეო მოვალეობების შემსრულებელი კონკრეტული პირი, მაშინ კანონით მეურვეობას კისრულობდნენ აგნატური ნათესავები, რომლებსაც პერსპექტივაში თავიანთი გვარის მცირეწლოვანი წევრის შემდეგ შეეძლოთ მემკვიდრეები გამხდარიყვნენ. დაბოლოს, მეურვეობას უკვე აწესებდნენ *ადმინისტრაციული გზით*, ქალაქის ერთ-ერთი მაგისტრატის განკარგულებით პირის ინტერესების წარსადგენად, რომელიც გარკვეული გარემოებების გამო შეზღუდული (კანონით არსებული) იყო დამოუკიდებელ მოქმედებებში და, შესაბამისად, საჭიროებდა თავისი ინტერესების წარდგენას სხვა პირის მიერ (მიჩენილი მეურვეობა).

მეურვეობის სხვა სახეობებს მიეკუთვნებოდა მეურვეობა მცირეწლოვნებზე, ქალებსა და მფლანგველებზე (შეშლილებზე) და სხვ.

მეურვეობა *მცირეწლოვნებზე* (tutela impuberum) იმის გამო წესდებოდა, რომ ისინი მოქალაქის ქმედუნარიანობის ასაკს არ იყვნენ მიღწეულნი – ბავშვებზე (7 წლამდე), მოზარდებზე (7 წლიდან 12-14 წლამდე) დიდი ქონების შეძენის დროს, ან ნებისმიერი ნივთის გასხვისებისას, სრულწლოვანებზე (14-16 წელი), რომლებიც არ იყვნენ დაქორწინებულები 25 წლამდე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სამეურვეო პირს რჩევის ან თავისი გარიგებების სამართლებრივი ცენზის გასაძლიერებლად მუდამ ჰქონდა შესაძლებლობა კურატორისთვის მიემართა.

შეშლილთა მიმართ დაწესებული იყო მეურვეობის სპეციალური სახეობა, რომელსაც ეწოდებოდა cura furiosi (სიტყვიდან furialis, ცოფი, გაშმაგება, გახელება)[1]. მეურვეებად, რომლებსაც მთელი პასუხისმგებლობითა და პატიოსნებით უნდა ემართათ მათზე მინდობილი ქონება, ავადმყოფის უახლოესი აგნატები, ან სახლის უფროსის მიერ რეკომენდებული, ან მაგისტრატის მიერ დანიშნული პირები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთან, განასხვავებდნენ ავადმყოფობის მიმდინარეობის ისეთ თავისებურებებს, როგორიცაა სიგიჟე „ცნობიერების დაბრუნების გარეშე“ (გონების ტყვეები) და „ნათელი შუალედებით“, როდესაც ავადმყოფი თითქმის ჯანმრთელი ადამიანივით იქცეოდა. პირველ შემთხვევაში სამეურვეო ურთიერთობები წესდებოდა სამუდამოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში – შეტევების დროს. მეურვეობის ამ სახეობასთან ახლოს იდგა *სუსტი გონებრივი უნარის მქონე პირთა* ინტერესების, მეზობლებისთვის ცნობილი სხვადასხვა სახის სულელებისა და მიამიტების, წარმომადგენლობა.

[1] ასეთი სახელწოდება წარმოიშვა შურისძიების ქალღმერთის სახელიდან – ფურია (Furia).

მათ ფორმალურად ყველა უფლება ჰქონდათ, თუმცა მათი განხორციელება მხოლოდ კურატორის თანხმობით უნდა მომხდარიყო.

მემკვიდრეობით მიღებული ფულადი სახსრების უგუნურად ხარჯვა მფლანგველობად იყო აღიარებული, რაც მეურნეობას სრულ *განადგურებას* უქადდა[1] და ამიტომაც შეიძლებოდა მეურვეობის დაწესება, რასაც ერქვა მეურვეობა უცნაურ ადამიანზე. მეურვეობის ასეთი სახეობის დროს პირს შეეძლო გარიგებების დადება ქონების შეძენის გამო, მაგრამ მისი გასხვისების ან გამომდინარე რაიმე ვალდებულებების გაჩენის მხრივ სამართალურთიერთობებში არსებითი შეზღუდვები იყო. ამასთან ერთად, სამეურვეო პირს ჩადენილ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებოდა.

ქალებზე, როგორც აღინიშნებოდა, „დამახასიათებელი ქარაფშუტობისა და მიმნდობლობის“ გამო ყოველთვის იყო დაწესებული სახლის უფროსის (ქმრის, ვაჟიშვილის, ან რომელიმე ახლო ნათესავის)[2] „მუდმივი“ მეურვეობა. მაგრამ მაინც აღსანიშნავია ასეთი მეურვეობის ნაწილობრივი ლმობიერება. მეურვის უფლებამოსილება, როგორც წესი, ქალის მიერ მეურნეობის წარმოების აბსოლუტურად ყველა ასპექტზე არ ვრცელდებოდა, ეხებოდა სამეურვეოს მხოლოდ იმ მოქმედებებს, რომელიც შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო ვალდებულებების მიღებასთან ან საჭიროებდა კანონით დამტკიცებას. სამეურვეოს, თავისი კურატორის თანხმობით, სარჩელის წარდგენაც კი შეეძლო. და მაინც, ყველა დროის რომაელი ქალი თავის მოქალაქეობრივ დამოუკიდებლობაში შეზღუდული იყო, ხოლო საჯარო-სამართლებრივ სფეროში რაიმე სახით თავის გამოჩენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. რაც შეეხება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს, მხოლოდ კლასიკური პერიოდის გვიანდელ დროს გაჩნდა უწინდელი, პრაქტიკულად სრული შეზღუდვების საკანონმდებლო შემსუბუქება. მაგალითად, თოთხმეტ წელს მიღწეული პირი თავისუფლდებოდა სავალდებულო აგნატური (ნათესაური) მეურვეობისგან[3]. „თავისი სახის“ სტატუსის მქონე გასათხოვარ და „დამოუკიდებელ“ ქალებს ქონების გამგებლობის შესაძლებლობა (მართალია, ფრიად უმნიშვნელო) მიეცა. სამშვილიანი ქალები მეურვეობისგან თავისუფლდებოდნენ (ჩვ.წ. 18 წლის კანონი) და ა.შ. ამასთან ერთად, მიუხედავად

[1] ზოგჯერ მსგავსი მოქმედებები ფასდებოდა როგორც სიგიჟის გამოვლენა.

[2] გაიუსი მეურვეობის აუცილებლობას იმით ხსნიდა, რომ ქალებისთვის დამახასიათებელი ზედმეტი მიმნდობლობის გამო ისინი საჭიროებენ გარეშე დაცვას სხვადასხვა სახის მატყუარებისაგან.

[3] საქმე იმაშია, რომ გათხოვების შემდეგ ქალი კვლავ დამოკიდებელი ხდებოდა, ახლა უკვე ქმრის, ან მისი ოჯახის სხვა პატერფამილიას მხრიდან.

მრავალი „ლიბერალური“ წაწყებისა, სამართლებრივ სფეროში ქალების მიმართ მრავალი არსებითი შეზღუდვა მაინც მუდამ რჩებოდა. თუმცა მედლის ამ მხარეს თავისი სარგებლობაც ჰქონდა. მაგალითად, კანონების ცოდნის მოქმედი პრეზუმფციის ფონზე ქალებს შეეძლოთ მათ შესახებ ნაკლები ინფორმირების მოშველიება, ასევე მათ არ შეეძლოთ პასუხისმგებლობა სხვისი ვალების გამო.

ზემოთ განხილულის გარდა, აგრეთვე, ცნობილი იყო მეურვეობისა და მზრუნველობის შემდეგი სახეობები: მედეგი ფიზიკური ნაკლულოვანებებიანი პირების (უსინათლოების, ყრუ-მუნჯების და სხვ.), ინვალიდების (სიტყვიდან vitia, სახიჩრობა, ნაკლოვანება) და უძლური პირების (cura debilum) ინტერესების წარმომადგენლობა; ამა თუ იმ მიზეზით თავისი პატრონის გარეშე დარჩენილი ქონების დაცვა – cura bonorum; მზრუნველობა ჯერ არდაბადებულ ბავშვებზე (cura ventris) და ა.შ.

30. მეურვის პიროვნული თვისებები, მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობა

მეურვის პიროვნებას მისი სტატუსის, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებდნენ. მეურვეობა ან მზრუნველობა მამაკაცის მოვალეობად ითვლებოდა, შედარებით მოგვიანებით კი სამეურვეო მოვალეობები ზოგჯერ მამის მხრიდან დედას ან ბებიას შეიძლება დაკისრებოდა. თუკი ძველ დროს მეურვეობაზე შეიძლებოდა უარის თქმა ან სხვაზე გადაცემა და ა.შ., მოგვიანებით ის გადაიქცა საპატიო საზოგადოებრივ მოვალეობად (სამსახურად).

მაგრამ ზოგიერთ პირს არ შეეძლო მეურვედ ყოფნა, რომლის დაბრკოლებებსაც მრავალი საფუძველი გააჩნდა. მათგან ყველაზე გავრცელებულებს მიეკუთვნებოდა: მედეგი ფიზიკური ნაკლოვანებების არსებობა, სამხედრო სამსახური, რომის მოქალაქეობის არარსებობა, ძალზე მოკრძალებული მატერიალური მდგომარეობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.

ამა თუ იმ გარემოებათა მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში მის პირდაპირ კანდიდატებს არ შეეძლოთ მეურვეობის მიღება. ამასთან, მეურვეობაზე უარის შემთხვევაში საპატიო მიზეზებად შეიძლება ყოფილიყო: მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მოვალეობების შესრულება; სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც მთელ დროს შთანთქავს და მეურვეობისთვის დრო აღარ რჩებათ; საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი ან კომერციული საქმეების გამო ხშირი გასვლების აუცილებლობა; მეურვეობაზე პრეტენდენტის უცოდინრობა, მისი ავადმყოფობა, 70 წელს ზემოთ ასაკი; მეურვის ან სამეურვეოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა; უკვე სახეზე

მყოფი სამი მეურვის არსებობა. მზრუნველი ან მეურვე ინიშნებოდა ძირითადად, ქონებრივ სფეროში სამეურვეოს ინტერესების უზრუნველყოფისა და დაცვისათვის, მისი სამეურნეო საქმეების წარმართვისათვის, ასე ვთქვათ „პირისგან და დავალებით". თავისი უფლებამოსილების ჩარჩოებში მას შეეძლო ქონების გამგებლობა მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე და მხოლოდ მისი გაუმჯობესების მხრივ.

მეურვეებს თავისი მოვალეობების არასათანადო შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. ასეთი შემთხვევებისთვის არსებობდა შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნები. ობლის ინტერესების დაცვის სპეციალურ საშუალებას წარმოადგენდა *სარჩელი საეჭვო მეურვეობაზე* (actio suspecti tutoris), რომლის წარდგენაც ნებისმიერ პირს შეეძლო, თუკი მეურვის მიერ სამეურვეოს საქმის წარმართვისას რაიმე საზიანოს შეამჩნევდა. ინტერესების დაცვის სხვა საშუალება იყო ოდესღაც სამეურვეო პირის მიერ მეურვეობის დასრულების (უფრო ზუსტად, დარღვევის) გამო „გამოანგარიშებითი" სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა, სამეურვეო თავისი მეურვის წინააღმდეგ გამოდიოდა და ადანაშაულებდა მას ბოროტმოქმედებაში. ეგრეთ წოდებული მეურვეობასთან დაკავშირებული პირდაპირი სარჩელი არა მარტო არაკეთილსინდისიერი მეურვის მიმართ იყო მიმართული, არამედ მისი მემკვიდრეების წინააღმდეგაც.

თუმცა, თავად მეურვის ინტერესებიც ზოგჯერ საჭიროებდა დაცვას. ამიტომ შემუშავდა სპეციალური სარჩელი, რომელიც ხელს შეუწყობდა სამეურვეო მოვალეობების შემსრულებლის მიერ დახარჯული თანხების ანაზღაურებას – სარჩელი სამეურვეო ხელშეკრულების გამო (actio tutelae contratia).

31. სამეურვეო და სამზრუნველო ურთიერთობების შეწყვეტა

სამეურვეო ურთიერთობების შეწყვეტა შეიძლებოდა შემდეგ შემთხვევებში:

- თავად სამეურვეო პირის სიკვდილი ან მისი სტატუსის შელახვა;
- მეურვის სიკვდილი ან მისი უფლებაუნარიანობის არსებითი შეზღუდვები;
- სამეურვეო პირის ქმედუნარიან ასაკამდე მიღწევა;
- ხელისუფლების მიერ მეურვის სამეურვეო მოვალეობებზე უარის მიღება;
- ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მეურვის ჩამოცილება მეურვეობიდან.

თემა 8. სანივთო სამართალი ძველ რომში

32. სანივთო სამართლის ცნება და შინაარსი

რომის კერძო სამართლის ისეთ ნაწილში, როგორიცაა სანივთო სამართალი, ყველაზე მთავარი ინსტიტუტებია თავის ნივთებზე (ფლობის, საკუთრების) უფლება და სხვის ნივთებზე (სერვიტუტები, გირავნობა) უფლება. ამიტომ ***სანივთო სამართალი*** – *ესაა მატერიალური ობიექტების ფლობა, ესაა ბატონობა ნივთზე.*

სანივთო სამართალი – იურიდიული ნორმების ერთობლიობაა, რომელიც ქონებრივ სფეროში ურთიერთობების რეგლამენტირებას ახდენს, მათ შორის ნივთების სამართლებრივი მდგომარეობის, რომელიც განსაზღვრავს საკუთრების უფლებას, აგრეთვე სხვისი საკუთრების გამოყენების უფლებას და მესაკუთრის ქონების ყაირათიანი გამოყენების უფლებას და სხვ.

სანივთო სამართლის საპირისპიროა ვალდებულებითი სამართალი. თუკი პირველი ყველაზე ვრცელდება და მისი მოთხოვნები აბსოლუტურია, მეორე ეხება მხოლოდ ვალდებულის მხარეს – მოვალის მიმართ.

33. ნივთების (res) ცნება და კლასიფიკაცია

რომაელი იურისტების გაგებით *ნივთები* (res, ნივთი, საგანი, საქმე) განიხილებოდა არა მარტო როგორც გარე მატერიალური სამყაროს განკერძოებული ნაწილი, რომელიც ბუნების ან ადამიანის მიერ შეიქმნა და იურიდიული ბატონობის საგანი გახდა, არამედ კიდევ როგორც მათი მონაწილეობით წარმოქმნილი და განხორციელებული შესაბამისი სამართალურთიერთობა („სახელწოდება ნივთები, აგრეთვე, მოიცავს იურიდიულ ურთიერთობებსა და უფლებებს" D. 50. 16. 23).

რომის სამართალმა შეიმუშავა ნივთების მრავალი კლასიფიკაცია, რომელთაგან ზოგიერთმა დღეისთვის დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ ძველი და შუა საუკუნეების იურიდიულ პრაქტიკასა და თეორიის განვითარებაზე დიდი მნიშვნელობა იქონია. უფრო მეტიც, ზოგიერთ სანივთო დაყოფას დღემდე გარკვეული როლი აკისრია. სამართალურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვან სანივთო კლასიფიკაციას განეკუთვებოდა შემდეგი დაყოფები.

რომის სამართლის დებულებების მიხედვით ყველა ნივთი დაყოფილი იყო, უპირველესად, *სხეულებრივ* ნივთებზე (res corporales), რომლის შეხება და შეგრძნება შესაძლებელი იყო და *არასხეულებრივ* ნივთებზე

(res incorporate), რომლებიც შეიძლება იყოს მხოლოდ წარმოდგენითი, გაფიქრებული (მარტორქა), განსაზღვრული (მაგ., ცნება თავისუფლება), აგრეთვე შეიძლება ყოფილიყო სამართლის ობიექტი (ვალდებულებითი, სანივთო ან სამემკვიდრო სამართალი, სერვიტუტები და სხვ.).

შემდეგი ნივთები დაყოფილი იყო სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებზე (res extra commercium), როგორც fas[1] მიხედვით და თავისი საჯარო მნიშვნელობის გამო: რელიგიური საკულტო ნივთები, წმიდათა-წმიდა ნივთები[2], აკრძალული წიგნები, სახელმწიფოს მიწა, ჰაერი (მაგრამ არა საჰაერო სივრცე), ზღვა, ატმოსფერო, გამდინარე წყლები, სანაოსნო მდინარეები, მოედნები, გზები, აბანოები, ქალაქის სავარჯიშო დარბაზები, დასაკრძალავი ადგილები, ნავსადგურები, რომის ირგვლივ კედლები. ყველაფერი ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო იურიდიული გარიგებების საგანი. დანარჩენი ნივთები ითვლებოდა *სამოქალაქო ბრუნვაში* არსებულად (res in commercio).

შორეულ წარსულში ბრუნვაში არსებული ყველა ნივთი ხელიდან ხელში გადასვლის სირთულიდან გამომდინარე, თავის მხრივ, დაყოფილი იყო *მანციპირებულებზე* (res mancipi), რომლებსაც ეკუთვნოდნენ მონები, მიწის დასამუშავებლად განკუთვნილი პირუტყვი, იტალიის საზღვრების ფარგლებში მიწები, მსხვილი ნაგებობები, ვენახები, ზოგიერთი პრედიალური (საადგილმამულო) სერვიტუტები და *არამანციპირებულებზე* (res

[1] ნივთი წმინდა ხდება მხოლოდ რომაელი ხალხის მხრიდან დამტკიცების და აღიარების გამო, მაგალითად, კანონის საფუძველზე... ნივთს რელიგიურს ვხდით საკუთარი სურვილით, როცა გარდაცვლილს ვკრძალავთ ჩვენს კუთვნილ ადგილში..." (გაიუსის ინსტიტუციები).

შორეულ წარსულში საკრალური მნიშვნელობა გააჩნდა ველებს შორის ზღვრებს, ქალაქების ნაწილებს, სახელმწიფოსა და თემთა სასაზღვრო ნიშნებს და ა.შ. მაგალითად, საზღვრის ყველანაირი დარღვევა, სასაზღვრო ქვის გადაწევა უმძიმეს რელიგიურ დანაშაულად ითვლებოდა და სიკვდილით და ქონების კონფისკაციით ისჯებოდა. საზღვრების შემოვლის დღესასწაულიც რელიგიური მნიშვნელობის იყო, რაც ფლობის ფაქტის ყოველწლიურ დამტკიცებაში მდგომარეობდა.

წმინდა რელიგიურ ნივთებს მიეკუთვნებოდა, უპირველესად, კანონიერი დასაკრძალავი ადგილები (მათ შორის მონებისაც).

[2] მტრის ხელში ჩავარდნილი წმინდა ნივთი დროებით კარგავდა თავის საკრალურ სტატუსს, მაგრამ დაბრუნებული – კვლავ იძენდა. ასეთი ნივთების გასხვისება, ჩვეულებრივ პირობებში, შეიძლებოდა ეკლესიის ვალების გადასახდელად, ტყვეების გამოსასყიდად, უპოვართა კვებით უზრუნველსაყოფად. მაგრამ ამისთვისაც, უპირველესად, აუცილებელი იყო განსაკუთრებული წეს-ჩვეულების ჩატარება, რათა ნივთები ჩვეულებრივი გამხდარიყო.

nec mancipi), ესე იგი, სხვა განსხვავებული, საზოგადო წესით, მოძრავი ქონება.

უძრავი ქონების (res immobiles), პრინციპში, გადაადგილება არ შეიძლება, ან გადაადგილების პროცესში ფუჭდება (მიწა, მასზე აშენებული ნაგებობები და ნარგავები). გარდა ამისა – წიაღი, მიწის ზემოთ სივრცე. *მოძრავ* (res mobiles) ქონებას ეკუთვნოდა დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით სივრცობრივად გადასაადგილებელი ნივთები და მათი გადაადგილება კი, პირიქით, შეიძლება რამდენიც გენებოთ, ამით ისინი სრულებით არ იცვლებიან (საქონელი, ინვენტარი, მათ შორის, მონებიც და სხვ.).

გასაყოფი ნივთები (res divisibiles) არ იცვლის არც არსსა და არც ფასეულობას, რამეთუ ითვლებოდა, რომ ნაწილი – „წინანდელივით მთელია, მხოლოდ მოცულობაშია შემცირებული" (მადანი, ქვები, ქვიშა, ღვინო, მიწა, ნაგებობები, ვალები), ხოლო *განუყოფელი* (res indivisibiles) გაყოფის მცდელობისას სრულებით ფუჭდება, ხოლო მათი დანიშნულება იკარგება (ტანსაცმელი, შარვალი, მექანიზმი). ამასთან ერთად, ბუნებრივი განუყოფლობის მიუხედავად საკუთრივ ნივთები, უფლება მათზე სავსებით გაყოფადია, რაც აისახა ერთობლივ მესაკუთრეთა ინსტიტუტში (მაგალითად, მემკვიდრეებს შორის უფლება სახლზე).

მოხმარების ნივთები (res usu consumptibiles), მესაკუთრისთვის, როგორც წესი, მათი ერთგზის მოხმარების შემდეგ სამუდამოდ ქრება (ღვინო, სხვადასხვა პრიდუქტი, ფული); *არამოხმარების* ნივთები (res usu non consumptibiles), პირიქით, ხშირად მრავალგზის მოხმარების გამოც კი არ ნადგურდება (საიუველირო სამკაულები, მიწა, ტანსაცმელი, ნაგებობები, შრომის იარაღები).

მარტივ ნივთებს (unitum) განეკუთვნებოდა ის, რაც თავისი ბუნებით ერთ მთლიანს შეადგენდა (ქვა, მორი, მონა), ხოლო *რთულს* (connexum) – ნივთები, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ნაწილისგან, მაგრამ ერთ მთელს დაქვემდებარებული (გემი, ღუმელი, სახლი, კარადა). ამასთან, რთული ნივთის ყოველ ნაწილთან შეიძლება ნებისმიერი ოპერაციის ჩატარება, ამით მათი არსი არ იცვლება და არც იკარგება. შეიძლება ერთი ელემენტის ახლით შეცვლა. ამ კლასიფიკაციაში აგრეთვე გამოყოფილი იყო *ერთობლივი* ნივთები, ანუ, ეგრეთ წოდებული, მათი ერთობლიობა (universitates rerum distantium). ეს ისეთი ნივთები იყო, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ნივთისგან, მაგრამ არა როგორც ერთი ნივთი, არამედ როგორც ნივთთა ერთობლიობა (მაგალითად, ხალხი, რემა, ლეგიონი, ბიბლიოთეკა).

განასხვავებდნენ ნივთებს, გაერთიანებულს რაღაც საერთო ნიშნებით – საგვარეულო და თავისი განსაკუთრებული თვისებებისა და მახასიათებლების მქონეს – ინდივიდუალურს. *საგვარეულო* ნივთები (genus) ერთმანეთისგან განსხვავდებოდა მხოლოდ წონით, ზომით, რიცხვით (ღვინო, ვაშლები, პური, წყალი, მარცვლეული, ფული). ის შეიძლება ითხოვო, მისცე გირაოდ და ა.შ. და თუ მათი ფიზიკური სუბსტანცია გაქრება მათი დაბრუნება მაინც შეიძლება, მაგალითად, ფულზე (მათი ღირებულების სახით) ან შეცვალო სხვა ისეთივე ნივთით. შესაბამისად, სამართლისთვის ეს ნივთი მარად მუდმივია. ამის გაგება გამოხატული იყო ფორმულაში: „genera non pereunt“ (გვარი არ იღუპება). მაგრამ თუკი ვინმე ივალებდა, მაგალითად, ვერცხლის თასს ან სურათს, იგი ითვლებოდა *ინდივიდუალურ-გარკვეულ* ნივთად (species), ესე იგი, მისი დაღუპვის შემთხვევაში უნდა აენაზღაურებინათ მისი საბაზრო ღირებულება და მორალური ზარალი. ინდივიდუალურ ნივთებს აგრეთვე განეკუთვნებოდა მონა, მამული. შემდეგ გაჩნდა ნივთების დაყოფა *შენაცვლებადსა* (res fungibiles) და *არაშენაცვლებადზე* (res non fungibiles), მაგალითად წიგნი ბიბლიოთეკაში, როგორც მრავალთაგან ერთადერთი და წიგნი ავტოგრაფით.

მთავარი (principale) და *არამთავარი* (accessorium) ნივთები განსხვავდებოდა მათი არსებობის დამოუკიდებლობით, ადამიანის ცხოველქმედებისათვის მნიშვნელობით, მათი ერთმანეთზე დამოკიდებულებით (კარადა და გასაღები, სურათი და ჩარჩო, კაპიტალი და მისგან პროცენტი, ბეჭედი და ქვა). როგორც წესი, ყველა სამართალურთიერთობა ნივთების ორივე კატეგორიის მიმართ ხორციელდებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი ნივთის ბუნება განსაზღვრავდა მეორეხარისხოვანის ბედს (თუ სპეციალურად წინასწარ სხვა რამ არ იყო შეთანხმებული).

არამთავარი (დამატებითი) ნივთების რიცხვს მიეკუთვნებოდა აგრეთვე *შეზრდილი* ან ნაწილი (არამთავარი ნივთები, რომელიც მთავარი ნივთის გარეშე თავის მნიშვნელობას კარგავდა, მაგალითად, ხეხილი და მიწა, სადაც იზრდება); *კუთვნილებები* (არამთავარი ნივთები, რომელიც თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს მთავართან გაწყვეტის შემდეგაც, მაგრამ ეს მიზანშეწონილი არ არის. მაგალითად, კრამიტი სახურავიდან, სახლის წყალსადენი, სამზარეულოს ნიჟარა); *ნაყოფი*, როგორც მთავრისგან ნაწარმოები, მაგრამ მისგან უმტკივნეულოდ გამოსაყოფი, არამთავარი ნივთების პოტენციურად განმაახლებელი: ბუნებრივი (fructus naturalis, ბუნების ძალით შექმნილი – რძე, ბოსტნეული, ხილი) და ცივილური

(fructus civiles, ეკონომიკური და სამართლებრივი ბრუნვის შედეგი – საქირაო ან იჯარის ფასი, სესხის პროცენტები)[1].

გარდა ამისა, ყველა ნივთი კლასიფიცირდებოდა *სამართლებრივ მფლობელობაში არსებულ ნივთებზე* (res in bonis), ესე იგი, ვიღაცის საკუთრების უფლებით კუთვნილი და *უპატრონო*, არავის ნივთებზე (res nullius), რომელიც არავის ეკუთვნის (ზღვაში თევზი, ტყეში ნადირი, სამხედრო მოწინააღმდეგის ნივთები, ძვირფასი ქვები და სხვ.). ამ ნაირსახეობას განეკუთვნებოდა, აგრეთვე, პატრონის მიერ *შეგნებულად მიგდებული* ნივთები (res derelictae); მეპატრონეზე *წართმეული* (res vi); ოდესღაც ვიღაცის მიერ სამუდამოდ *დაკარგული* (res deperditae).

34. ფლობის უფლების ცნება და შინაარსი (possessio)

ფლობის უფლება საკუთრების ზოგადი უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და საკუთრებასთან კონკურენციის გამწვევი შინაარსისაა. შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა „ფლობა“ – possessio, ითარგმნება როგორც საკუთრივ „ფლობა“, ასევე როგორც „მამული“ და „მფლობელობა“ და ბოლოს, როგორც „საკუთრება“.

ფლობის უფლება დროში წინ უძღოდა საკუთრების უფლებას. მისი გაგება ჩამოყალიბდა მაშინ, როცა მთელი მიწა სახელმწიფოს ეკუთვნოდა და მის განსხვისებასთან დაკავშირებული რაიმე ოპერაციები ჯერ არ იყო გავრცელებული. როგორც აღვნიშნეთ, მიწას აგერ პუბლიკუს სტატუსი გააჩნდა – საზოგადოებრივი საკუთრების. მისი რაღაც ნაწილი იჯარით იყო გაცემული, მაგრამ ძირითადი ნაწილი გადაცემული იყო მოქალაქეების სარგებლობაში (პატრიციებისთვის). მაშინ საკმარისი იყო მხოლოდ საკუთრების ფლობა.

ამრიგად, ***ფლობის უფლება*** (jus possidendi) – ესაა პირის მიერ ნივთის პირობითი ან მატერიალური ფლობა, რომელიც მოიცავდა მისი ხელში დაჭერის შესაძლებლობას და (ზოგიერთ შემთხვევაში) მის განკარგვასაც კი, მასზე საკუთრების შესახებ უფლების განცხადებამდე. „...და ჩვენ ვიძენთ ფლობას მატერიალური და ნებისყოფის ელემენტების საშუალებით და არა მხოლოდ მატერიალური ან მარტო ნებისყოფის ელემენტით“ (D. 41. 2. 3. 1).

ერთ ადამიანში ორივე უფლებამოსილების სრული და იდეალური შეერთება აღნიშნულ ნივთზე საკუთრების მდგომარეობას ქმნიდა, რასაც უკვე *dominium* ეწოდებოდა, ესე იგი, „საკუთრება“.

---

[1] კლასიკურ პერიოდში რეგულარულად მიღებული ბუნებრივი და ცივილური ნაყოფი განიხილებოდა როგორც შემოსავლების ერთიანი კატეგორია.

მხედველობაში მისაღებია, რომ მფლობელი ყოველთვის ვერ იქნებოდა ნივთის მესაკუთრე. მას შეეძლო ნივთის ფლობა, მაგალითად, საიჯარო ხელშეკრულების ან თავად მესაკუთრის მიერ მფლობელზე ნივთის გადაცემის საფუძველზე. ამასთან, იგი გვევლინებოდა ნივთის უბრალო მფლობელად, რომელსაც მასზე საკუთრების უფლება არ ჰქონდა. მხოლოდ ნივთისადმი ფაქტობრივი დამოკიდებულება, მისი განკარგვის უფლების გარეშე მისი გამოყენება საჭიროებისამებრ განასხვავებდა პყრობას ფლობისგან.

35. ფლობის შეძენა და შეწყვეტა

ფლობის უფლების წარმოშობა. ფლობის უფლება შეიძინებოდა (წარმოიშობოდა) მიტაცების ან ნივთის გადაცემის გზით.

ნივთის მიტაცება ისტორიულად პირველი ხერხია, რომლითაც დგინდებოდა არავის ნივთზე მფლობელობა, მათ შორის, მიწის ნაკვეთებზე. ამასთან, თუკი შემდგომში მოინახებოდა ნამდვილი პატრონი, თუკი იგი ასეთი მოქმედების წინააღმდეგ პროტესტს არ აცხადებდა (არ ედავებოდა) ან მისი მოქმედებები არასაკმარისი იყო, მიმტაცებელი საბოლოო კანონიერ მფლობელობას იძენდა.

სხვა, უფრო ცივილიზებული ხერხი იყო ტრადიციის საშუალებით ქონების გადაცემა მფლობელობაში. ეს იყო საკმაოდ მარტივი პროცედურა, რომელიც ითვალისწინებდა უფლების გადაცემას: მომავალი მფლობელის სახლში ნივთის დატოვების გზით; წინანდელი მფლობელის მიერ მისი ჩვენების შემდეგ („გრძელი ხელით“ გადაცემა); ნივთის გარკვეული აქსესუარების გადაცემის გზით (საწყობის გასაღები) და ა.შ.

ფლობის უფლების შეძენა (სხვათა შორის, როგორც მისი შეწყვეტა) შეიძლებოდა როგორც პირადად, ასევე *მესამე პირის* მეშვეობით (წარმომადგენლის, მეურვის ან მზრუნველის). ამასთან, ეს პირი სპეციალური უფლებამოსილებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი (ხელშეკრულებით ან კანონით), რათა წარმოდგენილი პირის სახელით გარიგებები დაედო; ნივთის შეძენასთან ერთად მას განზრახული უნდა ჰქონოდა გარიგების დადება სწორედ წარმოდგენილი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ არა თავისი.

ფლობის ორი აღნიშნული სავალდებულო კომპონენტის შეერთების დროს მფლობელი დაუყოვნებლივ შედიოდა თავის უფლებებში. წარმომადგენლის მეშვეობით მოქმედების შემთხვევაში – იმავე წამს თუნდაც დავალების მიმცემს ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ ჰქონოდა მიღებული. თუმცა შეშლილებს ან მცირეწლოვნებს ფლობის (ფაქტობრივადაც

და იურიდიულადაც) უფლება იქამდე არ ჰქონდათ, სანამ მათი თვითშეგნება არ იყო სათანადო სიმაღლეზე და საკუთარი ნების გამოხატვა არ შეეძლოთ. ამასთან, მცირეწლოვანს მეურვის გარეშეც შეეძლო დამოუკიდებელი ფლობა, მაგრამ იურიდიულად ასეთი მფლობელობა მხოლოდ სრულწლოვანების შემდეგ, ანუ ქმედუნარიანობის შემდეგ ხორციელდებოდა.

ფლობის უფლების შეწყვეტა. ფლობის უფლების შეწყვეტა მაშინ ხდებოდა, როცა ორი სავალდებულო ელემენტიდან ერთ-ერთი იკარგებოდა: ნივთის რეალური ფლობა ან მისი თავის საკუთრებად გადაქცევის განზრახვა. ასე, ქონების ფლობის დაკარგვა შესაძლებელი იყო შემდეგ შემთხვევაში:

- მისი სხვა პირზე გადაცემა;
- მისი ბედის ანაბარად მიტოვება;
- მისი დატაცება ან უკანონო მიტაცება;
- ქონების სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება;
- მისი მფლობელის გარდაცვალება ან თავად ნივთის დაღუპვა;
- მფლობელის მიერ ქონების უფლებაზე უარის თქმა.

36. ფლობის უფლების სახეობები

რომაული იურისპრუდენციისათვის ფლობის უფლებისა და საკუთრების უფლების შინაარსის ბუნებრივი არევა კიდევ ერთხელ მოითხოვს ყურადღების გამახვილებას იმ გარემოებაზე, რომ ფლობისათვის საკმარისია მხოლოდ რეალურად ფლობდე ნივთს იმისთვის, რათა პერსპექტივაში (თუ აუცილებელი იქნება) განაცხადო მასზე საკუთარი უფლების შესახებ; საკუთრება კი მუდამ ეფუძნებოდა უფლებას, კანონს.

აქედან გამომდინარე ფლობის რამდენიმე სახეობა იყო ცნობილი.

უპირველესად, ეს არის *კანონიერი* (საჯიტულო ან ცივილური, possessio civilis) ან *უკანონო* (არასაჯიტულო ან ბუნებრივი, possessio naturalis) ფლობა, რომლის კრიტერიუმიც ისეთი კომპონენტის არსებობა იყო, როგორც თავად ფლობის უფლება (ius possidendi). ის, მაგალითად, ქურდს ვერ ექნებოდა, რომელმაც ნივთი გაიტაცა, მაგრამ საკუთარი კეთილდღეობისთვის გამოიყენა.

ცხოვრებისეული სიტუაციების მრავალფეროვნებამ ასეთი უკანონო ფლობის ვარიანტების განსხვავება განაპირობა და ეს ფლობის სახეობების შემდეგ ჯგუფს წარმოადგენს.

უკანონო ფლობა შეიძლება ყოფილიყო კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი. უკანონო ფლობის *კეთილსინდისიერება* მაშინ ვლინ-

დებოდა, როცა პირმა არ იცოდა, რომ ქონება მას არ ეკუთვნოდა და არც შეიძლება სცოდნოდა. მაგალითად, მოპარული ნივთი ნაყიდი იყო ადამიანისგან, რომელიც ნივთის მეპატრონედ გაეცნო. *არაკეთილსინდისიერი უკანონო ფლობა* გვხვდებოდა მაშინ, როცა ვინმე პირმა იცოდა, რომ ნივთი მას არ ეკუთვნის, მაგრამ იქცეოდა როგორც ნამდვილი მესაკუთრე.

გამოყოფილი იყო კიდევ, ეგრეთ წოდებული, *ნაწარმოები ფლობა* (possessio esse), რაც მდგომარეობდა სხვისი ნივთის გაჩერება-შენახვაში ცნობილ მოვლენამდე მისი განკარგვის უფლების გარეშე. მაგალითად, ასეთ მდგომარეობაში ვარდებოდნენ მოგირავნე და პირი, რომელმაც ნივთი შესანახად მიიღო, რის შესახებაც რამდენიმე პირს შორის მიმდინარეობდა დავა მასზე საკუთრების უფლების გამო. ურთიერთობათა რეგლამენტაციის სპეციფიკის გამო მოგირავნე და შემნახველი ორაზროვან მდგომარეობაში ვარდებოდნენ: თითქოსდა ნივთი მათთან არის, მაგრამ არც გამოყენება, არც განკარგვა არ შეუძლიათ. თუკი მას მოიპარავენ ან დაიწვება, ვინ იქნება მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელი? ამიტომაც პრაქტიკამ სხვა სახეობებიდან გამოყო ნაწარმოები ფლობა და მისი დაცვის განსაკუთრებული ხერხები შეიმუშავა.

37. ფლობის უფლების დაცვის ხერხები

ფლობა დაცული იყო პრეტორული სამართლის საშუალებებით, მაგრამ როგორც ჩვეულებრივ შემთხვევებში, არა სარჩელებით, არამედ ადმინისტრაციული საშუალებებით – *მფლობელის პრეტორული ინტერდიქტებით.* ასეთი იმპერატიული ბრძანებების ძალის მქონე განკარგულებები (სავალდებულო დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ შესასრულებლად) კრძალავდა მფლობელის უფლების დამრღვევ მოქმედებებს. ასეთი აკრძალვების სპეციფიკა ის იყო, რომ ისინი მიმართული იყო ფლობის დაცვაზე, როგორც ფაქტზე, და არა მის სამართლებრივ საფუძველზე. ესე იგი, ისინი თითქოსდა ამ მომენტში საქმეების მდგომარეობას „ყინავდნენ", ტოვებდნენ რა თავად მხარეებისთვის საბოლოო გადაწყვეტილების შესაძლებლობას სასამართლოში სასარჩელო წარმოების დაწყების გზით.

სარჩელებიდან ცნობილი იყო პუბლიკანების სარჩელი (actio in rem Publiciana) ჩვ. წ-მდე I ს., რომელიც მიმართული იყო კეთილსინდისიერი შემძენების ინტერესების დაცვაზე. ამ უკანასკნელს ასეთი სარჩელით შეეძლო არაკეთისინდისიერი მფლობელისგან დაკარგული ქონების უკან გამოთხოვა.

მფლობელობის ინტერდიქტები, ამა თუ იმ სიტუაციის თავისებურებიდან გამომდინარე, სამ ჯგუფში იყო გაერთიანებული:

- ინტერდიქტები, რომლებიც ცალკე მოძრავი თუ უძრავი ქონებით უკვე არსებულ მფლობელობას უნარჩუნებდა;
- ინტერდიქტები ძალადობრივად ან მალულად დაკარგული საფლობელოების დაბრუნების შესახებ, რომლის დახმარებით მოითხოვდნენ და წლის განმავლობაში უბრუნდებოდათ ამგვარად დაკარგული ადგილ-მამულები;
- ინტერდიქტები მფლობელობის პირველად დადგენის შესახებ, მაგალითად, სამემკვიდრეო სფეროში.

38. სარგებლობისა (jus utendi) და განკარგვის (jus abutendi) უფლება, როგორც საკუთრების უფლების შემადგენელი ნაწილები

მიუხედავად ფლობის უფლების ღრმა შინაარსისა, რაც მას, პრაქტიკულად, საკუთრების უფლების ანალოგიურს ხდის, მფლობელობა მაინც საკუთრების სრული უფლების მხოლოდ ნაწილია. სხვა მისი შემადგენელი ნაწილებია სარგებლობა და განკარგვა.

სარგებლობის უფლება (jus utendi) – ეს არის ნივთის გამოყენება მატერიალური საჭიროებისათვის და სულიერ როგორც უშუალოდ პირადი, ასევე სხვა პირთა საშუალებით.

ქონებით სარგებლობას მუდამ განსაზღვრული პირობები ახლდა. მათგან მნიშვნელოვანი იყო სხვა მესაკუთრეებისთვის ზიანისა და უხერხულობის მიყენების აკრძალვა. კერძოდ:

- არ შეიძლებოდა სხვისი ნაკვეთიდან ჩამოვარდნილი ნაყოფის აკრეფისა და სხვისი ნაკვეთის ხეებიდან ჩამოვარდნილი ფოთლების ბუნებრივი ცვენისთვის ხელის შეშლა;
- არ შეიძლებოდა სხვისი ნაკვეთიდან ან მეზობელი ნაგებობის სახურავიდან წვიმის წყლის ბუნებრივი ჩადინებისთვის ხელის შეშლა;
- არ შეიძლებოდა მეზობელი ნაკვეთისთვის „არასანქციონირებული" ჩრდილის მიყენება;
- საჭირო იყო ბუნებრივი უხერხულობების მოთმენა, რაც განპირობებული იყო სხვა მეზობელი ან ახლომდებარე ნაკვეთებისა და ნაგებობების სამეურნეო მოხმარებით (მაგ., ტყავის წარმოების სუნი და სხვა).

განკარგვის უფლება (jus abutendi) – ეს არის მესამე პირების მოთხოვნების ანგარიშგაუწევლად, საკუთარი ნება-სურვილით ნივთის განკარ-

გვის შესაძლებლობა მისი ფიზიკური ან იურიდიული გაგებით სრულ განადგურებამდე (ამა თუ იმ პირობებით ნივთის გადაცემა მესამე პირისთვის).

ნივთის განკარგვის ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო უძრავი ქონების რეგისტრაცია შესაბამის ჩანაწერებში – საადგილმამულო და სარგოულ წიგნებსა (libri censuales) და ინსტანციებში, რამეთუ მხოლოდ ნამდვილ და პირდაპირ მესაკუთრეს ძალუძს ნივთების განკარგვა.

თემა 9. საკუთრების უფლება ძველ რომში

39. საკუთრების უფლების ჩამოყალიბება და ცნება (proprietas, dominium)

საკუთრების ინსტიტუტის შესახებ საუბრისას, მართებულია აღინიშნოს, რომ რომაულ სამართალში ხანგრძლივი დროის მანძილზე თვით საკუთრების აღმნიშვნელი სპეციალური მკაფიო ტერმინი არ იყო. როგორც არ იყო „საკუთრებისა“ და „ფლობის“ ცნებების განსხვავება. ამასთან ერთად, თავად საკუთრებას, როგორც მოვლენას, რომაელები უყურებდნენ საკმაოდ ფრთხილად და ფაქიზად. მის დაცვაზე მობილიზებული იყო სახელმწიფო მანქანის მთელი ძალა, ხოლო სახელმწიფო ხელშეუხებლობის, შემდეგ კი კერძო საკუთრების უმნიშვნელო ხელყოფა, განიხილებოდა, როგორც რომაული სამართლის არსებობის საკრალური საფუძვლების, მისი სიღრმისეული არსის – მისი სამართლიანობის წაბილწვა და მოშლა. ეს თავისებურება განპირობებულია რომაული საზოგადოების განვითარების ისტორიული პერიპეტიებით.

თავდაპირველად კერძო საკუთრების ინსტიტუტი არსებობდა *dominium* ან *proprietas* სახით (ერთიც და მეორეც ითარგმნება როგორც „არსებობა“ ან „საკუთრება“), მაგრამ ამ ფაქტობრივი სამართლის შინაარსი წარმოდგენილი სახით იყო უკიდურესად წინააღმდეგობრივი და არეულ-დარეული.

უძრავი ქონებიდან ყველაზე მთავარი – მიწა ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო დაუნაწილებელ საზოგადოებრივ (კოლექტიურ) მფლობელობაში. ამიტომ დასაწყისში გაჩნდა კერძო საკუთრების გაგება მხოლოდ მოძრავ ქონებაზე – ნივთებზე („კერძო ნივთები – ეს ის არის, რაც ცალკეულ ადამიანებს ეკუთვნის“ D. II. 11).

საკუთრივ კერძო საკუთრების უფლება ჩამოყალიბდა მხოლოდ ჩვ. წ-მდე II ს. მრავალწლიანი დავების, სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და

მსხვერპლის შედეგად, რომელიც მისი აღიარების გამო მოხდა. ჩვ. წ-მდე 111 წლის კანონმა განამტკიცა კერძო მესაკუთრის უფლებამოსილება უფლებათა ერთობლიობის სახით uti, frui, habere, possidere (სარგებლობა, შემოსავლების ამოღება, მფლობელობა და ადგილ-მამულები). თუმცა, უფრო მოგვიანებითაც კერძო საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი არადა არ გაჩნდა. მხოლოდ ჩვ. წ-მდე I ს. მას ეწოდა დომინიუმი. ამ დროიდან დაიწყო პოსესიის (ნივთზე ბატონობის უძველესი ფორმა) თანდათანობითი „გაძევება“ დომინიუმით. ამასთან, განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ possessio იყო ნივთის მფლობელობის ფაქტობრივი, განსაკუთრებული უფლება, ხოლო dominium – საკუთრების იურიდიულად გაფორმებული უფლება. იმიტომ, რომ სწორედ ეს უკანასკნელი ხასიათდებოდა უფრო მეტი „სტაბილურობითა და გარანტიით“.

იმ დროის ნებისმიერი სოციალურად ორგანიზებული სტრუქტურის მთავარ ფასეულობას მიწა წარმოადგენდა. მაშასადამე, მისი მნიშვნელოვანი საკუთრების სახე უნდა ყოფილიყო მიწის საკუთრება. თავდაპირველად ერთადერთი ლეგიტიმური იყო საერთო *კვირიტული საკუთრება* (dominium ex iure Quiritium). საკუთრების უფლება მისი სრული და ყოვლისმომცველი სახით, როგორც ასეთი, რომის საგვარეულო თემს ეკუთვნოდა. სწორედ მის ფარგლებში განიხილებოდა მიწის საკუთრება, როგორც რომაელ მოქალაქეთა მასზე მფლობელობის უფლება, ასევე იმ მცირე არამოქალაქეთა, რომელთაც კომერციულ ბრუნვაში (ius commercii) მონაწილეობის უფლება გააჩნდათ. მაგრამ ეს იყო მთელი რომის საზოგადოების (პატრიციული) საკუთრება, რომლის ნაწილიც (არაუმეტეს ორი იუგერისა[1]) მისი სახელით კანონიერი მფლობელობის უფლებით ნაბოძები ჰქონდათ ყველა თვისტომისთვის (iusta possessio).

სწორედ საზოგადოებრივი მიწების (ager publicus) მიმართ ნიადაგ გაჩაღებული იყო ცხარე კამათები. პატრიციულ წრეში ერთმანეთის მიმართ მუდმივ პრეტენზიებს ემატებოდა პლებეების (რომლებსაც მიწა არ ერგოთ) უცვლელი უკმაყოფილება. საუკუნეების მანძილზე თავისუფალი მიწა, პრაქტიკულად, აღარ დარჩა იმ დროს, როცა იტალიის სათემო მიწების ზეშეძლებულ (და უბრალოდ შეძლებულ) მფლებელებს მათი დროებითი მქონებლის სტატუსი სულ უფრო და უფრო არ აწყობდათ. სწორედ საადგილმამულო ურთიერთობების სფეროში რაიმე კომპრომისის ძიებასთან არის დაკავშირებული გვიანდელი რესპუბლიკის პერიოდის რეფორმების მრავალრიცხოვანი მცდელობა (მაგ., ძმები გრაკხების). ეს დავები დააგვირგვინა სპურიუს ტორიუსის კანონებმა (ჩვ.

[1] ერთი იუგერი 0.252 ჰექტარის ტოლი იყო.

წ-მდე 118-111 წწ.), რომელიც მიმართული იყო სათემო-სახელმწიფო მიწების ხელახლა განაწილების შეწყვეტასა და სრული აკრძალვისკენ. ამან ხელი შეუწყო იტალიის მიწის ნაკვეთების მფლობელების მათი კანონიერ მესაკუთრეებად გადაქცევაში და, არსებითად, ამას მოჰყვა მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის შექმნა. მას ეწოდა *დომინიუმი* (dominium, მფლობელობა, ქონება, ბატონობა).

ამრიგად, ***საკუთრების უფლება*** (proprietas, საკუთრება, ქონება) განისაზღვრებოდა, როგორც პირის განსაკუთრებული უფლება ნივთზე ფლობა/მჭონებლობის (possessio, ius possidendi), სარგებლობის (uti) და განკარგვის (abuti) უფლებების იდეალური ერთობლიობის სახით. საკუთრება – ეს არის უფლება, რომელიც თავისი არსით თავისუფალია შეზღუდვებისგან და თავისი დაცვით აბსოლუტური.

40. საკუთრების სახეები და ფორმები: ცივილური, ბონიტარული, პერეგრინების, პროვინციული

რომაულ საზოგადოებაში შემუშავდა საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტების რამდენიმე მსხვილი ნაირსახეობა, ამიტომ მთელი მისი ისტორიის მანძილზე, პრაქტიკულად, განასხვავებდნენ ცივილურს (კვირიტულს), პრეტორულს (ბონიტარულს), პერეგრინების და პროვინციულ საკუთრებას. ყველა ამ ნაირსახეობას გააჩნდა თავისი განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი და გაფორმება. ამიტომ მათი გამოყოფის საფუძვლებს წარმოადგენდა მათი შეძენისა და გასხვისების, ამ პროცესების თანმხლები პროცედურების, აგრეთვე, შესაბამისი ურთიერთობების სუბიექტებისადმი წარდგენილი მოთხოვნების განსაკუთრებული წესი.

კვირიტული საკუთრება (dominium ox iure Quiritium) საკუთრების უფლების ისეთ ნაირსახეობას წარმოადგენდა, რომელიც გააჩნდათ მხოლოდ სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებსა და იმ თავისუფალ არამოქალაქეებს, რომლებსაც კომერციულ ბრუნვაში (ius commercii) მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. კვირიტული საკუთრება მოიცავდა მისი განსხვავებული ნაირსახეობების ფართო მრავალფეროვნებას, რაც განისაზღვრებოდა ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებით. მაგალითად, განასხვავებდნენ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ საკუთრებას. *ინდივიდუალური* (კერძო) საკუთრება, ბუნებრივია, განეკუთვნებოდა რომელიმე ფიზიკურ პირს, რომელსაც ნივთზე გააჩნდა აბსოლუტური უფლება. *საზოგადოებრივ* (საჯარო) საკუთრებას მიეკუთვნებოდა საგნები, რომლებსაც ფლობდა რომელიმე საჯარო კორპორაცია, ან სახელმწიფო ხაზინა, ან ადამიანთა ჯგუფი, რომელთაგანაც თითოეულს ეკუთვნოდა ჩადებული თანხის შესაბამისი ოდენობის წილი (condominium).

კვირიტული საკუთრების შეძენისა და გასხვისების უძველეს ხერხებს წარმოადგენდა ნივთების მანციპირება და სასამართლოზე დათმობის წესჩვეულების ჩატარება. იმისდა მიხედვით, თუ საკუთრების შეძენა/გასხვისების ძველი (და კვირიტებისთვის ერთადერთი შესაძლებელი) ფორმები – მანციპაცია და ინ იურე ცესიო წარსულს ბარდებოდა, ხოლო სამართალს სანაცვლოდ არაფრის შეთავაზება არ შეეძლო, მხარეთა მდგომარეობა საკუთრების უფლების თაობაზე ურთიერთპრეტენზიებით ხშირად რთულდებოდა. მაშინ კეთილსინდისიერი შემძენის (ან რომის არამოქალაქის) დაცვის საქმეში ერთვებოდა პრეტორი, რომლის გადაწყვეტილებებიც მიზანშეწონილობის და „კეთილი სინდისის“ (bona fides) პრინციპებს ეფუძნებოდა. იგი დავობდა იმის შესახებ, რომ მოსარჩლე თავისი ვინდიკაციის წარდგენით არაკეთილსინდისიერად იქცეოდა. გარდა ამისა, შემძენზე წარდგებოდა განსაკუთრებული სარჩელი სხვისი მფლობელობიდან ნივთების მოთხოვნაზე (actio in rem Publiciana, ჩვ. წ-მდე I ს.). ამგვარად, სადავო (არაკეთილსინდისიერი გამსხვისებლის თვალსაზრისით) ნივთი, თუმცა კი ცივილური სამართლის მკაცრი დანაწესების შესატყვისად გაუფორმებელი, რჩებოდა ახალი მეპატრონის ქონების სათვალავში (in bonis), მათ შორის მფლობელობის ხანდაზმულობის საფუძველზე (ერთი წელს მოძრავი ქონებისთვის და ორი წელი უძრავისთვის). პრეტორული უფლებით დაცული საკუთრების ამ სახეს ეწოდა ***პრეტორული*** ანუ ბონიტარული (res sua in bonus).

ბონიტარულმა (პრეტორულმა) საკუთრებამ (bonorum possessio) ძველრომაელთა საზოგადოების ცხოვრებაში დაიმკვიდრა ადგილი, როგორც განვითარებულ, კლასიკურ სამართალში ჩამოყალიბებულმა არაფორმალურმა კეთილსინდისიერმა შეძენამ, თუმცა არაღიარებულმა ცივილური სამართლით, მაგრამ სწორედ ამიტომ დაცულმა პრეტორის მიერ, როგორც ნამდვილმა საკუთრებამ. საბოლოოდ, რესპუბლიკის პერიოდის ბოლოს ფორმალიზებული და უკიდურესად ვეებერთელა, ძირძველი კვირიტული საკუთრება, პრაქტიკულად, სრულად გააძევა პრეტორულმა, რომელიც უფრო მეტად უპასუხებდა კომერციული ბრუნვის მოთხოვნებს.

პერეგრინების საკუთრება წარმოიშვა რესპუბლიკის გარიჟრაჟზე თავისუფალი უცხოელების უფლებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიეღოთ სავაჭრო ბრუნვაში ერთმანეთს შორის ius gentium-ის და რომაელებთან, ცივილური სამართლის ნორმების შესაბამისად ius commercii მიხედვით. გარიგებების დადება შეიძლება მომხდარიყო მანციპაციისა და ლიტერალური შეთანხმებების საშუალებით. პრეტორული სარჩელების მეშვეობით

განხორციელებული პერეგრინების უფლებების დაცვა, ეფუძნებოდა ფიქციებს იმის შესახებ, რომ მისი პატრონი რომის მოქალაქეა.

პროვინციული საკუთრება ჩამოყალიბდა, როგორც რომის მიერ დაპყრობილი ხალხების მიწა, რომლის მხოლოდ „სარგებლობა“ შეეძლო ხალხს თავისი კანონების მიხედვით („დაე, უფლება ჰქონდეთ, იქონიონ, ფლობდნენ, სარგებლობდნენ და იღებდნენ ნაყოფს“), მაგრამ ეს მიწა ყოველთვის რჩებოდა რომის საკუთრებად. ამიტომ ეს ხალხი (პერეგრინების სტატუსით) მიწის „სარგებლობისთვის“ გადასახადს იხდიდა, რაც სახელმწიფო ხაზინისთვის არსებით შევსებას წარმოადგენდა. ამ მიწებს გულუხვად ურიგებდნენ რომაელ კოლონისტებს, veteranes ჯარისკაცებს და მოსახლეობის სხვა კატეგორიებს, თვითმიტაცების გზით ხშირად ეს მიწები ხდებოდა რომის საზოგადოების უფრო მდიდარი წარმომადგენლების სამფლობელოები.

დროთა განმავლობაში საკუთრების კვირიტული და პერეგრინების, კვირიტული და პროვინციული სახეების ოდესღაც რადიკალური განსხვავებები წაიშალა. პოსტკლასიკურ პერიოდში იმპერიის მთელ თავისუფალ მოსახლეობაზე რომის მოქალაქეების უფლებების გავრცელებასთან ერთად (კარაკალას ედიქტი, 212 წ.) პერეგრინების საკუთრების სპეციალური გამოყოფის აუცილებლობა გაქრა. ბოლოს და ბოლოს, III ს. დადგინდა ყველასთვის ერთიანი საკუთრების უფლება, რომლის სახელწოდებაც აღებულია შორეული წარსულიდან – dominium ex iure Quiritium.

41. საკუთრების უფლების შინაარსი

საკუთრების უფლება წარმოადგენდა მაქსიმალურად სრულ და აბსოლუტურ უფლებას, ესე იგი, მხოლოდ ნამდვილ მესაკუთრეს ჰქონდა სამართლიანად კუთვნილ ქონებაზე ყველა უფლება. მესაკუთრეს შეეძლო არსებული ქონება გამოეყენებინა სურვილისამებრ, მის ფიზიკურ განადგურებამდე. მესაკუთრის ეს უფლებები დაცული იყო ყველა სხვა პირისგან, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ეს უფლება დაცული იყო მაშინაც კი, როცა მესაკუთრე, რაიმე გარემოებების გამო, ფაქტობრივად კარგავდა მთელ ქონებას ან მისი არსებობის დროს, ვერ ახორციელებდა სრულად უფლებამოსილებას, რაც ერთობლიობაში მასზე საკუთრების სრულ უფლებას შეადგენდა (ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებები). ასეთი სიტუაცია ცნობილი იყო „შიშველი საკუთრების“ (nuda proprietas) სახელწოდებით.

საკუთრება არ შეიძლება ყოფილიყო არავისი, იგი ისწრაფოდა მთელი თავისი სისრულის აღდგენისკენ, მუდამ ყოფილიყო თავისი პატრონის

კუთვნილება მთელი თავისი ნაყოფითა და მატებით (საკუთრების უფლების ელასტიკურობა).

საკუთრების უფლების ყველა აღნიშნული მახასიათებლის გარდა, მესაკუთრის სანივთო უფლებების რიცხვს ავრეთვე განეკუთვებოდა შემდეგი უფლებამოსილებები:

- თვით საკუთრების უფლება, რომელიც მოიცავდა: ფლობის უფლებას (jus possidemdi), სარგებლობის უფლებას (jus utendi), განკარგვის უფლებას (jus fruendi) და ნაყოფის აღების უფლებას (jus abutendi);
- სხვისი ნივთებით სარგებლობის უფლება (სერვიტუტი);
- სხვისი ნივთებით სარგებლობისა და განკარგვის უფლება (ემფიტევზისი, სუპერფიციები, გირაო);
- ნებისმიერი ფაქტობრივი მფლობელობიდან თავისი ნივთის მოთხოვნის უფლება (ius vindicandi).

ამასთან ერთად, საკუთრების უფლება, მიუხედავად მისი სისრულისა და აბსოლუტურობისა, შეიძლება ყოფილიყო შეზღუდული, მაგრამ, მხოლოდ კანონით. ეს შეზღუდვა ცნობილი იყო სხვისი ნივთებით სარგებლობის უფლებით – სერვიტუტები. აღსანიშნავია, რომ მესაკუთრეს თავისი საკუთრების ამდაგვარი გართულებებისთვის წინააღმდეგობის უფლება არ ჰქონდა.

42. საკუთრების უფლების შეძენა და შეწყვეტა

საკუთრების უფლების (ნივთის ფლობის, ნივთით სარგებლობისა და განკარგვის უფლება) კანონიერი შეძენის იურიდიულ საფუძვლებს საკუთრების უფლების შეძენის ხერხები ეწოდება. გაიუსის სიტყვით, „ზოგჯერ ნივთზე საკუთრების უფლებას ჩვენ ვიძენთ საყოველთაო სამართლით, რომელიც ყველა ადამიანს შორის ბუნებრივ საფუძველზე ერთნაირად არის დაცული; ზოგჯერ ცივილური სამართლით, ესე იგი, ჩვენი სამოქალაქო თემის საკუთარი სამართლით“ (გაიუსის, D. 41. 1. 1). ამით იგი მიუთითებდა, რომ რომის სამართლის ტრადიციები საკუთრების შეძენის ხერხებიდან იცნობდა: *თავდაპირველს და ნაწარმოებს.*

43. საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი ხერხები: ნივთის ხელში ჩაგდება, გადამუშავება, ნივთების გაერთიანება, შეძენის ხანდაზმულობა

საკუთრების უფლების შეძენის ეს ხერხები შორეულ წარსულში გაჩნდა. ისინი ეფუძნებოდნენ იმას, რომ საკუთრების უფლება წარმოიქმნებოდა *პირველად, ან წინამორბედი მესაკუთრის უფლებისგან დამოუკიდებლად.*

ნივთის ხელში ჩაგდება (occupatio) ნიშნავდა არავის კუთვნილ, უპატრონო ქონების ხელში ჩაგდებას და გამოიხატებოდა ფორმულით: „არავის კუთვნილი ნივთი იმის საკუთრება ხდება, ვინც მას დაეუფლება". ამასთან ერთად, ფარულ და ძალადობრივ ხელში ჩაგდებას არასოდეს აღიარებდნენ კანონიერად („ქურდი მუდამ ვადაგასულია"). ამდენად, კანონიერ საფუძვლებზე ხელში ჩაგდებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის ნივთები:

1) რომლებიც *აღნიშნულ მომენტში არავის ეკუთვნოდა*, მაგრამ ამასთან არსებობდა სამოქალაქო ბრუნვაში:

- *თავისი ბუნებით არავის* კუთვნილი ნივთები: გარეული ცხოველები, ფრინველები, თევზები, უსულო საგნები (ქვები, გაჩენილი კუნძულები). მათთან ურთიერთობაში პირველობდა ფაქტობრივი მფლობელობა და მისი დაკარგვა თუნდაც წამიერად, სხვა პირის მიერ ამ ნივთის ხელში ჩაგდებას მაშინვე კანონიერს ხდიდა;
- უწინდელი მფლობელისათვის თავისი ხარისხის დაკარგვის გამო *გადაგდებული* (გატეხილი, გაფუჭებული და ა.შ.): „... თუკი ვინმე პატრონის მიერ ბედის ანაბარად მიტოვებულ ნივთს დაეუფლება, დაუფლების მომენტიდან ხდება მისი პატრონი. ბედის ანაბარად მიტოვებულად ითვლება ის, რაც პატრონმა მიაგდო და არც სურვილი აქვს საკუთრად ჩათვალოს, ამიტომ იგი მაშინვე აღარ ითვლება პატრონად. გადაგდებულ ნივთებს უპატრონო მონებიც ეკუთვნოდნენ;
- *მტრის* (არაკეთილსასურველის) ნივთები (სამხედრო ნადავლი): „... მტრებისგან მიტაცებული საერთო-სახალხო სამართლის კანონებით ჩვენი ხდება; თავისუფალი ადამიანებიც კი – ისინიც ჩვენი მონები ხდებიან". მაგრამ ასე მხოლოდ რომის საზოგადოების გარიჟრაჟზე იყო და სახელმწიფომ ასეთი საგნები საკმაოდ სწრაფად გამოაცხადა საზოგადოებრივ ქონებად, საიდანაც სუბიექტებს (ჯარისკაცებს) გამოყოფილი ჰქონდათ რაღაც ფიქსირებული ნაწილი.

2) *დაკარგული ან დამალული* ნივთები (ნაპოვნი, განძი). ამასთან, წესი იუწყებოდა, რომ განძის უბრალოდ მითვისება სუბიექტს არ შეეძლო. დასაწყისში მას ძალ-ღონე არ უნდა დაეშურებინა ნამდვილი პატრონის მოსაძებნად, მხოლოდ უტყუარი, მაგრამ უშედეგო ძებნის შემდეგ შეეძლო ნაპოვნი განძის მესაკუთრე გამხდარიყო. განძი, ესე იგი, შემთხვევით ნაპოვნი ნივთი, რომლის პატრონიც უცნობია და დროგადასულობის გამო მისი მოძებნა შეუძლებელი იყო და თუკი განძს აღმოაჩენდა ნაკვეთის მესაკუთრე საკუთარ მიწაზე, იგი მისი კუთვნილება ხდებოდა. ხოლო თუ ნივთს გარეშე პირი აღმოაჩნდა, მაშინ მიწის მეპატრონესთან ერთად შუაზე იყოფოდა. სხვის ნაკვეთზე მიზანმიმართული, მაგრამ ფარული ძებნის შედეგად ნაპოვნის მითვისება უთანაბრდებოდა დელიქტს (სამართალდარღვევას) და ამ შემთხვევაში: ან ნაკვეთის მფლობელი (სამართალდარღვევას) და ამ შემთხვევაში: ან ნაკვეთის მფლობელი იღებდა ყველაფერს, ან ნაპოვნი სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა.

ნივთების შერევა (შეერთება) – (accessio, commixtio) შემდეგში მდგომარეობდა: რამდენიმე თავდაპირველი მფლობელის ზოგიერთ ეროვანი ნივთს (შემთხვევით ან განზრახ) ისე შეურევდნენ, რომ შეუძლებელი იყო მათი ერთმანეთისგან დაცილება რაიმე ზიანის მიყენების ან განადგურების გარეშე (მარცვლეულის შერევა, სხვისი მორების გამოყენება სახლის მშენებლობისთვის, ღვინის შერევა სხვის ძმართან, სხვის ნაკვეთზე თესვა, სხვის ბეჭედში პატიოსანი ქვის ჩასმა და ა.შ.). პირველრიგოვნობა განისაზღვრებოდა ან ახალი ნივთისთვის გამოყენებული მასალის წვლილით, ან მათი ფასის მიხედვით. მეორე შემთხვევაში ახალი ნივთის მფლობელი ხდებოდა უფრო ძვირი მასალის უწინდელი მესაკუთრე.

სპეციფიკაცია (specificatio) მდგომარეობდა სხვა მესაკუთრის ნივთის (მისი დავალების ან ნებართვის გარეშე) დამზადებაში (გადაკეთება, გადამუშავება), ესე იგი, მესაკუთრის თანხმობის გარეშე ნივთის დანიშნულების შეცვლა და საკუთარი თავისთვის დამზადება. ამიტომ კლასიკურ სამართალში პრინციპული იყო საკითხი, თუ ვისი გახდებოდა ახლად შექმნილი ნივთი. ამ საკითხის გამო რომაელ სამართალმცოდნეებს შორის პრინციპული დავა იყო: რა უნდა იყოს განმსაზღვრელი კრიტერიუმი – ახლად შექმნილი ნივთი თუ მისი მასალა. ამ კითხვაზე პასუხის საფუძველზე წყდებოდა მისი ბედი.

ფლობის ხანდაზმულობა (usucapio) თავდაპირველად საკუთრების უფლების შეძენის, კვირიტულ ხერხებს ეხებოდა, როცა ნივთის შემძენი პირი (მაგრამ არა ქურდობისა და ძალადობის გზით) მისი მესაკუთრე ხდებოდა. ნივთის ფლობის კანონიერი საფუძვლები შეძენის ხანდაზმულობის მიზეზით შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ შემდეგი შემთხვევები: მისი მიღება ყიდვის სახით; საჩუქრის სახით; სამემკვიდრეო მასის ელემენტის სახით; ანდერძის უარის გამო; როგორც მზითევი, მიყენებული ზარალის

კომპენსაციის სახით; როგორც ადრე უპატრონო და ამ მიზეზით აღებული.

კლასიკურ პერიოდში, პრეტორული სარჩელების დაცვის წყალობით ეს უფლება სახელწოდებით ***შეძენის ხანდაზმულობის ვადის გასვლა*** (longi temporis praesciptio) გავრცელებული იყო პროვინციულ საკუთრებაზეც, მხოლოდ უკვე მოძრავსა და უძრავ ქონებაზე გაყოფის გარეშე (ფაქტობრივი მფლობელობის ხანგრძლივობისას არაუმცირეს ათი წლისა, თუ ფორმალური და ფაქტობრივი მესაკუთრეები ერთ პროვინციაში ცხოვრობდნენ; და ორი წლისა, თუ სხვადასხვაში). იუსტინიანეს კოდიფიკაციებში (531 წ.), მოძრავი ქონების ვადა განისაზღვრებოდა სამ წლამდე, უძრავი ქონების კი ათ, ოც (ჩვეულებრივი ხამდაზმულობა) და ოცდაათ წლამდე (განსაკუთრებული ხანდაზმულობა). ამასთან ერთად, შეძენის ხანდაზმულობის ვადის გასვლის ინსტიტუტს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები წარედგინებოდა: ფლობის უწყვეტობა და გამჭვირვალობა; ფლობის კეთილსინდისიერება (კანონიერი ტიტული არსებობდა); ნივთის ბრუნვაში არსებობისა და ნამდვილი მფლობელის მიერ მისი შეძენის კანონიერება (მოპარული ან წართმეული ხომ არ არის); სპეციალურად დადგენილი ვადის გასვლა.

საკუთრების უფლების თავდაპირველ ხერხებს, აღნიშნულის გარდა, განეკუთვნებოდა მატება (მაგ., ნაპირის რეცხვით მოპოვება), ჩაყრა, ნაყოფის შეძენა და სხვ.

44. საკუთრების უფლებისა და შეძენის ნაწარმოები ხერხები: მანციპაცია, მოჩვენებითი სასამართლო დავა, ტრადიცია, ადიუდიკაცია, მემკვიდრეობა

საკუთრების უფლების შეძენის ნაწარმოებ ხერხებს ისეთი ხერხები განეკუთვნებოდა, როდესაც *შემძენის უფლება უწინდელი მესაკუთრის უფლებებს ეფუძნებოდა, მისი უფლებებიდან გამომდინარეობდა.*

უძველესი დროიდან კვირიტული (ცივილური) საკუთრება შეიძლება გადასულიყო ერთი პატრონიდან მეორესთან ორი სახის პროცესის – მანციპაციისა და ფიქტიური სასამართლო პროცესის (ინ იურე ცესიო) მეშვეობით. ქონების გასხვისების, ან შეძენის ყველაზე ძველი ხერხი, ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონებში ცნობილი, იყო მხოლოდ ***მანციპაცია*** (res mancipi) – ხელშეკრულება, რომელიც განსაკუთრებულად რთულ და სადღესასწაულო წეს-ჩვეულებების შესრულებას მოითხოვდა. და ეს გართულება სულაც არ იყო შემთხვევითი, რამეთუ რომის არსებობის ყველაზე მთავარი ეკონომიკური საფუძვლების მიმართ (მიწა, საქონელი,

მონები, სხვადასხვა სახის ნაგებობა და სხვ.) ოპერაციები ამ მანციპაციის საშუალებით წარმოებდა.

მანციპაცია ადრეული რესპუბლიკის პერიოდში გაჩნდა და ეკუთვნოდა მკაცრი ფორმალური გარიგებების რიცხვს, რომელსაც დებდნენ „სპილენძისა და სასწორის მეშვეობით“. იგი გულისხმობდა ხუთი მოწმისა (ქმედუნარიანი მოქალაქეების უფლება) და სასწორის დამჭერის მიწვევას. მყიდველი, სპილენძის ნაჭრით ხელში წარმოთქვამდა ფორმულას, ეგრეთ წოდებულს, ნუნკუპაციას (nuncupatio, დასახელება, განცხადება): „ვამტკიცებ, რომ ეს (საგანი) კვირიტული უფლებით მე მეკუთვნის და ამ ლითონითა და სპილენძის სასწორის მეშვეობით იგი ჩემ მიერ ნაყიდად უნდა ჩაითვალოს“. შემდეგ სასწორს ურტყამდა ამ ლითონს (მონეტა ჯერ არ იყო) და მას გადასცემდა ნაყიდი თანხის სიმბოლოს სახით იმას, ვისგანაც ნივთს იძენდა. იმ შემთხვევაში თუკი res mancipi-ს თუნდაც რაღაც პირობა არ იყო დაცული, მყიდველი ხდებოდა არა მესაკუთრე, არამედ მხოლოდ ნივთის მფლობელი. თუმცა, შემდეგში მას შეეძლო სამართლიანობისთვის მიეღწია მფლობელის ინტერდიქტის მეშვეობით ან ხანდაზმულობის გზით შეეძინა საკუთრების უფლება. არამანციპირებული ნივთები იყიდებოდა მათი უბრალო გადაცემის გზით (ტრადიციები) სპილენძზე ან ფულზე ყოველგვარი განსაკუთრებული ფორმალურობის გარეშე.

ძველად, მანციპაციას ექვემდებარებოდა არა მხოლოდ ნივთები (მათ შორის მონები), არამედ ოჯახის ხელქვეითი წევრები. მაგალითად, ვაჟიშვილს შეეძლო მამის ძალაუფლებიდან განთავისუფლება (ემანსიპაცია) მხოლოდ სამგზის მანციპაციის შემდეგ.

მყიდველის უფლებების გარანტირებისთვის, მანციპაციის პროცესში გამყიდველის მხრიდან შესაძლებელი თაღლითობის გამო, ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონებში ადგენდნენ გარკვეულ წესებს. მაგალითად, თუ გამყიდველი ნივთის მესაკუთრე არ იყო და კეთილსინდისიერი მყიდველი ამ საფუძველზე მას კარგავდა (rei vindicatio), მაშინ გამყიდველს გადახდილი თანხის ორმაგი უნდა დაებრუნებინა (actio auctoritatis – მეშვეობით); თუ გასაყიდი ნაკვეთი გასაყიდად დათქმულზე ნაკლები აღმოჩნდებოდა, მაშინ გამყიდველი ვალდებულებას იღებდა დანაკლისი ორმაგად აენაზღაურებინა (actio de modo agri) და ა.შ.

მანციპირებული და არამანციპირებული ნივთები შეიძლება გასხვისებულიყო ***მოჩვენებითი სასამართლო დაცვის*** მეშვეობით (in jure cessio, დათმობა სასამართლოზე). მხარეები მიდიოდნენ მაგისტრატთან (ცივილურ ან პერეგრინების პრეტორთან) და შემძენი გამსხვისებელს უდგენდა ფიქტიურ სარჩელს საკუთრებაზე, ესე იგი, მყიდველი თავს იკატუნებდა,

ვითომდა განსხვისებული ნივთი მას ეკუთვნის და დიდი ამბით აცხადებდა თავისი საკუთრების უფლების შესახებ („აღნიშნული ნივთი კვირიტული უფლებით მეკუთვნის მე"), გამსხვისებელი ასეთი მტკიცების წინააღმდეგი არ იყო და მაშინ პრეტორი აღნიშნულ ნივთს მყიდველს აკუთვნებდა. ინ იურე ცესიოს მეშვეობით მრავალი სხვა დავა წყდებოდა: მონის განთავისუფლება, სერვიტუტის შეძენა და შეწყვეტა, სამკვიდროზე უარის თქმა და ა.შ.

ტრადიცია (traditio, გადაცემა), ესე იგი, ნივთის ფაქტობრივი მიღება მისი წინა მფლობელისგან ორივე მხარის ნება-სურვილის გამოვლენის მეშვეობით ამ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენის მიზნით. თანაც, ტრადიცია, ეს არის საკუთრივ ნივთის გადაცემა და არა მისი წინამავალი ხელშეკრულება განსხვისების (ყიდვა-გაყიდვა) შესახებ. ეს იყო ფასის შესახებ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მიმღებისთვის ნივთის სასწრაფო გადაცემა („თუკი შენ გადმოგცა ტანსაცმელი, ოქრო, ვერცხლი ჩუქების, გაყიდვის საფუძველზე, მაშინ ეს ნივთი მაშინვე შენი ხდება, თუკი ის ნამდვილი მესაკუთრისგან გადმოგეცა", გაიუსი).

თავიდან ტრადიცია, რომელიც ius gentium პრაქტიკაში წარმოიშვა, მხოლოდ არამანციპირებულ ნივთებზე ვრცელდებოდა, მოგვიანებით ის ყველა დანარჩენზეც გავრცელდა. ტრადიციამ თანდათან გააძევა რთული წეს-ჩვეულებანი res mancipi და in jure cessio, ხოლო იუსტინიანეს კოდიფიკაციაში მყარდებოდა, როგორც ქონების შეძენის ერთადერთი შესაძლებელი უნივერსალური ფორმა (განსხვისება). ტრადიციის მეშვეობით ხორციელდებოდა ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, სამკვიდროს უამრავი გარიგება და სხვ.

ადრე საკუთრების შეძენა/განსხვისების პროცედურა ითვალისწინებდა გარკვეული სიმბოლური მოქმედებების სავალდებულო შესრულებას: მისი განმასახიერებელი საგნის შეხებას, თავად ნივთის გადაადგილებას, მთელი ნაკვეთის შემოვლას ან მასზე დადგომას. მოგვიანებით ეს აქტი არსებითად გამარტივდა. მაგალითად, ნივთის გადაცემა შეიძლება *მოკლე ხელით* მომხდარიყო (traditio brevi manu) იმ შემთხვევაში, როცა მფლობელი ნივთის ფლობის უფლებას იმას უთმობდა, ვინც უკვე ფაქტობრივად ფლობდა მას; ასევე *გრძელი ხელით* (traditio longa manu), როცა ყოფილი მფლობელი ნივთს შეგნებულად ტოვებდა და კონკრეტულ პირს მისი დაუფლების უფლებას აძლევდა (მაგალითად, მეიჯარე, რომელიც ამ პროცესის შედეგად traditio მფლობელი ხდება). ზოგჯერ საკმარისი იყო განსასხვისებელი ნაკვეთის შორიდან ჩვენება; ან *სიმბოლურად* (traditio symbolica), მაგალითად საწყობის (სახლის) გასაღების გადაცემა, როგორც ფლობის დათმობა.

ადვილი შესამჩნევია, რომ ტრადიციას ჩატარებული საჯარო მანციპაციასთან შედარებით გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნდა, რაც მხარეების არაკეთილსინდისიერების გამო მყარი გარანტიის არარსებობაში მდგომარეობდა. ამდენად გათვალისწინებული იყო ტრადიციის შესრულების რამდენიმე სავალდებულო პირობა: ნივთის გამსხვისებელი მისი ნამდვილი მესაკუთრე უნდა ყოფილიყო ან უნდა ემოქმედა მისი დავალებით; მიმღები უფლებამოსილი უნდა იყოს, რათა ეს ნივთი შეიძინოს; ორივე მხარეს ორმხრივი ინტერესი უნდა ჰქონდეს; ერთს – საკუთრების უფლების გადაცემა, მეორეს – მესაკუთრედ გახდომა. შემდგომ სწორედ ტრადიციის საფუძველზე დაიწყო წერითი ხელშეკრულებების დადების გამოყენება.

დომინატის პერიოდში ქონების შეძენის უკვე ცნობილ ხერხებს დაემატა: *სიკვდილის შემთხვევაში განკარგულება* (ანდერძის დამტოვებლის მიერ კონკრეტული პირის პირდაპირი მითითების საშუალებით) და *მისჯის შედეგად* (ამის შესახებ სპეციალური სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გზით) საკუთრების გადასვლა.

45. საკუთრების უფლების შეწყვეტა

რომის სამართალი იცნობდა საკუთრების უფლების შეწყვეტის სხვადასხვა შემთხვევებს. უპირველესად, ეს არის ნივთის განსხვისება თავად მესაკუთრის სურვილით ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის ჩარჩოებში (res mancipi, in jure cessio ან traditio), ან წინააღმდეგ მისი ნებისა (მაგალითად, კეთილსინდისიერი მფლობელისთვის შეძენის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად).

ბოლო შემთხვევას ისეთი საფუძვლები ეკუთვნოდა, როგორიცაა:

- ლეგიტიმური (კანონიერი) გაუჩინარება თავად მესაკუთრის, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური პირის სიკვდილთან, კორპორაციის არსებობის შეწყვეტასთან, სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობის შეწყვეტასთან და ა.შ.;
- შესაბამისი სტატუსის დამცირება ან დაკარგვა;
- თავად ნივთის ფიზიკური ან იურიდიული განადგურება (ღვინო დალეულია, პური დამწვარი, სტატუეტი გაიფანტა მარმარილოს ნატეხებად);
- მაგისტრატის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ნივთი შეიძლება ამოღებული ყოფილიყო სამოქალაქო ბრუნვიდან.

მესაკუთრის აბსოლუტური უფლება შეიძლება შეზღუდული ყოფილიყო გირაოს, გაყიდვის, ჩუქების და ნივთის სხვა კერძოსამართლებრივი გარიგებების შედეგად.

ნივთი შეიძლება დაკარგულიყო, გადაეგდოთ, გაეტაცათ, მტერს დაეპყრო, გაენადგურებინა დელიქტის ჩადენის შედეგად.

დაბოლოს, ველური ცხოველები შეიძლება გაქცეულიყვნენ პატრონისგან და ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში დაბრუნებულიყვნენ.

თემა 10. საკუთრების უფლების დაცვა. სარჩელები და ინტერდიქტები

46. სუბიექტური უფლებების თვითდაცვა და დაცვა

რომაულ საზოგადოებაში მესაკუთრეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფამ და დაცვამ განვითარების გრძელი გზა გაიარა ზოგიერთი პრიმიტიული და სპონტანური ხერხებიდან ორთა ბრძოლისა და თვითნებობის სახით, ვიდრე სასამართლო პროცესის მეთოდების ვირტუოზობამდე და დახვეწილობამდე.

თვითნებობა იყო თავისი დარღვეული უფლებების თვითდაცვის ერთერთი უძველესი ნაირსახეობა. თვითნებობა მათი აშკარა დარღვევების დროს, რწმენის თანახმად, ღვთიური წეს-ჩვეულებით გაცისკროვნებული, შემოსილი გარკვეული საკრალური ფორმებით მოვალეს აყენებდა უდავო დაქვემდებარებულ მდგომარეობაში. ამასთან, უძველესი რომაული სამართლებრივი დანაწესების გათვალისწინებით, თვითდაცვის ასეთი ფორმის განსხვავება, როგორც თვითნებობის თვითდასჯისგან, თვითგასამართლებისგან ძნელი იყო. ასეთი შედეგები იყო, მაგალითად, სრულიად კანონიერი ხელშეკრულება ნექსუმის მიხედვით, რომლის უზრუნველყოფასაც მოვალის „სისხლი და ხორცი“ წარმოადგენდა. მაგრამ ჩვ. წ-მდე 326 წ. პეტელიუსის კანონის მიხედვით კრედიტორებს ჩამოერთვათ მოვალის მოკვლის ან მისი მონად გადაქცევის უფლება.

ამასთან ერთად, განსახილველ ფორმებში თვითდაცვას ძველ დროშიც წარედგინებოდა საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები, სადაც მთავარი იყო: რეალური და არა მოჩვენებითი უფლების დაცვა, მოქმედებაზე პასუხი და არა პრევენციულობა; უშუალობა და არა წარმომადგენლობა და სხვ. ეს მოთხოვნები საზოგადოებაში სახელმწიფოებრივ–სახელისუფლებო საწყისების გაძლიერებასთან ერთად სულ უფრო მეტად მკაცრდებოდა. დროთა განმავლობაში, დღის შუქზე შეიარაღებული ქურდის წასწრების დროსაც კი შესაძლებელი გახდა მისი განადგურება და მხოლოდ ყვირილით მეზობლების შეტყობინება მომხდარის შესახებ. და მაინც, კიდევ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოქალაქეების მიერ დავების გადაჭრის დროს

სახელმწიფო ასრულებდა პასიური, თუმცა განსაკუთრებულად ყურადღებიანი დამკვირვებლის (არბიტრის) როლს. ამაზე მიუთითებს ლეგისაქციური პროცესის მრავალი თავისებურება და ზოგიერთი სახეობა, რომელიც პირდაპირ ემყარებოდა უფლებამოსილი მხარის აქტიურ როლს და მოვალის სრული სამართლებრივი არარაობის დროსაც კი მის უფლებათა მაქსიმალურ არსენალს. ამის შესახებ განსაკუთრებულად მკაფიოდ მოწმობს „ხელდასმისა“ და „გირაოს მიტაცების“ საშუალებით წარმოებული პროცესები.

არქაული თვითნებობის ცალკეული გამოვლენები გვიანდელი იმპერიის დროსაც იყო შენარჩუნებული, მაგრამ უკვე აუცილებელი დაცვის განვითარებული ინსტიტუტისა და უკიდურესი აუცილებლობის სახით („ძალადობა ნებადართულია ძალით აისახოს“, „ძალადობისგან თავის დაცვა ძალის მეშვეობით ნებადართულია ყველა კანონითა და უფლებით“). დროთა განმავლობაში თვითნებობამ შეიძინა კანონით გასაკიცხი არსი, ხოლო დაცვა სპეციალურ იურიდიულ კონსტრუქციებში იყო გაფორმებული – ქალაქის მაგისტრატების სასარჩელო ფორმულებსა და სპეციალურ იმპერატიულ განკარგულებებში, რომელთა მეშვეობით XII ტაბულის კანონები და პრეტორები მხარეთა ინტერესებს უზრუნველყოფდნენ.

47. სარჩელების (actiones) ცნება და მნიშვნელობა რომის სამართალში

მოთხოვნა თავისი საკუთრების უფლების დაცვის თაობაზე კონკრეტული სარჩელის ფორმას ატარებდა. ***სარჩელი*** (actio) – რომის კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია, რომელიც გამოიხატებოდა თავისი უფლების სასამართლო დაცვის მოთხოვნასა და დარღვეული უფლების აღდგენაში. როგორც წესი, საუბარი ეხებოდა საკუთრების უფლებების დაცვას მესაკუთრის დაკარგული მფლობელობის დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში არაკანონიერად დაპატრონებული ქონების არამესაკუთრისგან, ასევე მესაკუთრის მიერ ქონების გამოყენების უფლების დაცვის აუცილებლობას ასეთი უფლების განხორციელებისას არამართლზომიერი წინააღმდეგობების შემთხვევაში.

სარჩელები უკიდურესად ბევრი იყო. შემთხვევითი არ არის გამოთქმა, რომ რომის სამართალი – ეს არის სარჩელების სამართალი. ეს გამოთქმა განსაკუთრებით სამართლიანი იყო კლასიკური პერიოდისთვის, როდესაც პრეტორების აქტიურ მოღვაწეობას დიდძალი რაოდენობის ყველაზე სხვადასხვაგვარი სასარჩელო ფორმის გაჩენა მოჰყვა. კონკრეტული სამართლის დარღვევისას საჭირო იყო სრულიად კონკრეტული სარჩელი.

უფრო მეტიც, იყო სიტუაციები, როცა თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციისათვის აუცილებელი იყო სხვადასხვა სარჩელის მთელი ერთობლიობა. თუმცა, ამა თუ იმ სარჩელის ბუნებაში არსებობაც კი ჯერ კიდევ არ იძლეოდა მისი საშუალებით დაცვის უფლების ავტომატური გაჩენის გარანტიას. საჭირო იყო მისი პოვნა და წარდგენა, შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნების ფორმულირება. როგორც კი ასეთი სარჩელი მოიძებნებოდა, შეიძლებოდა საუბარი იმაზე, რომ პირს დაცვის უფლება აქვს. ამრიგად, სარჩელების სისტემა სავსებით დასაშვებია განიხილებოდეს კანონებთან ერთად, როგორც რომის სამართლის კიდევ ერთი წყარო.

48. სარჩელების მრავალსახეობა რომის სამართალში

სარჩელების მთელი ოდენობა, რომელიც ორას სახეობაზე მეტი იყო, დაფუძნებული იყო მათ შორის ოცდაათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს. თავისი შინაარსით ისინი ყველა დანარჩენის დედაარსის აკუმულირებას ახდენდნენ.

სარჩელების კლასიფიკაცია უნდა დავიწყოთ მათ შორის ყველაზე მთავარი სახეობებისგან – სარჩელების დაყოფით სანივთოსა და პირადზე.

პირადი სარჩელები (actiones in personam ან კონდიქციური) განიხილებოდა, როგორც სარჩელების სისტემა, რომელიც წარმოიქმნებოდა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან და მიმართული იყო მოპასუხის როლში მყოფი კონკრეტული პირისგან რაიმეს მისაღებად (როდესაც „... მოპასუხემ უნდა გადასცეს, ან გააკეთოს, ან წარმოადგინოს რაიმე“). სანივთო სარჩელის (actiones in rem) მიზანს წარმოადგენდა უფლების აღიარება კონკრეტულად განსაზღვრული ნივთის მიმართ, ე.ი. მიმართული იყო მოსარჩლეს მიერ თავისი (აბსოლუტური) სანივთო უფლების დაცვის უზუნველყოფაზე („... როდესაც ჩვენ ვაცხადებთ და ვამტკიცებთ, რომ ფიზიკური ნივთი ჩვენია, ან ვიწყებთ კამათს იმაზე, რომ გაგვაჩნია რაიმე უფლება...“).

აბსოლუტური სარჩელები, რომლის მოპასუხე შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი პირი, რომელმაც დაარღვია სხვისი უფლება (მაგალითისთვის გამოგვადგება ქონებრივი სარჩელები) და *შეფარდებითი სარჩელები*, რომლის მოპასუხის სახით იყვნენ უკვე ცნობილი, კონკრეტულად განსაზღვრული პირები (მაგალითისთვის გამოგვადგება პირადი სარჩელები).

განსაზღვრული სარჩელები მოპასუხის სახით მიუთითებდა კონკრეტულ პირებზე, ხოლო *განუსაზღვრელი* – ნებისმიერ სუბიექტზე, რომელიც შეიძლება ყოფილიყო სამართლის დარღვევის მონაწილე, ვისი მიზეზითაც მოხდა სარჩელის წარდგენა.

რთული სარჩელები ითვალისწინებდა ვალდებული მხრიდან რამდენიმე მოქმედების შესრულებას (მაგალითად, მიტაცებული ნივთის დაბრუნება და დამნაშავის დასჯა), *მარტივებისგან* განსხვავებით, რომელთათვისაც საკმარისი იყო ერთი მოთხოვნის შესრულება, რომელიც მის საფუძველს წარმოადგენდა (მხოლოდ ნივთის დაბრუნება).

მკაცრი სამართლის სარჩელები (actiones stricti iuris), დაფუძნებული იყო ცივილურ სამართალზე, ამიტომ ითვალისწინებდა საქმის განხილვის მკაცრ და ვეებერთელა პროცედურას და *კეთილი სინდისის სარჩელები* (actiones bonae tidae), ეგრეთ წოდებული, პრეტორული (actiones honorarie), რომელიც მოსამართლეს ნებას აძლევდა მხედველობაში მიეღო მოპასუხის შედავება, რომელიც ეფუძნებოდა სამართლიანობის მოთხოვნას, თუმცა სარჩელის ფორმულაში არც კი იყო ჩართული განსაკუთრებული ექსცეფცია.

სამოქალაქო სამართალწარმოების (actio civilis) ჩარჩოებში აღძრული სარჩელები და *სისხლის სამართლის წესით დევნის* (actio criminalis) მსვლელობისას აღძრული სარჩელები.

დელიქტური სარჩელების ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნებოდა *ჰერსეკუტორული* სარჩელები (გამოთხოვილი ნივთის შესახებ) აღძრული იყო ქონებრივი უფლების დარღვეული მდგომარეობის აღსადგენად და ითვალისწინებდა მოსარჩლის მოთხოვნებს მოპასუხის მიმართ დაკარგული ნივთის ან სხვა ფასეულობის (ვინდიკაციური) დაბრუნების თაობაზე, *საჯარიმო სარჩელები* (actiones poenales), რომლის მთავარი მიზანი იყო მოპასუხის დასჯა მასზე ჯარიმის გადახდის ვალდებულების დაკისრების სახით, ან დაზარალებული მოსარჩლის ზარალის ანაზღაურება და *შერეული სარჩელები* (actiones mixtae), რომლის არსებობის საფუძველში ჩადებული იყო მიზნები და ზარალის ანაზღაურება და მოპასუხის დასჯა (მაგალითად, actio legis Aquiliae).

სახალხო სარჩელები (actiones populares) შეიძლება აღძრულიყო ნებისმიერი მოქალაქის მიერ, მაგრამ თავისი კერძო უფლების დასაცავად კი არა, არამედ მთელი საზოგადოების დაცვისა და ინტერესების უზრუნველყოფიდან გამომდინარე (მაგალითად, იმ პირების მიმართ, რომლებმაც ქუჩაზე რაღაც დადეს ან ჩამოკიდეს ისე, რომ მას შეეძლო ზიანის მიყენება სხვა ადამიანებისათვის ან ცხოველებისათვის). აღნიშნულ შემთხვევაში საჯარიმო თანხა მიდიოდა სახელმწიფოს შემოსავალში.

სარჩელები ფიქციით (actiones ficticia) აღიძვრებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც პრეტორი საჭიროდ ჩათვლიდა კანონით გათვალისწინებული

დაცვა გაევრცელებინა რაღაც ახალ, კანონში გაუთვალისწინებელ ურთიერთობაზე და მოსამართლეს სთავაზობდა (სასარჩლო ფორმულის ინტენციაში) დაეშვა ზოგიერთი ფაქტის არსებობა, რომელიც სინამდვილეში არ იყო და ასეთი ფიქციის დახმარებით დაეყვანა ახალი ურთიერთობა ერთ-ერთ არსებულ სარჩელამდე (მაგალითად, „დაე, ოქტავიანე პრისკუსი იყოს მოსამართლე და გადაწყვიტოს საქმე ისე, ვითომ აქ იყო მოლაპარაკება“).

სარჩელები ანალოგიის მიხედვით (actiones utilis), როგორც პრეტორული სამართლის სარჩელები, რომლებიც წარმოშობილია პრაქტიკაში უკვე არსებული სარჩელებიდან ან ამა თუ იმ კანონის განვითარებადი კონკრეტული დებულებიდან.

საარბიტრო სარჩელები (actiones arbitrarie), როგორც ფორმულარული პროცესის სარჩელის ნაირსახეობა, რომლის დროსაც მოსარჩლე ხშირად ასახელებდა სადავო ნივთის მაღალ ფასს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში უკვე განადგურებული იყო, ხოლო მოსამართლე საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე სთავაზობდა მოპასუხეს მოსარჩლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოპასუხისათვის შესაფერისი ნებისმიერი საშუალებით, უკეთესი იყო არა ფულით, არამედ ნატურით.

სარჩელები, მაგისტრატის მიერ საქმის არსის წინასწარი გარჩევის შემდეგ ინ იურეს ეტაპზე, რომელიც გადადიოდა ინ იუდიციო სტადიაში მოსამართლის ან სპეციალური კომისიის გადასაწყვეტად, სახელდებოდა, როგორც *ჩვეულებრივი* ან *ორდინარული*. მათგან გამოირჩეოდა *საგანგებო სარჩელები* (actiones extraordinariae), რომელთა განხილვისა და გადაჭრის პროცესი იწყებოდა და მთავრდებოდა მაგისტრატის მიერ ერთპიროვნულად.

კანონზე დაფუძნებული სარჩელები (actiones in ius), რომლის აღძვრის დროს მოსარჩლეს უნდა დაემტკიცებინა თავისი უფლების წყარო („ნივთი, კვირიტული სამართლით, მეკუთვნის მე“), აგრეთვე ოდესღაც დადებული *ხელშეკრულების* (actiones ex contractu) დებულებებზე ან კონკრეტულ *ფაქტებზე* (actiones in factum) დაფუძნებული, ასევე უფლების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც დაქვემდებარებული გახდა არა უკვე ცნობილი განსაზღვრული ფაქტის არსებობით ან არ არსებობით, არამედ ფაქტების რაღაც ახალი შედგენილობით.

მრავალრიცხოვანი სარჩელები ზიანის მიყენებიდან გამომდინარე (actiones ex dedicto ან actiones iniuriarum); სარჩელები დაფუძნებული ადათწესებზე ან პრეცედენტზე (actiones praescriptis verbis).

არსებული სარჩელების ფონზე აბსოლუტური, როგორც თავისი ძალით, ასევე განვრცობითობით, მაინც იყო ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელები. აღსანიშნავია, რომ ამ სახით მათ ჩვენ დრომდეც მოაღწიეს.

საკუთრების უფლების დაცვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი ფორმა იყო *ვინდიკაციური სარჩელი* (rei vindicatio, ძალის გამოყენების შესახებ განცხადება). მისი გამოყენების საშუალება მიეცემოდა ნივთის მესაკუთრეს, რომელიც რაღაც მიზეზით ჰქონდა დაკარგული და აღმოჩნდებოდა მესამე პირთან: „სადაც ვპოულობ ჩემს ნივთს, იქვე მის ვინდიცირებას ვახდენ“. ვინდიკაციური სარჩელი — *ეს არის დავა საკუთრების უფლებაზე*, რომელშიც ნამდვილ მესაკუთრეს უნდა დაემტკიცებინა ნივთზე თავისი უფლება. დამამტკიცებელი საბუთის არსებობისას ნივთი უბრუნდებოდა მესაკუთრეს მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოხვდა იგი უკანასკნელ მფლობელთან[1].

მესაკუთრის უფლების სისრულის დაცვისათვის გამოიყენებოდა ასევე *ნეგატორული სარჩელი* (actio negatoria, უარყოფითი სარჩელი), რომელიც მიმართული იყო მესამე პირების წინააღმდეგ, რომლებიც აყენებდნენ დაუსაბუთებელ პრეტენზიებს სხვის ნივთზე (მაგალითად, მეზობელ მიწის ნაკვეთზე). როგორც წესი, ნეგატორული სარჩელი პრეტენზიის შემთხვევაში აღიძვრებოდა სხვისი ნივთების სერვიტული უფლებით (სხვისი ნივთების ხმარების უფლება) სარგებლობის გამო. ნამდვილი მესაკუთრე „უარყოფდა“ მოპასუხის მიერ წარდგენილ უფლებას (მაგალითად, მესაკუთრის ნაკვეთზე გასვლის ან გატარების უფლება, მის კედელზე თავისი ნაგებობების მიშენება) და მოითხოვდა არაკანონიერი მოქმედების შეწყვეტას არა მხოლოდ „იმჟამად“, არამედ მომავალშიც.

ნეგატორულის ნაირსახეობაა პროგიბიტორული სარჩელი (actio prohibitoria, სარჩელი აკრძალვის შესახებ), რომლის მიზანიც იყო ჩარე-

[1] თუკი სხვისი ნივთის უკანასკნელი მფლობელი იყო კეთილსინდისიერი, ე. ი. არ იცოდა მისი უკანონოდ მფლობელობის შესახებ, მაშინ მას უნდა დაებრუნებინა მესაკუთრისთვის ნივთი და ვინდიკაციური სარჩელის წარდგენის მომენტიდან მისგან მიღებული მთელი ნაყოფი. ამ შემთხვევაში ნამდვილ მფლობელს უნდა აენაზღაურებინა მოპასუხისთვის ნივთის შენახვისათვის გაწეული ხარჯები (დანახარჯები მის ეზოში შემოხეტებული სხვისი საქონლის კვებაზე, მინდვრისა და ბაღის სათანადო დონეზე შენარჩუნებაზე). არაკეთილსინდისიერ მფლობელს კი ნივთის დაბრუნების გარდა ეკისრებოდა ანაზღაურება ნივთის ხარისხის შესაძლებელი გაუარესებისთვის, ასევე ნივთისგან მთელი მფლობელობის განმავლობაში მიღებული ყველა ნაყოფისთვის, ან რისი მიღებაც შეეძლო. უფრო მეტიც, არაკეთილსინდისიერი მფლობელი ვალდებული იყო აენაზღაურებინა სარჩელის წარდგენის მომენტიდან ნაყოფისგან არშემდგარი შემოსავალი, თუნდაც მას თავად ვერ მიეღო, მაგრამ ნამდვილი მესაკუთრისთვის ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ვის, დაბრკოლების თავიდან აცილება, რომელიც ხელს უშლიდა მესაკუთრეს თავისი ნივთის ნორმალურად გამოყენებაში.

49. სარჩელების კუმულაცია, კონკურენცია და კოლიზია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი სამართალურთიერთობა შეიძლება ყოფილიყო დაცული მხოლოდ სარჩელების ერთობლიობით. ასეთი სიტუაცია წარმოიქმნებოდა, მაგალითად, ქურდობის შედეგად (furtum) სხვისი არაკანონიერი მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე აღძრული სარჩელის დროს, როდესაც წარმოდგენილი იყო რამდენიმე სარჩელი: მოპარული ნივთის დაბრუნების მოთხოვნა პერსეკუტორული სარჩელის ფარგლებში და დამნაშავისგან მოპარულის ორმაგი ღირებულების გადახდევინების შესახებ სარჩელი. სხვადასხვა სასარჩელო მოთხოვნის ასეთ შეერთებას ეწოდებოდა *კუმულაციური სარჩელი* ან სარჩელების კუმულაცია.

ასევე იყო სიტუაციური, როდესაც ერთი და იგივე უფლება დაცული იყო რამდენიმე სხვადასხვა სარჩელით, რომელიც იწვევდა სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი სარჩელის რეალიზაცია ავტომატურად მეორეს მოქმედების ანულირებას ახდენდა. რომის სამართლის პრაქტიკაში ეს ცნობილი იყო *სარჩელების კონკურენციის* სახელით.

მაგრამ, ხშირად, ერთდროულად რამდენიმე მოსარჩლის სხვადასხვა მოთხოვნის რეალიზაცია ერთი მოპასუხის მიმართ იქამდე მიდიოდა, რომ სავსებით დაკმაყოფილებული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ რამდენიმე ან, საერთოდ, ყველასგან ერთი, როგორც წესი, ყველაზე ადრე განცხადებული. ასეთ შემთხვევას ეწოდებოდა *სარჩელების კოლიზია.*

50. სასარჩელე ხანდაზმულობა რომის სამართალში

მიუხედავად ქონებრივი სამართალურთიერთობების მძაფრი განვითარებისა, რომის სამართლის მიერ სასარჩელე ხანდაზმულობის ინსტიტუტს რაიმე დეტალური გადამუშავება არ მიუღია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ცივილური სამართლის მიხედვით სასარჩელე ხანდაზმულობის ვადა არ იყო შეზღუდული. თუმცა, მომავალში დაიწყო სასარჩელე მოთხოვნათა გარჩევა, რომელიც ეფუძნებოდა ადათ-წესებსა და კანონს.

როდესაც საუბარი ეხებოდა ადათ-წესების მიხედვით სარჩელებს, მაშინ სასარჩელე მოთხოვნები გაბათილებული იყო „დროის უხსოვრობის

გამო“, ე. ი. სამი თაობის სიცოცხლის პერიოდის ამოწურვის გამო. კანონით სარჩელების გასაბათილებელი ხანდაზმულობა, რომელიც ზუსტად დადგინდა მხოლოდ 424 წ., დგებოდა, საერთო წესით, შესაბამისი საპრეტენზიო საფუძვლების წარმოქმნის შემდეგ 30 წელიწადში. ცალკეულ კერძო შემთხვევებში წესდებოდა სხვა, უფრო მოკლე ვადები.

ამასთან ერთად, სასარჩელე ხანდაზმულობის მიმდინარეობის ვადა შეიძლება შეჩერებულიყო. მაგალითად, პირის დროებითი არაქმედუნარიანობის (მცირეწლოვანობა), დასწრების შეუძლებლობის (სამხედრო სამსახურში ყოფნა) შემთხვევაში.

კლასიკურმა სამართალმა იცოდა სარჩელის წარდგენის კანონიერი ვადის ინსტიტუტი, როგორც დროის პერიოდი, რომლის ამოწურვის შემდეგ, უფლებამოსილი პირის აქტიურობის ან პასიურობის მიუხედავად, მისი უფლება სარჩელზე წყდებოდა.

51. საკუთრების უფლების დაცვა ადმინისტრაციული ზომებით: პრეტორული ინტერდიქტები (interdictum)

სარჩელების ფართო სისტემის გარდა, რომელთა აღძვრის შედეგი შეიძლება სრულიადაც არ ყოფილიყო ერთმნიშვნელოვანი, რამეთუ ხორციელდებოდა შეჯიბრებითი სამართალწარმოების წესით, საკუთრების უფლება შეიძლება ყოფილიყო დაცული ადმინისტრაციული ზომებითაც. ასეთი ზომები იყო მაგისტრატის კატეგორიული განკარგულებები რაიმე მოქმედების სასწრაფოდ შეწყვეტის შესახებ, რომელიც არღვევდა კონკრეტული პირის ინტერესებს ან საზოგადოებრივ წესრიგს – *პრეტორული ინტერდიქტები* (interdictum, აკრძალვა). ინტერდიქტების, ე.ი. ბრძანებისა და განკარგულებების გამოტანის უფლება გამომდინარეობდა პრეტორების ძალაუფლებრივი უფლებამოსილების ერთობლიობიდან – იმპერიუმიდან. სწორედ ინტერდიქტებიდან იღებს სათავეს ამ მაგისტრატების აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში. მოგვიანებით პრეტორებმა შეავსეს თავისი არსენალი სასარჩელე ფორმულების შედგენის შესაძლებლობით. ამასთან, არა მხოლოდ მათი შეტანით თავიანთ ედიქტებში, არამედ მათი შექმნით მიმდინარე ყოველდღიური მოღვაწეობის პროცესში. თანდათან სარჩელები, განსაკუთრებით ფაქტობრივი (actiones in factum), პრეტორული სამართლის სხვა წყაროებს შორის გახდა დომინირებული. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული განკარგულებები გარკვეულ სიტუაციაში ერთობ უფრო ქმედითი იყო.

ინტერდიქტები თავისი მიმართულობის მიხედვით იყო მეტისმეტად სხვადასხვაგვარი, მაგრამ შინაარსის მიხედვით კი მუდამ კატეგორიული ბრძანებები.

თავდაპირველად ინტერდიქტები, მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამართალწარმოების ჩვეულებრივი წესით, გარჩევის წინაპირობა ხდებოდა (ე.ი. მის ორ სტადიაში), შემდეგ კი გადაიქცა პირდაპირი მოქმედების განკარგულებად.

ინტერდიქტები იყო აღდგენითი, აკრძალვითი და წარდგენითი.

რესტიტუტორული (აღდგენითი) ინტერდიქტები (interdicta restitutoria) აწესებდნენ წინანდელ მდგომარეობაში დაუყოვნებლივ აღდგენას, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას (მაგალითად, „მემკვიდრე იმ ქონებაისა, რომელსაც ვიღაც ფლობს, როგორც მემკვიდრე ან როგორც მფლობელი ... იმ პირის მფლობელობის აღდგენა, რომელსაც ძალით წაართვეს მიწების მფლობელობა“).

პროჰიბიტორული (აკრძალავი) ინტერდიქტები (interdicta prohibitoria) ადებდა აკრძალვას ამა თუ იმ მოქმედებას, ან უწესებდა პირს, რომ თავი შეეკავებინა გარკვეული მოქმედებებისგან (მაგალითად, „ძალადობის გამოყენება უბიწოს ან დასაკრძალი მიცვალებულის მიმართ იმ ადგილზე, სადაც მას უფლება ჰქონდა, ან წმინდა ადგილზე ნაგებობის აგება, ან რაღაცის გაკეთება საჯარო მდინარეზე ან ნაპირზე, რაც ხელს შეუშლიდა მასზე დაუბრკოლებლად ცურვას“).

ექსჰიბიტორული (წარდგენითი) ინტერდიქტები (interdicta exhibitoria) უწესებდა ამა თუ იმ პირს, რათა წარმოედგინა ნივთი, ან მიეყვანა ვიღაც სასამართლოში (მაგალითად, „რომლის თავისუფლებაზეც მიდის კამათი, ან ლიბერტა, რომელსაც პატრონი აიძულებს მუშაობას, ან ბავშვები მამასთან, რომლის ძალაუფლების ქვეშაც იმყოფებიან“).

52. მფლობელობის უფლების დაცვა: მფლობელური ინტერდიქტები, მფლობელობაში შემოტანა, სტიპულაცია, რესტიტუცია

მფლობელობის უფლება დაცული იყო არა სარჩელებით, არამედ ინტერდიქტებით. ამიტომ, ადმინისტრაციულ განკარგულებებს მოქმედებების (გარიგებების) დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე, რაც ნამდვილი მესაკუთრის უფლებას არღვევდა, ასევე ერქვა – *მფლობელობითი ინტერდიქტები.*

ასეთი ინტერდიქტები ბევრი იყო. დავასახელებთ მათგან ყველაზე მსხვილებს.

ეს არის, კერძოდ, interdica adipiscendae possessionis (მფლობელობის მოთხოვნა), რაიმე ახალ მფლობელობაზე წილდადებული პირი (მაგალითად, მფლობელობის მემკვიდრეობით მიღების შესახებ მოთხოვნა). კლასიკურ პერიოდში ასხვავებდნენ უძრავი ქონების უფლების შენარჩუნებაზე მიმართულ ინტერდიქტებს – interdictum uti possidetis (მომდინარეობს „ახლა როგორ ფლობთ“) და რომელიც მოძრავი ქონების ფლობის შენარჩუნებასა და დაცვას უზრუნველყოფდა – interdictum utrubi (utrubi-დან, „მხარეებიდან ვის აქვს ნივთი“).

არსებობდა *შესანარჩუნებელი ინტერდიქტები* (interdicta retinendae possessionis), რომლის მიზანიც იყო ნივთის კანონიერი მფლობელის სხვისი თვითნებური ხელყოფისგან დაცვა და *დამაბრუნებელი ინტერდიქტები* (interdicta recuperandae possessionis), რომელიც მიმართული იყო კანონიერი მფლობელობაში უკვე დაკარგულის დაბრუნებაზე (ვიღაცის მიერ წართმეული, მაგალითად) ან ჯერ კიდევ არადაკარგულის მფლობელობის შენარჩუნებაზე.

მაგალითად, წესრიგის უზრუნველყოფის ან დაცვის მიზნით, რაიმეს შეწყვეტის ან აკრძალვის თაობაზე, პრეტორებმა კატეგორიული განკარგულების უფლება უბოძეს ყოველ მოქალაქეს (cuilibet ex populo, ვინმე ხალხიდან)[1]. ასეთ ინტერდიქტებს ეწოდებოდა *ხალხო* – interdicta popularia.

ინტერდიქტებთან ერთად მესაკუთრის უფლების ადმინისტრაციული დაცვის საშუალებებს მიეკუთვნებოდა ასევე *პრეტორული სტიპულაციები* (stipulationes praetoriae), რომელთა მოქმედებაც გამოიხატებოდა იმაში, რომ პრეტორი, რომელიმე მხარის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, სამართლის სუბიექტებს აიძულებდა გარკვეული გარიგებისკენ (შეთანხმებისკენ).

ადმინისტრაციული განკარგულების კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენდა *მფლობელობაში შეტანა* (missio in possessionem), როდესაც, პირის დასაბუთებული მოთხოვნიდან გამომდინარე, პრეტორი უბოძებდა მას მთელი ქონების ან მისი რაღაც ნაწილის (missio in rem specialem) მფლობელობის უფლებას – ქონებაში შეტანას (mission in bona).

პრეტორული დაცვის ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება იყო *რესტიტუცია* (restitution in integrum). ასეთი განკარგულება გაიცემოდა

---

[1] აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ წინა არქაული დროიდან მოთხოვნის, ბრძანების უფლება, განჩინების მიხედვით, ჰქონდათ კვირიტული ერთობის ყველა წარმომადგენელს და ასეთი უფლება ჰქონდათ თითოეული მათგანის მიერ *იმპერიუმის* ფლობის გამო, რაზეც იყო საუბარი რომაელი მოქალაქეების სტატუსის შესახებ სპეციალურ ნაწილში.

იმ შემთხვევაში, როცა პრეტორი დარწმუნდებოდა გარიგების მხარეების მიერ დადებულ რაიმე, მაგრამ საქმის იურიდიული სიწმინდისათვის ფრიად არსებით, ნაკლოვანებაში (ყველაზე განსხვავებული საფუძვლისა და მიზეზის მიხედვით). მაშინ მას გამოჰქონდა გადაწყვეტილება მის ანულირებასა და მხარეების თავდაპირველ მდგომარეობამდე დაბრუნების შესახებ.

თავი 11. სხვის ნივთებზე ძირებრივი უფლება. სერვიტუტი და გირაო

53. სხვის ნივთებზე უფლების სახეობები: სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება და განკარგვის უფლება

ძველად, რომის შედარებით უმნიშვნელო ტერიტორიის პირობებში (თავისი სამოქალაქო, ლათინური და პერეგრინების ერთობით, მიწაზე სახელმწიფო საკუთრებით, მრავალი მცირე მეზობელი სამფლობელო ნაკვეთებით) აქტუალური იყო საერთო კეთილდღეობით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცათ ყველა უფლებამოსილ პირთათვის. ამიტომ, ცალკეულ შემთხვევებში, მესაკუთრენი შეიძლება შეზღუდულიც ყოფილიყვნენ თავიანთ აბსოლუტურ უფლებებში სხვა პირთა სასარგებლოდ. ასეთი ჩვეულება თანდათან ჩამოყალიბდა *სხვის ნივთებზე სანივთო უფლებების* (iura in re aliena) მყარ ინსტიტუტად. ამასთან, მოცემული უფლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, როგორც სხვისი ნივთის „გამოყენების უფლება“ და „განკარგვის უფლება“.

სხვის ნივთებზე უფლება სათავეს იღებს სერვიტუტებიდან. ისტორიულად მათგან პირველი იყო პრედიალური ე.ი. სასოფლო სერვიტუტები. რომის გეოგრაფიულმა განლაგებამ, ბორცვებს შორის, პირველ რიგში, მიგვიყვანა წყლისა და საგზაო სერვიტუტების წარმოქმნამდე, რომელიც აისახა კიდეც XII ტაბულის კანონებში: ცხენით გავლის უფლება (iter); საქონლის გარეკვისა და მსუბუქი ოთხთვალათი გავლის უფლება (actus); მძიმე ტვირთის გადასატანად მოკირწყლული გზით სარგებლობის უფლება (via); სხვის მიწაზე წყლის გაყვანის უფლება (aquaeductus). ცოტა მოგვიანებით გაჩნდა სხვის ნაკვეთზე არსებული წყალსატევიდან წყლის ამოხაპვის უფლება (aquaehaustus).

ამგვარად, სხვის ნივთებზე შეზღუდული სანივთო უფლება შედგებოდა ორი სამართლებრივი ბლოკისგან:

- *სხვისი ნივთებით სარგებლობის* სანივთო უფლება, რომელიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სერვიტუტით, ასევე ემფიტევზისითა და სუპერფიციით;
- *სხვისი ნივთების განკარგვის* სანივთო უფლება გირაოს ან მისი სახესხვაობების: ფიდუციის, პიგნუსისა და იპოთეკის სახით.

54. სერვიტუტის (servitus) შინაარსი და სახეობები

სიტყვა სერვიტუტი ითარგმნება, როგორც „ნივთის მონობა, ნივთის სამსახური“ და წარმოადგენს სხვისი ნივთის გამოყენების დროებით უფლებას ან ვალდებულებას თავისი ნივთით გაუწიოს გარკვეული სამსახური სხვა პირს ან ნებისმიერ მესამე პირს („სერვიტუტის არსი იმაშია, რომ ვიღაც რაღაცას იტანს ან რაღაცას არ აკეთებს“).

XII ტაბულის კანონებში ასახვა პოვა მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანმა უფლებებმა: საქონლის სარწყულებამდე გარეკვა, წყლის გაყვანა მეზობლის ნაკვეთზე, გასასვლელი, გასავლელი საჯარო გზამდე და სხვ. მთლიანობაში, უნდა აღვნიშნოთ სერვიტუტის უმნიშვნელოვანესი სოციალური დანიშნულება, რომლის ძირითად ფუნქციას შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ეკონომიკური შემადგენელი, რაც მდგომარეობს ერთი პირის სამეურნეო საქმიანობაში მეორის ქონების ჩართვით იმ ნაწილში, რაც შეუძლებელია უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკური პროცესის მონაწილის საკუთარი რესურსების ხარჯზე;
- პოლიტიკური, რაც მდგომარეობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის კონტროლის უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი თანხმობის შენარჩუნებაში;
- ეკოლოგიური, რაც გამოიხატება შეზღუდული ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისკენ მისწრაფებასა და ადამიანის კეთილსასურველი არსებობისათვის პირობების შექმნაში.

სერვიტუტები იყო მეტად განსხვავებული, მაგრამ მკაცრად იყოფოდა ორ მსხვილ სახეობად: რეალური ან პრედიალური (სასოფლო და საქალაქო) და პირადი (უზუფრუქტი, უზუსი, ჰაბეტაციო).

55. რეალური (პრედიალური) სერვიტუტები (praedium serviens)

რეალური სერვიტუტები ასე იწოდებოდა, რადგან სხვისი ნივთით უვადო სარგებლობის უფლება უშუალოდ უკავშირდებოდა სწორედ ნივთს, მას-

თან იყო „შეთვისებული“ და ეს უფლება შეიძლება გადაცემოდა ნებისმიერ პირს, სანამ ნივთი იარსებებდა.

რეალური სერვიტუტებიდან ყველაზე ძველი იყო *მიწის ან პრედიალური სერვიტუტი*. პრედიალური სერვიტუტი წარმოადგენდა სხვისი ნივთით სასოფლო ან საქალაქო მიწის ნაკვეთის სახით სარგებლობის შეზღუდულ უფლებას მისი გაუმჯობესების მიზნით. ეს უფლება სამუდამოდ იყო დაკავშირებული ამ ნაკვეთთან და შეიძლება გადასცემოდა ვინმეს მხოლოდ მასთან ერთად.

მიწის სერვიტუტები იყოფოდა სასოფლო (servitutes praediorum rusticorum) და საქალაქო (servitutes praediorum urbanorum) სახეობებზე. ასეთი ტიპური პრედიალური სერვიტუტების რიცხვს მიეკუთვნებოდა: სხვა პირის ნაკვეთზე სიარულის (სეირნობის) უფლება; საქონლის გადაყვანის ან გარეკვის უფლება; სხვის ნაკვეთზე სხვა ადამიანების მიერ ჭით სარგებლობა, ასევე სხვისი წყაროდან საქონლის დარწყურება და ძოვება სხვის ნაკვეთზე; თავისი მილსადენის გაყვანის უფლება სხვის ნაკვეთზე; მშენებლობის განსაზღვრულ სიმაღლეზე მაღლა აღმართვის აკრძალვა; თავისი აივნის მიშენება სხვისი ნაკვეთის მხრიდან; წყლის გადაგდების უფლება სხვისი ნაკვეთიდან (მისი სახლის სახურავიდან ან ეზოდან); ფანჯრიდან სასიამოვნო ხედის უფლება, გადახედვის შეზღუდვის აკრძალვა; სინათლის უფლება და დაბნელების შეზღუდვის ვალდებულება (15 ფუტის სიმაღლეზე ხის გადაჭრის აუცილებლობის ვალდებულება, რათა არ დაებნელებინა მეზობელი ნაკვეთი); მეზობელ ნაგებობაზე დაყრდნობის უფლება; საბოლველი ნაგებობა მეზობლის ეზოს გვერდით; აივნის ან სახურავის გაწევის უფლება მის ნაკვეთზე; მეზობელი ნაკვეთიდან ჩამოვარდნილი რკოების აკრეფის, თავის ტყეში შეშის შეგროვების, სხვის ნაკვეთზე თიხისა და ქვიშის აღების უფლება და მრავალი სხვა.

პრედიალური სერვიტუტებისათვის დამახასიათებელ ზოგად თავისებურებებს წარმოადგენდა მისი უვადობა და განუყოფლობა, უსასყიდლობა და ნაკვეთის მესაკუთრის პასიურობა, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა უფლებამოსილება.

56. პირადი სერვიტუტები (servitutes personarum)

პირადი სერვიტუტები წარმოიქმნა რეალურზე გაცილებით გვიან და იმაში მდგომარეობდა, რომ ნივთის მესაკუთრე იზღუდებოდა იყო კონკრეტულად განსაზღვრული პირის სასარგებლოდ, რომელსაც ეძლეოდა მოცემული ნივთის მიმართ ზოგიერთი მემკვიდრეობით არა გადასაცემი

უფლება. პირადი სერვიტუტი წყდებოდა ნაკვეთის განადგურების ან მისი მოსარგებლის გარდაცვალების დროს. პირად სერვიტუტებს მიეკუთვნებოდა უზუფრუქტი, უზუსი, ჰაბიტაციო და სხვისი მონებით ან ცხოველებით სარგებლობის უფლება.

უზუფრუქტი (usufructus, ნაყოფითა და შემოსავლებით სარგებლობის უფლება) — სხვისი გამოუყენებელი ნივთისგან ნაყოფის ან შემოსავლების უვადო ან ვადიანი (მაგრამ, არა მემკვიდრეობით) უფლების სხვისთვის გადაცემა, ე.ი. ისეთი, რომელიც შეინახავდა მის სუბსტანციას უვნებლად (ბაღიდან ხილს, ძროხისგან რძეს და ა.შ.). ამასთან, ნაყოფის გამოყენება შეიძლებოდა სურვილისამებრ, თავისთვის ან გასაყიდად. თუმცა, უზუფრუქტის მფლობელს, ჰქონდა რა ივარით გაცემის უფლებაც კი, არ შეეძლო მისი არსის შეცვლა და, მით უმეტეს, მისი გაუარესება. ამიტომ, საჭირო იყო რაიმე გაუმჯობესებაზე მაინც ზრუნვა, რათა არ დაევიწყებინა უზუფრუქტის შენახვის აუცილებლობა („უზუფრუქტი არის სხვისი ნივთებით სარგებლობის უფლება და მათგან ნაყოფის მიღება ნივთის სუბსტანციის შენარჩუნებით“ პაულიუსი). და, რა თქმა უნდა, მისი განკარგვა არ შეიძლებოდა.

ხელშეკრულებით დადგენილი უზუფრუქტის შინაარსის პირობები ითვალისწინებდა ამ უფლების შეწყვეტას მფლობელის მიერ ნივთის გაუარესების, მისი სერიოზული ცვლილების შემთხვევაში. ამასთან, ასეთი შედეგების გამომწვევი დამნაშავე, ანუ უზუფრუქტუარი არა მხოლოდ კარგავდა თავის უფლებას, არამედ ვალდებული იყო მესაკუთრისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია მოეხდინა. უდანაშაულობა იწვევდა მხოლოდ უფლების შეწყვეტას.

უზუსი (usus, გამოყენება) წარმოადგენდა ნივთით სარგებლობის უფლებას მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის ნაყოფის მიღების გარეშე, ე.ი. ნივთების გამოყენებას მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის, არა გასაყიდად. მაგალითად, ყანიდან, ბაღიდან ან ბოსტნიდან სხვისი კუთვნილი მოსავლის კანონიერი აღება[1].

თავისი შინაარსისა და მიმართულობის მიხედვით უზუსთან მეტისმეტად ახლოსაა ისეთი პირადი სერვიტუტი, როგორიცაა ჰაბიტაციო (habitatio) — სხვის სახლში ბინადრობის მემკვიდრეობითი უფლება, რომელიც ითვალისწინებდა ამ საცხოვრებელი სახლის ნამდვილი მესაკუთრის

---

[1] საინტერესოა, რომ უზუსი ასევე ცნობილია, როგორც დაქორწინების ერთ-ერთი უძველესი ფორმა. ამ შემთხვევაში მისი არსი მდგომარეობდა ქმრის შეზღუდული უფლების ერთობლიობაში თავის ცოლზე, რომელიც მამის საკუთრებაში იმყოფებოდა.

ვალდებულებას აეტანა მასში სხვა პირების ბინადრობა. ჰაბიტაციოს უფლების მიხედვით მის მფლობელს შეეძლო კიდეც მისი გაქირავება.

თავისი საჭიროებისათვის *სხვისი მონებით ან ცხოველებით* სარგებლობის უფლება ასევე იყო მემკვიდრეობითი.

57. სერვიტუტების წარმოქმნისა და შეწყვეტის პირობები

სერვიტუტების წარმოქმნა დაკავშირებულია რამდენიმე საფუძველთან: ხელშეკრულებასთან, ანდერძთან, სასამართლო გადაწყვეტილებებთან, ხანდაზმულობასა და კანონთან.

პირველ რიგში, ეს არის მხარეთა შორის შესაბამისი ხელშეკრულების დასკვნა. ამასთან, ნივთი შეიძლება დარჩეს ძველ მესაკუთრესთან, მაგრამ ამ დროს იგი იძენს სერვიტუტის დატვირთვას, ან გადაეცემა სხვა პირს, მაგრამ მესაკუთრესთან ხდება გარკვეული პირობის დადება (მაგალითად, თავისი ნათესავის საფლავთან მისვლის უფლება, რომელიც მდებარეობს გაყიდული კარ-მიდამოს ტერიტორიაზე). ამ შემთხვევაში სხვადასხვა სერვიტუტის დაწესება ხდებოდა მანციპაციის, სტიპულაციის, ინ იურე ცესიოს პროცედურების, ხოლო მოგვიანებით — ტრადიციების საშუალებით.

სერვიტუტის დაწესების მეორე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენდა ნივთისთვის სერვიტუტის დატვირთვის მიღების შესახებ *საანდერძო უარში* (legatum) *მასზე მითითება.*

ქონების გაყოფის შესახებ საქმეზე *სპეციალური სასამართლო გადაწყვეტილების* გამოტანას ასევე შეიძლება გაეთვალისწინებინა ნივთის საკუთრებაზე ერთი პირისთვის უფლების, ხოლო მეორესთვის — მისი ნაწილის გამოყენების უფლების მინიჭება.

ხანდაზმულობის მიხედვით სერვიტუტების დაწესება თავდაპირველად ხასიათდებოდა ძალიან მოკლე ვადით (არა უმეტეს ერთი წლისა). პოსტკლასიკურ პერიოდში სერვიტუტების მიმართ განსაზღვრული იყო უფრო ხანგრძლივი ვადები და მათი რეალიზაციის თავისებურებანი (longa quasipossessio). ღია და იძულების გარეშე ნივთით სარგებლობა 10 წლის განმავლობაში იმ პირთათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ მოცემულ პროვინციაში და 20 წლით სხვა პროვინციაში მცხოვრებთათვის.

სერვიტუტის უფლება შეიძლებოდა გამომდინარეობულიყო კანონის დებულებებიდან — ususfructus legalis, როგორც, მაგალითად, სახლის მეპატრონის მიერ მისი ხელქვეითი ბავშვების ქონებით სარგებლობის სრული უფლება.

სერვიტუტის შეწყვეტა დაკავშირებულია ისეთ საფუძვლებთან, როგორიცაა თავად ნივთის განადგურება ან მისი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება, სერვიტუტის მფლობელისა და ნივთის მესაკუთრის შერწყმა ერთ პირში, სერვიტუტის მფლობელის დაღუპვა, თავად უფლების დაწესების ვადის გასვლა, ხოლო კორპორაციისათვის — ვადის ამოწურვა 100 წელიწადში, პირის უფლებაუნარიანობის შემცირება (თავდაპირველად ნებისმიერი, ხოლო მოგვიანებით მხოლოდ საშუალო და მაქსიმალური), თავისი უფლების განუხორციელებლობა 10 და 20 წლის განმავლობაში, მოსარგებლეს მიერ თავის უფლებაზე უარის თქმა.

58. სერვიტუტების კანონიერი და პრეტორული დაცვის საშუალებები

სერვიტუტის უფლების დაცვა ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონის მიხედვით ხდებოდა ორი მიმართულებით:

- სერვიტუტზე პრეტენზიისგან დასაცავად და მომავალში პოტენციური ხელყოფისაგან გასათავისუფლებლად — *ნეგატორული სარჩელის* (actio negatoria) საშუალებით ნაკვეთის მესაკუთრეს შეეძლო თავისი სამფლობელოს შემოღობვა, რათა თავიდან აეცილებინა სერვიტუტის დაწესების გამო მოთხოვნა. მაგალითად, ნაკვეთზე გასასვლელი, თუკი შეიძლება საზოგადოებრივი გზით გავლა, მაგრამ ცოტა მოშორებითაა;
- მესაკუთრისგან და სხვა პირებისგან სერვიტუტის დაცვისათვის არსებობდა სპეციალური კონფესორული სარჩელი (actio confessoria), რომელიც გამოიხატებოდა დაკარგული ნივთის ან დაბრუნების მოთხოვნაში, ან მისი გამოყენებისას ყველანაირი დაბრკოლების თავიდან აცილებაში.

გარდა ამ საზოგადო სასარჩელე მოთხოვნებისა, რომის სამართალში არსებობდა ასევე სპეციალური სარჩელები და პრეტორული განკარგულებები კონკრეტული სერვიტუტების შესახებ: ხაზის შეზღუდვის სარჩელი, რომელიც მოითხოვდა მეზობელ ნაკვეთებს შორის თავისუფალი ზოლის დატოვების ვალდებულებას; წვიმის წყლისგან ზარალის სარჩელი, რომელიც მდგომარეობდა მეზობლის მიერ თავის ნაკვეთზე რაიმე მშენებლობის შედეგად წვიმის წყლის ბუნებრივი ჩასადენის შეცვლის გამო საშიშროების თავიდან აცილების მოთხოვნაში; ინფექციური დასნებოვნების შიშის სარჩელი, როდესაც მეზობლის შენობას ემუქრებოდა დანგრევა და საკუთრებას ან მეზობლების სიცოცხლეს კი ზიანი; დანგრევაზე განკარგულება, როგორც მეზობლის ახალი ნაგებობის

წინააღმდეგ მესაკუთრის დასაბუთებული პროტესტის შედეგი, რაც მდგომარეობდა მეზობლის მიერ მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტის განცხადებაში, რომელიც არღვევდა მესაკუთრის უფლებას (მაგალითად, გასავლელის უფლებას) ან მას ზიანის მიყენებით ემუქრებოდა.

59. ემფიტევზისი და სუპერფიციები, როგორც სერვიტუტული უფლების ინსტიტუტები

განსაკუთრებულ (უვადო) ქონებრივ უფლებას მიეკუთვნებოდა ემფიტევზისი და სუპერფიციები. მათი შინაარსი იყო იჯარით აღებული მემკვიდრეობითი და განსხვისებული სასოფლო-სამეურნეო და საქალაქო მიწების ნაკვეთების მფლობელობისა და გამოყენების უფლება.

ემფიტევზისი (ბერძ. emphyteusis, დანერგვა, მითვისება) წარმოადგენდა მიწის ნაკვეთების მემკვიდრეობითი იჯარის უფლებას მისი სასოფლო-სამეურნეო დამუშავებისთვის. თავდაპირველად ემფიტევზისის გავრცელების მიზანი იყო ჩვ.წ. II ს. რომის მიერ დაპყრობილი ჩრდილოაფრიკული უზარმაზარი ტერიტორიების ათვისება, რომლის რომანიზირება, შენარჩუნება და, რაღა თქმა უნდა, სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულად გადაქცევა იყო საჭირო. III ს. ბოლოსთვის მემკვიდრეობითი იჯარის ურთიერთობები საყოველთაოდ იყო გავრცელებული იტალიის ყველა კერძო და სახელმწიფო მიწებზე.

ემფიტევზისი წესდებოდა იჯარის განსაკუთრებული ხელშეკრულების საშუალებით არანაკლებ 100 წლის ვადით. ემფიტევტს ასეთ ნაკვეთზე უფლების ძალიან ფართო კომპლექსი გააჩნდა (მაგრამ, წიაღი კი ეკუთვნოდა მხოლოდ მესაკუთრეს). მას შეეძლო იგი დაუსრულებლად გაეუმჯობესებინა, ეანდერძა, ეჩუქებინა და გაეყიდა კიდეც, მაგრამ ნამდვილი მესაკუთრე უნდა ჩაეყენებინა საქმის კურსში ამ ოპერაციამდე ორი თვით ადრე და გარიგებიდან გარკვეული თანხა როგორც წესი, 2% უნდა გადაერიცხა, ან მიეცა საშუალება მესაკუთრისთვის პირველს შეეძინა ეს ნაკვეთი. კანონი ასევე არ ზღუდავდა ემფიტევტს ნადელის (ნაწყალობევი, მიჩენილი მიწა) გამოყენების სხვა შესაძლებლობებშიც. შეიძლებოდა მისი დაგირავება, სერვიტუტების დაწესება. მოთხოვნები არ იყო დიდი, მთავარი იყო – მიწის სამეურნეო დანიშნულების შესაძლებელ ცვლილებებისას არ გაუარესებულიყო მისი ხარისხი, ასევე დროულად ყოფილიყო გადახდილი მესაკუთრისთვის ყველანაირ პირობებში უცვლელი საიჯარო გადასახადი (ვექტიკალი) და სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული გადასახადი (კანონი).

აუცილებელი გადასახადების სამ წელზე მეტი ხნით გადაუხდელობას მოსდევდა ემფიტევზისის დაკარგვა. გარდა ამისა, მიწის მესაკუთრეს შეეძლო ემფიტევტის წინააღმდეგ აღეძრა განსაკუთრებული სარჩელი ამ უკანასკნელის მიერ მის მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე (actio emphyteuticaria). ემფიტევტის უფლებებს ჰქონდა საკმაოდ ფართო დაცვა. in rem vectigalis მიხედვით მას მინიჭებული ჰქონდა არა მარტო სპეციალური სარჩელის უფლება (actio vectigalis), არამედ უზრუნველყოფილი იყო მფლობელობითი ინტერდიქტების დაცვითაც. ამიტომ, მას შეეძლო მოეთხოვა თავისი სანივთო უფლებების დაცვა ყველა მესამე პირისგან, მათ რიცხვში მიწის მესაკუთრისგანაც. ამგვარად, ემფიტევზისის ინსტიტუტი უფრო მეტად ახლოსაა საკუთრების უფლების შინაარსთან.

სუპერფიციებად (superficies, ზედაპირი) სახელდებოდა სხვის საქალაქო მიწის ნაკვეთზე აღმართული მშენებლობების შეუზღუდავი ვადით სანივთო, განსხვისებული და მემკვიდრეობითი გამოყენების უფლება. ამასთან, ასეთი მშენებლობა შეიძლება ყოფილიყო განხორციელებული მიწის მესაკუთრესთან ან ხელშეკრულებით, ან ხელშეკრულების გარეშე, თუკი მესაკუთრემ თავის დროზე სადავოდ არ გახადა მისი ნაკვეთის გაშენების არამართლზომიერება. თუმცა, ამ მშენებლობებზე საკუთრების უფლება მუდამ ნაკვეთის მეპატრონეს ეკუთვნოდა („ყველაფერი, რაც მდებარეობს მიწაზე და მასთან დაკავშირებული, ეკუთვნის მიწის მესაკუთრეს“).

სუპერფიციის ინსტიტუტი ჯერ კიდევ უძველესი დროიდანაა ცნობილი. საცხოვრებელი ბინის გაქირავება საყოველთაოდ მიღებული გახდა ჩვ.წ. II ს. ბოლოდან, როდესაც დაიწყო სპეციალური მრავალბინიანი სახლების მასიური მშენებლობები – ინსულები. მანამდე რომაელები საუკუნეების განმავლობაში აშენებდნენ თავისით როგორც შეეძლოთ. ხელისუფლება გასცემდა რა საქალაქო მიწების ცარიელ ნაკვეთებს გასაშენებლად ხანგრძლივი გაქირავების პირობებით, ამით ინახავდა სახელმწიფო და მუნიციპალურ მიწის ფონდს, მაგრამ, ამასთან, „საბინაო საკითხის“ დაძაბულობა იხსნებოდა. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა უზრუნველყოფდა ხაზინაში მუდმივი, თუმცა არცთუ ისე დიდი, მაგრამ გარანტირებული შემოსავლის დენადობას. გარდა ამისა, ხშირად სპურფიციული ურთიერთობების მოთხოვნა უკავშირდებოდა რომის წყალსადენის ფუნქციონირებას, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა და რომლიდანაც სახლებისა და ვილების მესაკუთრეები ქალაქის მიწებიდან ახდენდნენ წყლის გადაგდებას. ერთობის ან კერძო მიწის ასეთი საქალაქო ნაკვეთის (მასზე შენობის აგების უფლებით) ხანგრძლივი იჯარისათვის მოსარგებლეს

შეჰქონდა ყოველწლიური გადასახადი (რენტა) – სოლარიუმი და ყველა აუცილებელი სახელმწიფო გადასახადი.

მიწის მესაკუთრესა და პოტენციურ მშენებელს შორის მოლაპარაკების შედეგად; მფლობელობის ხანდაზმულობის შედეგად; საანდერძო უარის (ლეგატი) მეშვეობით; სასამართლო გადაწყვეტილების საშუალებით წარმოიქმნებოდა სუპერფიციის უფლება.

სუპერფიციის შეწყვეტა დაკავშირებული იყო ასევე რამდენიმე პირობასთან. მათ მიეკუთვნებოდა: მხარეების შეთანხმება სუპერფიციის შეწყვეტის თაობაზე; ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამოწურვა ახალი ხელშეკრულების განუახლებლობისას; სუპერფიციარისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ერთ პიროვნებაში შერწყმა (ნაკვეთი შეძენილი იყო არენდატორის მიერ, ან მესაკუთრე იძენდა შენობას; არენდატორის უარი სუპერფიციის უფლებაზე; სუპერფიციარის გარდაცვალება, რომელსაც არ ჰყავდა მემკვიდრეები, ან უარს ამბობდნენ მემკვიდრეობაზე; მესაკუთრის უფლების დარღვევა რენტას გადაუხდელობის შემთხვევაში; თავად ნაკვეთის განადგურება (მაგრამ მასზე შენობის აგების გარეშე) და ა.შ.

წესიერ სუპერფიციარის სასარჩლე დაცვის უფლება ენიჭებოდა მის მდგომარეობაზე ხელყოფის წინააღმდეგ ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, მათ შორის მიწის კანონიერი მესაკუთრისგან – interdictum de superficie.

60. გირაო (pignus datum) და მისი სახეობები: ფიდუცია, პიგნუსი, იპოთეკა

რომის სამართალში გირაოს ზოგადი დებულებანი. ზემოთ განხილული სერვიტუტები, ემფიტევზისები და სუპერფიციები მიეკუთვნებოდა სხვის ნივთებზე ისეთ შეზღუდულ უფლებებს, რომლებიც შედგებოდა საკუთარი კეთილდღეობისათვის მათი *სარგებლობის* შესაძლებლობის მიცემისაგან, ე.ი. ნაყოფის მიღებისგან. მაგრამ რაიმე სახით ასეთი ნივთების **ბედის** განკარგვა, რომელიც ფორმალურად სხვა ადამიანებს ეკუთვნოდათ, სერვიტუტების ფარგლებში შეუძლებელი იყო. ამისათვის საჭირო იყო სხვისი ნივთის განკარგვის პირდაპირი უფლება. კანონით გათვალისწინებულ ასეთ შესაძლებლობებს იძლეოდა გირაოს ინსტიტუტი.

გირაო (pifnus datum) წარმოადგენდა სხვისი ქონების განკარგვაზე პირის ძირითად უფლებას. გარიგების ეს სახეობა გამოდიოდა, როგორც ხელშეკრულების პირობების შესრულების ნივთობრივი გარანტია, რომელიც მდგომარეობდა კრედიტორისთვის მოვალისგან განსაზღვრული ნივთის გადაცემაში, მოვალის მიერ თავის თავზე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეს ნივთი რჩებოდა კრედიტორთან იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მისი ღირებულება იყო უფრო მეტი, ვიდრე ვალის თანხა. გირაოს უფრო მეტად გავრცელებული სახეობები იყო ფიდუცია, პიგნუსი და იპოთეკა.

ფიდუცია და პიგნუსი. გირაოს უძველეს ფორმას წარმოადგენდა საწინდარი, რაც ხასიათდებოდა იმით, რომ დაგირავებული ნივთი მანციპაციის წესით ან მოჩვენებითი სასამართლო დავის (ინ იურე ცესიო) საშუალებით გადადიოდა კრედიტორის სრულ უფლებაში. ამ საწინდარს ერქვა ***ფიდუცია*** (fiducia). ასეთ შემთხვევებში ძირითად ხელშეკრულებას ერთვოდა დამატებითი შეთანხმება – მოვალის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შემდეგ ნივთის დაბრუნების თაობაზე (pactum fiduciae).

საკუთრივ გირაო, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ***პიგნუსად*** (pignus) წოდებული, გამოჩნდა მოგვიანებით და დაკავშირებული იყო როგორც ამგვარი გარიგების გაფორმების პროცესის გაადვილებასთან, ასევე მოვალის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგების შემსუბუქებასთან. ასეთი შეთანხმების პირობების მიხედვით ერთი მხარე (დამგირავებელი) თავისი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით გადასცემდა მეორე მხარეს (მოგირავნეს) განსაზღვრულ ნივთს მისი დაბრუნების თაობაზე ხელშეკრულებით ვალდებულებების მთლიანად შესრულების შემდეგ. მაშასადამე, საგირავნო ხელშეკრულება გადადიოდა დამატებით სხვასთან, ძირითადთან, ე.ი. იყო აქცესორული და წყდებოდა მთავარი ვალდებულების შეწყვეტასთან ერთად.

ძირითადი სამართალურთიერთობის ჩარჩოებში მოგირავნე ვალდებული იყო შეენახა ნივთი და მასზე ეზრუნა. თუკი ამასთანავე იგი ხარჯავდა სახსრებს მის სათანადო მდგომარეობაში შენახვაზე, მაშინ შეეძლო ამის შედეგად მოეთხოვა კომპენსაცია სპეციალური სარჩელის მიხედვით. საკუთარი საჭიროებისთვის ნივთის გამოყენება ამასთანავე ფასდებოდა როგორც ქურდობა ან ბოროტმოქმედება (furtum usus). მაგრამ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისას შეიძლებოდა თამამად ესარგებლა გადაცემული ქონებით, გაეყიდა კიდეც, ამით დანაკარგი აენაზღაურებინა, ხოლო, ამასთანავე, ნამატი აუცილებლად უნდა დაებრუნებინა დამგირავებლისთვის. ამ უკანასკნელს თავისი უფლების დასაცავად გააჩნდა განსაკუთრებული პირადი სარჩელი – action pigneraticia.

იპოთეკა (hypotheca) **და მისი თავისებურებანი.** ეს გახდა გირაოს ყველაზე გვიანი ფორმა, რომელსაც ბერძნული ძირი გააჩნდა და ჩამოყალიბდა პრეტორების დახმარებით იპოთეკის კლასიკურ პერიოდში.

მისი, როგორც გირაოს თავისებურება ვლინდებოდა იმაში, რომ დაგირავებული ნივთი (ჩვეულებრივ მიწა) ფაქტობრივად რჩებოდა მოვალესთან, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა მისი განკარგვის უფლება. კრედიტორს, ამასთანავე, ეძლეოდა შეზღუდული სანივთო უფლება – არ დაეშვა მოვალის მიერ მისი დაგირავებული მიწის გაყიდვა და გამოეთხოვა იგი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. დაგირავებული ნივთი, როგორც წესი, მიწის ნაკვეთი, კრედიტორს არ შეეძლო შეერთებინა თავისი საკუთრებისთვის, არამედ მისი სახელით დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო გასაყიდად წარდგენილი. ამასთან, ასეთი სახით დაგირავებულ ქონებაზე შეიძლება დადგენილიყო სხვადასხვა უფლება ცალკეული კრედიტორის მხრიდან, რომელთაგან თითოეულს შეეძლო პრეტენზიის განცხადება „გაყიდვის“ შესაძლებლობაზე. მაგრამ ასეთი პრივილეგია გააჩნდა მათგან მხოლოდ პირველს. ამიტომ კრედიტორებს შორის, რომლებსაც პრეტენზია გააჩნდათ ნაკვეთზე, არცთუ იშვიათად, იმართებოდა კამათი და ნამდვილი მეტოქეობა იმაზე, რათა შეეთავაზებინათ საუკეთესო პირობები მათგან პირველისთვის მისი ადგილის დაკავებისა და გამოუსწორებელი მოვალის დაგირავებული ქონების განკარგვის (გაყიდვის) უფლების მიღების მიზნით. ასეთმა ჩვეულებამ მიიღო *იპოთეკური მემკვიდრეობის* სახელწოდება.

საგირავნო უფლება, ზოგადო წესით, წყდებოდა იმ შემთხვევაში, როცა მოგირავნე და მესაკუთრე ერთი პირი ხდებოდა, გირაოს საგანი იღუპებოდა, გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულება წყდებოდა.

თავი 12. ვალდებულებითი უფლება ძველ რომში

61. ვალდებულებისა და ვალდებულებითი უფლების ცნება

სანივთო უფლებას უპირისპირდება ვალდებულებითი უფლება. თუკი პირველი ვრცელდება ყველაზე და მისი მოთხოვნები აბსოლუტურია, მაშინ მეორე მიეკუთვნება მხოლოდ ვალდებულ მხარეს – მოვალეს.

ვალდებულებითი უფლების ძირითად ელემენტს წარმოადგენს მოვალეობა ან ვალდებულება, რაც გულისხმობს რაიმეს შესრულებას სხვა პირის ან მთელი საზოგადოების სასარგებლოდ.

ამგვარად, ვალდებულება (obligatio, დაკავშირება, ვალდებულება) შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გარკვეულ საფუძველზე წარმოქმნილი განსაკუთრებული სამართალურთიერთობა, რომლის შინაარსია: ერთი

მხრივ, ერთი პირის (მოვალის) მიერ მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ გარკვეული მოქმედების შესრულების იურიდიული მოვალეობა (მაგალითად, ქონების გადაცემა, სამუშაოს შესრულება, ფულის გადახდა), ან რაიმე მოქმედებისგან თავის შეკავება, ხოლო მეორე მხრივ, კრედიტორის უფლება მოითხოვოს მოვალისგან ამ მოვალეობის შესრულება.

რომის სამართალში ჯერ კიდევ უძველეს დროს ჩამოყალიბდა სპეციალური ზნე-ჩვეულებების, წესებისა და ნორმების გარკვეული ერთობლიობა, რომელიც მიმართული იყო ვალდებულებების წარმოქმნასა და შესრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა რეგულირებაზე. პირველ რიგში, ეს არის მათი წარმოშობის, შინაარსის, რეალიზაციის წესის, შესრულების უზრუნველყოფის საფუძველი; მოთხოვნების დათმობისა და ვალის გადაცემის წესი; დარღვევებზე პასუხისმგებლობა და ვალდებულების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძველი. თანდათან ჩამოყალიბდა ***ვალდებულებითი უფლების*** განსაკუთრებული სისტემა, როგორც ინსტიტუტებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლითაც რეგულირდება ორი და მეტი სუბიექტის უფლებათა ურთიერთობების წესი მათ შორის წარმოქმნილი ურთიერთმოთხოვნების გამო, რომელიც დაკავშირებულია მათი სამეურნეო მიზნების რეალიზაციასთან, ასევე არაპოლიტიკური ხასიათის სხვა პირად ინტერესებთან; ეს არის ასევე უფლება, რომელიც მეორე პირისგან ან პირებისგან განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებითი უფლება – ეს, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებაა, მისი წყაროებია როგორც ხელშეკრულებები, ასევე არახელშეკრულებითი ხასიათის გარემოებები – დელიქტური. ამიტომ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ *ვალდებულებითი უფლება შედგება ორი მსხვილი ბლოკისგან: ხელშეკრულებითი და დელიქტური უფლებებისგან.*

62. ვალდებულების (obligatio) შინაარსი

ჩვ. წ. II-III სს. რომის იურისტმა პაულიუსმა აღნიშნა: „ვალდებულების არსი მდგომარეობს არა იმაში, რომ ნივთი ან რომელიმე სერვიტუტი როგორმე ჩვენი გავხადოთ, არამედ სხვა იყოს ჩვენთან დაკავშირებული, რათა მან მოგვცეს ან გააკეთოს, ან შემოგვთავაზოს რაიმე“. ამ მდგომარეობიდან თანამედროვე მეცნიერებამ დაასკვნა, რომ ვალდებულებებში მხარეები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან შემხვედრი ურთიერთობებით, რომლის საფუძველშიც დევს ერთმანეთის ურთიერთგანმაპირობებელი *მოთხოვნის უფლება და შესრულების მოვალეობა,*

რომელიც მთლიანად ქმნის ფორმულას: „მიცემა, გაკეთება, მომსახურების გაწევა“. ვალდებულებების ამ შემადგენელი კომპონენტების შინაგანი სისავსე გამოიხატება შემდეგში:

- „მიცემა“ (dare, გარანტია, გაყიდვა) – პირის (მოვალის, დებიტორის) მოვალეობა გადასცეს ქონება, ე.ი. განსაკუთრებული ხარისხის ნივთი სხვა პირს (კრედიტორს) საკუთრებაში ან მფლობელობაში; ე.ი. ეს არის სანივთო უფლების გადატანა ერთი სუბიექტიდან მეორეზე;
- „გაკეთება“ (facere, აუცილებლად გაკეთება, შესრულება, მიტანა) – ერთი პირის მოვალეობა, განახორციელოს მოქმედება სხვის სასარგებლოდ, რომელსაც გააჩნია რეალური ფიზიკური მნიშვნელობა და მისთვის მოაქვს რაიმე მატერიალური სარგებელი ან რაიმე ასეთი არ წამოიწყოს (უმოქმედობა), რადგანაც მისი მოვალეობა იყო წინააღმდეგობა არ გაეწია სხვა პირისთვის მის კანონიერ ინტერესებში ნივთით სარგებლობისას;
- „მომსახურების გაწევა/შესრულება“ (prae stare) – პირის მოვალეობა რაღაც შეასრულოს, რამე აანაზღაუროს, რაც იზომება ღირებულებით (ფულად) გამოხატულებაში.

63. ვალდებულებების სახეობები რომის სამართალში

განვითარებულმა სამოქალაქო-სამართლებრივმა ურთიერთობებმა, რომის საზოგადოების სხვადასხვგვარმა სუბიექტურმა შემადგენლობამ და ინტენსიურმა საქონელბრუნვამ განაპირობა ვალდებულებითი სამართალურთიერთობების სხვადასხვა ვარიანტის მთელი სპექტრის გამოჩენა, რომელიც ეყრდნობოდა რაღაც კონკრეტულ საფუძველს. მათგან ძირითადი შეიძლება იყოს: ცივილური და ნატურალური, ალტერნატიული და ფაკულტატიური, გასაყოფი და არაგასაყოფი, წილობრივი და სოლიდარული, კორეალური, კვაზიდელიქტური და კვაზიხელშეკრულებითი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ვალდებულება იყოფოდა ცივილურსა და ნატურალურზე. ამასთან, თუკი *ცივილურს* მიეკუთვნებოდა ვალდებულებები, რომელიც წარმოიქმნებოდა სრულუფლებიანი სამართლის სუბიექტების სამართალურთიერთობებში, რის შედეგადაც იგი ექვემდებარებოდა სასამართლო დაცვას და, მაშასადამე, ითვალისწინებდა იძულებითი შესრულების შესაძლებლობას, მაშინ ნატურალურები შეიძლება მივაკუთვნოთ ვალდებულებებს პირობითობის გარკვეული წილით. *ნატურალური (ბუნებითი) ვალდებულებები* წარმოიქმნებოდა რაიმე სამოქალაქო უფლებაუნარიანობის სრულიად არმქონე პირების („სხვისი უფლების“ მქონე პირების) სამართალურთიერთობებში მონაწი-

ლეობის შედეგად (პერეგრინები, მონები, ოჯახის ხელქვეითი წევრები, არაქმედუნარიანი მოქალაქენი, რომლებიც სხვისი მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ). მკაცრად რომ ვთქვათ, ვალდებულების ეს სახეობა წარმოადგენდა უბრალოდ ფაქტობრივ ურთიერთობებს ცივილური ვალდებულებისაგან განსხვავებით (კვირიტების წესის მიხედვით), ამიტომ არც კანონიერი (ლეგალური), არც სასარჩლე დაცვა გააჩნდათ.

ალტერნატიული ვალდებულებების დროს მოვალეს ეკისრებოდა რამდენიმე წინასწარ შეთანხმებული მოქმედება, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანის შესრულება ითვლებოდა ვალდებულების უზრუნველყოფად. *ფაკულტატიური ვალდებულების* შესაძლებლობას აძლევდა მოვალეს ხელშეკრულების შესაბამისად ან საკუთარი შეხედულებისამებრ, სამართალურთიერთობის პირობებიდან გამომდინარე, შეესრულებინა ორიდან ერთი ან უფრო მეტი წინასწარ შეთანხმებული მოქმედება, რომელიც მიმართული იყო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, რის შემდეგაც იგი ასევე შესრულებულად ითვლებოდა.

რომის საზოგადოებაში სხვადასხვა ნივთის ფართო ბრუნვა ითვალისწინებდა *გასაყოფი* (ფული) და *არაგასაყოფი* (სერვიტუტი ან სხვა სანივთო უფლება) ვალდებულებების არსებობას. მოცემულ შემთხვევაში კრიტერიუმად გვევლინებოდა ნივთის გაყოფის პრინციპული შესაძლებლობა ასეთი ოპერაციიდან მისი ხარისხისა და ღირებულებითი დანაკარგის გარეშე.

კონკრეტული ვალდებულების საგნის სამართალურთიერთობების რამდენიმე მონაწილეთა შორის მისი ღირებულებითი ზარალის გარეშე გაყოფის (დანაწევრების) შესაძლებლობის დროს საუბარი იყო *წილობრივ ვალდებულებებზე* (მემკვიდრეობითი ვალები, მაგალითად). ამასთან, თითოეულ მოვალეზე შეიძლება ყოფილიყო დაკისრებული საერთო ვალდებულებებიდან კონკრეტული ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაწილი. ან სხვადასხვა კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა ვალდებულების მხოლოდ მისი წილი. როცა კი არსებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა თითოეულ მოვალეს მთელი მოცულობით ან იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის უფლება ეკუთვნოდა თითოეულ კრედიტორს მთელი მოცულობით, მაშინ ეს იყო *სოლიდარული ვალდებულებები*. სამართალურთიერთობებში ძირითადი და დამატებითი მოვალეებისა და კრედიტორების არსებობისას ვალდებულება განიხილებოდა, როგორც სუბსიდირებული. თუკი ვალდებულება იფარებოდა კრედიტორის მიერ მოვალეთა ერთობლიობიდან ერთ-ერთის მიმართ ან კრედიტორების ერთობლიობიდან მოვალის მიმართ სარჩელის წარდგენის დროს, მაშინ ასეთ ვალდებულებას ეწოდებოდა *კორეალური*.

64. ვალდებულებები დელიქტებიდან და თითქოსდა დელიქტებიდან

ვალდებულების შემდეგი სახესხვაობა – *დელიქტურია*. მათი წარმოშობა დაკავშირებულია სამართალურთიერთობების სუბიექტების ცალმხრივ არამართლზომიერ მოქმედებებთან, რომელიც ზიანს აყენებს ურთიერთობის მეორე მხარეს. აქ საუბარია, მნიშვნელოვანწილად, პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე, რადგანაც აუცილებელი იყო დაშვებული ზიანის თავიდან აცილება.

რადგან რომის კვირიტული სამართალი პრინციპულად ვერ ამჩნევდა სუბიექტების სხვა მოქმედებებს, გარდა XII ტაბულის კანონებში დამტკიცებულისა, ამიტომ ბევრი მათგანი პრაქტიკულად აღმოჩნდა სამართლებრივისა და არასამართლებრივის ზღვარზე. ამ ჩვეულებას მოჰყვა მთელი რიგი ქმედობის გამოვლენა, რომელიც არღვევდა წესრიგს, მაგრამ კანონმდებლობით არარეგულირებული იყო, რამაც თითქოს გამოიწვია დელიქტების ვალდებულებების ინსტიტუტების (obligationes quasi ex delicto) ან კვაზიდელიქტური ვალდებულებების გამოჩენა. ასეთ ვალდებულებებს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, მოსამართლის პასუხისმგებლობის დაყენების შემთხვევა საქმის განზრახ არასწორი ან დაუდევარი გადაწყვეტისთვის ან რაიმე სასამართლო ვალდებულებების დარღვევისათვის; საზოგადოებრივ გასავლელში სახლიდან გადაგდებული ნივთის ან გადაქცეული სითხისგან მიყენებული ზარალისათვის; მოქმედებისთვის, რომელიც ქმნიდა რაიმე საშიშროებას გარშემომყოფთათვის და ა. შ.[1]

65. ვალდებულებები თითქოსდა ხელშეკრულებებიდან (obligationes quasi ex contractu)

ასეთივე განსაკუთრებული იყო ვალდებულებები თითქოსდა ხელშეკრულებებიდან (კვაზიკონტრაქტული ვალდებულებები). იგი წარმოიშვა, როდესაც სამართალურთიერთობის მხარეებს შორის არ იყო რაიმე სპეციალური შეთანხმება, მაგრამ ერთ-ერთმა მხარემ ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელიც, ჩვეულებრივ, ექვემდებარებოდა სამოქალაქო-სამართლებრივ შეფასებას (ხშირად, ნეგატიურს), ე. ი. ხელშეკრულებითი წესით გაფორმებას. მაგალითად, სხვისი საქმის წარმოება დავალების გარეშე; ერთი პირის დაუსაბუთებელი გამდიდრება მეორის ხარჯზე; არაქმედუნარიანი პირისგან სესხის აღება; არშემდგარი გარიგების დაბევება; ნამეტი პროცენტების გადახდევინება სესხად; ჩუქებისგან მოგება მეუღლეებს შორის, რომელიც თავიდანვე სამართლით იყო აკრძალული; პატიოსანი მოგება, მაგრამ არაპატიოსან თამაშში; რაიმეს მიცემა, რომლის მიზანიც არ განხორციელდა.

[1] მოცემულ გამოცემაში დელიქტური ვალდებულებების დახასიათებას დათმობილი აქვს სპეციალური თემა.

66. ვალდებულებების ნამდვილობის პირობები

იმისათვის, რომ ნებისმიერი გარიგება ყოფილიყო მთლიანად ლეგალური ან ლეგიტიმური (ე.ი. კანონიერი და ამავდროულად ყველა მხარისგან, როგორც ასეთი, აღიარებული), მას უნდა ჰქონოდა განსაზღვრული მახასიათებლები და აუცილებელი ელემენტები.

ასეთ ელემენტებს მიეკუთვნებოდა:

- *გარიგების არსებითი პირობები*, რომლის გარეშეც იგი არ შედგებოდა (მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის დროს ეს არის მორიგება ნივთის შესახებ და მის ფასზე);
- *ბუნებითი* – კონკრეტული შეთანხმების ისეთი მხარეები, რომელიც გარიგების მუდმივი ელემენტები იყო, მაგრამ რომლის შესახებაც მხარეებს შეეძლოთ ერთმანეთში მორიგება;
- *შესატყვისი შემთხვევები* – ხელშეკრულების ისეთი პირობები, რომლებსაც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ცალკე დათქვამენ. მათ მიეკუთვნება პირობები (conditio), დრო (tempus), საშუალება და რაოდენობა (modus) და clausulae.

ვალდებულებებს პირველ ყოვლისა უნდა ჰქონდეთ წარმოშობის *ლეგიტიმური წყარო*.

ვალდებულებებში მხარეები უნდა იყვნენ მკაფიოდ გარკვეული როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული სახით (კრედიტორი და მოვალე, გამყიდველი და მყიდველი). არაპირდაპირი ვალდებულებები დაუშვებელია.

ცნობილია, რომ ყველა ფიზიკური პირი მთელი უფლებამოსილების მიხედვით იყოფოდა „თავისი“ და „სხვისი“ უფლების პირებზე, ზოგიერთ მათგანს ამა თუ იმ საფუძველზე გააჩნდათ ქმედუნარიანობის დაბალი დონე (capitis deminutio). ამიტომ, კონკრეტულ ვალდებულებებზე ხელშეკრულების დამდები მხარეები უნდა ფლობდნენ ამ ვალდებულების შესაბამის *უფლებაუნარიანობის დონეს*.

ყველა ვალდებულებას უნდა გააჩნდეს *ქონებრივი შინაარსი*. ეს მოვალეს მისი შესრულების, ხოლო კრედიტორს თავისი ინტერესების რეალიზაციის საშუალებას აძლევდა. თუმცა, უკვე საიმპერატორო პერიოდში ეს წესი არსებითად შერბილებული იყო.

ვალდებულება უნდა იყოს *რაოდენობრივად და თვისებრივად* განსაზღვრული, ე. ი. მატერიალურად გამოხატული, უმჯობესია — ფულადი. არსებული ვალდებულების ფულადი ეკვივალენტის არსებობის მოთხოვნა გამოწვეული იყო მიმდინარე საქონელბრუნვის მოთხოვნილებით. როგორც არ უნდა იყოს ვითარება, ვალდებულება მუდამ უნდა შესრულდეს, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში — უნდა იყოს შესაბამისი სახით კომპენსირებული.

შეთანხმების პირობებში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მათი *შესრულების რეალური შესაძლებლობა*, ე. ი. უნდა იყოს მოქცეული ადამიანური ძალისხმევის ფარგლებში. დაუშვებელი მოქმედება თავიდანვე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ვალდებულების საგანი. მაგალითად, არ შეიძლებოდა „ზღვის დალევის“, „მთის გადადგმის“, „ცის თითით შეხების“ ან „ციდან მთვარის ჩამოღების“ ვალდებულების აღება.

კატეგორიულად იკრძალებოდა ისეთი ნივთების თაობაზე ვალდებულებების გაფორმება (ხელშეკრულებების დადება): რომელიც ამა თუ იმ საფუძვლის გამო სამოქალაქო საქონელბრუნვიდან ამოღებული; არარსებული; საკრალური და მორალური ნორმების რაიმე სახის დარღვევებთან დაკავშირებული იყო.

საჭირო იყო *გარიგების საფუძვლისა და შინაარსის, ასევე* ვალდებულების შესრულების *ვადების მკაფიოდ განსაზღვრა*. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ორი (ან რამდენიმე) პირის ან, მით უმეტეს, მხოლოდ ერთი პირის კერძო ინტერესებს, არამედ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების ინტერესებს, იყოს ლეგალური (კანონიერი), ხოლო ვალდებულებების შინაარსის მიხედვით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს“ („სამართლებრივ სისტემაში“). რაც შინაარსის შეთანხმებები არ უნდა მივიღოთ მხედველობაში“).

ვალდებულებების შერულების *ვადების* დარღვევა რაიმე შედეგების გარეშე არ დაიშვებოდა. ამასთან, იგულისხმება, პირველ რიგში, ვალდებულებების შესრულების დრო. ყველაზე ხშირად ამ დროის დადგენა ხელშეკრულების პირობებით ხდებოდა, მაგრამ თუ ეს დრო მხარეებს შორის არ იყო დათქმული, მაშინ ადრეულ პერიოდში მოქმედებდა წესი იმის შესახებ, რომ „მოვალეობა წარმოიქმნება დაუყოვნებლივ“.

ვალდებულება უნდა იყოს *ორმხრივ შეთანხმებული*, ე. ი. ერთსა და იმავეზე მხარეთა აშკარად და ნებაყოფლობით გამოხატული ნება-სურვილით. ამასთან, ნება-სურვილის გამოხატვა შეიძლებოდა ყველაზე სხვადასხვა გამოვლენით — წერილობით, ზეპირად, სიჩუმით, ჟესტით და ა.შ. თუკი უძველეს დროში ვალდებულებით ურთიერთობებში მათი სინამდვილის მთავარი ფაქტორი იყო სათანადო გარეგნული გაფორმება, კლასი-

კური პერიოდის სამართალში კი მხარეთა ნამდვილი განზრახვა (მათი ნება-სურვილი) დომინირებულ გარემოებად იქცა.

დადებული ვალდებულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეფუძნოს *შეცდომას, ცდომილებას, სიცრუეს, ძალადობას ან მუქარას*. მაგრამ, მუქარა (metus, სიფრთხილე, შიში) უნდა ყოფილიყო ნამდვილი და ისეთი, იმდენად სერიოზული, რომ შეძლებოდა ემოქმედა ვინმე საშუალო ტიპის ადამიანზე. სიცრუის არსებობა (dolus, ხრიკი) მყლავნდებოდა იმ შემთხვევაში, როცა „დასანახად კეთდება ერთი, ხოლო სრულდება მეორე“. ამ შემთხვევაში დასახელებულ გარემოებებს მიიჩნევდნენ გარიგების ნაკლად, ხოლო მათზე დაფუძნებულ ვალდებულებებს — უმნიშვნელოდ. ასეთი შეთანხმების შედეგები, როგორც წესი, ანულირებული იყო.

ასევე არ დაიშვებოდა კონტრაქტის პირობების შესრულების შემთხვევაში ერთ-ერთი მხარეთაგანი ყოფილიყო დამძიმებული არასასურველი შედეგებით ან საერთოდ არ შეძლებოდა მისი შესრულება. ე. ი. *ვალდებულება უნდა ყოფილიყო თანაბარი*. დადებული შეთანხმება შეიძლება ყოფილიყო ასევე აღიარებული ძალადაკარგულად ერთ-ერთი მხარის მიერ, მძიმე ცხოვრებისეული გარემოებების გამო, უკიდურესად არახელსაყრელი ვალდებულებების (კაბალური გარიგება) თავის თავზე აღების შედეგად.

ვალდებულების ან ხელშეკრულების ნამდვილობის დამატებითი (უზრუნველსაყოფი) პირობების სახით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გარკვეული გარანტიები. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო:

- *ვალდებულების შესრულების ადგილი* ჩვეულებრივ განისაზღვრებოდა მხარეთა შეთანხმებით, როგორც ადგილი, სადაც მოვალე ვალდებული იყო შეესრულებინა, ხოლო კრედიტორი მიეღო მოქმედება, რომელიც შეადგენდა ვალდებულებითი ურთიერთობის ობიექტს. თუკი ადრე შესრულების ადგილი არ იყო მხარეების მიერ დათქმული, მაშინ სამართალი უშვებდა გარიგების მონაწილეებს განესაზღვრათ, ეგრეთ წოდებული, შესაფერისი ადგილი (locus opportunus, მოხერხებული ადგილი) — ისეთი ადგილი, რომელიც ითვლებოდა მიმდინარე ვალდებულების გამო სარჩელის წარდგენისათვის შესაფერისად;
- ვალდებულების მიღება/დაკისრების განსაზღვრული *ფორმა*;
- მისი შესრულების *უზრუნველყოფა*, მათ შორის მატერიალური (გირაო, თავდებობა და სხვ.) და იურიდიული (სპეციალური სასარჩლე მოთხოვნის არსებობა);
- *მოვალის ნება-სურვილის გარეშე* შესრულების შესაძლებლობა და ა.შ.

67. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა: პირგასამტეხლო, ბე, გირაო, მოვალის ქონების დაკავება, თავდებობა

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების, სხვადასხვა სახის გარიგების, ხელშეკრულებებისა და ოპერაციების განხორციელებისათვის აუცილებელია განსაზღვრული გარანტიები. კრედიტორის წინაშე რაიმე თავდებობა იმაზე, რომ იგი სათანადოდ შეასრულებს თავის ვალდებულებას მის სასარგებლოდ (გადასცემს ნივთს, შეასრულებს სამუშაოს, გაუწევს სამსახურს, თავს შეიკავებს დათქმული მოქმედებისგან). მხარეების მიერ თავიანთი ვალდებულებების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნას ეწოდება *ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.* ეს კატეგორია ცნობილი იყო კრებითი მნიშვნელობით — *თავდებობა* ან უზრუნველყოფა (cautiones, უზუნველყოფა, სიფრთხილე).

რომის სამართალში ვალდებულებების უზრუნველყოფის რეალურ საშუალებებად გვევლინებოდა პირგასამტეხლო, ბე, გირაო, მოვალის ქონების დაკავება და თავდება. ეს ზომები სავსე იყო ჯარიმებით, სადამსჯელო მუხტით, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ვალდებული მხარე იძულებული ყოფილიყო შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულება.

პირგასამტეხლო (stipulation poenae) — სავარიმო თანხა, რომელიც მოვალეს, ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა გადაეხადა მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში. როგორც წესი, ფორმდებოდა სტიპულაციის კითხვა-პასუხის მკაცრი პროცედურების სახით.

ბე (arra) — განსაზღვრული მატერიალური ფასეულობა ან ფულადი თანხა, რომელიც ვალდებულების შესრულების გარანტია იყო და შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო გადახდის ანგარიშში.

გირაო — ხელშეკრულების პირობების შესრულების სანივთო გარანტია, რომელიც მდგომარეობდა მოვალის მიერ კრედიტორისთვის განსაზღვრული ნივთის გადაცემაში, მოვალის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეს ნივთი რჩებოდა კრედიტორთან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ღირებულება აღემატებოდა ვალის თანხას. გირაოს ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობები იყო ფიდუცია, პიგნუსი და იპოთეკა.

თავდებობა (adpromissio, დანაპირებისათვის) წარმოადგენდა ვალდებულების უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებულ სახეობას. იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ვიღაც მესამე პირი (თავდები), სტიპულაციის

მკაცრი პროცედურის გატარების მეშვეობით, იღებდა თავის თავზე ვალდებულებას ვალის დაფარვის გამო მოვალის არაგადახდისუნარიანობის შემთხვევაში. პრაქტიკამ გამოიმუშავა თავდებობის სამი ფორმა: სპონსია, ფიდეიპრომისია და ფიდეიუსია. პირველი ორი ფორმა — სპონსია და ფიდეიპრომისია გაჩნდა ჯერ კიდევ არქაულ დროში და ერთმანეთისგან გამოირჩეოდა მხოლოდ ფორმულის სიტყვების საშუალებით, ხოლო ფიდეიუსიიდან — იმით, რომ ჰქონდათ მკაცრად პირადი ხასიათი, მას აკავშირებდა მოვალესთან წილობრივი პასუხისმგებლობის პირობები და გათვლილი იყო ორი წლით მოქმედებაზე (ფურიას კანონი, II ს. ძვ. წ.). ფიდეიუსია (fidejussio, თავდებობა, გარანტია), როგორც თავდების დადგენის ფორმა გაფორმდა პოსტკლასიკურ პერიოდში, როდესაც შეცვალა კიდეც სპონსია და ფიდეიპრომისია. მათგან განსხვავებით, იგი ხასიათდებოდა მოქმედების შეუზღუდავი ვადით, თავდების მემკვიდრეობაზე მისი გადაცემის შესაძლებლობით, მოვალის ან მისი თავდების მიმართ ვალის გადახდის მოთხოვნის წაყენებით, მოვალის მიმართ რეგრესული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობით, რომელთანაც თავდებს აკავშირებდა სოლიდარული პასუხისმგებლობა.

მოვალის ქონების დაკავება, როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის ფორმა, გამოიხატებოდა მიწების მესაკუთრის მიერ არენდატორის ინვენტარის დაპატრონების პოტენციურ შესაძლებლობაში (მუქარა) ამ უკანასკნელის მიერ იჯარის (ინტერდიქტ სალვია) სათანადო ვადაში გადაუხდელობის გამო, რაც სანქცირებული იყო პრეტორის მიერ, ასევე გამოიხატებოდა უფლებაში მიწების მესაკუთრეს მოვალის თავდებისგან გამოეთხოვა ინვენტარი იმ თანხის ხარჯზე, რაც მას ერგებოდა საიჯარო გადასახადიდან (სერვიანის სარჩელი).

უნდა აღინიშნოს, რომ განხილული სამართალურთიერთობები ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის თაობაზე წარმოადგენს სხვა (მთავარი) სამართალურთიერთობების დამატებებს, რომლის გარეშეც მათ აზრი და მნიშვნელობა არ აქვთ. ასეთ სამართალურთიერთობებს ეწოდა *აქცესორული.*

68. ვალდებულებების შეწყვეტის საფუძველი: შესრულება, შესრულების შენაცვლება, ჩათვლა, ერთერთი მხარის სიკვდილი, კრედიტორისა და მოვალის ერთ პირში თანხვედრა, ვალის პატიება, ნოვაცია, შესრულების შეუძლებლობა

ისეთი ვალდებულებები, რომელიც დაუსრულებლად იმოქმედებდა, ჩვენს ცხოვრებაში პრაქტიკულად არ არსებობს, ამიტომ ყველა მათგანი განიხი-

ლება, როგორც ვადიანი. მაგრამ, თავისთავად, არანაირი ვალდებულება არ შეიძლება გაქრეს – ამისათვის აუცილებელია სპეციალური სამართალშემწყვეტი იურიდიული ფაქტები. ასეთ განსაკუთრებულ იურიდიულად მნიშვნელოვან გარემოებათა რიცხვში შედის: შესრულება; შესრულების შენაცვლება; ჩათვლა; ერთ-ერთი მხარის სიკვდილი (თუკი ვალდებულება არ ითვალისწინებს მემკვიდრეებზე გადატანას); კრედიტორისა და მოვალის ერთ პირში თანხვდომა; ვალისგან გათავისუფლება (ვალის პატიება); ნოვაცია, შესრულების შეუძლებლობა.

ნებისმიერი ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე იდეალური და გავრცელებული საფუძველი იყო, ბუნებრივია, მისი შესრულება („ვალდებულება წყდება, უმთავრესად, იმის შესრულებით (გადახდით), რაც ერგება“, გაიუსი). *ვალდებულების შესრულებაში* (solutio, ფულის გადახდა, გასტუმრება, გათავისუფლება) იგულისხმება მისი შეწყვეტა, რაც გამოიხატება კრედიტორის მიმართ მოვალის მიერ მოქმედებების შესრულებაში ან ასეთისგან თავის შეკავებაში ვალდებულების შინაარსის შესაბამისად. განსაზღვრული გარემოებების დროს ვა;დებულება შეიძლება ყოფილიყო დაფარული, თუკი მხარეები მოილაპარაკებდნენ იმაზე, რომ ერთი ნივთის ნაცვლად მოვალე გადაიხდიდა მეორეს. ამას ერქვა *შესრულების შენაცვლება* (dalioin solutum, ნივთის გადახდა ფულის ნაცვლად).

კლასიკურ პერიოდში თავისი დამოუკიდებელი განვითარება პოვა ვალდებულების შეწყვეტის ისეთმა საშუალებამ, როგორიცაა *ჩათვლა* (compensation, კომპენსაცია). მის შინაარსს წარმოადგენდა კრედიტორისა და მოვალის შემხვედრი ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი ერთი მოთხოვნა აჭარბებდა მეორეს, მაშინ გადახდევინებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ნაშთი. ასე ხდებოდა ერთმანეთის ვალებისა და მოთხოვნების კომპენსირება.

კრედიტორისა და მოვალის ერთ პირში *თანხვდომა* (confusion, თანხვდომა, შერევა) ყველაზე ხშირი იყო მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობების განვითარების პროცესში, როცა, მაგალითად, კრედიტორი ხდებოდა მოვალის ქონების მემკვიდრე ან პირიქით. ამ შემთხვევაში ყველა მხარის ინტერესების შერწყმა ხდებოდა ერთ პირში. ასეთ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ასევე სუპერფიციისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ერთ პირში შერწყმა, როდესაც არენდატორი იძენდა ნაკვეთს ან მესაკუთრე იძენდა ამ მიწაზე აგებულ შენობას.

სხვა შემთხვევებში მხარეები თანხმდებოდნენ არსებული შეთანხმების ანულირებასა და საგნის ან ვალდებულების შესრულების ხერხების შესახებ ახალი პირობების დადგენაზე. ზოგჯერ ხელშეკრულება განახლდებოდა სასამართლო პროცედურის დროს დავის საგნის დადასტურების

სტადიაში, როცა ადრინდელი ვალდებულებები წყდებოდა, მაგრამ მის ადგილზე ახალი ჩნდებოდა. ვალდებულების შეწყვეტის ასეთმა შემთხვევამ მიიღო *ნოვაციის* (novatio, ხელშეკრულების განახლება) სახელწოდება.

საზოგადო წესით, ვალდებულება მუდამ გადადიოდა მემკვიდრეებზე. მაგრამ რომის სამართლის პრაქტიკაში არსებობდა ბევრი ისეთი სიტუაცია, როდესაც მიმდინარე სავალო ვალდებულება არ ითვალისწინებდა მემკვიდრეებზე გადატანას. ამ შემთხვევაში იგი წყდებოდა შეთანხმების ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებასთან ერთად. ასე წყდებოდა ყველა დელიქტური ვალდებულება, რადგანაც იგი ითვალისწინებდა დამრღვევის მხოლოდ პირად პასუხისმგებლობას. ამასთან ერთად, მემკვიდრეს შეიძლება დაკისრებოდა ასეთი „კეთილისმყოფელის“ ვალები (hereditas damnosa), რამეთუ კანონი ითვალისწინებდა მის პასუხისმგებლობას მემკვიდრეობის მიმცემის არამათლზომიერ გამდიდრებაზე. ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ვალდებულებების რიცხვიდან კატეგორიულად წყდებოდა მხოლოდ ის ვალდებულებები, რასაც ითავლისწინებდა უფლებებისა და მოვალეობების უშუალო მატარებლების პიროვნული თავისებურებანი (მაგალითად, ამხანაგობის ან მომსახურების დაქირავების ხელშეკრულების მიხედვით).

ვალდებულების შეწყვეტა შეიძლება განხორციელებულიყო ასევე კრედიტორის ნება-სურვილით ვალდებული მხარის *ვალის პატიების თაობაზე* (remissio debiti, სიტყვ. მოვალის დასვენება). ვალისგან გათავისუფლება კრედიტორს შეეძლო ნებისმიერ დროს, ამის თაობაზე ფორმალური განცხადების გაკეთებით.

თუკი ვალდებულების ზუსტად შესასრულებლად შესაძლებლობა არ მიეცემოდათ (ქონება იყო განადგურებული, ნივთი ინდივიდუალური მახასიათებლებით დაკარგული იყო, გარიგება დადებული იყო ბრუნვიდან ამოღებული ნივთის მიმართ), მაშინ ეს ვალდებულება წყდებოდა მისი შესრულების შეუძლებლობის საფუძველზე.

ასევე ვალდებულებების შეწყვეტის შემთხვევებს მიეკუთვნებოდა: შეძენის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვა (longi temporis praesciptio), რაც ვალდებულებიდან სარჩელის შეტანის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა; ურთიერთობის მხარეების სამართალუნარიანობის მინიმალური შემცირება (capitis deminutio minima), ე. ი. სამართლებრივი სტატუსის შელახვა „სხვისი უფლების“ ქვეშ მოხვედრის შედეგად და ა. შ.

თავი 13. ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები

69. ვალდებულებების წყაროების შესახებ ზოგადი დებულებანი

„ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოსაქმნელად აუცილებელია, როგორც ცნობილია, იურიდიული ფაქტი, რომლის დადგომასაც კანონი ასეთ შედეგებს დაუკავშირებდა. განსაზღვრულ ჯგუფებში დაყვანილი ეს ფაქტები ატარებს ვალდებულების წყაროების სახელს“[1]. თანამედროვე კონტინენტურ სამოქალაქო სამართალში ვალდებულებების უდიდეს ზოგად წყაროებს წარმოადგენს მისი ისეთი მსხვილი ბლოკები, როგორიცაა ხელშეკრულებითი და დელიქტური უფლება. სწორედ ამ საფუძველზე საუბრობდა გაიუსი თავის სახელგანთქმულ ინსტიტუციებში: „... ყოველი ვალდებულება წარმოიქმნება ან კონტრაქტიდან, ან დელიქტიდან“.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ რომის სამართალი თავის პრაქტიკაში ცნობდა ასეთი საფუძვლების ყველაზე უფრო დანაწევრებულ კლასიფიკაციას. ეს არის, პირველ რიგში, კანონის სპეციალური დებულებები, რომელიც პირდაპირ ადგენდა ამა თუ იმ სუბიექტების ვალდებულებებს გარკვეულ სიტუაციებში[2]. შემდეგ, ეს არის ხელშეკრულებებისა და კვაზიხელშეკრულებების პირობები, დელიქტებისა და კვაზიდელიქტების შედეგები, ასევე ვალდებულებითი ურთიერთობების ყველა სხვა საფუძველი, რომელიც აისახებოდა ნორმატიულ დანაწესებში, ე.ი. იურიდიული ფაქტები.

რომის სამართალში ვალდებულებების საფუძვლების განხილვა უნდა დაიწყოს წყაროების უკანასკნელი ჯგუფების დახასიათებით, ე. ი. სწორედ რომ იურიდიული ფაქტებიდან. შემდეგ, ხელშეკრულებითი სამართლის ჩარჩოებში, განსაზღვრული იქნება ხელშეკრულებითი ვალდებულებების სპეციფიკა, ხოლო შესაბამის განყოფილებაში – დელიქტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

---

[1] იხ.: *ლეტიაევი ვ.ა.* რომის სამართლის რეცეპცია რუსეთში XIX-XX სს. (ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი). ვოლგოგრადი: გამომცემლობა ვოლგუ, 2001. გვ. 156.

[2] მაგალითად, XII ტაბულის კანონებში დამკვიდრდა დებულება იმის შესახებ, რომ თუკი ქურდი არ იყო დაჭერილი ნივთიერი სამხილით, სასამართლოს უნდა მიესაჯა მისთვის მოპარული ნივთის ღირებულების ორმაგი გადასახადი (კანონები, ტაბლ. 8, 16).

70. იურიდიული ფაქტები, როგორც ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები: მოვლენები, მოქმედებები, ვადები, პრეზუმფციები, ფიქციები, მდგომარეობები

მოვალეობები გამომდინარეობს, პირობითად რომ ვთქვათ, ადამიანთა ცხოვრებისეული სფეროს რაღაც გარკვეული ფიქსირებული მომენტიდან. ასეთი მართლნიშნადი ეპიზოდები სახელდება *იურიდიულ ფაქტებად* (facta iuridica). სამართლებრივი ნორმები სწორედ მათ უკავშირებს ვალდებულებითი სამართალურთიერთობების წარმოქმნას, ცვლილებას ან შეწყვეტას.

იურიდიული ფაქტების სახეობრივი სხვადასხვაობა ერთობ ფართოა, მაგრამ მათი დაყოფა შეიძლება სამ დიდ ჯგუფად:

- *მოვლენები*, როგორც ბუნებრივი ხასიათის აქტები (facta naturalia). ისინი არის აბსოლუტური, ე.ი. სრულიადაც არ არის დაკავშირებული ადამიანებთან (ელვა, წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ.) და შეფარდებითი, ისეთი, რომელშიც ადამიანის მონაწილეობა ვლინდება ირიბად.
- *მოქმედებები* (acta humana, ადამიანთა მოქმედებები ან factio, მოქმედებები). ისინი უკვე უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანთა ქცევის ნებელობით გამოვლენასთან სოციალურ სფეროში, წარმოადგენს მათი ნებისყოფისა და შეგნების გარეგნულ გამოხატულებას. თავისთავად, ყველა მოქმედება ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც მართლზომიერი და არამართლზომიერი (სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებები, სამართალდარღვევები). მართლზომიერი მოქმედებები, ე.ი. სამართლის სუბიექტების ისეთი საქციელები, რომლებიც ხდება მოქმედი ნორმების დანაწესის ჩარჩოებში ან არ არღვევს არსებულ სამართლებრივ აკრძალვებს, იურიდიული მიმართულობების კრიტერიუმით იყოფა იურიდიულ და ადმინისტრაციულ აქტებად და საქციელებად.
- *სამართალდადგენილებითი იურიდიული ფაქტები*, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე უფრო სხვადასხვაგვარი ვადები, მდგომარეობები, პრეზუმფციები და ფიქციები.

კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებების მთელი ეს ფერების გამა, ამა თუ იმ ზომით, თავის ასახვას პოულობდა რომის სამართალში, მისით იყო განმტკიცებული და უშუალო ზემოქმედებას ახდენდა მის განხორციელებაზე.

რომის სახელმწიფოს პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო მართლზომიერი მოქმედებების ისეთი სახეობები, რომლებიც ვალდებულებათა წარმოქმნის საფუძვლებად გვევლინებოდა, როგორიცაა *იურიდიული* და *ადმინისტრაციული* აქტები. თუკი ადმინისტრაციული აქტები

წარმოადგენდა სხვა არაფერს, თუ არა რომის თანამდებობრივი პირების იმპერატიულ განკარგულებებს (პრეტორების ინტერდიქტებსა და ედიქტებს, ედილების ედიქტებსა და სხვ), მაშინ იურიდიული აქტების რიცხვს მიეკუთვნებოდა კერძო პირების ყველაზე მეტად სხვადასხვაგვარი მოქმედებები, რომლებიც პირდაპირ წარმოშობდა იურიდიულად მნიშვნელოვან შედეგებს. ეს არის მრავალრიცხოვანი *გარიგებები* და *ხელშეკრულებები*, რომლის შესახებაც ცალკე იქნება ვრცლად საუბარი.

ვადები, როგორც იურიდიული ფაქტები რომის კერძო სამართალში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რომის სამართალში ვადები. ამასთან, *ვადა* (dies) ნიშნავდა დროის მონაკვეთს ან კონკრეტულ კალენდარულ თარიღს, რომელიც განსაზღვრავდა სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე რაიმე მოვლენის დადგომის, მისი შესრულების ან დამთავრების მომენტს. ვადის თავისებურებას, როგორც იურიდიული ფაქტის ნაირსახეობას, წარმოადგენდა, შეიძლება ითქვას, მიმდინარე სამართალურთიერთობის ავტომატური სახეცვალება დროის გარკვეული მომენტის დადგომის მომენტში. შემთხვევითი როდია, რომ ვადა კიდევ ნიშნავდა „საზღვარს“ ან „ზღვარს“ (terminus).

სამართლებრივი პრაქტიკა ცნობდა ვადების ნაირსახეობის საკმაოდ დიდ რიცხვს. მათგან ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო შემდეგი: *სამართალცვალებადი ვადები* (მათი დადგომა ან ამოწურვა იწვევდა სამოქალაქო სამართალურთიერთობების მონაწილეთა სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების ცვლილებას); *სამართალწარმომქმნელი ვადები* (სამოქალაქო სამართალურთიერთობების სუბიექტებისთვის მათი სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების დადგომა); *სამართალშემწყვეტი ვადები* (შესაბამისი სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების შეწყვეტა); *აღმოსაფხვრელი ვადები* (უფლებამოსილ პირს სთავაზობდნენ მკაცრად განსაზღვრულ დროს თავისი უფლების განსახორციელებლად); *საპრეტენზიო ვადები* (უფლებამოსილი პირის უშუალოდ მოვალე პირისადმი მიმართვის პერიოდი თავისი მოქალაქეობრივი უფლების დასაცავად); *სუსპენსიური (გადადებული) ვადები* (მომენტი, საიდანაც დგებოდა დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგები); *სარეზოლუციო (გასაუქმებელი) ვადები* (დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგების შეწყვეტის მომენტი); *ბუნებრივი ვადები* (ამ ვადის ამოწურვამდე კრედიტორი ვერ მოსთხოვდა მოვალეს ვალდებულებების შესრულებას); *კანონიერი ვადები* (კანონით იყო დადგენილი და ამიტომ არ შეიძლებოდა თვითნებურად შეცვლა); *ხელშეკრულებითი ვადები* (სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მხარეების მიერ თვითნებურად განსაზღვრული); *აბსოლუტურად-განსაზღვრული ვადები* (მიუთითებდა მხარეების სუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების წარმოქმნის ან შეწყვეტის ზუსტ მომენტზე); *შედარებით-განსაზღვრული ვადები* (კონკრეტული სამართალურთიერთობების სპეციფიკის ძალით განსაზღვრული, როგორც „ნორმალურად აუცილებელი“, „გონივრული“, „თანაზომიერი“, „თავისდროული“ და ა.შ.) და სხვ.

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების განსახორციელებლად ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო სარჩელის წარდგენის ვადები, აგრეთვე სასარჩელე და ხანდაზმულობის შემძენი ვადები.

იურიდიული პრეზუმფციები. თანამედროვე სამოქალაქო სამართალშიც კი არცთუ უმნიშვნელო როლი აქვს კანონმდებლობაში განმტკიცებულ ვარაუდებს გარკვეული იურიდიული ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ, რომელთანაც სამართლის ნორმებს ხშირად აკავშირებს იურიდიული შედეგების დადგომა, ე.ი. იურიდიული პრეზუმფციები (praesumptio).

უნდა აღინიშნოს, რომ ვარაუდები, რაზეც არის საუბარი, არის არა უტყუარი, არამედ შესაძლებელი. რომის სამართლის პრეზუმფციის მაგალითებად შეიძლება გამოგვადგეს ქვემოთ მოყვანილი დებულებები.

რომის სავაჭრო პრაქტიკაში მოქმედებდა შემდეგი წესი: თუკი გარიგებას დებს გამგე, მაშინ სავარუდოა, რომ იგი უფლებამოსილია ამაზე. ამ პრეზუმფციის უარყოფა შეიძლებოდა მხოლოდ იმის დამტკიცებით, რომ „იყო გამოკრული განცხადება“. განცხადებაში უნდა იყოს მითითებული, რომ აღნიშნულ პირთან არ უნდა დაიდოს გარიგებები. ამასთან, იგი უნდა იყოს დაწერილი გარკვეული ასოებით და გამოკრული სავაჭრო დუქნის წინ, იმ ადგილზე, რომელიც მდებარეობს ყველას თვალწინ. თუკი ეს მოთხოვნები იყო დაცული, მაშინ მოქმედებდა სხვა პრეზუმფცია (კანონების ცოდნის მსგავსად) – აღნიშნულ პირთან გარიგების დადების აკრძალვის ცოდნა. ამ პრეზუმფციის უარყოფა შეიძლებოდა თავად გამგის განზრახვის მტკიცებულებით, განცხადების მოხსნა ან მისი წაკითხვის შეუძლებლობა (D. 14. 3. 11).

თუკი ქორწინებაში sine manu რაღაც ნივთებთან მიმართებაში წარმოიქმნებოდა მეუღლეებს შორის დავა საკუთრების უფლების შესახებ საკითხთან დაკავშირებით, მაშინ გამოიყენებოდა პრეზუმფცია, რომ ყოველი ნივთი ეკუთვნის ქმარს, სანამ ცოლი არ დაამტკიცებს, რომ საკუთრების უფლება აღნიშნულ ნივთზე მას ეკუთვნის.

უკვალოდ დაკარგული 70 წლის ასაკს როცა მიაღწევს, უნდა ჩაითვალოს გარდაცვლილად. თუკი უკვალოდ დაკარგული არის 70 წელს გადაცილებული პირი, მაშინ შესაბამისი ვადა გრძელდება 100 წლამდე.

დაინტერესებულ პირებს ამ შემთხვევაში შეუძლიათ შუამდგომლობა გარდაცვალების შესახებ სასამართლო განაცხადზე; ამ უკანასკნელს წინ უსწრებს განსაკუთრებული ძიების დანიშვნა საქმეზე და უკვალოდ დაკარგულის საჯარო გამოძახება სასამართლოში. ამ ფორმალობის შესრულებისთანავე სასამართლო გამოსცემს მოსათხოვ განცხადებას.

თუკი საკითხი ეხებოდა იმას, რომ პირთა რაღაც ჯგუფიდან რომელი გარდაიცვალა ადრე, მაშინ ასეთ შემთხვევებში დაიშვებოდა პრეზუმფცია, რომ ყველა გარდაიცვალა ერთდროულად. გამონაკლისი დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დაღუპულები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესაობაში. მაშინ ვარაუდობდნენ, რომ უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა უფროსზე ადრე, რომელმაც თავის მამაზე მეტი იცოცხლა.

კანონიერად ითვლებოდა ყველა ბავშვი, რომელიც დაიბადებოდა ქორწინებიდან 181 დღის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება ბავშვებს, რომლებიც დაიბადებოდნენ ქორწინებაში 181 დღის ამოწურვამდე, ისინი ითვლებოდნენ კანონიერებად, თუკი მათი დედის ქმრისგან საკუთარ შვილებად იქნებოდნენ აღიარებულნი.

იურიდიული ფიქციები. თანამედროვე სამართლებრივ მეცნიერებაში იურიდიული ფიქცია განიხილება, როგორც კანონმდებლის მიერ აღიარებული აშკარად არაჭეშმარიტი დებულება, რომელსაც შეაქვს ფორმალური განსაზღვრულობა პირის სამართლებრივ მდგომარეობაში და ამით განაპირობებს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებას მისი მონაწილეობით.

სამართლებრივი ფიქციები იქმნებოდა რომის კვირიტული სამართლის უკიდურესად კონსერვატიულ დებულებებს შორის წინააღმდეგობათა შერბილების აუცილებლობიდან გამომდინარე, რომლის ღერძიც იყო „მკაცრი სამართალი“ (ius stristum), რომელიც არ უშვებდა საკრალური ნორმატიული დანაწესიდან უმნიშვნელო გადახრასაც კი და საზოგადოებრივი ურთიერთობების სწრაფი განვითარების პირობებში სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის აუცილებლობას, სოციალური წყობისა და ქვეყნის გეოგრაფიის ცვლილებასაც კი (მისი ტერიტორიის გაფართოება).

რომის სამართალში სამართლებრივი ფიქციები ფართოდ იყო გავრცელებული. კერძოდ, ეს იყო: პერეგრინის აღიარება, ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქის მაგივრად იმისათვის, რომ მას ჰქონოდა შესაძლებლობა მიემართა სასამართლოსთვის თავისი დარღვეული უფლების დასაცავად, მოქალაქის სიკვდილის აღიარება არაკეთილმოსურნის მიერ მისი დატყვევების მომენტში და სიცოცხლის დაბრუნება ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ; კორპორაციის (იურიდიული პირის) აღიარება, როგორც „ხელოვნური,

ფიქტიური სუბიექტისა, კვაზიადამიანისა, რომელიც შექმნილი იყო იურიდიული მიზნებისათვის მხოლოდ კერძო სამართლის სფეროში გამოსაყენებლად“ და სხვ. ასევე, აქვე შეიძლება გავიხსენოთ მრავალრიცხოვანი სარჩელებიც, რომლებიც წარმოიქმნებოდა ამ საფუძვლებიდან (actiones Ficticia და actiones per transpositionen).

სამართლებრივი მდგომარეობა. სამართლის თანამედროვე თეორიაში იურიდიული ვითარება – ეს არის განგრძობადი ცხოვრებისეული გარემოება, რაც იურიდიული შედეგების დადგომის საფუძველია. ეს არის რთული იურიდიული ფაქტების სახესხვაობა, რომელიც ხასიათდება შედარებითი სტაბილურობითა და არსებობის ხანგრძლივი პერიოდით, რომლის დროსაც მას შეუძლია არაერთხელ (სხვა ფაქტებთან ერთად) გამოიწვიოს ახალი სამართლებრივი შედეგების დადგომა. იურიდიულ მდგომარეობებს მიეკუთვნება: სქესი, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა, მოქალაქეობა, ნათესაობა, პროფესია, სოციალური როლი და სხვ. ძველ რომში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ თავისუფლების, ასაკის მდგომარეობა, არამედ თითოეული მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობაც. არ არის შემთხვევითი, რომ რომაელების სწორედ ეს მახასიათებლები აინტერესებდათ ცენზორებს მოქალაქეთა ყოველწლიური აღწერის ჩატარების დროს. ცენზორების მოღვაწეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც რომის მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის საგულდაგულო თვალყურის დევნება მისი ცხოვრების განმავლობაში.

71. ვალდებულებების მიხედვით პასუხისმგებლობის პირობები და მისი ფორმები

ვალდებულებების მიხედვით პასუხისმგებლობის თავისებურებანი. ვალდებულება მუდამ უნდა იყოს შესრულებული. მისი დარღვევის – არშესრულების ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა.

ძველად ეს ზომები იყო საკმაოდ მკაცრი და განსაკუთრებით მიმართული დამრღვევის პიროვნებაზე. ნექსუმის წეს-ჩვეულების მიხედვით დადებული ხელშეკრულებით, მოვალე პასუხს აგებდა თავისი პიროვნებით, თავისუფლებით და სიცოცხლითაც კი. ამასთან, თუკი კრედიტორი იყო რამდენიმე, მაშინ კანონი, რომელიც იცავდა დაზარალებულების კანონიერ ინტერესებს, თითოეულს აძლევდა ვალაუვალი მოვალის პატარა ნაწილზე უფლებას („ბაზრის მესამე დღეს, დაე, ნაწილებად დაჩეხონ (მოვალე). თუკი მოაჭრიან მეტს ან ნაკლებს, დაე, ნუ დაისჯებიან“).

კიდევ შეიძლება გავიხსენოთ იმდროინდელი საკუთარი უფლებების დაცვის ისეთი ფორმა, როგორიცაა თვითნებობა, რომელიც ფორმალურად იყო გამოსახული ლეგისაქციური პროცესის ერთ-ერთ სახეობაში – პროცესში გირაოს ხელში ჩაგდების საშუალებით. ქონებრივი პასუხისმგებლობა კი დადგენილი იყო საკმაოდ მოგვიანებით. იგი შემოიღეს 326 წ. ჩვ. წ-მდე პეტელიის (lex Poetelia) კანონით. ამ დროიდან ხმარებაში შემოვიდა გამოთქმა „ფულადი ბრალდება“ (condemnatio pecuniaria). იგი ნიშნავდა პირადი პასუხისმგებლობის („ხორცითა და სისხლით“ პასუხისმგებლობის) შემცვლელის დედაარსს, იმ პრინციპის, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ნებისმიერი არსებული ვალდებულება შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას გააჩნია რაიმე ქონებრივი ფასეულობა, ხოლო მისი შემცველობა შეიძლება გამოიხატოს ფულად აღრიცხვაში.

ამგვარად, ხელშეკრულებითი ვალდებულებების დარღვევაზე ან სხვა პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების პირდაპირ დარღვევაზე (სამართალდარღვევა, დელიქტი) პასუხისმგებლობის ძირითადი ამოცანა იყო საზოგადოებრივი ურთიერთობების დარღვეული ჰარმონიის აღდგენა ზარალის ანაზღაურების სახით. ამ თავისებურებებთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, ყველა სანქცია ატარებდა სამართალაღდგენით ხასიათს. იგი მიმართული იყო მოვალის მოვალეობების იძულებით შესრულებაზე და კრედიტორების დარღვეული უფლებების აღდგენაზე.

პასუხისმგებლობის საფუძვლები. ხელშეკრულებითი ურთიერთობების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონსტატაციისათვის, ე.ი. ამ ფაქტის გამო პასუხისმგებლობის რეალიზაციისათვის, აუცილებელი იყო გარკვეული გარემოებების ერთობლიობა. ასეთ ძირითად გარემოებებს მიეკუთვნებოდა: სამართალსაწინააღმდეგო (ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი); კრედიტორის „ინტერესის“ ანაზღაურება (მისთვის მიყენებული ზარალი და ხელიდან გაშვებული სარგებელი); ბრალის (culpa) არსებობა განზრახვისა (dolus) და დაუდევრობის (culpa), უხეში გაუფრთხილებლობისა (culpa lata) და მსუბუქი დაუდევრობის (culpa levis) სახით; და, რა თქმა უნდა, მიზეზობრივი კავშირი მოვალის დანაშაულებრივ ქმედებებსა და კრედიტორის ზარალს შორის.

მოვალის დანაშაულებრივ ქმედებებსა და კრედიტორის ქონებისათვის ზარალს შორის მჭიდრო კავშირის შესახებ დიგესტებში ნათქვამი იყო შემდეგი: „დარღვევისაგან მიყენებულ ზარალზე მოთხოვნა დაკავშირებული უნდა იყოს თავად იმ გარემოებებზე, რომლისგანაც არის ზარალი მიყენებული, გარედან სხვა მიზეზების ჩართვის გარეშე“ (იავოლენი, D. 19. 3. 57).

მოვალის ქცევის დელიქტობა. მოვალის არასათანადო ქცევაზე (სამართალსაწინააღმდეგო) მეტყველებდა, უპირველეს ყოვლისა, *ვალდებულების შესრულების ვადის გასვლა* (mora, დაკავება, შეჩერება, დაყოვნება), რომელიც მკაფიოდ გამოიკვეთა კლასიკურ პერიოდში და გამოიხატებოდა ვალდებული მხარის მიერ თავისი ვალდებულების სათანადო ვადაში შეუსრულებლობაში ან ვალდებულების სრული მოცულობით არშესრულებაში. ამასთან, ვადის გასვლის აუცილებელი პირობები იყო: დათქმული ვადის დადგომა, თავად ვადის გასვლის კონსტატაციის შესაძლებლობა, რამეთუ ზოგიერთ შემთხვევაში სარჩელის წარდგენა არ იყო გათვალისწინებული, ვადის გასვლის გამომწვევი არასაპატიო მიზეზები და ა. შ.

ვადის გასვლა იყო ფრიად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი და იმ პირის მიმართ, რომელმაც ეს დაუშვა, მოქმედებდა *პერპეტუაციის წესის* სახით (perpetuus, მუდმივი, განუწყვეტელი, სამუდამო), რომელიც იუწყებოდა – „ვადის გასვლა ვალდებულებას მუდმივს ხდის“. მართლაც, ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება იწვევდა მის განმტკიცებას, ასევე მოვალის მდგომარეობის შესაბამის გაუარესებას, რომელსაც უნდა მოეხდინა კრედიტორის მიუღებელი შემოსავლისა და ხელიდან გაშვებული სარგებლის კომპენსირება, გადაეხადა მაღალი ფასდებით, მისგან ხდებოდა გარკვეული პროცენტის გადახდევინება, ხოლო ნივთის შემთხვევითი დაღუპვის დროს მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სწორედ მოვალეს. ამასთან, იგი კარგავდა კრედიტორთან კომპრომისის მიღწევის მთელ პოტენციურ შესაძლებლობას.

ზარალის ანაზღაურება. ვალდებულებითი ურთიერთობების დარღვევის შემდეგ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა ანაზღაურებას დაქვემდებარებული კრედიტორის „ინტერესი“ (interest, მნიშვნელოვანია) რეალური ზარალისა (damnum emergens, აშკარა ზარალი) და ხელიდან გაშვებული სარგებლის სახით, რომელიც მოვალის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შედეგი იყო.

თავდაპირველად მხოლოდ ზარალის ანაზღაურება ხდებოდა. კლასიკურ პერიოდში, პრეტორების მოღვაწეობის წყალობით, კრედიტორის მიერ დაკარგული ქონების ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარებოდა, ემატებოდა ის თანხა, რომლის გამორჩენაც იყო შესაძლებელი. ყურადსაღებია ის, რომ რომის კერძო სამართალში, ამასთან, ითვალისწინებდნენ გარკვეული დანაკარგის მიმართ ადამიანის არა პირად დამოკიდებულებას, არამედ მთელი საზოგადოებისათვის მის მნიშვნელოვნობას.

72. ბრალი რომის კერძო სამართალში, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, კაზუსი

რომის სამართალში ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო მოვალის ბრალეულობა („დაუსჯელია ის, ვინც ბრალის გარეშე მიაყენა ზარალი“, გაიუსი). *ბრალი* (culpa, ბრალი, შეცდომა, ცდომილება, გადაცდომა, დაუდევრობა, სიზარმაცე) გვევლინებოდა, როგორც პირის ფსიქიკური ურთიერთობის მაჩვენებელი დადებული შეთანხმების მიხედვით მასზე დაკისრებული მოვალეობების მიმართ, თავისი სამართალსაწინააღმდეგო ქცევისა (მოქმედება ან უმოქმედობა) და მისი შედეგების მიმართ.

ბრალი იყოფოდა ორ მსხვილ სახეობად: განზრახვა და გაუფრთხილებლობა. ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების მიხედვით ბრალეულობის დადგენისა და მისი ხარისხის (სახეობის) გარკვევისადმი რომის სამართლის მიდგომა ხდებოდა ბრალის ერთ-ერთი კრიტერიუმის დახმარებით — აბსტრაქტულის ან კონკრეტულის. ერთიც და მეორეც ეფუძნებოდა ერთი რაღაცის გამორკვევას — მზრუნველობის ხარისხს (ამ შემთხვევაში — პასუხისმგებლობის სინონიმი), რომელიც ვლინდებოდა დავალებული საქმის მიმართ.

აბსტრაქტული კრიტერიუმის (culpa in abstractus) გამოყენების საფუძველს წარმოადგენდა „ბეჯითი პატრონის“ (vir bonus paterfamilias) რაიმე აბსტრაქტული მოდელი, რომელზეც ადრე იყო საუბარი. ის თვისებები, რასაც სამართალი მას მიაწერდა, იყო პასუხისმგებელი, სამართალმორჩილი პიროვნების ძირითადი ნიშან-თვისებები. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც საჭირო იყო ადამიანის ბრალეულობის შედარება რეალურად არსებულ ფაქტორებთან, მაგალითად, სხვა ადამიანების ინტერესებთან გათანაბრებული. ასეთი აუცილებლობა ჩნდებოდა, როდესაც წყდებოდა ქმრის (რომელიც განაგებდა ცოლის მზითვებს) ან მეურვის (რომელიც განკარგავდა სამეურვეოს ქონებას), ასევე ამხანაგობის ხელშეკრულების ცალკეული მონაწილის პასუხისმგებლობის საკითხი. აქ საუბარი იყო ბრალის გამოვლენის კონკრეტულ დეტალებზე (culpa in concreto). აღნიშნული შემთხვევის გამოსარკვევად ისმოდა კითხვა: „იყო თუ არა საერთო (ერთობლივი) ქონების ან საქმის მიმართ პირის მიერ გამოვლენილი მზრუნველობის ისეთივე ხარისხი, როგორიც თავისი საკუთარის მიმართ?“.

ამხანაგობის წევრს სხვის დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მას ადრე ევალებოდა მომავალი დამრღვევის კანდიდატურის შერჩევა ან მის მოქმედებებზე კონტროლი.

სამართლის სუბიექტად წოდებული ცალკეული პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლების სუსტი სამართლებრივი შემუშავებულობის დროს, ეს ნიშნები იყო განმსაზღვრელი და, გარკვეულწილად, სამართლებრივ სფეროში პირის ქცევის კრიტერიუმებსაც წარმოადგენდა.

ამგვარად, ბრალის ყველაზე მძიმე ფორმა იყო *განზრახვა* (dolus, ეშმაკობა, ტყუილი). იგი წარმოადგენდა ბრალის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც დაკავშირებული იყო პირის მიერ თავისი სამართალსაწინააღმდეგო და ვნების მომტანი ქმედობის (მოქმედების ან უმოქმედობის), მავნე შედეგების წინასწარ განჭვრეტისა და მისი დადგომის სურვილის/დაშვების გათვითცნობიერებაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამჟამად მიღებული განზრახვითი ბრალის პირდაპირ და ირიბ განზრახვას რომის სამართალი არ ცნობდა[1]. ნებისმიერი ზარალის მიყენება არცთუ დიდი და საკმაოდ კონსოლიდებული ნაციონალური ერთობის სხვა მოქალაქესთვის იყო უკიდურესად ალმაშფოთებელი ფაქტი — ბოროტი განზრახვა (dolus malus). ამიტომ, აღნიშნულ შემთხვევაში საკმარისი იყო ვნების მომტანი მოქმედებების მიმართულობის კონსტატირება (დადასტურება). განზრახ ვნების მიყენების შედეგების თავიდან აცილება კერძო წესით, მხარეებს შორის სპეციალური შეთანხმების დადების გზით, აკრძალული იყო.

რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, იგი ვლინდებოდა რამდენიმე სახესხვაობაში. მათგან ყველაზე არსებითი იყო *უხეში გაუფრთხილებლობა/დაუდევრობა* (culpa lata, უხეში ბრალი), რომელიც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ დელიქტის ჩამდენი ადამიანი თავს აჩვენებდა ისე, თითქოს არ ესმოდა ჩვეულებრივი ადამიანისა და პატრონის (მაგალითად, ფარდულში ცეცხლს არასდროს ანთებენ, საკვების მოსამზადებლადაც კი). ულპიანე ამაზე წერდა: „უხეში დაუდევრობის ზღვარია — არ მიიღო მხედველობაში ის, რასაც ყველა იღებს მხედველობაში“. შემთხვევითი არ არის, რომ უხეში გაუფრთხილებლობა ზოგჯერ უთანაბრდება განზრახვითს, ამიტომ მისგან მიყენებული ზარალი კერძო წესით თავიდან აცილებას არ ექვემდებარება.

მსუბუქი გაუფრთხილებლობა (მსუბუქი ბრალი, culpa levis) ვლინდებოდა პირის ელემენტარულ წინდაუხედაობაში, რომელსაც არ დაუშვებდა

---

[1] განზრახვის შინაარსი ამჟამად სჯარო-სამართლებრივ სფეროში: *პირდაპირი განზრახვა* — შემთხვევა, როცა პირმა შეიგნო მთელი თავისი სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა, წინასწარ განჭვრიტა და სურვილი ჰქონდა საზოგადოებრივ საშიში შედეგების დადგომის; *ირიბი განზრახვა* — ბრალის განზრახვითი ფორმის ისეთი სახესხვაობა, როცა პირს შეგნებული ჰქონდა მთელი თავისი სამართალსაწინააღმდეგო ქმედობა და საზოგადოებრივად საშიში შედეგები, წინასწარ განჭვრიტა, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას.

მზრუნველი პატრონი (მაგალითად, აშკარაა, რომ არ შეიძლება თავლა დატოვო ღვინის კასრი, თუნდაც დახურულ სათავსში და ა. შ.).

შემდეგ მოდიოდა *უმსუბუქესი ბრალი* (culpa levissima, ბრალი უმსუბუქესი) ან უბრალო დაუდევრობა, როგორც ასეთი, უბრალო გაუფრთხილებლობის სახესხვაობა. იგი მდგომარეობდა იმაში, რომ „როდესაც დარღვევა ისეთია, რომ შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება მხოლოდ უდიდესი სიფხიზლისა და წინდხედულობის დროს, რომელსაც ყველას ვერ მოსთხოვ და რომელიც აუცილებელია მხოლოდ ძალზე სპეციალურ სიტუაციებში, მაგრამ რომელიც, მიუხედავად ამისა, ვერ იქნება აბსოლუტურად საპატიო გარემოება".

დაბოლოს, ბრალი საქმეში *გამოუცდელობის* (imperitia) სახით, რომელსაც თავდაჯერებულად ჰკიდებს ხელს პირი, ხოლო შედეგად ზიანს აყენებს სხვის ქონებას. იგი ასევე უთანაბრდებოდა გაუფრთხილებლობის მსუბუქ ფორმას და, შესაბამისად, მოითხოვდა ზარალის ანაზღაურებას.

მთლიანობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ რომის სამართალში მკაფიოდ გამოვლინდა ბრალის მხოლოდ სამი სახეობა: დოლუს მონუსი, კულპა ლატა და კულპა ლევისი. ძველი რომის სახელმწიფოს რომის კანონებსა და მიმდინარე სამართლებრივ პრაქტიკაში სხვა განხილული სახესხვაობები წარმოდგენილია საკმაოდ სუსტად და წარმოადგენს, როგორც ჩანს, შუა საუკუნეების იურისტების ინტერპოლაციური მოღვაწეობის შედეგებს.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევა და კაზუსი. დელიქტური კერძო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცალკეული სახეობა წარმოადგენდა პასუხისმგებლობის შემთხვევას სუბიექტის პირადი ბრალის არარსებობის დროს. მას მიეკუთვნებოდა custodio და casus.

კუსტოდია (custodio, გაფრთხილება, დაცვა, თვალყურის დევნება) გამოიხატებოდა პირის მოვალეობაში, გამოევლინა თავისი მხრიდან ზედმეტი მზრუნველობა, უსაზღვრო ყურადღება და გაფრთხილება მასზე მიბარებული ნივთის მიმართ. იგი ითვალისწინებდა პირის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას მასზე მინდობილი ნივთის დაკარგვის გამო, ასევე იმ ზიანზე, რაც ნივთებს ჰქონდათ მიყენებული მესამე პირების მიერ. კუსტოდია წარმოიქმნებოდა ან ნივთის დაცვის შესახებ ხელშეკრულებიდან, ან კანონიდან, რომელიც ითვალისწინებდა, ცალკეულ შემთხვევაში, გარკვეული სახეობის საქმიანობის სპეციფიკას. მაგალითად, უდავოდ იგულისხმებოდა ფუნდუკების, სამიკიტნოების, გემების მფლობელების პასუხისმგებლობა კლიენტებისა და მგზავრების ქონების დაცვაზე, თავიანთი მომსახურე პერსონალის საქციელზე; მკერავი ან სხვა ოსტატი

ასევე პასუხს აგებდა შემკვეთის ქსოვილის შესაძლებელ მოპარვაზე ან გაფუჭებაზე და სხვ.

გადაულახავი ძალა (vis major) ასევე იყო ვალდებულებებზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთი იშვიათი ლეგალური (კანონმდებლობით განმტკიცებული) საფუძველი, მაგრამ მცირე შესწორებით იმის თაობაზე, რომ პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა „თუკი საქმეში ჩაერევა მისი ბრალი". იგი ვლინდებოდა ბუნებრივი ან ადამიანური წარმოშობის საგანგებო და გარდაუვალი გარემოებების დროს, რომლის შედეგადაც არ იყო შესრულებული ხელშეკრულების პირობები, რითაც ერთ-ერთმა მხარემ მიაყენა ზარალი მეორეს, თუმცა ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობა, წინააღმდეგობა გაეწია ბუნების ამ ძალებისათვის, არ იყო. ასეთი დაბრკოლებები შეიძლება ყოფილიყო გემის დაღუპვა, მოუსავლიანობა, წყალდიდობა, მიწისძვრა, წყალმარჩხობა, ვულკანის ამოფრქვევა, ჩამოზვავება, უცაბედი ქარის დაბერვა, ხანძარი, მტრის შემოსევა, ხელისუფლების განკარგულება, რომელიც არ იძლეოდა ვალდებულების შესრულების საშუალებას და ა. შ.

კაზუსი (casus, შემთხვევა, მოვლენა) განისაზღვრებოდა როგორც შემთხვევითი მოქმედება, რომელსაც (განზრახვითის ან გაუფრთხილებლობითისგან განსხვავებით) გააჩნდა სამართალდარღვევის გარეგნული ნიშნები — ზარალი, მაგრამ აკლდა ყველაზე მთავარი ნიშანი — ბრალი. პირმა გამოიჩინა აუცილებელი ყურადღება და მზრუნველობა, მაგრამ ზიანი, მიუხედავად პირის მიერ მიღებული ზომებისა, მაინც მოხდა. საზოგადო წესით, კაზუსი არ იწვევდა პასუხისმგებლობას, რამეთუ განიხილებოდა, როგორც გადაულახავი ძალის მოქმედება („შემთხვევაზე პასუხს არავინ აგებს").

თავი 14. ვალდებულებები ხელშეკრულებებიდან, პაქტებიდან და კვაზიხელშეკრულებებიდან

73. რომის კერძო სამართლის ხელშეკრულებების ცნება, შინაარსი და სისტემა: ორმხრივი და ცალმხრივი, ანაზღაურებითი და უსასყიდლო, „მკაცრი სამართლის" და „კეთილი სინდისის" ხელშეკრულებები

განვიხილეთ რა ვალდებულებების ზოგადი მახასიათებლები, შევუდგეთ მათი კონკრეტული წყაროების შინაარსის გაშუქებას. არსებობდა ვალდებულებების წარმოქმნის რამდენიმე წყარო. ისინი შეიძლება წარმოქმნი-

ლიყო ხელშეკრულებებიდან (პაქტებიდან) და დელიქტებიდან, თითქოსდა ხელშეკრულებებიდან და თითქოსდა დელიქტებიდან. ყველა ამ წყაროს საფუძველი იყო კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებები, რომლებიც, ასე თუ ისე, ქმნიდნენ ახალ ვალდებულებებს, ცვლიდნენ მიმდინარეს და წყვეტდნენ ხელთ არსებულს.

ხელშეკრულებების (კონტრაქტების) ცნება და შინაარსი. ხელშეკრულებების (კონტრაქტების, ex contractu) პირობები იყო ვალდებულებითი სამართლის ყველაზე გავრცელებული წყაროები. „რომის სამართალი ხელშეკრულებას განიხილავდა სამი თვალსაზრისით: როგორც სამართალურთიერთობის წარმოქმნის საფუძველს, როგორც ამ საფუძვლიდან წარმოქმნილ თვით სამართალურთიერთობას და როგორც ფორმას, რომელსაც შესაბამისი სამართალურთიერთობა იღებს“[1]. ყველა ხელშეკრულება იყოფოდა კონტრაქტებად და პაქტებად. ასეთი დაყოფის კრიტერიუმებს წარმოადგენდა: ამა თუ იმ შეთანხმების განსაზღვრული ლეგიტიმურობა; შეთანხმების აღიარება ცივილურ სამართლად; კანონის გარდა, ასეთი შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს კეთილ ზნეს; დადებული ხელშეკრულების სასარჩელე დაცვის უზრუნველყოფილობა; შეთანხმების საგნის მკაფიო განსაზღვრება; შეთანხმების შინაარსი უნდა იყოს ფიზიკურად შესაძლებელი; გაფორმებისა და რეალიზაციის აუცილებელი პირობების სრული დაცვა.

ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ***კონტრაქტებს*** მიეკუთვნებოდა მხოლოდ ისეთი ხელშეკრულებები (გარიგებები და შეთანხმებები), რომლებიც დადებული იყო ერთ-ერთი დადგენილი ფორმით, ეფუძნებოდა განსაზღვრულ ნორმატიულ საფუძველს, ე.ი. ცნობილი იყო მოქმედი კანონით ან მათ მიერ იყო სანქცირებული და, გარდა ამისა, ითვალისწინებდა სასამართლოს მიხედვით აუცილებელის შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობას. იმ დროს, როდესაც ***პაქტები*** (pactum, ხელშეკრულება) წარმოადგენდა მხარეებს შორის არაფორმალურ შეთანხმებას და ხშირად არ იცავდა იმ მეტისმეტად მკაცრ პირობებს და მოთხოვნებს, რომელიც ჩვეულებრივ წაყენებული იყო ცივილური ხელშეკრულების მიმართ. ამის საფუძველზე ყველა პაქტები იყოფოდა ორ სახეობაზე: „შიშველზე“ და „შემოსილზე“. *„შიშველი“ პაქტები* (pacta nuda) ასე ეწოდებოდა, რადგანაც არ ითვალისწინებდა პრეტორის დაცვას, ხოლო *„შემოსილი“ პაქტები* (pacta vestita), შესაბამისად, დაცული იყო პრეტორის სარჩელით.

---

[1] *ლეტიაევი ვ.ა.* რომის სამართლის რეცეპცია რუსეთში XIX–XX სს. (ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტი). ვოლგოგრადი: გამომცემლობა ვოლგუ, 2001.გვ. 189.

ამგვარად, ***ხელშეკრულებად*** აღიარებული იყო შეთანხმება, რომლის მეშვეობითაც ერთი ან რამდენიმე პირი ვალდებულებას იღებდა სხვა პირების წინაშე, რათა მიეცა რაღაც, გაეკეთებინა რაღაც ან არ გაეკეთებინა რაღაც.

რომის კერძო სამართლის ხელშეკრულებების ზოგადი კლასიფიკაცია. სამოქალაქო საქონელბრუნვის მუდმივი გაზრდილი მოთხოვნები, ამა თუ იმ ურთიერთობის რეალიზაციის რთული ოპერაციები, განაპირობებდა მრავალ სხვადასხვა სახის შეთანხმებას. ამიტომ, ძველრომაულმა იურისპრუდენციამ გამოიმუშავა ხელშეკრულებების შესახებ საკმაოდ მწყობრი სწავლება. განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ისინი დაყოფილი იყო შემდეგ ხელშეკრულებებზე: ცალმხრივი და ორმხრივი; ანაზღაურებითი და უსასყიდლო; აბსტრაქტული და კაზუალური; „მკაცრი სამართლის“ და „კეთილი სინდისის“; რეალური და კონსესუალური; ვერბალური და ლიტერარული.

კანონის შესაბამისად, *ცალმხრივი გარიგებისათვის* სხვა სამართლებრივი აქტებით ან მხარეების შეთანხმებით აუცილებელია და საკმარისია ნების გამოხატვა მხოლოდ ერთი მხარის მიერ (მინდობილობა, საანდერძო უარი, მემკვიდრეობის მიღება, მემკვიდრეობაზე უარის თქმა, სახელის შეცვლა, განძის აღმოჩენა, ხელში ჩაგდება, საკუთრების უფლებაზე უარის თქმა, თამაშებისა და სანაძლეოს ორგანიზაცია, სხვის ინტერესებში მოქმედება დავალების გარეშე, ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმა, ვალის პატიება, სესხი და სხვ.). *ორმხრივი* (სინალაგმატური) ხელშეკრულებები (contractus bilaterales) – ისეთი შეთანხმებებია, რომელშიც სამართალურთიერთობის მხარეებს აქვთ ურთიერთშესატყვისი სუბიექტური უფლებები და იურიდიული მოვალეობები. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველის მოვალეობაში შედის საქონლის სრული ღირებულების გადახდა, ხოლო გამყიდველის მოვალეობაში შედის სათანადო ხარისხისა და დათქმული რაოდენობის ნივთის გადაცემა.

იმ შემთხვევაში, თუკი დადებული შეთანხმების შედეგად მხოლოდ ერთ მხარეს უნდა მიეღო თავისი მოვალეობების შესრულებისათვის საფასური ან სხვა შემხვედრი შეთავაზება, მაშინ ასეთი ხელშეკრულება მიეკუთვნებოდა *ანაზღაურებით* სახესხვაობას. მაგრამ, თუკი ხელშეკრულების ერთი მხარე, რომლის სასარგებლოდაც დაიდო ეს ხელშეკრულება, ვალდებული იყო მიეცა მეორე მხარისთვის რაიმე საფასურის მიღების გარეშე ან სხვა შემხვედრი შეთავაზება, მაშინ საუბარი იყო *უსასყიდლო* კონტრაქტზე. ასეთ ხელშეკრულებას ერქვა ასევე ონეროზული (onerosus, ძნელი, დამამძიმებელი).

იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო განსაზღვრული ხელშეკრულების დადების მიზეზი სასამართლოს მიერ მისი განხილვის პროცესში, ყველა ხელშეკრულება იყოფოდა *აბსტრაქტულსა* (მიზეზი არ იყო მნიშვნელოვანი) და *კაზუალურზე* (გამოსარკვევი იყო საკითხები: რის შესახებაა ხელშეკრულება, ვინ არიან მხარეები და როგორია მათი უფლებამოსილება).

ლეგალურობის კრიტერიუმიდან გამომდინარე (კვირიტული სამართლის შესაბამისად), ყველა ხელშეკრულება მიეკუთვნებოდა ან *„მკაცრი სამართლის“* (stricti iuris), ან *„კეთილი სინდისის“* (bonae fidei) კონტრაქტებს. პირველი მათგანის განხილვისას განსაკუთრებით გათვალისწინებული იყო მხარეების ნება, მისი სიტყვიერი და „ზედმიწევნითი“ შინაარსი (quod dictum est, რაც ითქვა), ასევე ცივილური სამართლის ნორმების შესაბამისი ხარისხი, შეთანხმების პირობების შესრულების სისრულე, მისი პრესტაციები და ვალდებულებები. მათ მიეკუთვნებოდა ვერბალური და ლიტერარული ხელშეკრულებები. ისინი დაცული იყო კონდიქციებითა და ცივილური სამართლის მთელი არსებული სარჩელებით.

Contractus bonae fidei, ხელშეკრულების პირობებთან ერთად, „მკაცრი სამართლის“ კონტრაქტებისგან განსხვავებით, უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში ცივილური სამართლის მხოლოდ ძირითად პრინციპებთან. მათ მიხედვით დავის გადაწყვეტის დროს ვალდებულებითი წესით გათვალისწინებული იყო ასევე მისი დასკვნის წინმსწრები და თანმდევი გარემოებები (quod actum est, რაც გაკეთებულა). ასეთი ხელშეკრულებები იყო რეალური და კონსენსუალური შეთანხმებები. ისინი დაცული იყო მხოლოდ პრეტორული კეთილსინდისიერი და სამართლიანი სარჩელებით.

და, ბოლოს, რომის კერძო სამართლის ხელშეკრულებების კიდევ ერთი კლასიფიკაცია, რომელიც განსაკუთრებით იქნება განხილული – შეთანხმების დადების ფორმის კრიტერიუმების მიხედვით.

74. ხელშეკრულების დადების ფორმის მნიშვნელობა რომის კერძო სამართალში

უძველეს დროში ამა თუ იმ გარიგების სწორედ გარეგნული გაფორმება განსაზღვრავდა მხარეების ურთიერთსუბიექტური უფლებებისა და იურიდიული მოვალეობების უშუალო კომპლექსს, ასევე ამ უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის შედეგებს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამასთან, ამა თუ იმ კრიტერიუმის მიხედვით ასევე მეტად მნიშვნელოვანია ზემოთ წარმოდგენილ ხელშეკრულებათა სახესხვაობები, მაგრამ,

უმეტესწილად, თეორიულ ასპექტში მათი შესწავლისა და დოქტრინალური კვლევისათვის. ყოველდღიური სამეურნეო-სამართლებრივი პრაქტიკისათვის კი გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ამა თუ იმ ხელშეკრულების *დადების ფორმა*. შემთხვევით არ გაუთქვამს სახელი შემდეგ იურიდიულ პრინციპებსა და ფორმულებს: „ფორმის დაუცველობას მივყავართ აქტის უმნიშვნელობამდე“, „იურიდიული ფორმა არის არსებითი ფორმა“ და სხვ. სწორედ ეს ფაქტორი იყო ჩადებული გაიუსის მიერ მის ხელშეკრულებათა კლასიფიკაციაში, რომელიც განმტკიცებული იყო ინსტიტუციებში: „ჯერ განვიხილოთ ისინი (ვალდებულებები), რომლებიც წარმოიქმნება ხელშეკრულებიდან; ისინი ოთხი სახისაა: სწორედ ისინი წარმოჩინდა ნივთის გადაცემის შემდეგ, ან საზეიმო სიტყვებით, ან წერილობით, ან უბრალო შეთანხმებით“ (გაიუსი, 3.89). ამგვარად, საუბარია ხელშეკრულებათა შემდეგ სახესხვაობებზე, როგორიცაა: რეალური, კონსენსუალური, ვერბალური და ლიტერარული. უფრო მოგვიანებით ხელშეკრულებათა უკვე ჩამოყალიბებულ სისტემას დაემატა შეთანხმებები, რომელმაც იუსტინიანეს კანონმდებლობაში მიიღო *ფაქტობრივი* და *უსახელო კონტრაქტების* სახელწოდება (contractus innominanti).

რომის სამართალში ასევე იყო სამართალურთიერთობის მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც წარმოშობდა ვალდებულებებს, რომლის საფუძველშიც იყო არა ხელშეკრულება, არამედ მხარეთა რაღაც დადებითი ცალმხრივი მოქმედებები, რომელიც ხდებოდა კონტრაგენტის შესაბამისი თანხმობის გარეშე. უფრო მეტიც, უმეტეს შემთხვევაში მხარე, რომელიც იღებდა გარკვეულ სარგებელს მეორე მხარესთან შეუთანხმებელი მოქმედებების შედეგად, სრულიადაც არ ეჭვობდა იმაზე, რომ მიღებული შედეგის გამო ხდებოდა მოვალე, ასეთი ვალდებულებები იწოდებოდა კვაზიკონტრაქტულად ან თითქოსდა ხელშეკრულების ვალდებულებებად.

ამგვარად, რომის კერძო სამართლის ხელშეკრულებათა სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ექვსი სახეობისგან შემდგარი: ვერბალური, კონსენსუალური, რეალური, ლიტერარული, უსახელო ხელშეკრულება და კვაზიხელშეკრულება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული აღნიშნული ფორმა შეიცავდა ხელშეკრულებათა მრავალრიცხოვან შესაბამის კონკრეტულ სახეობებს.

75. ვერბალური ხელშეკრულებები (contractus verbis): მანციპაცია, ნექსუმი, სტიპულაცია, გაადვილებული აღთქმა, მზითვის აღთქმა, ერთობის სასარგებლოდ აღთქმა

რომის კერძო სამართლის ხელშეკრულებათა ისტორია იწყებოდა უმარტივესი, მაგრამ საზოგადოებაში ფრიად აუცილებელი ხელშეკრულებების სახესხვაობებით – გაცვლა-გამოცვლა, ყიდვა-გაყიდვა და სესხი *ზეპირი წესით.* ამ ტიპის შეთანხმებებმა მიიღო სახელწოდება ***ვერბალური*** (verbum, სიტყვა, გამონათქვამი). ვერბალური ხელშეკრულებების ყველაზე მნიშვნელოვანი და ისტორიულად პირველი სახეობები იყო შეთანხმებები, თავდაპირველად დადებული იმ ფორმებით, რომლებსაც ეწოდებოდა მანციპაცია, ნექსუმი და სტიპულაცია. მათგან პირველი ორი იყო ყველაზე ძველი, მეტისმეტად ფორმალიზებული და ამიტომ ჯერ კიდევ რესპუბლიკის პერიოდში ამოღებული იყო სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან და შეცვლილი უფრო მარტივითა და მოქნილით.

მანციპაცია (mancipatum, საკუთრებაში გადაცემა). ამგვარად, ნივთების გაცვლის, შემდეგ კი მათი ყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთი ძველი ფორმა იყო მანციპაცია. მისი შესრულება სავალდებულო იყო ნივთების მთავარი კატეგორიების შეძენის ან გასხვისების ოპერაციის დროს – მიწების, მონების, საქონლისა და სხვ. ამ ნივთებს ასეც ერქვა – მანციპირებული (res mancipi).

ეს ფორმა მიეკუთვნებოდა მკაცრად ფორმალურ გარიგებათა რიცხვს, რომელიც იდებოდა „სპილენძისა და სასწორის მეშვეობით". ამ სახის ხელშეკრულების დადების დროს აუცილებელი იყო ხუთი მოწმისა და თავისი პატიოსნებითა და კეთილსინდისიერებით ცნობილი სპეციალურად მოწვეული პირის დასწრება, რომელსაც ეკისრებოდა გარიგების დადების საკრალური მოვალეობა განსაკუთრებულ სასწორზე მისი სარიტუალო „აწონის" გზით. მხარეები წარმოთქვამდნენ მკაცრ ფრაზა-ფორმულებს (ნუნკუპაციებს), რაც მოწმობდა მათ სერიოზულ და ჭეშმარიტ განზრახვაზე. მყიდველი ადებდა ხელს შეძენილ ნივთს („ხელის ქვეშ დებდა"), ამით მისი დასაკუთრების სიმბოლიზებას ახდენდა და სასწორის პინაზე სპილენძის ძელაკის დარტყმის ხმაზე აცხადებდა, რომ შეიძინა ეს ნივთი „კვირიტების სამართლით" და ამა და ამ ფასად. არქაულ დრომდე, მანციპაციის დროს მიღებული იყო აგრეთვე მსხვერპლის შეწირვა ღმერთებისათვის. უფრო მოგვიანებით დაიწყეს უბრალოდ სპეციალური საღებავით იუპიტერის გამოსახულების შეღებვა.

მანციპაციას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომის საზოგადოების ცხოვრებაში. მისი ფორმების ჩარჩოებში ხორციელდებოდა სხვა

ყველაზე უფრო განსხვავებული იურიდიული ოპერაციები. მაგალითად, ნივთებისა და ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს კატეგორიებზე საკუთრების უფლების შეძენა/გასხვისება; სხვის ნივთზე უფლების ზოგიერთი სახესხვაობის გასაფორმებლად (სოფლის სერვიტუტებზე); ანდერძის შესადგენად (testamentum per aes et libram); ოჯახის წევრების გასათავისუფლებლად სახლის პატრონის მონობისაგან (emancipatio); კოემპციის ფორმით კუმ მანუს (ქმრის მონობის ქვეშ) ქორწინების დროს; ზოგიერთი სახის ჩუქების გასაფორმებლად; ნივთების გადასაცემად მეგობრისთვის შესანახად (fiducia cum amico) ან ფიდუციარული გირაო კრედიტის უზრუნველსაყოფად (fiducia cum creditore) და სხვ. მანციპაციის მეშვეობით ხელშეკრულებების ერთ-ერთი უმკაცრესი სახეობა იყო ნექსუმი.

ნექსუმი (nexum, დაკავშირება, შეერთება, შერწყმა). ეს შეთანხმება ასევე წარმოადგენდა ხელშეკრულებების უძველეს სახესხვაობებს, რომელიც იდებოდა ზეპირად (ვერბალური). ეს ფორმა წარმოიქმნებოდა მაშინ, როცა მყიდველი, რომელსაც არ ჰქონდა შესაძლებლობა მანციპაციის წესით მაშინვე გადაეხადა შეძენილი ქონებისთვის, საზეიმოდ დებდა აღთქმას ამის გაკეთების თაობაზე მოგვიანებით და ამასთან თავის თავზე იღებდა შესაბამის ვალდებულებას. ასეთი ვალდებულების უზრუნველსაყოფად მოვალე სთავაზობდა გირაოს (pignus) – თავის თავს.

ნექსუმის მიხედვით გარიგებები წარმოადგენდა მხარეთა შეთანხმების ყველაზე მკაცრ სახეობას, რამეთუ მოვალის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს იგი კარგავდა პრაქტიკულად ყველაფერს, რაც გააჩნდა, მათ შორის, სიცოცხლესაც. ეს იყო თვითდაგირავების გარკვეული სახესხვაობა, რომლისგანაც გადახვევა არ შეიძლებოდა. შეთანხმების ასეთი ფორმა სავალდებულო იყო ყველანაირი გარიგების დროს ნივთების ყველაზე მთავარი კატეგორიების მიხედვით, რომელიც არსებობდა სამოქალაქო ბრუნვაში – მანციპირებულების. ნექსუმი აღნიშნავდა პირადი პასუხისმგებლობის ფაქტის დიდ მნიშვნელობას, რომლის ჩარჩოებშიც მოვალეს შეეძლო დაეკარგა თავისუფლება, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, როგორც უკვე ითქვა, თვით სიცოცხლეც კი.

გარკვეულ სამართალურთიერთობებში ნექსუმის მკაცრი სავალდებულოობა და გარიგებების გაფორმების ამ ფორმის ფართო გავრცელებულობა სამოქალაქო საქონელბრუნვის სფეროში მათი მოთხოვნის გამო, უძველეს დროში იქამდე მივიდა, რომ სავალო კაბალა გახდა ნამდვილი უბედურება რომის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის და განსაკუთრებით მისი პლებეური (მდაბიო) ნაწილისთვის. პასუხისმგებლობის

ასეთი (პირადი) ფორმის გაუქმებას განაპირობებდა პეტელიას (Les Poetelia) კანონის დებულებები, რომელიც გამოცემული იყო 326 წ.ჩვ.წ-მდე.

სტიპულაცია (stipulatus, ფორმალური დაპირება, ხელშეკრულების პირობა). არამანციპირებული ნივთების მიხედვით გათვალისწინებული იყო ვერბალური ხელშეკრულებების დადების უფრო მსუბუქი და მარტივი ფორმა – სტიპულაცია. იგი მიეკუთვნებოდა მკაცრი სამართლის აბსტრაქტულ ხელშეკრულებებს, ამიტომ ყურადღება გამახვილებული იყო მხოლოდ თავად ფაქტზე, ვალდებულების საგანზე.

სტიპულაციის შინაარსი შეადგენდა მხარეთა მკაცრად ფორმალურ დიალოგს, რომლის დროსაც კრედიტორი მოვალეს ეკითხებოდა, იღებდა თუ არა ეს უკანასკნელი ვალდებულებას შეესრულებინა რაღაც გარკვეული მოქმედება მის ინტერესებში, ხოლო მოვალე პასუხობდა მტკიცედ, ამასთან იმეორებდა იგივე სიტყვებს. სხვა შემთხვევებში დასაშვები იყო საკუთარი ნების გამოხატვა მხოლოდ ერთი ფრაზით: „საზეიმოდ ვფიცავ!“ („Spondeo“). იმხანად სტიპულაციის პროცედურა *სპონსიის* სახელწოდებას (sponsio, გარანტია, ფიცი) ატარებდა.

ცნობილი იყო სტიპულაციის სამი სახესხვაობა: ფულადი გადახდის დაპირება, ნივთის დაპირება და განუსაზღვრელი დაპირება, რომელიც სრულიად სხვადასხვა ვალდებულების გამო შეიძლება ყოფილიყო მიცემული.

ნექსუმთან შედარებით სტიპულაცია იყო გარიგების ყველაზე გავრცელებული ფორმა.

სტიპულაციასთან ერთად, ვერბალურ ხელშეკრულებებს მიეკუთვნებოდა ისეთი შეთანხმებები, როგორიცაა: *გააზატებულის ფიცის აღქმა*, რომელიც გათავისუფლებული მონის საკრალური დაპირება იყო თავისი პატრონისთვის ყველანაირი სამსახურის გაწევის თაობაზე თავისუფლების მოპოვების შემდეგ; *მზითვის აღთქმა*, რომელიც წარმოადგენდა მომავალი მეუღლისთვის ან მისი ოჯახის მამისთვის (პატერფამილიას) ფიცის აღთქმას მზითვის აუცილებელი გადაცემის შესახებ მომავალი ცოლის მხრიდან ან მისი მოვალის მხრიდან (თუკი იგი იყო „თავისი უფლების“ პირი) ან მისი სახლის პატრონის მხრიდან (თუკი იყო „სხვისი უფლების“ პირი); *აღთქმა სამოქალაქო ერთობის სასარგებლოდ*, რომის მოქალაქის დაპირება როგორც ასეთი, რომელიც გამოიხატებოდა მოქალაქეთა სავალდებულო აღთქმაში თავის თანამემამულეთათვის ძვირფასი ძღვენისა და ერთობის საჭიროებისათვის ფულადი თანხის გადაცემის თაობაზე, შენობის ასაშენებლად და ა. შ. როგორც წესი, ასეთ დაპირებას იძლეოდნენ სახელმწიფო თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატები და აუცილებელი იყო მისი შესრულება მაძიებლის მარცხის შემთხვევაშიც კი.

76. ლიტერარული ხელშეკრულებები (contractus litteris); საკრედიტო ვალდებულებების ხელახალი ჩაწერა, სინგრაფა, ქიროგრაფა

ხელშეკრულებათა მოცემული ჯგუფის სახელწოდება დაკავშირებულია სიტყვასთან litterae, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც ასო, წერილი, საბუთი ან ჩანაწერი. ამგვარად, ლიტერარული ხელშეკრულებები – ეს არის წერილობითი ხელშეკრულებები. ისინი საკმაოდ გვიან გამოჩნდა, ჩვ. წ-მდე III-II სს. და წარმოადგენდა ვალდებულებების განსაკუთრებულ წყაროებს, რომელიც წარმოიქმნებოდა სპეციალური შემოსავალ-გასავლის წიგნებსა და მიმდინარე ანგარიშების წიგნებში (codex accepti et expensi) მიმდინარე ჩანაწერის გამო, რომელსაც აწარმოებდა ყოველი რომაელი სახლის პატრონი თავისი მოვალეებისა და კრედიტორების აღრიცხვისათვის. პირობითად რომ ვთქვათ, ყოველი ახალი ჩანაწერი ასეთ წიგნებში მოწმობდა ახალი ხელშეკრულების დადებას და ახალი ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოქმნას (obligatio litteris contracta, ვალდებულებები წერილობითი ხელშეკრულებებიდან). წერილობითი კონტრაქტის ამ სახესხვაობას სწორედ ასე ერქვა – ***საკრედიტო ვალდებულებების ხელახალი ჩაწერა*** (nomina transcriptia, სახელობითი ხელახალი ჩაწერა).

საკუთრივ ლიტერარულ შეთანხმებებს – რომის ცივილური სამართლის აბსტრაქტულ ხელშეკრულებებს, საკმაოდ ხანმოკლე ბედი ჰქონია და უკვე პოსტკლასიკურ პერიოდში ადგილი დაუთმო *წერილობით სავალო ვალდებულებებს.*

სავალო ვალდებულებების ასეთი ფორმა, რომელიც რომის სამეურნეო პრაქტიკაში საბერძნეთიდან შემოვიდა, იყო ორი. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც ერქვა ***სინგრაფა*** (ბერძ. syngraphae), წარმოადგენდა კონკრეტული პირის დამამტკიცებელი ფაქტის დოკუმენტს (არსებითად, სავალო ხელწერილი) და ხელმოწერილი იყო დაინტერესებული მხარეებისა და მისი მოწმეების მიერ. როგორც წესი, ასეთი დოკუმენტი დგებოდა პრაქტიკოსი იურისტების, გადამწერებისა და ნოტარიუსების მიერ.

მეორე წერილობითი ფორმის გამოჩენა დაკავშირებულია გვიანი რესპუბლიკის პერიოდთან. ეს არის – ***ქიროგრაფა*** (ბერძ. chirographa) ან მოვალის მარტივი ცალმხრივი საკუთარი ხელით დაწერილი ხელწერილი, რომელიც ამტკიცებდა მის მიერ კრედიტის მიღებას და რომელსაც ის გადასცემდა თავის კრედიტორს.

77. რეალური ხელშეკრულებები (contractus rei): სესხი, თხოვება, შენახვა, იძულებითი შენახვა, სეკვესტრი, გირაო, დაგირავება, იპოთეკა

მოცემული ხელშეკრულებები მიეკუთვნებოდა არაფორმალურთა ჯგუფს და ეყრდნობოდა თავის საფუძველს – კაუზუს. რეალური ხელშეკრულებების განმსაზღვრელი თავისებურება იყო რაღაც ვალდებულებების წარმოქმნა მხოლოდ ნივთის გადაცემის ფაქტზე. სწორედ ამიტომ მათი სახელწოდება წარმოიშვა სიტყვიდან „ნივთი“ – „res“ და არა სიტყვიდან „რეალური“ (realis), როგორც შეიძლება კაცმა იფიქროს. რეალურ კონტრაქტებს მიეკუთვნებოდა კონკრეტული ხელშეკრულებების საკმაოდ დიდი ჯგუფი: სესხი (მათ შორის, გემის), თხოვება, შენახვა, გირაო.

სესხი (mutuum). ასეთი შეთანხმებების ყველაზე ძველი სახესხვაობა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა III ს-თვის ჩვ. წ-მდე, იყო სესხი. მისი შინაარსი მდგომარეობდა გარიგების ერთი მხარის მიერ (გამსესხებელი) მეორე მხარის (მსესხებელი) საკუთრებაში ფულის ან სხვა საგვარეულო ნიშნებით განსაზღვრული ნივთების გადაცემაში, ე.ი. ისეთის, რომელიც „გამოითვლება ოდენობით, წონით, ზომით“. ამასთან, მსესხებელი ვალდებულებას იღებდა შეთანხმებაში განსაზღვრულ დროში ან მოთხოვნით დაებრუნებინა გამსესხებლისთვის იგივე თანხა ან იგივე სახისა და ხარისხის სხვა მის მიერ მიღებულ ნივთებთან გათანაბრებული რაოდენობა.

სასესხო ხელშეკრულების ყველაზე პირველი სახესხვაობა იყო ნექსუმი. ამიტომაც თავად სესხი მუდამ გვევლინებოდა, როგორც ცალმხრივი ხელშეკრულება: ერთ მხარეს იგი აძლევდა მთელ უფლებას (ვალის მოთხოვნა), ხოლო მეორეს აკისრებდა მთელ ვალდებულებას (ვალის დაბრუნება). „მკაცრი სამართლის“ ხელშეკრულება, რაკი არ ითვალისწინებდა მოვალისგან რაიმეს მოთხოვნას, რაც გადააჭარბებდა ვალს. მიუხედავად იმისა, რომ ვალი XII ტაბულის კანონებით განიხილებოდა უსასყიდლო ხელშეკრულებად, რეალურ ცხოვრებაში თითოეულ სესხზე, სტიპულაციური ფორმის მეშვეობით, ხდებოდა ცალკეული ხელშეკრულების დადგენა პროცენტის თაობაზე[1].

თხოვება (commodatum, საკუთ. სესხი ან მომსახურება). სიტყვა matuum ლათინური ენიდან ითარგმნება, როგორც სესხი და, ასევე, როგორც თხოვება. და ეს არ არის შემთხვევითი. თხოვება, როგორც

[1] კერძოდ, კლასიკურ პერიოდში წლიური განაკვეთი არ უნდა აღმატებულიყო 12%, ხოლო იუსტინიანეს კანონმდებლობით – 6%. ასევე აკრძალული იყო პროცენტზე პროცენტის დარიცხვა.

სესხი, ითვალისწინებდა ნივთის დროებით გადაცემას უსასყიდლო სარგებლობაში. განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ სესხის დროს საუბარი იყო ნივთზე საგვარეულო ნიშნებით, ხოლო თხოვების დროს – ინდივიდუალურად განსაზღვრულზე. თხოვება იყო რეალური, ცალმხრივი, უსასყიდლო და სასწრაფო ხელშეკრულება. თავისი მიზნებისათვის დათქმული კონკრეტული ნივთის მიღებისას (ფასეული ლარნაკი, სპეციალისტი-მონა, ცხენი, საზიდავი) კომოდატარიუსი (მსესხებელი) ვალდებული იყო მისი გამოყენების პროცესში მზრუნველობა გამოეჩინა, გაფრთხილებოდა, თუკი აუცილებელი იყო, შეეკეთებინა იგი და დაებრუნებინა დათქმულ ვადაში მფლობელისთვის უვნებლად. თუკი ამ ნივთს მოჰქონდა მისთვის რაიმე ზარალი, მსესხებელს უფლება ჰქონდა მოეთხოვა კომოდანტისგან (გამსესხებელი) მისი კომპენსაცია. რაკი ხელშეკრულება იყო უსასყიდლო, ნივთისგან მიღებული მთელი ნაყოფი ასევე უნდა ყოფილიყო დაბრუნებული.

თხოვების ხელშეკრულების რამდენადმე მსგავსი იყო **პრეკარიატი** (precarium, თხოვნით მიცემული), რომელიც ძველად გავრცელებული იყო პატრონებსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობებში და გამოიხატებოდა ქონების გადაცემაში უვადო და უსასყიდლო სარგებლობით. დაცული იყო სარჩელებით მესამე პირებისგან (interdictum precario), მაგრამ არა პატრონისგან, რომელსაც შეეძლო ნივთის უკან გამოხმობა ნებისმიერ მომენტში თავისი მხრიდან ყველანაირი განმარტებების გარეშე. ამასთან ერთად, თუკი პატრონი ვერ ახერხებდა მიწის ნაკვეთზე თავისი უფლებების დასაბუთებას, მაშინ პრეკარიატს შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი ინტერესები. გარდა ამისა, პრეკარიატი არ წარმოშობდა ვალდებულებით ურთიერთობებს.

შენახვა ან ტვირთი (depositum, ანაბარი, გადადება). შენახვის ან ტვირთის ხელშეკრულება მდგომარეობდა ერთი მხარის მიერ (დეპონენტი, ტვირთის გამცემი) მეორე მხარისთვის (დეპოზიტარი, ტვირთის მიმღები) თავისი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის, ქონების გადაცემაში განსაზღვრული ვადის განმავლობაში ან მოთხოვნამდე უსასყიდლო შენახვისათვის. ამასთან, ნივთით სარგებლობა შენახვის პერიოდში აკრძალული იყო, რამეთუ ეს უკვე განიხილებოდა, როგორც ქურდობა. ტვირთის მიმღები, რომელიც გამოუსწორებელ ზარალს მიაყენებდა ნივთს, არ დააბრუნებდა მას დათქმულ ვადაში, ჩაითვლებოდა დამნაშავედ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო და კარგავდა ღირსებას (ინფამია). ტვირთის მიმცემის უფლება დაცული იყო განსაკუთრებული სარჩელით depositi sequestraria actio. თუმცა, დეპოზიტარის უფლებაც ასევე დაცული იყო actio depositi contraria.

ცნობილი იყო შენახვის სამი ფორმა:

- საგვარეულო (შენაცვლებადი) ნივთების (მაგალითად, ფული, მარცვლეული) შესანახად გადაცემა – *ირეგულარული შენახვა* (depositum irregulare). ამასთან, დეპოზიტარი, ბუნებრივია, ხდებოდა იმ ნივთების მესაკუთრე, რომელიც მას გადაეცა, ხოლო აბრუნებდა უკვე სხვას, მაგრამ იგივე ხარისხისა და რაოდენობის;
- შენახვის ხელშეკრულების დადება რაიმე საგანგებო გარემოებისას (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა, სამხედრო მოქმედებები, სახალხო მღელვარება და ა.შ.), როცა ტვირთის მიმცემს არ ჰქონდა რა საშუალება ამოერჩია თავისთვის შესაფერისი დეპოზიტარი, იძულებული იყო პირველივე შემხვედრზე შეჩერებულიყო – *უიღბლო ან სამწუხარო ტვირთი* (depositum necessaria, ძალაუნებურად შენახვა ან miserabile, საწყალი ტვირთი). აღნიშნულ შემთხვევაში ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა შესაძლებელი ზარალის მიყენებისთვის დგინდებოდა ორმაგი ოდენობით;
- ნივთების შესანახად გადაცემა სასამართლოს გადაწყვეტილებით. ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე პირი, რომლებიც აცხადებდნენ უფლებას რაიმე ნივთის საკუთრებაზე, დავის გადაწყვეტამდე გადასცემდნენ ამ ნივთს შესანახად მათ მიერ ამორჩეულ დეპოზიტარს. ნივთის ასეთი შენახვა ატარებდა *სეკვესტრაციის* სახელწოდებას (sequester, შუამავალი ან sequestrum, შენახვა).

გირაო (pignus datum, გირაო, როგორც გარანტია).. რომის სამართალი ცნობდა გირავნობის სამართლის სამ თანამიმდევრობით წარმოქმნილ ფორმას.

პირველ ფორმას წარმოადგენდა დაგირავება *ფიდუციის* სახით (fiducia, ნდობა), რომელსაც რეალიზაციის მკაცრი წესი გააჩნდა: მოვალე მანციპაციის გზით ქონებას საკუთრებაში გადასცემდა კრედიტორს, რომელიც ვალის თანხის თავისდროული გადახდის შემთხვევაში ვალდებული იყო დაებრუნებინა მოვალისთვის ეს ქონება. გირაოს შემდეგი სახეობა გახდა *პიგნუსი* (pignus datum) ან „ხელის გირაო“. აქ დაგირავებული ნივთი კრედიტორს უკან უნდა დაებრუნებინა მოვალისთვის, რომელიც თავის ვალდებულებას შეასრულებდა. გირაოს მესამე, უფრო გვიანი ფორმა გახდა *იპოთეკა* (hypotheca), რომლის დროსაც დაგირავებული ნივთი რჩებოდა მოვალესთან, სანამ იყო საფუძველი იმისა, რომ იგი შეასრულებდა თავის თავზე აღებულ ვალდებულებას. თუკი ეს არ მოხდებოდა, ნივთს გამოიტანდნენ გასაყიდად კრედიტორის (კრედიტორების) ხარჯების დასაფარავად.

78. კონსენსუალური ხელშეკრულებები (contractus consensu): მხარეთა უბრალო შეთანხმება, ყიდვა-გაყიდვა, დაქირავება, ამხანაგობა, დავალება

კონსენსუალურმა ხელშეკრულებებმა თავისი სახელწოდება მიიღო consensus-დან (თანხმობა), რამეთუ მასში ვალდებულება წარმოიქმნებოდა მხარეთა უბრალო თანხმობის ძალით (per consensu, თანხმობით, თანხმობის საშუალებით) გარიგების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტების თაობაზე (საქონლის რაოდენობაზე, ფასზე). ამასთან ერთად, შეთანხმება შეიძლება ყოფილიყო დადებული კონკლუდენტურად (ნიშნით, თავის დაქნევით) ან პირადი კონტაქტის გარეშეც, შესაბამისი წინადადებით წერილის გადაცემის გზით. ხშირად კონსენსუალური კონტრაქტები არ ითვალისწინებდა მხარეების მიერ ქონების დაუყოვნებლივ გადაცემას. ასეთი გადაცემა შეიძლება შემდგარიყო მნიშვნელოვნად გვიან. სუბიექტებს შეეძლოთ მხოლოდ წინასწარ მორიგებოდნენ ერთმანეთს ამის შესახებ, იმ დროს, როცა რეალურ ხელშეკრულებებში ეს მოქმედებები მათ საფუძველს შეადგენდა. ყოველივე ამის შედეგად კონსენსუალური ხელშეკრულება წარმოადგენდა „კეთილი სინდისის“ შეთანხმებას.

კონსენსუალურ ხელშეკრულებებს მიეკუთვნებოდა ოთხი დამოუკიდებელი კონტრაქტი: ყიდვა-გაყიდვა, დაქირავება, ამხანაგობა, დავალება, ივკარა.

ყიდვა-გაყიდვა (emptio venditio) სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების ყველაზე გავრცელებულ სახეობას, ცხადია, წარმოადგენდა ყიდვა-გაყიდვა. მის შინაარსს შეადგენდა მხარეთა მორიგება – გამყიდველისა (venditor) და მყიდველის (emtor) გარკვეული ნივთის (საქონელი, ქონება) დათქმულ ფულზე ეკვივალენტური გაცვლის თაობაზე. ამასთან, ფული აღნიშნულ შემთხვევაში საკვანძო როლს თამაშობდა, რამეთუ სხვა ეკვივალენტის დროს გარიგება გადაიქცეოდა გაცვლა-გამოცვლად.

ასეთ ორმხრივ თანაბარ ხელშეკრულებაში ძირითადი ელემენტები იყო საქონელი და მისი ღირებულება. თუკი ამ ფაქტორებიდან რომელიმეს მიხედვით შეთანხმება არ იყო მიღწეული, გარიგება არ შედგებოდა. ასევე მკაცრად იყო გათვალისწინებული მხარეთა ურთიერთვალდებულებები. მყიდველი ვალდებული იყო მთლიანად გადაეხადა საქონელში მოთხოვნილი თანხა. გამყიდველს უნდა გადაეცა ამ თანხაში სათანადო რაოდენობისა და ხარისხის საქონელი.

გამყიდველის ვალდებულებების კომპლექსში შეტანილი იყო მყიდველის უფლება ნივთის კანონიერი ფლობის თაობაზე, რომელიც თავისუ-

ფალი იქნებოდა სხვა რომელიმე პირის უფლების განცხადებისგან (habere licere, მფლობელობის მიცემა). საქმე იმაშია, რომ რომის სამართლის მიხედვით გაყიდვის დროს ნივთი ჯერ კიდევ არ ხდებოდა მყიდველის საკუთრება. ნამდვილი მესაკუთრის მიერ ნივთის შესაძლებელი გამოთხოვისგან საკუთარი თავის გაუსაფრთხოების მიზნით, როგორც წესი, გამყიდველისგან მოითხოვდნენ შესასყიდი ნივთის ორმაგი ღირებულების გადახდის პირობას, თუკი უცებ მოიძებნებოდა ის, ვისაც კანონით ეკუთვნოდა ნივთი და მოითხოვდა მის დაბრუნებას პატიოსნად შემძენი პირისგან.

გამყიდველი მუდამ აგებდა პასუხს ნივთის შესაძლებელ შეუმჩნეველ ნაკლზე. ამასთან, თავდაპირველად იგი პასუხს აგებდა საქონლის ნაკლის დაფარვაზე ან „ზედმეტ შექებაზე", შემდეგ ნაკლის აღმოჩენის დროს ეკისრებოდა ორმაგი ღირებულების გადახდის ვალდებულება. პოსტკლასიკურ პერიოდში გამყიდველს ეკისრებოდა მთელი პასუხისმგებლობა როგორც მის მიერ დაფარულ, ასევე მისგან დაფარულ საქონლის ნაკლზე. ნივთის დაფარული ნაკლის აღმოჩენისას: ყიდვის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში მყიდველს შეეძლო გაეუქმებინა კონტრაქტი (action redhibetoria, სარჩელი დაბრუნების თაობაზე); ერთი წლის განმავლობაში – მოეთხოვა გადახდილი თანხის შემცირება (actio quanti minoris, სარჩელი ფასის შემცირების თაობაზე).

ყიდვა-გაყიდვის შემდგარი გარიგების დროს შემთხვევითი დაღუპვის რისკი მუდამ მყიდველს აწვებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ნივთი (ურთიერთშეთანხმებით) ჯერ კიდევ გამყიდველთან იყო. მაშასადამე, მყიდველი ვალდებული იყო გადაეხადა საქონლის დათქმული ღირებულება ნებისმიერ შემთხვევაში.

ქირავნობა (locatio conductio, გაქირავება). ქირავნობის ხელშეკრულება მდგომარეობს იმაში, რომ ერთი ვინმე შესაბამის საზღაურად იღებდა თავის თავზე ვალდებულებას მიეცა სხვა სუბიექტისთვის გარკვეული მოძრავი ან უძრავი ნივთით დროებითი სარგებლობის უფლება ან გაეწია წინასწარ დათქმული მომსახურება.

ქირავნობის ცალკეულ ხელშეკრულებებად გვევლინებოდა ნივთების, მომსახურებისა და სამუშაოს დაქირავება:

- *ნივთების ქირავნობა* (locatio conductio rerum) გვევლინებოდა, არსებითად, როგორც იჯარა, რომლის დროსაც მესაკუთრე გადასცემდა დამქირავებელს რაიმე ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს (ან რამდენიმე ნივთს) დროებით უსასყიდლო სარგებლობაში და უკან უეჭველი დაბრუნების პირობით საღ და მთელ მდგომარეობაში;
- *მომსახურების ქირავნობა* (location conductio operarum) იყო არაფერი სხვა, თუ არა ნარდი კონკრეტული ადამიანის გასამრჯელოსათვის გარკვეული სახის სამუშაოს წარმოებაში. თავისუფალი და შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებისთვის, რომელთაც მიეკუთვნებოდნენ მხატვრები, მოქანდაკეები, იურისტები, შეუფერებლად ითვლებოდა რაიმე დადგენილ საზღაურად მუშაობა, ამიტომ მათი შრომა ფასდებოდა ჰონორარით (honorarum, პატივსაცემი);
- *სამუშაოს ქირავნობა ან ნარდი* (locatio conductio operis) მდგომარეობდა იმაში, რომ ერთი მხარე (conductor) იღებდა თავის თავზე ვალდებულებას შეესრულებინა კონკრეტული სამუშაო დათქმულ გასამრჯელოზე, ხოლო შედეგები წარედგინა მეორე მხარისთვის (licator) ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

ამხანაგობა (societas). ამხანაგობის ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენდა ფულისა (ან სხვა ქონების) და ორი და მეტი ერთმანეთთან ფორმალურად თანასწორი პირის ძალების გაერთიანება კანონით ნებადართული საერთო მიზნების მისაღწევად. მაგრამ ასეთი გაერთიანება არ ითვალისწინებდა ცალკე სამეურნეო ერთეულს (სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს) საქმეში დაბანდებული ქონების განსაზოგადოებით, როგორც ეს ხდებოდა რაიმე კორპორაციის (იურიდიული პირის) საქმიანობის პროცესში. ამიტომ, მესამე პირების ყველა პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელი იყო არა თავად ამხანაგობის მიმართ, არამედ მხოლოდ მისი კონკრეტული წევრების მიმართ, რომელთაგან თითოეულს ფორმალურად შეეძლო საერთო საქმეში დაბანდებული მხოლოდ მისი კუთვნილი ქონების განკარგვა.

საზოგადო წესის მიხედვით, ამხანაგობები იქმნებოდა მტკიცე საფუძველზე. მაგრამ დროთა განმავლობაში დროებითი კავშირები (societas quastus, სარგებლის გამო გაერთიანება) გაცილებით მომრავლდა. ამგვარად, ამხანაგობების სახეობებს წარმოადგენდა:

- *კავშირი ერთობლივი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის* (societas omnium bonorum, ყველასათვის სასარგებლო გაერთიანება) – მეურნეობის ისეთი ერთობლივი წარმოება, რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო მისი თითოეული წევრის მთელი ქონების განსაზოგადოებას, არამედ მომავალ შემოსავლებსაც;
- *წარმოებრივი ან შემოსავლიანი ამხანაგობა* (societas quaestus, სარგებლისათვის გაერთიანება), რომელშიც საერთო იყო მხოლოდ ქონება, რომელიც ჩადებული იყო საქმეში რაიმე მატერიალური სარგებლობის მისაღებად და თავად ეს სარგებელი;
- *წარმოებრივი ამხანაგობა* (societas negotiationis, გაერთიანება სავაჭრო ოპერაციებისათვის), რომელიც იქმნებოდა სამეურნეო საქმიანო-

ბის რაიმე კონკრეტული საზეობის საწარმოებლად და ითვალისწინებდა თავისი წევრების ქონებისა და მიღებული სარგებლის ერთობას;

- *დროებითი ამხანაგობა* (societas unius rei, გაერთიანება ერთი საქმისთვის), რომელიც წყდებოდა რაიმე ერთი, მაგრამ შეთანხმების მხარეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციის უკვე განხორციელების შემდეგ.

ამხანაგობის მთავარი მიზანი იყო სარგებლის მიღება, მის გარეშე ასეთი ხელშეკრულება მიიჩნეოდა ძალადაკარგულად. ამ მიზნების მიღწევის გზები უნდა ყოფილიყო ლეგალური. როგორც სარგებელი, ასევე ზარალი ნაწილდებოდა შეთანხმების თითოეული მონაწილის პირადი შენატანის პროპორციულად (ზარალი, ცალკეული შეთანხმების მიხედვით, შეიძლებოდა ყოფილიყო ანაზღაურებული ასევე „შეძლებისდაგვარი“ პრინციპით). ამხანაგობის შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული მიზეზები იყო: დასახული მიზნის მიღწევა ან მისი შესრულების შეუძლებლობა, საერთო ქონების განადგურება, მისგან ერთი წევრის გამოსვლაც კი, შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილის ქონების კონფისკაცია, მისი გარდაცვალება ან სტატუსის დაკნინება და სხვ.

დავალება (mandatum). დავალების ხელშეკრულება წარმოადგენდა ორმხრივ კონსენსუალურ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ერთი პირი (მარწმუნებელი, მანდანტი) ავალებდა მეორე პირს (რწმუნებული, მანდატარი) რაიმე იურიდიული (გარიგების დადება) ან ფიზიკური (კაბის დაკერება) მოქმედების მის სასარგებლოდ უსასყიდლო შესრულებას, ხოლო ეს მეორე პირი (რწმუნებული) იღებდა თავის თავზე ამ მოქმედებების შესრულების ვალდებულებას.

რომის სამართალში ნათქვამია: „დავალების ხელშეკრულება, თუკი ის არ არის უსასყიდლო, უმნიშვნელოა“. მაგრამ აღსანიშნავია, რომ უსასყიდლობა, როგორც დავალების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება არ შეიძლება გაგებული იყოს სიტყვასიტყვით. არ მუშაობდნენ რა დადგენილ საზღაურად და თვლიდნენ მას საკუთარი ღირსების დამცირებად, რომაელები, მით უმეტეს, არასოდეს ამბობდნენ თავისი მომსახურებისათვის უარს ჰონორარის ფორმით „მადლობაზე“ (honorarium). უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში უფლება ჰქონდათ იმედი დაემყარებინათ მასზე.

დავალების სახესხვაობას წარმოადგენს *მანდანტის მიერ მინდობილობის გაცემა* ვიღაც კონკრეტული პირის მიერ მისი სახელით საკუთარი საქმეების წარმოებაზე. მინდობილობაზე დაფუძნებული ასეთი ხელშეკრულების სახესხვაობებს წარმოადგენდა: *დავალება ჩემი კეთილდღეობისათვის* (mandatum mea gratia) – მანდანტის ინტერესებში მიცემული დავალება, ე.ი. პირის, რომელიც იძლევა დავალებას (მაგალითად, A

ავალებს B გააკეთოს გარკვეული სამუშაო მისთვის); *დავალება შენი კეთილდღეობისათვის* (mandatum tua gratia) – დავალება, რომლის შესრულებაშიც დაინტერესებულია თავად მანდატარი (მაგალითად, A ავალებს B იყიდოს აქციები არა მისთვის, არამედ თავად B-თვის); *დავალება სხვისი კეთილდღეობისათვის* (mandatum aliena gratia) – დავალება, რომელიც მესამე პირის ინტერესებში შედიოდა (მაგალითად, A ავალებს B იყიდოს ნივთი C-თვის).

რწმუნებული პირის მოვალეობები გამომდინარეობდა სასარჩელე მოთხოვნიდან, რომლითაც დაცული იყო მარწმუნებლის ინტერესები (actio mandati directa). მაგალითად, მანდატარს უნდა შეესრულებინა ყველაფერი, რაც დავალებული ჰქონდა; თავის მოქმედებებზე თავდების წინაშე ანგარიშის ჩაბარება და მიღებული სარგებლის მისთვის გადაცემა. მოვალეობების შესრულების პროცესში მას უნდა გამოეჩინა ჩვეულებრივი მზრუნველობა საქმეებზე და პასუხს აგებდა ყველანაირ ბრალზე, მაგრამ თუკი მესამე პირს დაავალებდა, სხვის დანაშაულზეც პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა (თუკი არ იყო შეთანხმებული თავდებთან). რადგანაც დავალების სამართალურთიერთობები ემყარებოდა ნდობას და ითვალისწინებდა მხარეთა განსაკუთრებულ პატიოსნებას, მაშინ სანქციებს წარმოადგენდა შეურაცხყოფა ინფამიის ფორმით, ე.ი. საეჭვო რეპუტაციის ადამიანისთვის სამარცხვინო იარლიყის მიწებება. ეს იწვევდა მოქალაქის ქმედუნარიანობის არსებით შეზღუდვას (მათ შორის, ნებისმიერ თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წარდგენის, სამეურვეო მოვალეობების მიღების, სასამართლოში მესამე პირის ინტერესების წარმომადგენლის სახით გამოსვლის დროებით აკრძალვას და სხვ.).

მანდატარის უფლება ასევე დაცული იყო – mandati contraria სარჩელით, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო მოეთხოვა თავდებისგან მოვალეობების შესრულებისათვის გაწეული დანახარჯის სრული ანაზღაურება, ასევე აუცილებლობის გამო აღებული ვალდებულებებისგან გათავისუფლება (თუკი, რა თქმა უნდა, დათქმულის ჩარჩოებს არ სცილდებოდა).

დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა დაკავშირებული იყო მის სრულ შესრულებასთან, კონტრაქტის ვადის გასვლასთან, ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებასთან.

79. უსახელო კონტრაქტები (contractus innominanti): გაცვლა-გამოცვლა, კომისია

ფაქტობრივი ან უსახელო კონტრაქტები, რომელმაც შუა საუკუნეებში მიიღო ისეთი დასახელება (გარეგნულად გამოიყურებოდა, როგორც

ბის რაიმე კონკრეტული საზეობის საწარმოებლად და ითვალისწინებდა თავისი წევრების ქონებისა და მიღებული სარგებლის ერთობას;

- *დროებითი ამხანაგობა* (societas unius rei, გაერთიანება ერთი საქმისთვის), რომელიც წყდებოდა რაიმე ერთი, მაგრამ შეთანხმების მხარეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციის უკვე განხორციელების შემდეგ.

ამხანაგობის მთავარი მიზანი იყო სარგებლის მიღება, მის გარეშე ასეთი ხელშეკრულება მიიჩნეოდა ძალადაკარგულად. ამ მიზნების მიღწევის გზები უნდა ყოფილიყო ლეგალური. როგორც სარგებელი, ასევე ზარალი ნაწილდებოდა შეთანხმების თითოეული მონაწილის პირადი შენატანის პროპორციულად (ზარალი, ცალკეული შეთანხმების მიხედვით, შეიძლებოდა ყოფილიყო ანაზღაურებული ასევე „შეძლებისდაგვარი" პრინციპით). ამხანაგობის შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული მიზეზები იყო: დასახული მიზნის მიღწევა ან მისი შესრულების შეუძლებლობა, საერთო ქონების განადგურება, მისგან ერთი წევრის გამოსვლაც კი, შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილის ქონების კონფისკაცია, მისი გარდაცვალება ან სტატუსის დაკნინება და სხვ.

დავალება (mandatum). დავალების ხელშეკრულება წარმოადგენდა ორმხრივ კონსენსუალურ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ერთი პირი (მარწმუნებელი, მანდანტი) ავალებდა მეორე პირს (რწმუნებული, მანდატარი) რაიმე იურიდიული (გარიგების დადება) ან ფიზიკური (კაბის დაკერება) მოქმედებების მის სასარგებლოდ უსასყიდლო შესრულებას, ხოლო ეს მეორე პირი (რწმუნებული) იღებდა თავის თავზე ამ მოქმედებების შესრულების ვალდებულებას.

რომის სამართალში ნათქვამია: „დავალების ხელშეკრულება, თუკი ის არ არის უსასყიდლო, უმნიშვნელოა". მაგრამ აღსანიშნავია, რომ უსასყიდლობა, როგორც დავალების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება არ შეიძლება გაგებული იყოს სიტყვასიტყვით. არ მუშაობდნენ რა დადგენილ საზღაურად და თვლიდნენ მას საკუთარი ღირსების დამცირებად, რომაელები, მით უმეტეს, არასოდეს ამბობდნენ თავისი მომსახურებისათვის უარს ჰონორარის ფორმით „მადლობაზე" (honorarium). უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში უფლება ჰქონდათ იმედი დაემყარებინათ მასზე.

დავალების სახესხვაობას წარმოადგენს *მანდანტის მიერ მინდობილობის გაცემა* ვიღაც კონკრეტული პირის მიერ მისი სახელით საკუთარი საქმეების წარმოებაზე. მინდობილობაზე დაფუძნებული ასეთი ხელშეკრულების სახესხვაობებს წარმოადგენდა: *დავალება ჩემი კეთილდღეობისათვის* (mandatum mea gratia) – მანდანტის ინტერესებში მიცემული დავალება, ე.ი. პირის, რომელიც იძლევა დავალებას (მაგალითად, A

ავალებს B გააკეთოს გარკვეული სამუშაო მისთვის); *დავალება შენი კეთილდღეობისათვის* (mandatum tua gratia) – დავალება, რომლის შესრულებაშიც დაინტერესებულია თავად მანდატარი (მაგალითად, A ავალებს B იყიდოს აქციები არა მისთვის, არამედ თავად B-თვის); *დავალება სხვისი კეთილდღეობისათვის* (mandatum aliena gratia) – დავალება, რომელიც მესამე პირის ინტერესებში შედიოდა (მაგალითად, A ავალებს B იყიდოს ნივთი C-თვის).

რწმუნებული პირის მოვალეობები გამომდინარეობდა სასარჩელე მოთხოვნიდან, რომლითაც დაცული იყო მარწმუნებლის ინტერესები (actio mandati directa). მაგალითად, მანდატარს უნდა შეესრულებინა ყველაფერი, რაც დავალებული ჰქონდა; თავის მოქმედებებზე თავდების წინაშე ანგარიშის ჩაბარება და მიღებული სარგებლის მისთვის გადაცემა. მოვალეობების შესრულების პროცესში მას უნდა გამოეჩინა ჩვეულებრივი მზრუნველობა საქმეებზე და პასუხს აგებდა ყველანაირ ბრალზე, მაგრამ თუკი მესამე პირს დაავალებდა, სხვის დანაშაულზეც პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა (თუკი არ იყო შეთანხმებული თავდებთან). რადგანაც დავალების სამართალურთიერთობები ემყარებოდა ნდობას და ითვალისწინებდა მხარეთა განსაკუთრებულ პატიოსნებას, მაშინ სანქციებს წარმოადგენდა შეურაცხყოფა ინფამიის ფორმით, ე.ი. საეჭვო რეპუტაციის ადამიანისთვის სამარცხვინო იარლიყის მიწებება. ეს იწვევდა მოქალაქის ქმედუნარიანობის არსებით შეზღუდვას (მათ შორის, ნებისმიერ თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წარდგენის, სამეურვეო მოვალეობების მიღების, სასამართლოში მესამე პირის ინტერესების წარმომადგენლის სახით გამოსვლის დროებით აკრძალვას და სხვ.).

მანდატარის უფლება ასევე დაცული იყო – mandati contraria სარჩელით, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო მოეთხოვა თავდებისგან მოვალეობების შესრულებისათვის გაწეული დანახარჯის სრული ანაზღაურება, ასევე აუცილებლობის გამო აღებული ვალდებულებებისგან გათავისუფლება (თუკი, რა თქმა უნდა, დათქმულის ჩარჩოებს არ სცილდებოდა).

დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა დაკავშირებული იყო მის სრულ შესრულებასთან, კონტრაქტის ვადის გასვლასთან, ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებასთან.

79. უსახელო კონტრაქტები (contractus innominanti): გაცვლა-გამოცვლა, კომისია

ფაქტობრივი ან უსახელო კონტრაქტები, რომელმაც შუა საუკუნეებში მიიღო ისეთი დასახელება (გარეგნულად გამოიყურებოდა, როგორც

შეთანხმება), რომ არც მკაფიოდ განსაზღვრული შინაარსი გააჩნდა და არც თავისი კონკრეტული სახელი. მხოლოდ რაღაც, სხვა სახის კონტრაქტებთან შედარებით, გამარტივებული ფორმა. ამასთან ერთად, სამართლის მიხედვით იგი განიხილებოდა, როგორც სრულფასოვანი ხელშეკრულება, ხოლო იუსტინიანეს ხანაში იგი საბოლოოდ გაფორმდა.

იუსტინიანეს შედგენილი კრებულიდან ჩანს, რომ არსებობდა ოთხი სახის უსახელო ხელშეკრულება:

- „do ut des“ – გარკვეულ ნივთზე მხარეთა უფლებების ურთიერთგაცვლა ან საკუთრივ ნივთებით გაცვლა („მე გადმოგცემ შენს ნივთზე საკუთრების უფლებას იმ პირობით, რომ შენ გადმომცემ შენს ნივთზე საკუთრების უფლებას“);
- „du ut facias“ – რაიმე მოქმედების შესრულება მეორე მხარის მიერ გარკვეულ მოქმედებაზე გასაცვლელად, მის ნივთზე უფლების ან თავად ნივთის გადაცემა („მე გაძლევ შენ (გადმოგცემ) ნივთზე საკუთრების უფლებას იმ პირობით, რომ შენ შეასრულებ რაიმე მოქმედებას, გასწევ გარკვეულ მომსახურებას“);
- „facio ut des“ – რაიმე ნივთის გადაცემა მეორე მხარის მიერ კონკრეტული, წინაწარ დათქმული მოქმედების შესრულებისთვის („მე ვასრულებ შენს სასარგებლოდ გარკვეულ მოქმედებას, რათა შენ გადმომცე მე საკუთრების უფლება გარკვეულ ნივთზე“);
- „facio ut facias“ – ერთმანეთის მიმართ ურთიერთმოქმედებების შესრულება წინასწარ დათქმული მიზნის მისაღწევად („მე ვასრულებ შენს სასარგებლოდ რაიმე მოქმედებას იმ პირობით, რომ შენც შეასრულებ გარკვეულ მოქმედებას ჩემს სასარგებლოდ“).

ასეთი ხელშეკრულებების მეშვეობით ხორციელდებოდა გაცვლა-გამოცვლის (permutation, გაცვლა), კომისიის ან შეფასების ოპერაციები, როცა ნივთები რეალიზაციისთვის გადაეცემოდა (contractus aestimatorius, ფასის განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულება) და სხვ.

80. პაქტები (pactum): ვალის დადგენა, თავდებობა, ჩუქება, კომპრომისი

არაფორმალური შეთანხმებები: პაქტები (pactum). როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარიგებები, რომელიც დადებული იყო რაიმე განსაკუთრებული პროცედურის დაცვის გარეშე და ამიტომ არ სარგებლობდა სასარჩელე დაცვით, სახელდებოდა *პაქტებად*. გაფორმების სიმარტივის მიზეზით ზოგჯერ ასეთ შეთანხმებებს რომის სამართალი საერთოდ არ სცნობდა: „ცარიელი შეთანხმება არ წარმოშობს ვალდებულებებს“. ისინი ხორციელდებოდა თავის შიშსა და რისკზე და ამიტომ მისი სათანადო რეალიზაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო „გვერდიდან დახმარება“.

იმის გათვალისწინებით, რომ „რომის სამართალი – ეს არის სარჩელების სამართალი“, სხვადასხვა გარიგების სანდოობა განისაზღვრებოდა, პირველ რიგში, იმის მიხედვით, იქნებოდა თუ არა იგი დაცული სასამართლოში. შესაბამისი სარჩელის არსებობა ადასტურებდა გარიგების ლეგალურობასა და ნამდვილობას. რომის კერძო სამართალში პაქტების კლასიფიკაციის ჩამოყალიბების დროს ეს კრიტერიუმი იყო ყველაზე მთავარი.

ყველა პაქტი პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

პაქტების პირველი ჯგუფის ჩარჩოებში ანსხვავებდნენ ორ მსხვილ სახეობას: „ცარიელი“ პაქტები (pacta nuda) – მხარეთა ისეთი არაფორმალური შეთანხმებები, რომელიც არ ითვალისწინებდა პრეტორის დაცვას ან „შემოსილი“ პაქტები (pacta vestita) – მხარეთა ისეთი შეთანხმებები, რომელიც ითვალისწინებდა დაცვის მიღებას პრეტორის სარჩელის სახით ან პრეტორის დაცვის სხვა (ადმინისტრაციული) საშუალებას (ვალის დადასტურების შესახებ შეთანხმება, სესხის დაბრუნების ვადის გაგრძელების შესახებ, სასტუმროს მდგმურების ქონების შენახვა, ჩუქების ხელშეკრულება).

პაქტების მეორე ჯგუფი ეფუძნებოდა დამატებითი და მიერთებული პაქტების განსხვავებას. აზრობრივი მსგავსების მიუხედავად, მათი შინაარსი და მიმართულობა იყო სრულიად სხვადასხვა. მაგალითად, *დამატებითი პაქტები* იყო ისეთი შეთანხმებები, რომლის დახმარებითაც მხარეებს შორის უკვე დადებულ ხელშეკრულებას ემატებოდა რაღაც ახალი პირობა, ამასთან, თუკი ირღვეოდა ძირითად ხელშეკრულებასთან დამატებული შეთანხმება, მაშინ სარჩელი გაიცემოდა ძირითადი ხელშეკრულებიდან. *მიერთებულ პაქტებს* (pacta adjecta) წარმოადგენდა ისეთი არაფორმალური შეთანხმებები, რომელიც, უერთდებოდა რაიმე მთავარ ხელშეკრულებას, ე.ი. წარმოადგენდა მის შემადგენელ ნაწილს.

პაქტების მესამე ჯგუფი იგებოდა ეგრეთ წოდებული *კანონიერი და პრეტორული* პაქტების არსებობაზე, რომელიც, არსებითად, წარმოადგენდა „შემოსილი“ პაქტების სახესხვაობას. როგორც უკვე ითქვა, პაქტებს სასარჩელე დაცვა არ გააჩნდა, მაგრამ პრაქტიკა, ასე თუ ისე, სასამართლოს აყენებდა ისეთი მოვლენის არსებობის ფაქტის წინაშე, როგორიცაა მხარეთა არაფორმალური შეთანხმება. ამიტომ, დაჟინებით მოითხოვდნენ დადებული შეთანხმებების დაცვის უზრუნველყოფას.

თავდაპირველად პაქტების რეალიზაციის უზრუნველყოფა პრეტორებმა დაიწყეს. ამისათვის ისინი იყენებდნენ ფაქტობრივ სარჩელს (actio in

factum). ასეთ პაქტებს დაერქვა ***პრეტორული*** (pacta praetoria). პრეტორულ პაქტებს მიეკუთვნებოდა ისეთი არაფორმალური შეთანხმებები, როგორიც იყო ვალის დადგენა და თავდებობა სხვადასხვა სახეობით: *ვალის დადგენა* (constitutum debiti) მდგომარეობდა უკვე არსებული ვალის დამოწმებაში თავად მოვალის ან მესამე პირის მიერ, რომელიც წარმოშობდა ახალ სარჩელს (actio de pecunia constituta); *თავდებობა* (receptum) დაცული იყო პრეტორის მიერ ცალკეულ მკაცრად დათქმულ შემთხვევებში.

პრეტორული ედიქტი de recepto[1] ითვალისწინებდა ასეთი თავდებობის სამ შემთხვევას შემდეგი მხარეების მხრიდან: ბანკირისგან, გემთმფლობელისგან, სამიკიტნოს მეპატრონისგან, ფუნდუკის პატრონისა და სამედიატორო მოსამართლისგან: *არბიტრის თავდებობა* (receptum arbitri) გვევლინებოდა არაფორმალურ შეთანხმებად პირისა, რომელმაც თავის თავზე აიღო სამედიატორო მოსამართლის ვალდებულება და მას მიმართავდნენ მოდავე მხარეები; *ბანკირის თავდებობა* (receptum argentarii) მდგომარეობდა იმაში, რომ ბანკირი ან ზარაფი თავის თავზე იღებდა ვალდებულებას თავისი კლიენტის წინაშე გადაეხადა მისი ვალი ცნობილი მესამე პირისთვის. ამასთან, ბანკირი ხდებოდა პასუხისმგებელი თავის თავზე აღებული ვალდებულების გამო მესამე პირის წინაშე მიღების სარჩელის მიხედვით (actio recepticia) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უარს ეუბნებოდა ამ პირს გადახდაზე იმ მომენტისათვის გადახდისუუნარო მოვალე; *გემთმფლობელთა, სამიკიტნოებისა და ფუნდუკის პატრონთა თავდებობით* (nautarum, გემის პატრონი, cauponum, სამიკიტნოს, დუქნის მეპატრონე, stabulariorum, სასტუმროს მეპატრონე) გემების, სასტუმროებისა და ფუნდუკების მეპატრონეებს ეკისრებოდათ დიდი პასუხისმგებლობა მათი კლიენტების ნივთების შენახვაზე და ითვალისწინებდა მისგან გათავისუფლებას მხოლოდ გადაულახავი ძალების (vis major) მოქმედების შედეგად.

პაქტების მესამე ჯგუფის შემდეგ სახესხვაობას, რომელიც უზრუნველყოფილი იყო სასარჩელე დაცვით, წარმოადგენდა *კანონიერი პაქტები* (pacta legitima). მას მიეკუთვნებოდა ისეთი არაფორმალური შეთანხმებები, რომელმაც მიიღო იურიდიული აღიარება სასარჩელე დაცვის სახით კონდიქციური სარჩელის მეშვეობით (condictio ex lege), რომელიც გამომდინარეობდა შესაბამისი კანონიდან, მხოლოდ გვიანი იმპერიის კანონმდებლობაში. ამიტომ, ასეთ არაფორმალურ შეათანხმებებს ასევე უწოდებდნენ იმპერატორულს.

[1] სიტყვასიტყვით ამ ედიქტის სახელწოდების თარგმანი არის – „მიღებიდან“.

ასეთ პაქტებს მიეკუთვნებოდა ჩუქება და კომპრომისი.

ჩუქებად (donatio) განიხილებოდა ყველანაირი ნებაყოფლობითი უსასყიდლო სარგებლის მოტანა ერთი პირის მიერ მეორესთვის. ჩუქების საერთო პირობები იყო: ნებასურვილის გამომჟღავნება, რომელიც მიმართული იყო საკუთრების საბოლოო და უსასყიდლო გასხვისებაზე, რომელიც ატარებდა სახელწოდებას „დასაჩუქრების განზრახვა“ (animus donandi); მეუღლეებს შორის ჩუქების გაბათილება, გარდა ქორწინების საჩუქრისა; ნაჩუქრის ღირებულება არ უნდა აღმატებულიყო განსაზღვრულ მაქსიმუმს („საჩუქრისა და ძღვენის“ კანონის მიხედვით 204 წ. ჩვ. წ-მდე); ჩუქების ხელშეკრულების დადების განსაკუთრებული ფორმა და ა.შ.

ჩუქების გაფორმების პროცედურის განსაკუთრებულობა მნიშვნელოვანი პირობა იყო. იმპერიის პერიოდში ჩუქების ზოგიერთი სახეობა ვალდებულებითი წესით ითვალისწინებდა სასამართლოში წინასწარი დამოწმების მკაცრი ფორმალური პროცედურების გატარებას განსაკუთრებული პროტოკოლის გაფორმებით (მაგალითად, 500 სოლიდზე მეტი თანხის ჩუქება). ამის საფუძველზე ასხვავებდნენ ჩუქების შემდეგ ფორმებს: *საჩუქრის დაპირება* (promissio donationis) – კლასიკურ პერიოდამდეც კი ეს იყო სტიპულაციური დანაპირები, რომელსაც აუცილებლად ითხოვდნენ ჩუქების გასაფორმებლად; *ჩუქების შეთანხმება* (pactum donationis) – პოსტკლასიკურ პერიოდში ეს იყო არაფორმალური ნაჩუქრობის პირობა, რაც საკმარისი იყო უმნიშვნელო თანხაზე ჩუქების გასაფორმებლად.

ასხვავებდნენ ჩუქებას ცოცხლებს შორის (დანდო, პრომიტენდო და ლიბერანდო) და ჩუქებას სიკვდილის შემთხვევაში.

ცოცხლებს შორის ჩუქების სახეობებს (donationes inter vivos) წარმოადგენდა: *დანდო* (dando) – მჩუქებელი უშუალოდ გადასცემდა რაიმე ობიექტებს ან ადგენდა რაიმე სანივთო უფლებას (მაგალითად, უზუფრუქტი დასაჩუქრებულის სასარგებლოდ); *დაპირება* (promittendo) – მჩუქებელი პირდებოდა მომავალში გადაეცა რაიმე ნივთი ან დაედგინა რაიმე უფლება დასაჩუქრებულის სასარგებლოდ; *გათავისუფლება* (liberando) – მჩუქებელი აპატიებდა დასაჩუქრებულს ვალს ან უარს ამბობდა რაიმე სანივთო უფლებისგან და ა.შ.

ცოცხლებს შორის ასევე ითვალისწინებდნენ ჩუქების სხვა სახეობებსაც: ჩუქება განსაკუთრებული მადლობის ნიშნად რაღაც ღირებულ მომსახურებაზე ან საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე (donatio remuneratoria); ჩუქება რაიმე მომსახურების შესრულების პირობით (donatio sub modo); მთელი ქონების ან კიდევ მისი ნაწილის ჩუქება.

დასაჩუქრებული პირის უღირსი საქციელის შემთხვევაში მჩუქებელს ჰქონდა უფლება გამოეთხოვა თავისი საჩუქარი უკან (revocatio donationis propter ingratitudinem), მაგრამ მხოლოდ მის მიერ კონკრეტულად დასაჩუქრებული პირისგან და არა მისი მემკვიდრეებისგან. თავად მჩუქებლის მემკვიდრეებსაც კი ჩამორთმეული ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ როგორც დასაჩუქრებულისგან, ასევე მისი მემეკვიდრეებისგან საჩუქრის დაბრუნება.

ჩუქების სხვა სახესხვაობა – ***ჩუქება სიკვდილის შემთხვევაში*** (donation morus causa) წარმოადგენდა ხელშეკრულებას, რომელიც დადებული იყო სიკვდილის პირას მყოფ მჩუქებელსა და დასასაჩუქრებელს შორის ხუთი მოწმის თანდასწრებით. ამ შეთანხმების მიხედვით მჩუქებელი გადასცემდა დასასაჩუქრებელ პირს რაიმე ნივთს, მაგრამ იტოვებდა უფლებას უკან დაებრუნებინა ეს ნივთი, თუკი სიკვდილს გადაურჩებოდა ან დასასაჩუქრებელზე მეტხანს იცოცხლებდა.

კომპრომისი (compromissum, ურთიერთდაპირება, შეთანხმება) წარმოადგენდა მოდავე მხარეების ისეთ არაფორმალურ შეთანხმებას, რომლის დროსაც ისინი თავიანთი დავის მოსაგვარებლად ირჩევდნენ კონკრეტულ მესამე პირს (არბიტრს, სამედიატორო მოსამართლეს) და მისი გადაწყვეტილების დამორჩილების ვალდებულებას იღებდნენ. ამასთან, მხარეები განამტკიცებდნენ თავის შეთანხმებას ფულადი ჯარიმის გადახდის პირობით, თუკი დაარღვევდნენ თავიანთი ხელშეკრულების პირობებს. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი შეთანხმება ატარებდა ასევე ფულადი (pecunia compromissa) ან საჯარიმო (poena compromissa) შეთანხმების სახელწოდებას. არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც წესი, ითვლებოდა საბოლოოდ. მაგრამ მხარეებს ამის შემდეგაც, გადაიხდიდნენ რა გარკვეულ ჯარიმის თანხას მისი შეუსრულებლობის გამო, შეეძლოთ მიემართათ ჩვეულებრივი სასამართლოსთვის.

81. თითქოსდა ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებანი (quasi ex contractu): სხვისი საქმეების წარმოება დაუვალებლად, უსაფუძვლო გამდიდრება

რომის სამართალი ცნობდა, განსაკუთრებით კლასიკურ პერიოდში ფართოდ გავრცელებული, ვალდებულებების წარმოქმნის შემთხვევას არა მარტო მხარეებს შორის რაიმე ხელშეკრულების არარსებობის დროს, არამედ მოპასუხის მიერ რაიმე სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენის გარეშეც. უბრალოდ მხარეთა ურთიერთობები იმდაგვარად ყალიბდებოდა, რომ ძალიან ემსგავსებოდა ხელშეკრულებითს, თუმცა თავად

მხარეებს არავითარი შეთანხმებები არ ჰქონდათ დადებული და არც აპირებდნენ ამის გაკეთებას.

ასეთი ვალდებულებების სპეციფიკურობა აისახა მათ დასახელებაზე, რომელიც პირველად განმტკიცებული იყო იუსტინიანეს კანონმდებლობაში – *თითქოსდა ხელშეკრულებების ვალდებულებები* (კვაზიკონტრაქტული ვალდებულებები). ასეთი ვალდებულებების საფუძველი იყო შეთანხმების არა პირდაპირი პირობები, არამედ რაღაც ცალმხრივი გარიგებები ან იურიდიული ფაქტები, რომელიც არ წარმოადგენდა არც ხელშეკრულებას, არც დელიქტს. ასეთ შემთხვევაში დავების წარმოქმნის დროს იგი განიხილებოდა კონკრეტული, ხელშეკრულებასთან შინაარსის მიხედვით უფრო დაახლოებული, შესაბამისი წესით.

თითქოსდა ხელშეკრულებიდან ვალდებულების წარმოქმნის შემთხვევის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა *სხვისი საქმეების წარმოება დაუვალებლად* (negotiorum gestio), როდესაც ვიღაც პირი (გესტორი), საკუთარი ინიციატივით აწარმოებდა გარკვეულ დადებით მოქმედებებს, რომლის შესახებაც მეორე პირს (დომინუსს) მისთვის საერთოდ არ უთხოვია. მაგრამ გესტორს განსაკუთრებული მზრუნველობისა და ყაირათიანობის გამო არ შეეძლო რაღაცის წარმოების აუცილებლობის იგნორირება (თავიდან ამოეშენებინა პატრონის კარ-მიდამოში მისი გამგზავრების დროს ოთხთვალას მიერ გატეხილი ბოგირი). ბუნებრივია, შეკეთებაში დაიხარჯა გესტორის პირადი სახსრები, რომლის კომპენსაციის (და არა გასამრჯელოს) იმედიც მას კანონით შეეძლო ჰქონოდა. პატრონს ევალებოდა მთელი ყურადღებით მოპყრობოდა გაწეულ დახმარებას, ასეთ ზრუნვას მის ქონებაზე და მოეხდინა ანგარიშსწორება. ამასთან, თუკი დომინუსს ასეთი ინიციატივა არ მოეწონა და თვლიდა, რომ ეს არ იყო საჭირო, მაშინ ამ შემთხვევაში გესტორს გაწეულ ხარჯებს არავინ აუნაზღაურებდა. უფრო მეტიც, თავად მისგან შეიძლება მოეთხოვათ გაკეთებულის პირვანდელი მდგომარეობით დაბრუნება.

კვაზიკონტრაქტული ვალდებულებების წარმოსაქმნელად სხვა საფუძველს წარმოადგენდა ერთი პირის *უსაფუძვლო გამდიდრება* მეორის ხარჯზე („ვინაიდან, ბუნების თანახმად, სამართლიანია, რომ არავინ გამდიდრდეს მეორე პირის საზიანოდ“ პომპონიუსი). ასეთი შემთხვევები იყო: არარსებული ვალის გადახდა მისი გადახდის აუცილებლობაში გადამხდელის სრული გულდაჯერებულობის დროს (ან შეცდომა სუბიექტში); სესხება არაქმედუნარიანი პირისგან; გარკვეული თანხის გადახდა რაიმე დაგეგმილი ან გარიგების შედეგად არშემდგარი საქმის უზრუნველსაყოფად; ზედმეტი პროცენტის გადახდევინება სესხის მიხედვით; ჩუქებისგან მიღებული სარგებელი მეუღლეებს შორის, რომელიც თავი-

დანვე აკრძალული იყო კანონით; პატიოსანი მოგება, მატრამ არაპატიოსან თამაშში (ვალდებულება შეცდომით გადახდილის დაბრუნებაზე ან არაკეთილსინდისიერად შეძენილის დაბრუნებაზე) და ა.შ.

უსაფუძვლოდ გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებების მიხედვით მესაკუთრის უფლება უზრუნველყოფილი იყო სასარჩელე საშუალებების ჯგუფის მიერ. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მათგანი: გადაცემულის დაბრუნებაზე სარჩელი, რომლის მიზანიც არ ასრულებულა; გარკვეული ფულადი თანხის დაბრუნებაზე სარჩელი; გარკვეული ნივთის დაბრუნებაზე სარჩელი; სხვისთვის სიმდიდრის დაბრუნებაზე სარჩელი; არდადებული გადახდილი ვალის დაბრუნებაზე სარჩელი; ქურდობის შედეგად მიღებულის დაბრუნებაზე სარჩელი და სხვ.

82. ვალდებულებები დელიქტებიდან (obligatio ex delictu) და კვაზიდელიქტებიდან (obligationes quasi ex delicto)

დელიქტებიდან ვალდებულებების წყაროები, თავისებურებანი და კლასიფიკაცია. ვალდებულებითი სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა დელიქტური სამართალი, როგორც ვალდებულებების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც წარმოიქმნებოდა ზიანის მიყენებიდან.

უძველეს რომის სამართალში ნებისმიერი სამართალსაწინააღმდეგო ქმედება, სხვისი უფლებისა და ინტერესების ხელშეკრულებითი ან არახელშეკრულებითი დარღვევა, რომელიც იწვევდა ზიანის მიყენებას, სახელდებოდა ***დელიქტად*** (delictum)[1]. ამ ცნების ქვეშ ხვდებოდა ყველა მავნე მოქმედება – ქურდობითა და შეურაცხყოფიდან დაწყებული სახელმწიფოს ღალატით დამთავრებული, ასევე სუბიექტების ნებისმიერი წრისთვის – ცალკეული პირისთვის, სახელმწიფოსთვის ან საზოგადოებისთვის მთლიანად. თანდათანობით, პრეტორების მოღვაწეობის განვითარებასთან ერთად, ყალიბდება შეხედულება საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალიზაციის ორ სფეროზე – ცალკეული პირებისა და საზოგადოების ინტერესების დონეზე. შესაბამისად ხდება სამართლის, თავიდან ინტუიტიური, დიფერენციაცია კერძოსა (ius privatum) და საჯაროზე (ius publicum), რის შესახებაც მოიხსენია ტიტუს ლივიუსმა, ხოლო ულპიანემ III ს. ჩამოაყალიბა დღემდე მოქმედი წესი: „საჯარო სამართალი არის ის, რაც მიეკუთვნება რომის სახელმწიფოს მდგომარეობას; კერძო - რაც (მიეკუთვნება) ცალკეული პირების სარგებელს“ (D.1.1.1.2).

[1] აქ უნდა შევთანხმდეთ, რომ, სწორედ რომ ვთქვათ, დელიქტის ზოგადი აბსტრაქტული ცნება რომის სამართალს მართლაც არ შეუმუშავებია.

ამასთან ერთად, ყველა დელიქტი ერთმანეთისგან გამოირჩეოდა, ამიტომ მკაფიოდ იყოფოდა ორ ჯგუფზე – საჯაროსა და კერძოზე. *საჯარო დელიქტებს* (delictum publicum) მიეკუთვნებოდა ზიანის მიყენების ყველა შემთხვევა, რომელიც დასჯადი იყო სახელმწიფოსგან რომაელ ხალხთა სახელით, თანაც მათზე საჯარიმო და საბაჟო გადასახადი მიდიოდა არა კერძო პირის სასარგებლოდ, არამედ თავად სახელმწიფოს შემოსავალში. *კერძო სამართალდარღვევა* (delictum privatum) დაკავშირებული იყო ცალკეული პირის, მისი ოჯახის ან ქონების მიმართ ზიანის მიყენებასთან ამ პირის უფლების პირდაპირი ან ირიბი დარღვევის შედეგად და წარმოიქმნებოდა მის სასარგებლოდ ან მისთვის ასანაზღაურებლად ჯარიმის გადახდის ვალდებულება, მავნე ქმედობით მიყენებული ზიანისთვის.

ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოქმნის წყაროებს ***წარმოადგენდა მხოლოდ კერძო-სამართლებრივი დელიქტები.*** კერძო დელიქტებიდან (obligato ex delictu) სწორედ ვალდებულებები წარმოშობდა ასეთი ქმედობის ჩამდენი პირის მოვალეობას, რათა გამოესწორებინა მიყენებული ზიანი ან აენაზღაურებინა ზარალი. საჯარო დელიქტები კი ზიანის ანაზღაურების მიზანს არ ისახავდა, არამედ წარმოადგენდა ჯარიმის, სადამსჯელო ზომების გამოყენების საფუძველს, რომელსაც იყენებდა სახელმწიფო თავისი სახელით და მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ქვემოთ საუბარი იქნება მხოლოდ ვალდებულებებზე, რომელიც წარმოიქმნა კერძო დელიქტებიდან.

ამგვარად, სამართალურთიერთობის სუბიექტების ცალმხრივი არამართლზომიერი მოქმედებები (ან უმოქმედობა), რომელიც იწვევდა მეორე მხარისთვის ზიანის მიყენებას, წარმოშობდა ვალდებულების მეორე (ხელშეკრულებითის შემდეგ) სახესხვაობას – *დელიქტურს.*

დელიქტური ვალდებულებები არსებითად განსხვავდებოდა ხელშეკრულებითისგან. ამ თავისებურებებიდან ძირითადი იყო შემდეგი:

- პირი, რომელსაც ეკისრებოდა პასუხისმგელობა, უნდა ყოფილიყო დელიქტოუნარიანი, ე.ი. პირველ რიგში, „თავისი უფლების“ პირი;
- პასუხისმგებლობა დელიქტის შედეგებზე იყო მკაცრად საპასუხისმგებლო (იგი ეკისრებოდა მხოლოდ დამრღვევს ან ამაზე პასუხისმგებელ პირს) და უპირობო („არავინ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან სამართალდარღვევაზე“);
- დელიქტური ვალდებულებები არ გადაეცემოდა სხვა პირებს, მათ შორის სამემკვიდრო დაკისრების სახითაც, გარდა უკანონო გამდიდრების შემთხვევებისა;

- რამდენიმე დამნაშავე პირის არსებობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების (ჯარიმა) გადახდევინება ხდებოდა თითოეული მათგანისგან სრული მოცულობით[1] იმ დროს, როდესაც ხელშეკრულებით ვალდებულებებში გათვალისწინებული იყო წილობრივი ან სოლიდარული პასუხისმგებლობა;
- დელიქტური ვალდებულებები მუდამ იყო დროებითი (მოქმედებდა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში), ხოლო ხელშეკრულებითი მუდამ იყო უვადო;
- დელიქტური ვალდებულებების ხასიათი განპირობებული იყო მისი წარმოშობით ნოქსალური პასუხისმგებლობისგან, ე.ი. მისი დაკისრებით ოჯახის ხელქვეით წევრებზე, მონებსა და ცხოველებზე.

როგორც იყო აღნიშნული, კერძო-სამართლებრივი დელიქტებიდან გამომდინარე სასარჩელე მოთხოვნები წარმოიშვა სარჩელების ისეთი უძველესი კატეგორიიდან, რომელსაც ერქვა ნოქსალური. *ნოქსალური სარჩელების* (actiones noxales) შინაარსს წარმოადგენდა მოთხოვნა, რომელიც წაყენებული იყო უშუალო მესაკუთრისადმი ან დელიქტის ჩადენაში დამნაშავე პირის, მონის ან ცხოველის მფლობელისადმი, რათა აენაზღაურებინა დაზარალებულისათვის დელიქტისგან მიყენებული ზარალი ან გადაეცათ მისთვის სამართალდამრღვევი ვალის გამომუშავებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ნოქსალური სარჩელების გაჩენა თავის დროზე იყო მნიშვნელოვანი პროგრესი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ევოლუციის სფეროში, რამეთუ არქაულ დროში, ბუნებრივ სამეურნეო პირობებში, დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა დამნაშავე პირებს ეკისრებოდათ *სისხლის აღების და ტალიონის* ადათ-წესების შესაბამისად.

ნოქსალური სარჩელების სახესხვაობა იყო: *პერსეკუტორული სარჩელი* (actiones rei persecutoriae) – წაყენებული იყო ქონებრივი უფლების დარღვეული მდგომარეობის აღსადგენად და ითვალისწინებდა მოსარჩელეს მოთხოვნას მოპასუხისადმი დაკარგული ნივთის ან სხვა ფასეულობის (მაგალითად, rei vindicatio) დაბრუნების თაობაზე; *სჯა-რიმო სარჩელები* (actiones poenales), რომელიც მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხის დასჯაზე მასზე ჯარიმის გადახდის

[1] „თუკი რამდენიმე კაცმა წაიღო სხვისი მორი მოპარვის მიზნით, რომელსაც ვერც ერთი ცალ-ცალკე ვერ წაიღებდა, მაშინ ითვლება, რომ სარჩელის მიხედვით ყველა მათგანი პასუხს აგებს ქურდობაზე, თუმცა მკაცრი განსჯის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მათგანი არ აგებს პასუხს, რამეთუ სინამდვილეში არც ერთ მათგანს ეს მორი არ წაუღია“. (იულიანე, დიგესტები).

ვალდებულების დაკისრების ან მოსარჩელეზე მიყენებული ზარალის ანაზღაურების სახით; *შერეული სარჩელები* (actiones mixtae), რომელიც შეიცავდა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას და მოპასუხის დასჯას ერთდროულად (მაგალითად, actio legis Aquiliae);

კერძო-სამართლებრივ დელიქტებს უნდა ეპასუხათ გარკვეულ მოთხოვნებზე, რომელიც მათი განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარეობდა ხელშეკრულებით ვალდებულებებთან შედარებით. პირველი ასეთი პირობა იყო იმის მოთხოვნა, რომ დელიქტი, ე.ი. ზარალი, უნდა დამდგარიყო დამნაშავე პირის მხრიდან რაიმე სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის შედეგად. გვიანი რესპუბლიკის პერიოდში გამოჩნდა სამართალდამრღვევი უმოქმედობის გაგება. მეორე პირობას წარმოადგენდა პირის ბრალეულობის მოთხოვნა, რომლის მოქმედება თუ უმოქმედობა ზარალის მიზეზი იყო. ბრალის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა განზრახვა, უხეში და მსუბუქი გულგრილობა, ადრე უკვე იყო საუბარი. მესამე პირობა იყო სპეციალური სარჩელის არსებობის მოთხოვნა, რომელიც იცავდა დაზარალებულის დელიქტით დარღვეულ სამართალსა და კანონიერ ინტერესებს ან მისი მოხსენიება, ეგრეთ წოდებულ, აკვილიუსის კანონში (Lex Aquilia, 286 წ. ჩვ. წ-მდე).

კერძო-სამართლებრივი დელიქტების ცალკეული სახეობები. რომის სამართლის პრაქტიკამ გამოიმუშავა და კანონმდებლობით განამტკიცა კერძო-სამართლებრივი დელიქტების რამდენიმე მსხვილი ტიპური შემადგენლობა, რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებულს ქვემოთ განვიხილავთ.

უძველესებს, რომელთა შორისაც ბევრი ცნობილი იყო ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონების მიხედვით, წარმოადგენდა შემდეგი მათგანი: სხვისი ქონების ყველანაირი უკანონო დაზიანება, პიროვნების ხელყოფა, პარვა, ძარცვა, მუქარა, ტყუილი ან თაღლითობა, მევახშეობა, სასოფლო-სამეურნეო სანავ-სათესებისთვის უნებლიე ცეცხლის წაკიდება და სხვ.

პარვა ან ქურდობა (furtum) წარმოადგენდა გამტაცებლის მიერ თავისთვის განზრახ შექმნილი ქონებრივი სარგებლის მაქსიმალურად ზოგად შემადგენლობას სხვის (მოძრავ) ნივთზე სამართალსაწინააღმდეგო ზემოქმედებით. კანონებში მასზე იყო საუბარი შემდეგნაირად: „თავისთვის სარგებლის შექმნის მიზნით განზრახ მითვისება ან თავად ნივთის, ან მისი გამოყენებაც კი, ან ადგილ-მამულის“.

ქურდობის გამოვლენის კერძო-სამართლებრივი შემთხვევები იყო: ფარული ქურდობა ან *საკუთრივ ქურდობა* (furtum nes manifestum), რომელიც ისჯებოდა გატაცებულის ორმაგი ღირებულების გადახდევინებით; *გამოყვანებული ქურდობა* (furtum conceptum), როდესაც გატაცებულ

ნივთებს აღმოაჩენდნენ ვიღაც პირთან, რომელიც ამის შედეგად ვალდებული იყო გადაეხადა მასთან ნაპოვნი ნივთების სამმაგი ღირებულება; შემადგენლობა, რომელსაც ერქვა furtum oblatum (motana), როდესაც ვიღაცას *აღმოაჩნდებოდა მიგდებული* მოპარული ნივთი. ამისთვის სუბიექტს უნდა გადაეხადა ნაპოვნი ქონების სამმაგი ღირებულება.

გარდა ამისა, ქურდობის საერთო შემადგენლობის, დამოუკიდებელი, მაგრამ უკვე საჯარო-სამართლებრივი სახესხვაობა იყო შემდეგი შემთხვევები: გატაცებული ნივთების აღმოჩენა *სარიტუალო ჩხრეკის დროს* ეჭვმიტანილის სახლში (furtum lance et licio)[1]. მაშინ სახლის პატრონს ეკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა, როგორც აშკარა ქურდობაზე ქონების სამმაგი ღირებულების გადახდის ვალდებულების სახით, მიუხედავად იმისა, პირადად იყო დამნაშავე თუ არა; *აშკარა ქურდობა* (furtum manifestum), რომლის დროსაც გამტაცებელი შეპყრობილი იყო ადგილზე ან რაღაც მოკლე დროში, მაგრამ მოპარული ნივთებით. ასეთი ქურდობის ჩადენისთვის თავისუფალ მოქალაქეს – ფიზიკური დასჯის შემდეგ გადასცემდნენ დაზარალებულს სრულ განკარგულებაში, ხოლო მონას – ტარპეის კლდიდან აგდებდნენ; *ღამის ქურდობა* (furtum nocturnum), როდესაც დაზარალებულნი ან სხვა დაინტერესებული პირნი სიბნელეში დაედევნებოდნენ შეიარაღებულ ქურდს, რომლის მოკვლაც მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული ფორმალური პროცედურების გარეშეც ნებადართული იყო.

ქურდობის აღნიშნული შემადგენლობის გარდა, რომის სამართალში არსებობდა მისი საერთო შემადგენლობის კიდევ მრავალი სხვადასხვა გამოვლენა. „ქურდობა არსებობს არა მარტო მაშინ, როდესაც ვიღაცას მიაქვს სხვისი ნივთი, არამედ ზოგადად, როცა ვიღაც მითვისებს სხვის ნივთს მისი პატრონის სურვილის წინააღმდეგ (G. III. 195)“.

ყაჩაღობა (rapina) 76 წ. ჩვ. წ-მდე გამოეყო ქურდობას, ხოლო იმპერატორის პერიოდში მთლიანად გადავიდა საჯარო სამართალდარღვევათა – დანაშაულებათა რიგში, როგორც სხვისი ქონების ღია ძალადობრივი წართმევა. ყაჩაღობა ქურდობისგან განსხვავდებოდა თავისი ღია და ძალადობრივი ხასიათით. იგი სხვადასხვანაირად ვლინდებოდა: ქურდობა ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, გემის დაღუპვის დროს და ა.შ. გარდა ამისა, ყაჩაღობად განიხილებოდა ასევე სხვისი ქონების დაზიანება რამდენიმე სუბიექტის მიერ ერთბაშად. პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მიმდინარე წლის განმავლობაში – დატაცებული ქონების ოთხმაგი ღირებულების **სახით**, ერთი წლის მერე – ქონების ნომინალური ღირებულებით.

[1] ასეთი ჩხრეკა ტარდებოდა, თუკი ეჭვმიტანილი პირი არ უშვებდა სახლში დაზარალებულს. მაშინ ეს უკანასკნელი ფეხშიშველი და მხოლოდ სარტყელის თოკით, შუბითა და სასწორის თასებით ხელში შემოივლიდა სახლს.

წყენა, შეურაცხყოფა ან პიროვნებისთვის ზიანის მიყენება (injuria, უსამართლობა). თავდაპირველად, XII ტაბულის კანონებში, წარმოადგენდა მეორე პირისთვის სხეულის ნებისმიერი დაზიანების მიყენების შემადგენლობას. ამასთან, განასხვავებდნენ ინურიის სამ შემადგენლობას: *ასოთდამშავებლობა* (membrum ruptum, სიტყ. სხეულის ნაწილის მოგლეჯა), მეორე მოქალაქის ჯანმრთელობის ყველაზე მძიმე ხელყოფა, რომელიც დასჯის სახით მოითხოვდა მხოლოდ შურისძიებასა და ტალიონს; *სხეულის დაზიანება* (os fractum, სიტყ. ძვლების დამტვრევა), რომელიც ისჯებოდა ფულის ანაზღაურების მკაცრად განსაზღვრული ზომებით: „თუკი ხელით ან ჯოხით გადაუმტვრევს ძვალს თავისუფალ ადამიანს, დაე, გადაიხადოს 300 ასის ოდენობის ჯარიმა, თუკი მონას – 150 ასი“; *ცემა და მოქმედებებით სხვა შეურაცხყოფა* (verberatio, ცემა, pulsatio, ცემა-ტყეპა) ისჯებოდა 25 ასის ოდენობის ჯარიმით. ინურიის პრეტორულ სამართალში დაიწყეს აღნიშვნა ასევე სიტყვით შეურაცხყოფისა და ცილისწამების, რომელიც ისჯებოდა, თუკი შერიგების ცდა წარმატებით არ დაგვირგვინდებოდა, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, დაზარალებულის პიროვნებისა და მიმდინარე ფულადი კურსის გათვალისწინებით, რომელზეც პირდაპირ იყო დამოკიდებული გადასახდელი ჯარიმის თანხა.

ინურიის შემადგენლობა იყო საკმაოდ გავრცელებული, რამეთუ რომის საზოგადოებაში არ იყო მიღებული შეურაცხყოფის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება („თუკი არ რეაგირებს, მაშინ, ეთანხმება“, ეს კი უკვე დელიქტი არ არის). „სხვისი უფლების“ სარჩელს წარადგენდა მისი ოჯახის მამა ან პატრონი.

სხვისი ქონების განადგურება ან დაზიანება (damnum iniuria datum). ცივილურ სამართალში ეს შემადგენლობა ითვალისწინებდა რიგ დამოუკიდებელ სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელთაგანაც ყველაზე მსხვილი იყო: ხეების თვითნებური გაჩეხვა, რომლის გამოც დამნაშავე იხდიდა 25 ასს თითოეულ ხეში (კანონები, ტაბ. VIII. 11) და დაზიანება, რომელსაც აყენებდნენ სხვის მონას. აკვილიუსის კანონში (286 წ.ჩვ. წ-მდე) ეს შემადგენლობა საკმაოდ დამუშავდა და ნელ-ნელა დაემატა შემდეგი **პასუხისმგებლობები**: სხვისი მონის ან მანციპირებულ საქონელის მკვლელობაზე (ნივთის უმაღლესი ღირებულების გადახდა ერთი წლის განმავლობაში); დამატებითი კრედიტორის სასჯელი ვალის პატიების თაობაზე ძირითადი კრედიტორის საზიანოდ; ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა სხვისი ქონების ნებისმიერ დაზიანებაზე უმაღლესი, ბოლო

თვეების განმავლობაში, შეფასებით. ამასთან, სამართალდამრღვევის მიერ ბრალის დაუსაბუთებელი უარყოფის დროს გადასახდელი თანხა ორმაგდებოდა.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის განუზრახავად ცეცხლის წაკიდება (frumentum combustum) ისჯებოდა საკმაოდ მკაცრად: „... ბორკილები დაედოს და გამათრახების შემდეგ სიკვდილით დაისაჯოს ის, ვინც ცეცხლი წაუკიდა შენობას ან სახლის ახლოს დაწყობილ პურის ზვინს, თუკი (დამნაშავემ) ჩაიდინა ეს წინასწარგანზრახვით. თუკი ხანძარი შემთხვევით მოხდა, გაუფრთხილებლობით, მაშინ კანონი აწესებდა, (რათა დამნაშავეს) აენაზღაურებინა ზარალი, ხოლო მისი ხელმოკლეობის დროს უფრო მსუბუქი სასჯელი ეკისრებოდა“ (XII ტაბ. კანონები, ტაბ. VIII. 10).

მუქარა ან ძალადობა (metus, სიფრთხილე, საშიშროება, შიში) რომის იმპერიაში წარმოადგენდა კერძო-სამართლებრივ დელიქტს, რომელიც მდგომარეობდა ფიზიკური ან ფსიქიკური ხასიათის სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებებში, რაც აიძულებდა მეორე პირს ჩაედინა ფაქტობრივი ხასიათის იურიდიული გარიგებები ან მოქმედებები. ასეთი მუქარა უნდა ყოფილიყო აშკარა და სერიოზული ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანისათვის. გარიგებაში იგი იწვევდა მის დაკნინებას. I ს. ჩვ. წ–მდე, ოქტავიუსის კანონის მიხედვით, გარიგების ანულირების გარდა, თუკი სამართალდამრღვევი დაუყოვნებლივ არ დააბრუნებდა ქონებას, რომელიც ჰქონდა მიღებული მეორე პირზე არასამართლებრივი ზეწოლით, მას ახდევინებდნენ ასევე მისი ღირებულების ოთხმაგს. მოვალეს, რომელმაც დადო გარიგება მუქარის ქვეშ, შეეძლო თავი დაეცვა შესაბამისი პრეტორული საშუალებებით. მაგალითად, შედავებით მუქარაზე (exceptio metus) იმ კრედიტორის მისამართით, რომელიც მოითხოვდა ვალის დაბრუნებას, ან კრედიტორის მიმართ წარდგენილი სარჩელით (actio quod metus causa); ან ინტერდიქტით საქმის წინანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე (restitutio in integrum).

ტყუილი ან თაღლითობა (dolus) ჩვ. წ-მდე 66 წ-დან განიხილებოდა, როგორც გარიგების, მისი საგნის, ასევე სხვა ელემენტების შესახებ ცრუ ან დამახინჯებული ინფორმაციის განზრახ წარმოდგენა ერთი კონტრაგენტის მიერ მეორესთვის, როდესაც „დასანახად კეთდება ერთი, ხოლო ხდება მეორე“. ტყუილი – ეს არის „ყველანაირი ეშმაკობა, ტყუილი, გამოჭერა, იმისათვის, რომ აჯობო, გამოიჭირო, მოატყუო სხვა“ (D.4.3. 1.2.). დაზარალებულს ასეთ შემთხვევებში შეეძლო გამოეყენებინა პრეტორული სარჩელი სიცრუის თაობაზე (actio de dolo malo). ასეთი გარიგებები ითვლებოდა უმნიშვნელოდ, მოითხოვდა დაზარალებულის ზარალის ანაზღაურებას და სამართალდამრღვევს სახელს უტეხავდა (infamia).

ტყუილის შემადგენლობას მჭიდროდ ეკვრის *კრედიტორების ტყუილი* (fraus creditorum), ე.ი. მოვალის მიერ დადებული გარიგება, რომელიც მიმართული იყო კრედიტორების გადასახადებისაგან ამ ქონების დაფარვის მიზნით მისი ქონების შემცირებაზე. მსგავს მოქმედებებს დევნიდნენ actio Ppauliana-ს მიხედვით.

ვალდებულება თითქოსდა დელიქტებიდან. რადგანაც რომის კვირიტული სამართალი XII ტაბულაში განმტკიცებულის გარდა, სუბიექტების სხვა მოქმედებებს პრინციპულად ვერ ამჩნევდა, ამიტომ თანდათანობით ბევრი მათგანი აღმოჩნდა პრაქტიკულად სამართლებრივისა და არასამართლებრივის ზღვარზე. ამ ჩვეულებამ მიგვიყვანა მთელი რიგი ქმედობების გამოვლენამდე, რომელიც არღვევდა წესრიგს, მაგრამ არ იყო რეგულირებული კანონმდებლობით. მაგალითად, თანდათან ჩამოყალიბდა *თითქოსდა დელიქტებიდან ვალდებულებების* (obligationes quasi ex delicto) ან კვაზიდელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ასეთმა ვალდებულებებმა არ იცოდა არა მარტო რაიმე სისტემატიზაცია, არამედ არ იყო ელემენტარულად კანონმდებლობით განმტკიცებული. ისინი ერთად შეიკრიბა მხოლოდ იუსტინიანეს კანონმდებლობაში.

ასეთ ვალდებულებებს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევა:

- მოსამართლის *განზრახ არასწორი ან საქმის დაუდევარი გადაჭრის* გამო ან რაიმე სასამართლო მოვალეობების დარღვევის გამო. თუკი უძველეს დროში მოსამართლე თავისი დარღვევების გამო სიკვდილით ისჯებოდა, გვიანი რესპუბლიკის დროს კი მას მხოლოდ მხარეთა დავის მთელ თანხას ახდევინებდნენ;
- საზოგადოებრივ გასასვლელში *სახლიდან რაიმეს გადაგდებისგან ან გადასხმისგან ზარალის გამო*. მიყენებული ზარალის ოდენობაში (ხშირად კი ორმაგი) პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახლის პატრონს, თუკი ეს მისი უშუალო ბრალი არც კი იყო. ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებული იყო რეგრესული სარჩელის შესაძლებლობა უშუალო დამნაშავის მიმართ. შენობის მრავალი პატრონის დროს მათ ეკისრებოდათ სოლიდარული პასუხისმგებლობა. ამასთან, თუკი მოკლული იყო მოქალაქე, მაშინ გადახდის თანხა შეადგენდა 50 ათას სესტერციუსს, თუკი დაჭრილი იყო, მაშინ მოსამართლის ნებასურვილის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა საქმის მთელ გარემოებას, დაზარალებულის მდგომარეობასა და მის პიროვნებას;

- გემის, სასტუმროს ან ფუნდუკის პატრონების მიმართ *მათი მსახურების მიერ გამოვლენებზე ჩადენილი ქურდობისთვის.* ხშირად გადასახდელი თანხა ორჯერ აღემატებოდა პატრონის ხელქვეითი მსახურების მიერ დატაცებული ან დაზიანებული ნივთის ღირებულებას;
- მოქმედების გამო, რომელიც ქმნიდა რაიმე *საშიშროებას გარშემომყოფთათვის* (მაგალითად, ხალხმრავალი ქუჩის სახლში ძალზე არასაიმედოდ დაკიდებული რაიმე, რაფაზე რაღაც სახიფათოდ დადგმულია). პასუხისმგებლობა დგებოდა უშუალო ზიანის გარეშეც (სამართალდარღვევის ფორმალური შემადგენლობა) სახალხო სარჩელის წარდგენის მეშვეობით (actio popularis) 10 ათასი სესტერციუსით. ამასთან, მთელი თანხა მიდიოდა დაკვირვებული მოქალაქის სასარგებლოდ;
- *საზოგადოებრივ ადგილებში ველური ცხოველების შენახვის* გამო (თუკი მხეცი კლავდა თავისუფალ მოქალაქეს, მაშინ ინიშნებოდა ჯარიმა 200 ათასი სესტერციუსით).

თავი 15. სამემკვიდრო უფლების თავისებურებანი ძველ რომში

83. მემკვიდრეობის ცნება (hereditas) და მემკვიდრეობის სუბიექტები რომის სამართალში

რომის სამართლის ნორმების ცალკეულ, მეტისმეტად მნიშვნელოვან ერთობლიობად გვევლინებოდა სამემკვიდრო უფლება. შეიძლება ითქვას, რომ რომის საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მემკვიდრეობის რაღაც კულტი („მოანდერძის ნება – კანონია"). სამემკვიდრო ურთიერთობების მნიშვნელობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჩადენილი დელიქტის ან არაზნეობრივი საქციელის ერთ-ერთი შედეგი იყო ქონების მემკვიდრეობის უფლებებისა და სამკვიდროს (ქონების) დამტოვებლის შესაძლებლობის შეზღუდვა. თანდათანობით ჩამოყალიბდა ნორმების შედარებით მწყობრი სისტემა, რომელიც ახდენდა გარდაცვლილი პირისგან მემკვიდრეობის გადასვლის რეგლამენტირებას მის მემკვიდრეებზე. სწორედ ეს იყო სამემკვიდრო უფლება.

მემკვიდრეობის ცნება და შინაარსი. ამ ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ელემენტებად გვევლინებოდა *მემკვიდრეობა* ან სამემკვიდრო მასა (hereditas), ე. ი. მთელი ქონება, რაც მემკვიდრეობის გახსნის დღისთვის ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებელს, მათ რიცხვში სამემკვიდრო

უფლებებიც და მოვალეობებიც (ასევე ვალებიც). ამასთან, მემკვიდრეების მიერ „შეძენილი" მოვალეობები შეიძლება მათთვის არ ყოფილიყო ცნობილი მემკვიდრეობის გახსნის დღისთვის და ყოფილიყო საკმაოდ დამამძიმებელი. მაგრამ მათი თავის არიდება არ შეიძლებოდა, რამეთუ მემკვიდრეობა წარმოადგენდა განუყოფელ ერთობლიობას. სამემკვიდრო მასიდან გამოირიცხებოდა სამკვიდროს დამტოვებლის პირადი და ოჯახის უფლებები როგორც კერძო-სამართლებრივ სფეროში, ასევე საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

მემკვიდრეობა არ განიხილებოდა, როგორც საკუთრივ მატერიალური მუდმივი ობიექტი. იგი შეიძლება შემცირებულიყო ქონებისთვის ზარალის მიყენების შედეგად და გაზრდილიყო შემოსავლების მატების ხარჯზე.

მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს დამტოვებლის მთელი უფლებებისა და მოვალეობების შეძენას ეწოდება *მემკვიდრეობით მიღება* ან მემკვიდრეობა (successio).

სამემკვიდრო უფლების სუბიექტები: სამკვიდროს დამტოვებელი და მემკვიდრეები. რომის კერძო სამართლის მიხედვით სამკვიდროს დამტოვებელი გაგებული იყო, როგორც პირი, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში წარმოადგენდა სამემკვიდრო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელს. მისი სიკვდილის შემდეგ ეს უფლებები და მოვალეობები ვერსად გაუჩინარდებოდა, ისინი მთლიანად უნდა გადასცემოდა სხვა პირს (ან პირებს – თანამემკვიდრეებს) ეროვნული თემის ჰარმონიული არსებობის შესანარჩუნებლად.

ანდერძის შედგენა შეეძლოთ მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნდათ თავისი უფლების სტატუსი შესაბამისი შემცირების გარეშე. ხელქვეით ბავშვებს ძველად ასეთი უფლება კატეგორიულად არ ჰქონდათ, მაგრამ მოგვიანებით მათი მდგომარეობა შემსუბუქდა. მათ შეეძლოთ ანდერძით დაეტოვებინათ ქონება, რომელიც მათ ეკუთვნოდათ ლეგიონში ან სხვა ადგილ-მამულში მსახურობასთან დაკავშირებით. ქალებს მხოლოდ ჩვ. წ. II ს-დან შეეძლოთ ანდერძის დატოვება, მაგრამ მხოლოდ თავისი მეურვის თანხმობით. მთლიანად მოკლებული იყვნენ საანდერძო უფლებაუნარიანობას გოგონები 12 წელზე ნაკლები ხნის და ბიჭები – 14 წელზე ნაკლები; გიჟები; პირები შეზღუდული სატატუსით საშუალოდ შემცირებული სტატუსის გამო (მაგალითად, მფლანგველად მიჩნეულნი); ასევე ფიზიკური ნაკლით, რაც უშლიდათ მათ სიტყვიერად ან წერილობით გადმოეცათ თავისი ნება.

სამკვიდროს დამტოვებლის ფიზიკური ან სამოქალაქო სიკვდილის მომენტში მემკვიდრეობა იხსნებოდა, ე.ი. იგი ხელმისაწვდომი იყო მემკვიდრეებისთვის – ფიზიკური პირებისთვის, სახელმწიფოსთვის ან კორპო-

რაციისთვის (კოლეგია). ქონების მემკვიდრეობით მიღება შეეძლო სუბიექტების ფართო წრეს. უპირველეს ყოვლისა, ისინი შეიძლება ყოფილიყო სახლის პატრონის ყველა ხელქვეითი პირი, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვები, ქალები და წინასწარ გააზატებული მონები. მამის გარდაცვალებიდან ათი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის უფლებას ინარჩუნებდნენ ჯერ კიდევ არდაბადებული ბავშვები. კორპორაციებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ მემკვიდრეობა მხოლოდ იმპერიის პერიოდში.

იმ პირებს, რომლებსაც არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ მემკვიდრეები მიეკუთვნებოდნენ სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის მომენტში ჯერ კიდევ არჩასახულნი; უფლებაჩამორთმეულნი ან ასეთი უფლებით შეზღუდულნი; პერეგრინები; სამართლებრივი სტატუსის შესაბამისი ხარისხით შემცირებული მოქალაქეები; გასამართლებული დამნაშავენი; გაძევებულნი; თავისი ერთი წლის მგლოვიარობის დამრღვევი ქვრივები; გაურკვეველი სუბიექტები (გაურკვეველია სამართლებრივი სტატუსი, სქესი, ასაკი) და სხვ.

ყველა მემკვიდრე იყოფოდა ორ დიდ ჯგუფად: თავისი (ან აუცილებელი) და სხვისი (ან გარეშე). *„თავის“* მემკვიდრეებს მიეკუთვნებოდა ხელქვეითი ბავშვები და მათი მოდგმა მამაკაცის ხაზით, ამასთან როგორც ანდერძის შედგენამდე დაბადებულნი, ასევე ისინი, რომლებიც დაიბადნენ მხოლოდ ამის შემდეგ, თუკი ჩასახულნი იყვნენ მოანდერძეს სიცოცხლეში, ასევე ანდერძის მიხედვით გააზატებული მონები. ეს პირნი უნდა ყოფილიყვნენ ან პირდაპირ დანიშნული მემკვიდრეებად, ან პირდაპირ ჩამორთმეოდათ მემკვიდრეობა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მათთვის გვერდი არ უნდა აევლოთ დუმილით. *გარეშე მემკვიდრეებად* გამოდიოდნენ პირნი, რომლებიც არ იმყოფებოდნენ სამკვიდროს დამტოვებლის ძალაუფლების ქვეშ. ისინი იძენდნენ მემკვიდრეობას მხოლოდ მისი განსაკუთრებული ნება-სურვილით.

84. მემკვიდრეობის სახეობანი: უნივერსალური (sucessio in universum) და სინგულარული მემკვიდრეობა (successio in singulorum)

რომის სამართალში მემკვიდრეობა წარმოდგენილი იყო რამდენიმე სახეობად:

- სამემკვიდრო მასის მოცულობის მიხედვით მემკვიდრეობა შეიძლება ყოფილიყო სრული (უნივერსალური) და ნაწილობრივი (სინგულარული);

- იურიდიული ძალის მიხედვით ასხვავებდნენ კანონით და ანდერძით მემკვიდრეობას.

მემკვიდრეობა ნიშნავდა გარდაცვლილი პირის უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას სხვა პირზე საყოველთაო წესრიგის შესანარჩუნებლად და როგორც არსებული ურყევი საზოგადოებრივი ურთიერთობის გარანტიას. ყველაზე გავრცელებული ვარიანტი იყო სამკვიდროს დამტოვებლის უფლებებისა და მოვალეობების მთელი კომპლექსის მიღება. ამასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში პირს შეეძლო მიეღო რაღაც ცალკეული უფლება, შესაბამისი, ხშირად მძიმე, მოვალეობების გარეშე. სწორედ ამას ეფუძნებოდა მემკვიდრეობის დაყოფა უნივერსალურსა და სინგულარულ სახობებზე.

თავდაპირველად ჩამოყალიბდა *უნივერსალური მემკვიდრეობა* (per universitatem), როგორც მემკვიდრეობა, რომელიც ხორციელდებოდა ან ანდერძით (ან მის გარეშე), ან ანდერძის საწინააღმდეგოდ (პრეტორის სამართლის მიხედვით), როდესაც ახალი პირის მხარეს განმეორდებოდა წინამორბედის სიტუაცია როგორც ასეთის, ე.ი. მემკვიდრე იღებდა სამკვიდროს დამტოვებლის კანონის მიხედვით დასაშვებ აბსოლუტურად ყველა უფლებასა და დატვირთვას: „მემკვიდრეობა — ეს არის სამკვიდროს დამტოვებლის ყველა უფლების მემკვიდრეობა“.

სინგულარული მემკვიდრეობა (singularis, ერთეული, ცალკეული) ჩამოყალიბდა უფრო მოგვიანებით და გამოიხატებოდა იმაში, რომ მემკვიდრე იღებდა მხოლოდ ცალკეულ უფლებას ქონებრივი სარგებლის სახით, რაც ადრე ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებელს. სინგულარული მემკვიდრეობის რეალიზაცია ხდებოდა სამემკვიდრო დაკისრების ინსტიტუტის — ლეგატებისა და ფიდეიკომისების სახით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

კანონით და ანდერძით მემკვიდრეობამ თავის განვითარებაში გაიარა რამდენიმე ეტაპი, რომელთაგან თითოეულზე დომინირებდა მემკვიდრეების დანიშვნის ესა თუ ის სახეობა, გამოჩნდებოდა და გაუჩინარდებოდა სხვადასხვა ვარიაციები, იცვლებოდა მემკვიდრეობის რიგითობა. მემკვიდრეობის ამ სახეობების არსებითი განსხვავება განაპირობებს ცალ-ცალკე მათი განხილვის აუცილებლობას.

85. კანონით მემკვიდრეობა (successio legitima) რომის სამართლის ისტორიაში

კანონით მემკვიდრეობის თავისებურებანი უძველეს პერიოდში. ისტორიულად მემკვიდრეობის პირველი ფორმა იყო ქონების გადაცემა მხოლოდ თავისი გვარის წევრებისთვის, იმ პირებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ

ოჯახის მამის ძალაუფლებაში და მასთან ერთად ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ე.ი. მემკვიდრეობა კანონით. ამასთან ერთად, უძველეს დროშიც, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო ცალკეული მეურნეობის მფლობელის თავისუფალი ნება-სურვილის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ, მამაპაპისეულმა ადათ-წესებმა და სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობამ, რაზედაც ეფუძნებოდა რომის კვირიტული თემის მთელი ცხოვრება, განაპირობა სწორედ კანონით მემკვიდრეობის თავდაპირველი დომინირება.

მემკვიდრეობა კანონით (succession legitima) ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი არ იყო შესაბამისი ანდერძი, ან იგი იყო ძალადაკარგული, ან ანდერძში მითითებული მემკვიდრეები არ ესწრებოდნენ, ან უარი თქვეს მემკვიდრეობაზე, ან არავინ იყო ისეთი, რომელიც მემკვიდრეობას მიიღებდა. აღნიშნულ შემთხვევაში მემკვიდრეებად გამოდიოდე სამკვიდროს დამტოვებლის ყველა აგნატი-მამაკაცი, ე. ი. ყველა მის ოჯახში მცხოვრები და მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფი ნათესავები კანონით დადგენილი წესითა და რიგითობით.

XII ტაბულის კანონების მიხედვით მემკვიდრეები იყოფოდნენ სამ კატეგორიად: „თუკი ვინმე გარდაიცვალა ანდერძის გარეშე და „თავისი“ მემკვიდრეების არყოფნის დროს, დაე, მიიღოს მემკვიდრეობა უახლოესმა აგნატმა. თუკი აგნატიც არ არის, მემკვიდრეობა ერგებათ გვარის წევრებს“. ასეთი მემკვიდრეები იყვნენ: *თავისი მემკვიდრეები* (heredes sui), ე.ი. პირები, რომლებმაც სახლის პატრონის სიკვდილის შემდეგ შეიძინეს „თავისი უფლების“ სტატუსი, პირველ რიგში, ესენი არიან მისი შვილები, მეუღლე, ადრე დაობლებული შვილიშვილები, ნაშვილები პირნი; *უახლოესი აგნატები* (agnatus proximus), მათგან პირველი იყო ოჯახის უფროსის ძმა. თუკი ასეთი რამდენიმე იყო, მაშინ მემკვიდრეობა მათ შორის იყოფოდა თანაბრად; *სხვა ნათესავები* (gentiies), რომლებსაც შეეძლოთ ჰქონოდათ პრეტენზია მემკვიდრეობაზე მხოლოდ პირველი ორი კატეგორიის მემკვიდრეების არარსებობის დროს.

შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეები არ ყოფილიყვნენ, ან ისინი ამა თუ იმ მიზეზით უარს იტყოდნენ სამემკვიდრო მასის მიღებაზე. ძველად ასეთ შემთხვევებში ეს ქონება არავისი იყო და შეიძლება ჩაეგდო ხელში ნებისმიერ ადამიანს. რესპუბლიკური პერიოდის ბოლოს ასეთი ქონება განიხილებოდა *ბეითალმანი (უპატრონო) ქონების* სახით (bonum vacans, უსარგებლო სიკეთე) და ამის საფუძველზე სრულად გადაეცემოდა სახელმწიფოს. პოსტკლასიკურ პერიოდში პრიორიტეტის უფლებით სარგებლობდა ის კორპორაციები, რომელსაც სიცოცხლეში მიეკუთვნებოდა გარდაცვლილი (ეკლესია, კოლეგია, მუნიციპალიტეტი, მონასტერი და სხვ.). კვირიტული

სამართლის მიხედვით რომელიმე მთავარი კატეგორიის მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებისგან უარის შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული მისი გადაცემის შესაძლებლობა შემდეგი კატეგორიის მემკვიდრეზე. ამიტომ, მაგალითად, „თავისი“ მემკვიდრეების უარის დროს მთელი ქონება ცხადდებოდა უპატრონოდ.

გვიანი რესპუბლიკის პერიოდში. ამ სფეროში პრეტორების მოღვაწეობის წყალობით, რომელთა შედეგებიც განმტკიცებული იყო ადრიანეს edictum perpetuum-ში, მემკვიდრეობის სისტემამ არსებითი ცვლილებები განიცადა. პირველ რიგში, სამემკვიდროდ, აგნატებთან ერთად, კოგნატებსაც მრავლად იწვევდნენ.

პრეტორული მემკვიდრეობა (bonorum possessio intestati) ითვალისწინებდა უკვე ოთხი რიგის სამართალმემკვიდრეებს:

- მემკვიდრეების პირველმა კლასმა (unde liberi, ბავშვებისგან), რომელიც ითვალისწინებდა მემკვიდრეების რიგებში აგნატებსა და კოგნატებს, თავის მემკვიდრეებთან (sui) ერთად დაიწყო ჩართვა ემანსიპირებული ბავშვებისაც (emancipati) და სხვა ოჯახის უფროსების მიერ ოდესღაც ნაშვილებისაც (in adoptionem dati), მაგრამ მემკვიდრეობის გახსნის დროისთვის ისინი გახდნენ „თავისი უფლების“ პერსონები;
- მეორე კლასი (unde legitimi, კანონიერებისგან) შეიცავდა heredes sui da agnatus proximus და სამემკვიდროდ გამოიწვეოდნენ პირველი კლასის მემკვიდრეების არყოფნის ან მემკვიდრეობის მიღებისგან მათი უარის შემთხვევებში;
- მესამე კლასი (unde cognati, სისხლით ნათესავებისგან) ყალიბდებოდა სისხლით ნათესავებისგან მეექვსე თაობამდეც კი;
- მეოთხე კლასი (unde vir aut uxor) – ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს სამემკვიდროდ გამოიწვევდნენ მხოლოდ მემკვიდრეების ყველა წინა კლასების არარსებობის დროს.

იუსტინიანეს კანონმდებლობამ მემკვიდრეების სახით დაუშვა მხოლოდ კოგნატები, ე.ი. სისხლით ნათესავები და მოაწესრიგა მემკვიდრეების რიგითობა, დაყო რა ისინი ხუთ კლასად. ამასთან, თითოეული წინამორბედი გამორიცხავდა მომდევნოს:

- პირველი კლასი – დაღმავალი ხაზით ნათესავები (descendentes, დაღმასვლა): ბავშვები, ადრე დაობლებული შვილიშვილები და ა. შ.;
- მეორე კლასი – აღმავალი ხაზით ნათესავები (ascendentes, აღმასვლა): მშობლები, ბაბუა და ბებია მამის ხაზით, ბაბუა და ბებია დედის ხაზით, სრულად არაღვიძლი და-ძმა და სხვა აღმავალი ნათესავები;

- მესამე კლასი – გვერდითი ნათესავები (infinitum, უსასრულობა): სრული არაღვიძლი და-ძმა (დედინაცვლისა და მამინაცვლის), ბავშვები ადრე დაღუპული არაღვიძლი და-ძმისა შვილები და სხვა ნათესავები, რომელთათვისაც საკმარისია თავიანთი ნათესაობის დასაბუთება;
- მეოთხე კლასი – სხვა დანარჩენი გვერდითი ნათესავები ხარისხის შეზღუდვის გარეშე, რომლებმაც მემკვიდრეობად მიიღეს ყველაფერი თანაბარწილად;
- მეხუთე კლასი – ცოცხლად დარჩენილი მეუღლე.

მემკვიდრეობის ასეთი სისტემა ითვალისწინებდა *წარმოდგენის უფლებით მემკვიდრეობის* პრინციპის რეალიზაციას, რომლის თანახმადაც უფრო ახლო დაღმავალი ხაზით ნათესავი გამორიცხავდა უფრო შორეული დაღმავალი ხაზით ნათესავის მემკვიდრეობას (მაგალითად, თუკი ჰყავთ შვილები, მაშინ სამემკვიდროდ არ გამოიწვევიან შვილიშვილები და ა. შ.). მაგრამ უფრო შორეული დაღმავალი ხაზით ნათესავს სამემკვიდროდ გამოიწვევდნენ უფრო ახლო დაღმავალი ხაზით ქონების დამტოვებელთან ერთად, თუკი ის პირი, რომლის მეშვეობითაც ასეთი უფრო შორეული დაღმავალი ხაზით ნათესავი წარსდგებოდა ქონების დამტოვებლისგან, გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე. მაგალითად, ქონების დამტოვებლის სიკვდილის მომენტში ცოცხლები იყვნენ მისი დაღმავალი ხაზით შვილები და შვილიშვილები ადრე გარდაცვლილი ვაჟიშვილისა ან ქალიშვილისა. ამ შემთხვევაში შვილიშვილებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ ის წილი, რომელიც ერგებოდა მათ გარდაცვლილ მამას ან დედას, თუკი ისინი ქონების დამტოვებელზე მეტს იცოცხლებდნენ.

86. ანდერძით მემკვიდრეობის თავისებურებანი (hereditas ex testamento)

ანდერძით მემკვიდრეობის ცნება და სახეობანი. *ანდერძით მემკვიდრეობა* წარმოადგენდა სამემკვიდრო მასის გადასვლას მემკვიდრეზე (-ებზე) წესით და პირობებით, რომელიც განსაზღვრული იყო თავად სამკვიდროს დამტოვებლის მიერ სპეციალური განკარგულების მეშვეობით – ანდერძით.

ანდერძი (testamentum, ანდერძი, აღთქმა) იყო ცალმხრივი გარიგების სახესხვაობა, რომელიც წარმოადგენდა სამკვიდროს დამტოვებლის ნება-სურვილის გამოხატვას თავისი ქონების განკარგვის თაობაზე სიკვდილის შემთხვევაში და რომელიც ქმნიდა უფლებასა და მოვალეობას მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ („ ... ჩვენი ნება-სურვილის კანონიერი გამოხატვა, როდესაც ვიღაცას სურს, რათა რაიმე გაკეთდეს მისი სიკვდილის შემ-

დეგ“, მოდესტინე). მოითხოვდნენ, რათა სამკვიდროს დამტოვებელს ანდერძში მიეთითებინა კონკრეტული პირი, რომელიც იქნებოდა მისი ქონების მემკვიდრე: „ვბრძანებ, რომ მემკვიდრე იყოს N“, ან „მემკვიდრედ ვაცხადებ N“, ან „მემკვიდრედ ვადგენ N“. შესაძლებელი იყო სხვა ფორმულირებებიც, მაგალითად: „დაე, N იყოს მემკვიდრე. თუკი N ვერ იქნება მემკვიდრე, დაე, A იყოს“; „დაე, N იყოს ჩემი მემკვიდრე, თუკი იგი A მისცემს 100 მონეტას“.

თავისი შედგენის პირობების მიხედვით ანდერძი იყო როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი.

შორეულ წარსულში ოჯახის უფროსის სიკვდილის შემთხვევაში განკარგულება შეიძლება გაკეთებულიყო სამი ყველაზე გავრცელებული პროცედურის ჩარჩოებში, რომლის საფუძველშიც იდო განცხადებისა და ნება-სურვილის საჯაროობა:

- *საღმრთო კრებაზე,* რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა, სადაც ყველა თანამემამულის თანდასწრებითა და დიადი პონტიფიკის თავმჯდომარეობით იძლეოდა თავისი არჩევანის განმარტებას და დათქვამდა რაიმე განსაკუთრებულ სურვილს;
- უშუალოდ *ბრძოლის წინ,* როდესაც იდგა თავისი თვისტომის მწყობრის წინაშე (ანდერძი „გარშემორტყმული სახით“);
- *მანციპაციის წეს-ჩვეულების მეშვეობით,* რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მიეღო მონაწილეობა ფართო კატეგორიის პირთა ანდერძის განაწილების რიტუალში, მათ შორის მოხუცების, ავადმყოფებისა და ინვალიდების, რომლებსაც არ შეეძლოთ ომში მონაწილეობა (ე.ი. ჩამორთმეული ჰქონდათ უფლება testamento in procinctu), მაგრამ სრულიად გასაგები მიზეზების გამო შეეძლოთ არ დალოდებოდნენ testamento calatis comitiis შესაძლებლობას).

დროთა განმავლობაში აშკარა ფორმალიზმი წარსულს ჩაბარდა და ანდერძის შედგენა შეიძლებოდა უფრო მარტივი საშუალებებით: ან შვიდი მოწმის ხელმოწერით (რომლებმაც არ იცოდნენ მოანდერძის ჭეშმარიტი ნება), ან უბრალო ნება-სურვილის გამომჟღავნების გზით (ლეგიონერებისთვის). ამასთან ერთად, ფორმალიზების დიდ ხარისხს შეეძლო დაინტერესებული მხარეების უფლებების ფართო დაცვის უზრუნველყოფა რაიმე დავის წარმოქმნის შემთხვევაში, ამიტომ, იუსტინიანეს დროსაც კი ერთდროულად აგრძელებდა მოქმედებას ოფიციალური კრიტერიუმის მიხედვით ანდერძის ორი სახესხვაობა: *კერძო* (არ საჭიროებდა სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოების დასტურს ნება-სურვილის გამომჟღავნებაზე სიკვდილის შემთხვევაში) და *საჯარო* (მომზადებული სპეციალურ საკრებულო ადგილზე, პროტოკოლის წარმოებითა და განსაკუთრე-

ბული წესით დაცული). იგი უნდა გახსნილიყო არაუგვიანეს ხუთი დღისა მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

კლასიკურ პერიოდთან ახლოს ჩნდება სიკვდილის შემთხვევაში ნება-სურვილის გამომჟღავნების კიდევ ერთი ფორმა – თავისუფალ ფორმაში, მაგრამ სტანდარტული პროცედურების მეშვეობით ხუთი მოწმისა და მწონავის თანდასწრებით. ასეთი წესის ჩარჩოებში წყდებოდა საკითხები სახლის უფროსის მემკვიდრის, მცირეწლოვანი მემკვიდრეების[1] მეურვის, ლეგატების დანიშვნის თაობაზე და სხვ.

ანდერძის ძალადაკარგულობა. ამა თუ იმ საფუძველზე შედგენილი ანდერძი ზოგჯერ ვერ იქნებოდა მოქმედად აღიარებული. ასეთ საკმაოდ გავრცელებულ მიზეზებს მიეკუთვნებოდა: ანდერძის სავალდებულო ფორმის იგნორირება; კონკრეტულად დასახელებული მემკვიდრის არყოფნა; ანდერძის შედგენა არასაკმარისად უფლებაუნარიანი სუბიექტის მიერ და ა.შ. „ ... ის კვდება ისე, რომ არ დაუტოვებია ანდერძი, ვიღაცამ არ შეადგინა ანდერძი, ან შეადგინა იგი კანონის არაშესაბამისად, ან მისი ანდერძი აღმოჩნდა ძალადაკარგული, ან ანდერძით მემკვიდრემ ვერ იცოცხლა მოანდერძეზე მეტი“. ამიტომ, მიზეზების მიხედვით ასხვავებენ საანდერძო განკარგულებების შემდეგ სახეობებს:

- *ბათილი ანდერძი* (testamentum nullum), რომელიც შედგენილი იყო ყველა მოთხოვნის დარღვევით ან სამართლებრივი გაგებით უუნარო სუბიექტის მიერ;
- *უკანონო ანდერძი* (testamentum injustum), რომელიც შედგენილი იყო დადგენილი კანონიერი წეს-ჩვეულებების არაშესაბამისად;
- *შეწყვეტილი ანდერძი* (testamentum ruptum), რომელიც შედგენილი იყო იმ სუბიექტის მიერ, რომელსაც თავისი ოჯახის სტატუსის მიხედვით არ ჰქონდა ამის უფლება, ამიტომ იგი შეიძლება განახლებულიყო უფლებამოსილი მოანდერძის მიერ, ან პრეტორული განკარგულების მიხედვით;
- *დაუმტკიცებელი ანდერძი* (testamentum irritum), რომლის ლეგალურობა საეჭვო იყო მემკვიდრეობის გახსნის მომენტში ქონების დამტოვებლის უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის შედეგად;
- *ტყუილი ანდერძი* (testamentum deslitum), რომელიც გაგზავნილი იყო სინამდვილეში არარსებული მემკვიდრის მისამართით;

[1] საანდერძო მეურვეობა (tutela testumentaria) – ოჯახის უფროსის მიერ თავის საღმრთო ანდერძში მეურვის სახით კონკრეტული პირის დანიშვნა მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, ან ოჯახის სხვა წევრებისათვის.

- *გაუქმებული ანდერძი* (testamentum rescissum), რომლის მოქმედებაში შესვლა სასამართლო გადაწყვეტილებით გადადებული იყო კანონიერი მემკვიდრეების საჩივრის შედეგად კანონით გათვალისწინებული მათი კუთვნილი მემკვიდრეობის (სავალდებულო წილის) წილის (სრული ან ნაწილობრივი) ჩამორთმევის თაობაზე.

ცნობდა რა მოანდერძის საკრალურ ნებას, რომის სამართალი, ანდერძის თავად ტექსტის არსებითი ნაკლოვანებების დროსაც კი, მოითხოვდა მისი პრინციპული დებულებების დაცვას. ამისათვის ანდერძის ტექსტში ზოგჯერ ჩართავდნენ *წერილობით შესწორებას* (clausula codicillaris) ქონების დამტოვებლის სპეციალური დამატების სახით იმის შესახებ, რათა ანდერძი, რაკი იგი, როგორც ასეთი, უნდა ეცნოთ ძალადაკარგულად, მაინც ყოფილიყო დაცული, როგორც მისი ნების საფუძველი.

სავალდებულო წილი (portio debita). ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ სამკვიდროს დამტოვებელი ადგენდა ისეთ ანდერძს, რომელშიც უახლოესი ნათესავები თავს არიდებდნენ მემკვიდრეობას, თუნდაც მემკვიდრეობის ჩამორთმევის ფორმალურად სწორი საფუძვლის გზით. რომის სამართალს არ შეეძლო დაეტოვებინა ვინმე სამემკვიდრო მასის განსაზღვრული წილის გარეშე, ამიტომ ასეთ ანდერძს ცნობდნენ არაჯანსაღ გონებაზე შედგენილად (სპეციალური იურიდიული ფიქცია) და, ბუნებრივია, უმნიშვნელოდ. ამ მოვლენას ეწოდა *არასათანადო ანდერძი* (testamento inofficiosum). ასეთ შემთხვევებში მოტყუებული ნათესავების სარჩელები ჩვეულებრივ დაკმაყოფილდებოდა.

რომის სამართალი იცნობდა *აუცილებელი მემკვიდრეობის* ინსტიტუტს, რომლის შინაარსი იყო თავის ანდერძში კანონით უახლოესი ნათესავების სავალდებულო მითითება. მას ან უნდა დაენიშნა მათთვის ანდერძი, ან პირდაპირ ეთქვა უარი: „ჩემი შვილი დაე, ნუ იქნება მემკვიდრე“. აუცილებელი მემკვიდრეებიდან ვინმეს მემკვიდრეობის ჩამორთმევის შემთხვევა მოითხოვდა არსებით საფუძვლებსა და განმარტებებს, რომელთაგან ერთ-ერთი იყო, მაგალითად, ნათესავის უღირსი ქცევა ქონების დამტოვებლის მიმართ, მათ შორის, მშობლის ნების უხეში იგნორირება. ასეთ პირებს (აუცილებელ ნათესავებს) თავდაპირველად მიეკუთვნებოდნენ ქონების დამტოვებლის მხოლოდ „თავისი“ ნათესავები, შემდეგ ემანსიპირებული ბავშვები, მოგვიანებით კი უახლოესი დალმავალი და აღმავალი ნათესავები. აღსანიშნავია, რომ ხელქვეითი ბავშვები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ აუცილებელი მემკვიდრეების კატეგორიას, იძენდნენ მემკვიდრეობას მათი სურვილის მიუხედავად. საქმე იმაშია, რომ მემკვიდრეობითი დატვირთვა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ყოფილიყო უფრო მეტი, ვიდრე სარგებელი. ასეთი შემთხვევები მუდამ განიხი-

ლებოდა ინდივიდუალურად და ხშირად პრეტორი მემკვიდრეებს ნებას რთავდა არ შესულიყვნენ მემკვიდრეობის უფლებაში.

მოგვიანებით, აღმავალი და დაღმავალი ხაზით მემკვიდრეების კოგნატური ნათესავების დაცვისათვის გათვალისწინებული იყო მოანდერძის მიმართ მიმართული მოთხოვნა თითოეული მათგანისთვის სამემკვიდრო მასის სახელობითი წილის მიცემის თაობაზე — არაუმცირეს 1/4 იმ თანხისა, რაც მათ ერგებოდათ კანონის მიხედვით ანდერძიდან გამომდინარე. ამასთან, ასეთი წილი შეიძლება ყოფილიყო სრულიად მიზერული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არსებობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოტყუებულ მემკვიდრეებს ქონების დამტოვებლის სიცოცხლეშიც შეეძლოთ გაეპროტესტებინათ ანდერძი. მემკვიდრეობის ასეთ მოთხოვნას ერქვა *აუცილებელი წილი*.

იუსტინიანემდე აუცილებელი წილი ნებისმიერ სიტუაციაში შეადგენდა მემკვიდრეობის 1/4, შემდეგ დაიწყო დიფერენცირება ამა თუ იმ შემთხვევის თავისებურებების მიხედვით. მაგალითად, თუკი დადგინდებოდა, რომ პირს კანონით უნდა მიეღო მემკვიდრეობის 1/4, მაშინ მას მიეკუთვნებოდა ასეთი წილის მესამედი; თუკი — მთელი სამემკვიდრო მასის მეოთხედზე ნაკლები — მაშინ თავისი კანონიერი წილის ნახევარი. ამასთან ერთად, მოანდერძეს შეეძლო ყურადღების გარეშე დაეტოვებინა ესა თუ ის ნათესავი მისთვის მემკვიდრეობის მიღების შეზღუდვის შემთხვევაში, როგორც სასჯელი რაიმე სამართალდარღვევის ან უზნეო საქციელის ჩადენის გამო, რომელიც ითვალისწინებდა ასეთ შეზღუდვას რაიმე მოქმედების ჩადენის შემთხვევაში, რაც მიმართული იყო ქონების დამტოვებლის წინააღმდეგ.

87. საანდერძო დაკისრება სინგულარული მემკვიდრეობის ჩარჩოებში: ლეგატები (legatum) და ფიდეიკომისები (fideicomissa)

ლეგატების ცნება, შინაარსი და სახეობანი. სინგულარული მემკვიდრეობის უძველესი ფორმა იყო *ლეგატი* — სიკვდილშემდგომი საჩუქარი განკარგულების სახით ცალკეული ნივთების ან სერვიტუტების მესამე პირისთვის გადაცემის შესახებ, რომლებსაც ფორმალურად არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ ანდერძით მემკვიდრეები (მაგალითად, პერეგრინები, ქალები და ა.შ.).

ლეგატის რეალიზაცია გადიოდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე, რომელიც იწყებოდა მოანდერძის სიკვდილის მომენტში, ლეგატარიისთვის შესაძლებელი იყო ქონების მიღება, მაგრამ თუკი ის მოკვდებოდა, მაშინ

ეს უფლება გადადიოდა მის მემკვიდრეებზე. მეორე ეტაპზე მემკვიდრეობას იღებდა ლეგატარია ან მისი მემკვიდრე. თუკი მათი იგნორირება მოხდებოდა, მათ შესაბამისი სარჩელების წარდგენის უფლება ჰქონდათ.

არსებული წესით ლეგატარია იღებდა თავის წილს მემკვიდრეობიდან მხოლოდ მასზე დაკისრებული ყველა ვალის გადახდის შემდეგ. ამასთან, დროთა განმავლობაში ლეგატების დანიშვნის პრაქტიკამ რომში მიიღო ისეთი ფართო გავრცელება, რომ ბევრ შემთხვევაში კანონიერი მემკვიდრეები რჩებოდნენ, პრაქტიკულად, უარაფროდ. ეს იწვევდა მემკვიდრეობის მიღებაზე მრავალრიცხოვან უარს, ამიტომ შემოღებულ იქნა ლეგატების შეზღუდვა. ამის შესაბამისად აკრძალული იყო:

- მთელი სამემკვიდრო მასის ლეგატში გადატანა, რისთვისაც შეზღუდეს თითოეული ლეგატის ოდენობა ერთი ათასი ასით და განსაზღვრეს ლეგატარიის წილი არაუმეტეს თავად მემკვიდრის ყველაზე მინიმალური წილისა;
- ფალციდიის კანონით (ჩვ. წ-მდე 40 წ.) ანდერძით ლეგატების წილი შეზღუდული იყო — ქონების არაუმეტეს 3/4, დარჩენილი ქონება უნდა მიეღოთ მემკვიდრეებს.

რომის იურიდიულ პრაქტიკაში გამომუშავებული იყო ლეგატების ოთხი სახეობა მათი დანიშვნის საშუალებების მიხედვით:

- საანდერძო დაკისრება, რომლის დროსაც ქონების დამტოვებლის კუთვნილ ნივთზე საკუთრების უფლება ფორმდებოდა მემკვიდრეებზე *ვინდიკაციური სარჩელის* მეშვეობით;
- საანდერძო დაკისრება, რომელიც ფორმდებოდა *დამნაციის მეშვეობით*, ე.ი. მისჯით (განაჩენით). ეს იყო ლეგატის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რამეთუ ლეგატარიას შეეძლო მიეღო არა მხოლოდ სამკვიდროს დამტოვებლის ქონება, არამედ სხვისი ქონებაც (მაგალითად, ანდერძში მემკვიდრეებს მიწერილი ჰქონდათ შეეძინათ მესამე პირისგან რაიმე ნივთი და გადაეცათ იგი ლეგატარიისთვის, ან გადაეხადათ ამ უკანასკნელისთვის ასეთი ნივთის სრული ღირებულება; გამოეყოთ პერიოდულად განსაზღვრული თანხა აღნიშნული პირისთვის საზრდოთ ან გამოეყოთ მაშინვე).
- საანდერძო დაკისრება, რომელიც შეძენილი იყო *ნების დართვის მეშვეობით*, ე.ი. მემკვიდრეს ხელი არ უნდა შეეშალა ლეგატარიისთვის უბრალოდ წაეღო მისთვის დაკისრებული ნივთი. ამ ფორმით შეიძლებოდა მესამე პირისთვის ვალის პატიება ან მისთვის სერვიტუტით სარგებლობაში ხელი არ შეშლა;
- საანდერძო დაკისრება, უშუალოდ ლეგატარიისთვის *ქონების ნაწილის წინასწარი გამოყოფის მეშვეობით*.

ყველა ამ სახესხვაობას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა დიდ ხნის განმავლობაში და მხოლოდ იუსტინიანეს კანონმდებლობაში ლეგატის ერთიან ფორმას შეერწყა.

ლეგატი თავს იცავდა ვინდიკაციური სარჩელებით (მესამე პირების მიმართ ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ მოთხოვნებით) და ანდერძიდან სარჩელით.

ფიდეიკომისები: ცნება და სახეობანი. რადგანაც ლეგატები ინიშნებოდნენ მარტოოდენ ანდერძის მიხედვით და არ შეიძლებოდა დაკისრებოდათ მემკვიდრეებს კანონის მიხედვით, საიმპერატორო პერიოდში გამოჩნდა სამემკვიდრო დაკისრების სხვა ფორმა, რომელიც ამსუბუქებდა ძველი სამართლის ფორმალიზმს – ფიდეიკომისი.

ფიდეიკომისი, ლეგატისგან განსხვავებით, იყო სიკვდილშემდგომი განკარგულება ანდერძის სპეციალური დამატების სახით (სიტყვიერისაც კი), რომელიც შეიცავდა მოანდერძის არაფორმალურ თხოვნას მემკვიდრის მიმართ, გაეკეთებინა რაიმე მესამე პირების სასარგებლოდ, რომლებსაც კანონით ჩამორთმეული ჰქონდათ მემკვიდრეობის უფლება ან ივარაუდებდა მიეღოთ მემკვიდრეობის მხოლოდ ყველაზე უმნიშვნელო ნაწილი, რაც მოანდერძეს მიაჩნდა სრულიად არასამართლიანად.

ფიდეიკომისის სახესხვაობას წარმოადგენდა უნივერსალური და საოჯახო საანდერძო დაკისრება:

- *უნივერსალური ფიდეიკომისი* – საანდერძო დაკისრების ისეთი ფორმაა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ფიდუციარს (მემკვიდრეს) ეკისრებოდა მოვალეობა სხვა პირისთვის (ფიდეიკომისარიისთვის) გადაეცა მთელი მემკვიდრეობა. ამასთან, თუკი ადრე ქონების დამტოვებლის კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელი იყო ფიდუციარი, მაშინ მის მიერ ფიდეიკომისარიისთვის მემკვიდრეობის გადაცემის შემდეგ, იგი ინარჩუნებდა მხოლოდ მემკვიდრის წოდებას, ხოლო ქონების დამტოვებლის მთელი უფლებები და მოვალეობანი გადადიოდა ფიდეიკომისარიაზე;
- *საოჯახო ფიდეიკომისი* – საანდერძო დაკისრების ასეთი სახესხვაობა ფიდეიკომისის სახით, რომელიც მდგომარეობდა მემკვიდრის მიმართ ქონების დამტოვებლის თხოვნაში იმის შესახებ, რომ იგი თავისი სიკვდილის შემთხვევაში გადასცემს მთელ ქონებას იმ პირს, რომელიც მემკვიდრის ოჯახში იკავებდა ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც ჰქონდა მემკვიდრეს ქონების დამტოვებლის ოჯახში. ასე გადადიოდა ოჯახის შიგნით ნივთები თაობიდან თაობაზე.

ოქტავიანე ავგუსტუსის დროიდან ფიდეიკომისი დაკანონდა და გაუტოლდა ნაჩუქრობას. თუკი ანდერძი აღმოჩნდებოდა ძალადაკარგული, ეს

დამატებანი რჩებოდა ძალაში და მასში გადმოცემული ყველა თხოვნა და ბრძანება ეკისრებოდა კანონიერ მემკვიდრეებს. ფიდეიკომისარიის უფლებების დაცვისთვის შეიქმნა განსაკუთრებული სასარჩელე მოთხოვნა cognatio extraordinaria.

ლეგატები და ფიდეიკომისები იუსტინიანეს კანონმდებლობით. რომის სამართლის კონსერვატიულობა მემკვიდრეობითი ურთიერთობების სფეროში შერყეული იყო კონსტანცას რეფორმებით 339 წ., როდესაც ზეპირი ანდერძის დროს ურყევი სიტყვიერი ფორმულის მკაცრი ვალდებულება გაუქმებული იყო. საუკუნეების განმავლობაში არსებული ლეგატების ყველა ფორმა ჩვ. წ-მდე V ს-სთვის გადაიქცა ერთ მთლიან ინსტიტუტად, რომელიც, თავის მხრივ, შეერწყა ფიდეიკომისს (იუსტინიანეს განკარგულება 529 და 531 წწ.). ასე გაქრა რომის სამემკვიდრო სამართლის მიხედვით საანდერძო დაკისრების სახეობებს შორის მთელი განსხვავება.

გარდა ამისა, იუსტინიანეს კანონმდებლობაში წარმოქმნილი საანდერძო დაკისრების ახალი ფორმა გაერთიანდა, ლეგატებსა და ფიდეიკომისებთან ერთად არსებულ, ნაჩუქრობასთან სიკვდილის შემთხვევაში. ამ დროიდან ნაჩუქრობა შეიძლება მომხდარიყო ხუთი მოწმის წინ, მაგრამ იმ პირობით, თუ მჩუქებელი დასაჩუქრებულზე მეტს იცოცხლებდა, მაშინ ნაჩუქარი უნდა დაბრუნებულიყო.

88. მემკვიდრეობის გახსნა, მიღება და გადასვლა

მემკვიდრეობის გახსნა და მიღება. მემკვიდრეობის გახსნისაგან განსხვავებით, რომელიც დგებოდა სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების დღეს და დაკავშირებული იყო შესაბამისი პირების უფლებასთან მიეღოთ მემკვიდრეობა, მემკვიდრეობაში შესვლა წარმოადგენდა კონკრეტული პირების ნების გამოხატვას მიეღოთ ანდერძით დატოვებული სამემკვიდრო მასა.

მემკვიდრეობის მიღების კონკრეტული ვადა ძველ სამართალში არ დგინდებოდა. მოგვიანებით პრეტორების მიერ დადგინდა ასი დღე მემკვიდრეობის მისაღებად დაღმავალი და აღმავალი ნათესავებისთვის და ერთი წელი ყველა დანარჩენი შესაძლებელი მემკვიდრეებისთვის. მემკვიდრეობის გახსნასა და მემკვიდრეების მიერ მის მიღებას შორის პერიოდს, ე.ი. იმ სიტუაციას, როდესაც პირები, რომლებსაც გააჩნიათ უფლება მიიღონ იმ პირთა მემკვიდრეობა, რომლებიც ჯერ კიდევ თავად არ ფლობენ ფაქტობრივად მემკვიდრეობას, ეწოდება *„მწოლიარე“*.

ძველად მოქმედებდა კანონით სამემკვიდროდ გამოწვევის ცალმხრივობის პრინციპი, რომლის თანახმადაც იმ შემთხვევაში, როდესაც უახ-

ლოესი აგნატი არ იღებდა მემკვიდრეობას, მაშინ იგი, არ გადაეცემოდა რა შემდეგ ქონების დამტოვებლის სხვა ნათესავებს, მაშინვე ცხადდებოდა უპატრონოდ („დაცემულ ქონებად“, res caduca). კლასიკურ პერიოდში მემკვიდრეობა გადადიოდა ნათესავებიდან ერთი კანდიდატიდან მეორეზე.

მემკვიდრეობის გადასვლა. პრაქტიკაში ხშირად იყო მემკვიდრეობის უფლების გადასვლის სიტუაცია იმ პირის მემკვიდრეზე, რომელიც მითითებული იყო ანდერძში, მაგრამ ვერ იცოცხლა მოანდერძეზე მეტ ხანს — სამემკვიდრო ტრანსმისია. ამიტომ, საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო ანდერძში დამატებითი მემკვიდრის დანიშვნა იმ შემთხვევისთვის, თუკი პირველი მემკვიდრე რაიმე მიზეზით მემკვიდრეობის უფლებაში არ შევა (საანდერძო სუბსტიტუცია). ამასთან დაკავშირებით თავად ანდერძში შეიძლება ყოფილიყო შესაბამისი *მემკვიდრეობის დაყოვნების პირობა*, როდესაც მემკვიდრეობის გახსნა პირდაპირ იყო დამოკიდებული განსაზღვრული დათქმული პირობის დადგომასთან (მაგალითად, სუბსტიტუციის მიზეზით).

მემკვიდრეობის დაბრკოლება. ჭეშმარიტი მემკვიდრის უფლებაში შესვლას ზოგჯერ აფერხებდნენ პირები, რომელთა სამართლებრივი მდგომარეობა იყო საკმაოდ შელახული. მათ მიეკუთვნებოდნენ პირები, რომლებიც თავის თავზე ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მიიწერდნენ მემკვიდრეობის უფლებას; პირები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ მემკვიდრეობაზე და ამავე დროს არ მიუთითებდნენ მათი ფლობის საფუძველს, ასევე პირები, რომლებიც განზრახ ასაღებდნენ თავს სამემკვიდრო მასის მფლობელებად.

იცავდა რა თავის კანონიერ ინტერესებს ასეთი პირების წინააღმდეგ, ჭეშმარიტი მემკვიდრე ცივილური სამართლის მიხედვით გამოდიოდა მემკვიდრეობის შესახებ (hereditatis petitio) სპეციალური სარჩელებით, ხოლო მემკვიდრეებს პრეტორის სამართლით შეეძლოთ მათი კუთვნილი სამემკვიდრო მასა გამოეთხოვათ ქონების შესახებ განსაკუთრებული ინტერდიქტის მეშვეობით.

თემა 16. რომის სამოქალაქო პროცესის თავისებურებანი

89. რომის სამოქალაქო პროცესის თავისებურებანი და სახეობები

სარჩელების სისტემის არსებობის მიუხედავად, რომლის დახმარებითაც სადავო შემთხვევებში დაცული და უზრუნველყოფილი იყო საკუთრების უფლება, საკუთარი უფლების საბოლოო უზრუნველყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მისი სასამართლო დაცვის მსვლელობისას.

რომის სამართალმა მისი არსებობის მანძილზე ვერ გამოიმუშავა მკაფიო დაყოფა მატერიალურსა და საპროცესო სამართალზე. და აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ძალიან დამახასიათებელია რომის იურისპრუდენციის სპეციფიკისთვის. იურისტების წარმოდგენით თავად სამართალი იყო სრულიად განუყოფელი მისი გამოყენების პროცედურებისგან, რომლის მსვლელობისას, რომაელების რწმენით, ხდებოდა სამართლის არა რეალიზაცია, არამედ მისი ძებნა („სარჩელი არის პირის უფლება სასამართლო წესით გადაახდევინოს ის, რაც მისთვის საჭიროა“ ინსტიტუციები). შემთხვევითი არ არის, რომ თავად პროცესს ჰქონდა სასარჩელე წარმოების სახელწოდება და რომის საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ეპოქაში განვლო გზა კანონიდან გამომდინარე სარჩელიდან ფორმულიდან გამომდინარე სარჩელამდე. სწორედ ამიტომაც საპროცედურო საკითხები დამუშავებული იყო დიდი გულმოდგინებით, ხოლო მათი თანამიმდევრული განხორციელების აუცილებლობა პრაქტიკულ საქმიანობაში განპირობებული იყო იმავე საკრალური აზრით, რითაც მატერიალური ნორმების იმპერატიულობა.

ამგვარად, ძველ რომში სამოქალაქო პროცესი გვევლინებოდა, როგორც სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც არეგულირებდა საშუალებებისა და მოქმედებების შესახებ საკითხებს, რასაც იყენებდნენ სუბიექტური სამართლის მატარებლები სახელმწიფო იძულებითი აპარატის აქტივიზაციისათვის თავისი უფლებამოსილების დაცვის მიზნით, თუკი მხარეებს არ სურდათ შეესრულებინათ სასამართლოს მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებები ნებაყოფლობით. ერთი სიტყვით, ეს არის მართლმსაჯულების ორგანიზაცია და ფუნქციონირება[1].

საქმეთა დიდი რაოდენობა განიხილებოდა პროცესის იმ ნაირსახეობის ჩარჩოებში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ *სამოქალაქო ან კერძო სამართა-*

[1] იხ. პუხანი ი., პალენაკ-აკიმოვსკაია მ. რომის სამართალი / თარგმანი ვ.ა. ტომსინოვისა და ი.ვ. ფილიპოვის // ვ.ა. ტომსინოვის რედაქციით. მ., 1999, გვ. 332.

ლწარმოებას. თავისი არსებობის მანძილზე რომის სახელმწიფოში შემუშავებული იყო და თანამიმდევრულად ვითარდებოდა მისი სამი სახეობა:

- ლეგისაქციური,
- ფორმულარული,
- ექსტრაორდინარული.

თუკი პირველი ორი მიეკუთვნებოდა სამართალწარმოების ჩვეულებრივ ტიპს – ორდინარულს, მაშინ მესამე სახესხვაობას ახასიათებდა მრავალი თავისებურება, რაც გამოარჩევდა მას რომის მრავალსაუკუნოვანი სამართალწარმოების ჩვეული მიმდინარეობისაგან და რაც მთლიანად აისახა მის დასახელებაში.

90. ლეგისაქციური პროცესის ძირითადი მახასიათებლები

ამგვარად, სამოქალაქო პროცესის უძველესი სახეობა იყო ლეგისაქციური პროცესი (per legis actions, კანონიდან სარჩელი). ჩამოყალიბდა რა რესპუბლიკის გარიჟრაჟზე, იგი განუყოფლად დომინირებდა მისი არსებობის დასასრულამდეც კი და გაუქმდა მხოლოდ ებუციის კანონებით ჩვ. წ-მდე 120 წ., თუმცა ზოგიერთი მისი ელემენტი შენარჩუნდა კიდევ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

პროცესის ამ სახეობისთვის დამახასიათებელი იყო წერილობითი ფორმის პრაქტიკულად სრული არარსებობა, მეტისმეტი ფორმალიზმი და სიმბოლიზმი, რაც მომდინარეობდა უძველესი ადათ-წესებიდან, რომლის შედეგებიც გადატანილი იყო XII ტაბულის კანონებში. მითითებული წესების მცირედი დაუცველობა (მათ შორის, სარიტუალო ფრაზების წარმოთქმის წესშიც) ავტომატურად იწვევდა საქმის წაგებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, დავის დროსა და ადგილს. მაგალითად, საქმის განსახორციელებლად მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული დრო არსებობდა, რომლის შესახებაც იცოდნენ მარტო პონტიფიკებმა. სწორედ მათ განკარგულებებში არსებობდა ჩვ. წ-მდე 304 წ-მდე *სასამართლო დღეების კალენდარი და სასამართლო სარჩელების ფორმები,* რომელიც არა მარტო ზუსტად განსაზღვრავდა სამართლებრივი დავის უფრო ხელშემწყობ დროს, არამედ შეიცავდა მნიშვნელოვანი სასარჩლე წარმოების ნიმუშებს. სარჩელის წარდგენის პროცესის სანქცირებას ახდენდა, როგორც წესი, კონკრეტული მაგისტრატი (ქალაქის ან პროვინციის, შესაბამისად), ხოლო უშუალოდ აწარმოებდა მის მიერ დანიშნული მოსამართლე (სენატორებიდან სპეციალური ცენზორული სიის მიხედვით) ან რეკუპერატორები, რომლებიც განიხილავდნენ

საქმეებს მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ან მხოლოდ უცხოელებს შორის, ან განსაკუთრებული მუდმივი კომისიები.

პროცესს ხსნიდა მოსარჩლეს (actor) უფლებით აღჭურვილი *in ius vocatio* – მიმართული მოპასუხის მიმართ (reus) საზეიმო ზეპირი მოთხოვნით მიყოლოდა მას სასამართლოში. გამოწვევის ასეთი ფორმის წარდგენა შეიძლებოდა ნებისმიერ ადგილას (მაგრამ მხოლოდ მოპასუხის საგვარეულო სახლის გარდა). თუკი მოპასუხეს არ ჰყავდა თავდები, მაშინ მისი ასეთი დაკავება შეიძლება გადაქცეულიყო მოსარჩლესთან ხანგრძლივ „პატიმრობაში“ ყოფნად.

ლეგისაქციური პროცესის საკუთრივ საპროცედურო მხარე ყალიბდებოდა ორი სტადიისგან, in iure და in iudicio-დ წოდებული.

პირველი სტადია – *ინ იურე* (in iure, „სამართლის უზენაესობა“) ეძღვნებოდა სასამართლო დავის არსის გამორკვევას. მხარეები სარიტუალო ფრაზებისა და სიმბოლოების საშუალებით უცვლიდნენ ერთმანეთს ფორმალურ პრეტენზიებსა და მოსაზრებებს. თავისი პოზიციისა და განზრახვის ნამდვილობის გარანტიისთვის მხარეებს შეჰქონდათ გირაო. მაგისტრატი ყურადღებით აკვირდებოდა მათ მოქმედებებს და არ აძლევდა რა მათ პირადულზე გადასვლის საშუალებას, მიმართავდა განხილვას საჭირო, სამართლებრივი მიმართულებით. შემდეგ პრეტორის მიერ ინიშნებოდა ან მხარეებიდან ირჩეოდა მოსამართლე – მუდამ კერძო პირი. პირველი სტადიის დასასრული იყო litis contestatio შედგენა – დავის საგნის დამოწმების განსაკუთრებული ფორმა. მოპასუხის აღიარების შემთხვევაში დავა შეიძლება ამაზე დამთავრებულიყო („სარჩელის აღიარება ითვლება წაგებულ საქმედ“).

მეორე სტადიაზე – *ინ იუდიციო* (in iudicio, „მართლმსაჯულებისადმი მიმართვა“) საქმე უკვე არსებითად წყდებოდა. სასამართლო სხდომის დროს, რომლის დღეც არ უნდა დამთხვეოდა საჯარო ზეიმს ან მინდვრის სამუშაოებს და რომელიც მაგისტრატის მიერ იყო დანიშნული, სპეციალური სიებიდან შერჩეული ან დავის ერთ-ერთი მხარისგან შეთავაზებული მოსამართლე განიხილავდა საქმეს, უსმენდა მხარეებს და გამოჰქონდა გადაწყვეტილება. ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მეორეს სასარგებლოდ გამოჰქონდათ („არდამსწრედ ითვლება ის, რომელიც არ იმყოფება სარჩელის წარდგენის ადგილზე“).

რომის სამართალწარმოების პრაქტიკამ გამოიმუშავა ლეგისაქციური პროცესის ხუთი სახეობა: პროცესი-გირაო, პროცესი „ხელის დადებით“, „მსხვერპლის მეშვეობით“, „მოსამართლის დანიშვნით“ და პროცესი „პირობითად“.

1) *პროცესი-გირაო* (legis actio sacramento) – პროცესის საგირავნო ფორმა წარმოადგენდა დავების განხილვის პროცედურის ყველაზე ადრინდელ სახესხვაობას, რაზეც განიხილებოდა როგორც კერძო (ვალდებულებითი უფლების), ასევე სანივთო სარჩელებიც.

პირველ სტადიაზე (in iure) მხარეები თავიანთ მოწმეებთან ერთად პრეტორის თანდასწრებით, წარუდგენდნენ რა მას დავის სიმბოლურ საგანს (ქვას, ბელტის ნატეხს, ბალახის კონას და სხვ.) განსაკუთრებული საზეიმო ფორმით, აკეთებდნენ თავის საქმეზე განაცხადს. ამასთან, რადგანაც სარჩელი ეფუძნებოდა სწორედ კანონს, ამიტომ უნდა ესარგებლათ მხოლოდ მისი ტერმინებით და არა სხვაგვარად. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს ელოდათ საქმის გარდაუვალი წაგება. თავიანთი მოსაზრებების სერიოზულობაში დასამტკიცებლად ნივთზე პრეტენდენტები ადებდნენ მის სიმბოლურ გამოსახულებაზე განსაკუთრებულ ჯოხს – ვინდიქტს. ამის შემდეგ პრეტორი უსმენდა მხარეთა არგუმენტებს და ინიშნებოდა გირაო (sacramentum) დავის თანხის სახით, რომელიც მხარეებს შეეძლოთ დაეკარგათ წაგების შემთხვევაში[1]. ეს თანხა მკვეთრად იყო დამოკიდებული დავის საგნის ღირებულებაზე. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლებოდა თავდების აყვანა. შემდეგ გირაო ხვდებოდა ქურუმებთან და მათ მიერ გამოიყენებოდა მსხვერპლად შეწირვისათვის. პრეტორი ნიშნავდა მოსამართლეს, რომელიც შემდეგი სტადიის ფარგლებში (in iudicio) გადაწყვეტდა საქმეს არსებითად.

2) პროცესი *„ხელის დადებით“* (legis actio per manus iniectionem) ხორციელდებოდა გარიგების მიხედვით ვალდებულებებიდან რამდენიმე სარჩელით, რაც დადებულია nexum-ის (მწონავი, ხუთი მოწმე და ვალის შესრულებაზე პირადი პასუხისმგებლობა) სახით. სასამართლოზე, თუკი არ იყო თავდები, კრედიტორი საზეიმოდ აცხადებდა: „შენ მე არ გადამიხადე და შენ არ გყავს თავდები, მე შენ გადებ ხელს“. ამ მომენტში, მოვალე, როგორც სამართლის სუბიექტი, სრულიად კარგავდა თავის დამოუკიდებლობას. 60 დღის განმავლობაში კრედიტორს ასეთი გადაუხდელი მოვალე თავისთან ჰყავდა შინაური პატიმრობის პირობებში ბორკილებით, სამჯერ გამოყავდა იგი მოედანზე შესაძლებელი თავდების (vindex) ძებნაში. თუკი ასეთი არ მოიძებნებოდა, მაშინ მოვალე შეიძლება ყოფილიყო ან მოკლული, ან გაყიდული მონობაში. გარდა ამისა, რამდენიმე უნუგეშო კრედიტორის შემთხვევაში XII ტაბულის კანონები ითვალისწინებდა შემდეგ წესს: „მესამე ბაზრის დღეს, დაე, დაჩეხონ

[1] უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს დროს, როდესაც მონეტები ჯერ კიდევ არ იყო, გირაო, როგორც წესი, გამოიანგარიშებოდა საქონლის (ცხოველთა) ერთეულის რაოდენობით.

ნაწილებად (მოვალე). თუკი მოაჭრიან მეტს ან ნაკლებს, დაე, ეს არ დაექვემდებაროს დასჯას“. ასეთი სანქციები გამოიყენებოდა ჩვ. წ-მდე 326 წ-მდეც კი, როდესაც გაუქმდა პეტელიუსის მიერ.

3) პროცესი *გირაოს მითვისების მეშვეობით* (legis actio per pignoris capionem) წარმოადგენდა, აშკარად, თავისი უფლებების დაცვის უძველესი ფორმის გადმონაშთს – თვითნებობას. იგი ითვალისწინებდა სუბიექტის კუთვნილი ნივთის ნებაყოფლობით დაბრუნებას არა მარტო ოფიციალური პირების, არამედ, ხშირად, მოწინააღმდეგე მხარის, თანდასწრების გარეშე. უფრო მეტიც, შეიძლება მომხდარიყო უქმე დღესაც. მაგრამ, ასეთი მითვისების თავად პროცესი უნდა ყოფილიყო მოწყობილი სათანადო საზეიმო სახით – სარიტუალო ფრაზებით და მოქმედებებით (და მხოლოდ ამით განსხვავდებოდა ბანალური ყაჩაღობისგან). თავდაპირველად ეს ხორციელდებოდა სამსხვერპლო ცხოველების ყიდვისას ფასების გადასახდელად. შემდეგ გამოიყენებოდა, როგორც წესი, პუბლიკანების მიერ, რომლებიც იხდიდნენ მოსახლეობიდან დაკლებულ გადასახადებს; ჯარისკაცების მიერ ხაზინადარის მიმართ დათქმული საფასურის არადროული გადახდისათვის ან თავისი ცხენებისათვის საფურაჟე ხარჯის ასანაზღაურებლად და ა. შ.

4) პროცესი *„მოსამართლის დანიშვნით* (ან მოთხოვნით)“ (legis actio per iudieus postulationem) ხასიათდებოდა რამდენადმე გამარტივებულად, რამეთუ მხარეები თავად თანხმდებოდნენ დავის საგნის თაობაზე და მიმართავდნენ მაგისტრატს მხოლოდ მოსამართლის დასანიშნად. როგორც წესი, პროცესის ამ სახეობის ფარგლებში მიმდინარეობდა კანონით მკაცრად განსაზღვრული დავის შემთხვევები მეზობელ მშენებლობებს შორის ზუსტი საზღვრების თაობაზე, საერთო ქონების ან მემკვიდრეობის გაყოფის გამო, ასევე ვერბალური კონტრაქტებიდან ვალდებულებების მიხედვით სპონსიისა და სტიპულაციის სახით.

5) პროცესი *„პირობითად“* ან „შეტყობინებით“ (legis actio per condictionem) წარმოადგენს ლეგისაქციური პროცესების ყველა სახეობიდან არა მხოლოდ ყველაზე გვიანდელს, არამედ, როგორც per iudieus postulationem, ყველაზე უცნობს თანამედროვე მეცნიერებისთვის. პროცესის ორივე სახეობაზე შემორჩა მხოლოდ რამდენიმე არასრული ცნობა.

ცნობილია, რომ per condictionem შემოღებული იყო ჩვ. წ-მდე III-II სს. მიჯნაზე, გამოიყენებოდა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და ითვალისწინებდა მოვალეზე ფულის ან ნივთის გადაცემის ვალდებულების დაკისრებას. 30 დღის ამოწურვისას პრეტორის წინაშე დადებული შეთანხმების შეუსრულებლობის შემდეგ, მოსარჩლე ითხოვდა მოსამართლის დანიშვნას თავის საქმეზე. მთლიანად პროცესი ჰგავდა

წინას. პროცესის ამ სახეობის ფარგლებში ფართო გავრცელება პოვა აბსტრაქტული სარჩელის ჯგუფმა, რომელსაც ერქვა კონდიქციური (condictione).

დროთა განმავლობაში ლეგისაქციური სამართალწარმოების სიდიდემ, რიტუალობამ და კონსერვატიულობამ დაიწყო წინააღმდეგობის შექმნა სასაქონლე-ფულადი ურთიერთობების გამალებული განვითარების გზაზე. ამასთან, ძველი პროცესი არ შეესაბამებოდა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში კარდინალურ ცვლილებებსაც, რომელიც ხდებოდა სულ უფრო დიფერენცირებული და მეტისმეტად ჭრელი.

91. ფორმულარული პროცესის თავისებურებანი

ფორმულარული პროცესი (per formulas agree) შემოღებული იყო ემბუციის კანონებით ჩვ. წ-მდე დაახლოებით 120 წ. და რაღაც დროის განმავლობაში მოქმედებდა ლეგისაქციურის თანაბრად, მაგრამ შემდეგ მაინც გამოდევნა იგი. საბოლოოდ ძველი per legis actiones გაუქმებული იყო იულიუსის კანონებით ჩვ. წ-მდე 17 წ.

ძველი სახის პროცესის ყოვლისმომცველი რიგორიზმისგან განსხვავებით, ფორმულარულის თავისებურებები იყო, პირველ რიგში, მისი მოქნილობა და ოპერატიულობა. ეს თვისებები პერეგრინის ან ქალაქის პრეტორს საშუალებას აძლევდა, ჩამოყალიბებული საქმიანი ბრუნვის მოთხოვნების გათვალისწინებით, არა მარტო თავისუფლად განემარტა ძველი და ურყევი კანონების მკაცრი დებულებები, არამედ შეექმნა ასეთ კანონებთან ერთად ნორმები, რომლებიც შეესაბამებოდა ამ მოთხოვნებს. ასეთ თავისებურებებს შეჰქონდათ გამოცოცხლება და სიახლე საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში, უზრუნველყოფდა რომის სამართლის დინამიკასა და განვითარებას.

ფორმულარული პროცესის სტრუქტურა ყალიბდებოდა, როგორც ადრე, ორი სტადიიდან – in iure და in iudicio. მაგრამ, მიუხედავად წერილობითი ფორმის ახლა უკვე აუცილებლობისა, საწყის ეტაპზე ადრინდელი ფორმალიზმის გარეშე. მხარეები თავისუფლად ახდენდნენ თავიანთი მოსაზრებების ფორმულირებას, პრეტორი მარტივი ფორმის მიხედვით ადგენდა სასარჩელე განცხადებას, ხოლო მოსამართლეს გამოჰქონდა საქმეზე გადაწყვეტილება, ხელმძღვანელობდა რა, გარკვეულწილად, მტკიცებულებების თავისუფალი შეფასებით.

ფორმულარული პროცესი იწყებოდა, როგორც ადრე, საკრებულო ადგილას გამოცხადების მოთხოვნის წარდგენით. ხშირად მხარეები მოდიოდნენ თავიანთ დამხმარეებთან ერთად – ადვოკატებთან (პატრონი-დამცველები) და ორატორებთან ერთად. ზოგიერთ შემთხვევაში გათვალის-

წინებული იყო წარმომადგენლების კოგნიტორებისა და პროკურატორების მონაწილეობის შესაძლებლობა და, რა თქმა უნდა, პროცესზე აუცილებლად ესწრებოდნენ მოწმეები. მოპასუხის მიერ პრეტორის წინაშე მოსარჩლის პრეტენზიის აღიარების შემთხვევაში საქმე შეიძლება მშვიდობიანად დამთავრებულიყო შემდეგ სტადიაში გადაუსვლელად – ინ იუდიციოში.

ფორმულარული პროცესის საფუძველი იყო სასამართლო პროცესის პირველ სტადიაზე (in iure) პრეტორის მიერ შედგენილი განსაკუთრებული იურიდიული კონსტრუქცია – *ფორმულები* (formula), რომელიც წარმოადგენდა მის ბრძანებას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე მოსამართლის მიერ დანიშნული კერძო პირის მიმართ. ეს ბრძანება, არსებითად, იყო განკარგულება ამ პირზე სასამართლო უფლებამოსილების დაკისრების თაობაზე და მისთვის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ფორმულა ითვალისწინებდა ამ საქმის განხილვის მიმდინარეობის თავისებურებებს აუცილებელი დათქმული პირობების შესაბამისად, ასევე საქმესთან დაკავშირებული დამატებითი გარემოებების გამოვლენის შესაძლებლობას. მაგალითად, იგი შეიძლება გამოიყურებოდეს შემდეგნაირად: „1) თუკი აღიარებულია, რომ NN უნდა გადაუხადოს AA 10 ათასი სესტერციუსი, მაშინ...: 2) თუ ეს ასეა, მაშინ შენ უნდა მიუსაჯო NN გადაუხადოს AA 10 ათასი სესტერციუსი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ შენ უნდა გაათავისუფლო იგი ფულის გადახდისაგან“.

თავისი კლასიკური სახით პრეტორის ფორმულა შედგებოდა სამი ნაწილისგან: ინტენცია (პირობა), კონდემნაცია (ბრძანება) და ადიუდიკაცია (საბოლოო განკარგულება).

1) *ინტენცია* (intentio, მოთხოვნა) – ფორმულის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც გასცემდა პრეტორი კონკრეტულ საქმეზე, რასაც შეიცავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ განკარგულება, რაც დაფუძნებული იყო მოსარჩლეს სამართლიან მოთხოვნებზე („თუკი გაირკვევა ... “). ეს სხვა არაფერია, თუ არა მოსარჩლეს მოთხოვნა.

2) *კონდემნაცია* (condemnatio, მსჯავრის დადება, მისჯა) – მოსამართლის მიმართ პრეტორის ბრძანება კონკრეტული საქმის გადაწყვეტაზე. ეს არის მოპასუხის მისჯა ან გამართლების შესახებ განკარგულება მოთხოვნების დასაბუთებულობის მიხედვით, რომელიც შედის მოსარჩლეს მოთხოვნებში – ინტენცია.

3) *ადიუდიკაცია* (adiudicatio, მსჯავრის მიკუთვნება) – პრეტორის ფორმულის მესამე, დამამთავრებელი ნაწილი, რომელიც ეხება ქონების ან სამფლობელოს საზღვრების გაყოფის შესახებ საქმის განხილვას და მიუთითებს საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე (მაგალითად, თუკი ნივთი

არ იყოფოდა, მაშინ რჩებოდა ერთ მხარეს, მეორე იღებდა კომპენსაციას („მიაკუთვნეთ რამდენიც საჭიროა“).

ბევრ შემთხვევაში პრეტორი ქმნიდა განსაკუთრებულ იურიდიულ კონსტრუქციას განსაზღვრული ფორმულის სახით და ნიშნავდა მოსამართლისთვის საქმის არსებითად განხილვის დღესაც.

ამის შემდეგ საქმე გადადიოდა მოსამართლესთან, რომელსაც საკუთრივ გამოჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილება (iudicatum), რომელიც დაუყოვნებლივ შედიოდა ძალაში და გასაჩივრებას არ ითვალისწინებდა, რამეთუ ერთსა და იმავე საქმეზე სარჩელის განმეორებითი განხილვა მოსამართლეს ეკრძალებოდა. თუმცა, პრეტორთან ახალი საჩივრის გამო, ამ უკანასკნელს, თავისი ინტერდიქტით შეეძლო დაებრუნებინა მხარეები თავდაპირველ მდგომარეობაში, შეედგინა ახალი სასარჩლე ფორმულა და გადაეცა იგი განსახილველად ახალი მოსამართლისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო შესრულებული გამოტანიდან ოცდაათი დღის განმავლობაში. თუკი ეს არ მოხდებოდა, გადაწყვეტილება სრულდებოდა იძულებითი წესით განსაკუთრებული სარჩელის მეშვეობით actio iudicati.

92. კოგნიციური (ექსტრაორდინალური) პროცესი

ექსტრაორდინალური (extra ordinem) ან, როგორც მას ეძახდნენ, კოგნიციური პროცესის ელემენტები გამოჩნდა უკვე ჩვ. წ-მდე I ს. თავდაპირველად ისინი გამოიყოფოდა იმით, რომ პრეტორს შეეძლო ნებისმიერი საქმე განეხილა განსაკუთრებული წესით, ერთპიროვნულად, მოსამართლის მიმართვის (დანიშვნის) გარეშე. ჩვ. წ-მდე III ს. ბოლოსთვის ადმინისტრაციული ბერკეტების გაძლიერების პირობებში იმპერატორებმა დაიწყეს შესაბამისი სასამართლოს ან პრეტორის იურისდიქციიდან ნებისმიერი საქმის ამოღების პრაქტიკის გაფართოება და მისი განხილვა დამოუკიდებლად ან ასეთი საქმის გადაცემა გადასაწყვეტად თავისი აპარატის მოხელესთვის. კვესტორებიდან დაკომპლექტებული სპეციალური სასამართლო კომისიების საქმიანობა შემცირდა. მათ სანაცვლოდ სასამართლო უფლებამოსილება მიიღეს სახელმწიფო და საქალაქო ორგანოების უმაღლესმა მოხელეებმა, რომელთა კომპეტენციამაც თანდათან გაითვალისწინა საქმის გარჩევის შესაძლებლობა ერთპიროვნული წესით. მაგალითად, რომში სასამართლო სისტემას მეთაურობდა ქალაქის პრეფექტი, ხოლო 294 წ-დან ასეთივე უფლებამოსილებით იყვნენ აღჭურვილნი პროვინციის მმართველები.

პროცესის საჯაროობა მკვეთრად ვიწროვდება, ადვოკატებისა (დამცველების) და ლაუდატორების (მხარეთა „კეთილი სახელის“ მოწმეების)

მოღვაწეობა ჩამოყალიბებულ პირობებში ხდება პრაქტიკულ სარგებელს მოკლებული. და ასეთი ჩვეულება იძენდა სულ უფრო ფართო გავრცელებას. ასე იქნა სამართალწარმოების პრაქტიკიდან სრულად გამოძევებული ფორმულარული პროცესების საწყისები, მათი მონაწილეების შეჯიბრებითობა და თანასწორობა. თანდათან სასამართლო საქმიანობა გადაიქცა მაქსიმალურად ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატისა და ადგილებზე მისი წარმომადგენლების პრეროგატივად. იმპერატორის ნება-სურვილით ფორმულარული სამართალწარმოების ნარჩენები გაუქმდა 342 წ.

აღნიშნული თავისებურებების გარდა, შეიძლება კიდევ დასახელდეს კოგნიციური პროცესის ისეთი მხარეები, როგორიცაა:

- განხორციელება ერთი სტადიის ფარგლებში და ერთპიროვნულად მმართველი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლის მიერ მისი კომპეტენციის შესაბამისად;
- წერილობითი ფორმის აუცილებლობა;
- სასამართლო ბაჟის გადახდევინების მკაფიო სისტემა;
- ერთ-ერთი მხარის პროცესზე არ დასწრების შესაძლებლობა;
- გამოტანილი გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების შესაძლებლობა.

ასევე შეიცვალა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების წესი, კოგნიციური პროცესის მიხედვით. მოსარჩლე უკვე ჩამოცილებული იყო მისი რეალიზაციის აქტიური ქმედებებისგან. როგორც თავად სასამართლო, ასევე მის მიერ გამოტანილი განაჩენის შესრულებაც ამიერიდან გახდა მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების წარმომადგენლების საქმე. სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების ვადა გაგრძელდა ორ თვემდე, რომლის შემდეგაც დგებოდა სადავო ნივთის იძულებითი ამოღების რიგი მოსარჩლესთვის გადასაცემად, ან გასაყიდად ფულადი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.

ექსტრაორდინალური პროცესის სახესხვაობა იყო ლიბელარული (წერილობითი) წარმოება, რომლის დროსაც კამათიც კი წერილობითი ფორმით უნდა ყოფილიყო. როგორც წესი, ასე განიხილებოდა მარტივი, თვალნათლივი საქმეები, რაც არ ითხოვდა განსაკუთრებულ განხილვას.

პრეტორული კანონმდებლობის სისტემატიზაციამ, რომელიც დამთავრდა „მარადიული ედიქტის“ შექმნით, მოქმედ სამართალს სტაბილურობისა და წესრიგის რაღაც მსგავსის მინიჭების შესაძლებლობა მისცა, ხოლო კოგნიციური პროცესის შემოღებამ, მრავალრიცხოვანი და ხშირად წინააღმდეგობრივი ფორმულის ჩამოშორებით — სამართალწარმოებას, მნიშვნელოვანწილად, შესძინა უნიფიცირებული სახე და ხასიათი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 5

„რომის სამართლის“ სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანები 8

1. რომის სამართლის, როგორც სასწავლო დისციპლინის, ცნება, საგანი და მნიშვნელობა 8

თემა 1. **სავალდებულო წესის და სამართლის საფუძვლები ძველ რომში 10**

2.. ძველი რომის სახელმწიფოს ისტორიის პერიოდიზაცია და თავისებურებანი 10

თემა 2. **სისხლის სამართლის თავისებურებანი და სისხლის სამართლის სამართალწაროება ძველ რომში 24**

3. სავალდებულო დელიქტების ცნება, თავისებურებანი და სახეობანი. დანაშაული 24

4. სავალდებულო დელიქტებზე პასუხისმგებლობის თავისებურებანი. სასჯელი 34

5. სასამართლო პროცესის თავისებურებანი სავალდებულო დელიქტების მიხედვით 41

თემა 3. **რომის სამართლის განვითარების პერიოდიზაცია და წყაროები 43**

6. რომის სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპები 43

7. რომის სამართლის ძირითადი წყაროები 44

8. იურისპრუდენციის მეცნიერებისა და იურიდიული განათლების ჩამოყალიბება ძველ რომში 51

9. რომის სამართლის სისტემის თავისებურებანი (დარგები, ნორმები ინსტიტუტები) 53

10. რომის სამართლის რეცეპცია 57

თემა 4. **რომის კერძო სამართალში პირთა სამართლებრივი მდგომარეობა . 59**

11. უფლებაუნარიანობის (caput) ზოგადი საწყისები რომის სამართლის მიხედვით 59

12. თავისუფლების სტატუსი (status libertatis), როგორც პირის უფლებაუნარიანობის საფუძველი 60

13. მოქალაქის სტატუსის შინაარსი (status civitatis) 63

14. საოჯახო სტატუსის თავისებურებანი (status familiae) 67

15. რომაელი მოქალაქის სტატუსის შემცირების შემთხვევები და სახეობები (capitis dwminutio) 68

16. ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობის ცნება, შინაარსი და შეზღუდვა... 68

17. კორპორაციების სამართლებრივი მდგომარეობა (universitates) 69

თავი 5. **რომის საოჯახო სამართლის საფუძვლები 71**

18. ოჯახი რომის სამართალში (აგნატური და კოგნატური ნათესაობა) 71

19. მამის ხელისუფლება (patria potestas), მისი წარმოშობა და შეწყვეტა 72

20. ბავშვების მდგომარეობა რომის სამართალში 74

თემა 6. რომის ქორწინების სამართალი 76
21. რომაული ქორწინების ზოგადი დებულებები 76
22. რომაული ქორწინების სახეობები (matrimonium) 77
23. კანონიერი ქორწინება (matrimonium justum) 77
24. ქორწინება ქმრის ძალაუფლებით („ქორწინება ხელით", cum manu mariti) და მისი სახეობები 78
25. ქორწინება ქმრის ძალაუფლების გარეშე (ქორწინება „ხელის გარეშე", sine manu) 79
26. საქორწინო პირობები და საქორწინო დაბრკოლებები 80
27. ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები 81
თემა 7. მეურვეობა და მზრუნველობა რომის სამართალში 83
28. მეურვეობისა (tutela) და მზრუნველობის (cura) ზოგადი დებულებები 83
29. მეურვეობისა და მზრუნველობის სახეობები 84
30. მეურვის პიროვნული თვისებები, მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობა 87
31. სამეურვეო და სამზრუნველო ურთიერთობების შეწყვეტა 88
თემა 8. სანივთო სამართალი ძველ რომში 89
32. სანივთო სამართლის ცნება და შინაარსი 89
33. ნივთების (res) ცნება და კლასიფიკაცია 89
34. ფლობის უფლების ცნება და შინაარსი (possessio) 93
35. ფლობის შეძენა და შეწყვეტა 94
36. ფლობის უფლების სახეობები 95
37. ფლობის უფლების დაცვის ხერხები 96
38. სარგებლობისა (jus utendi) და განკარგვის (ius abutendi) უფლება, როგორც საკუთრების უფლების შემადგენელი ნაწილები 97
თემა 9. საკუთრების უფლება ძველ რომში 98
39. საკუთრების უფლების ჩამოყალიბება და ცნება (proprietas, dominium) 98
40. საკუთრების სახეები და ფორმები: ცივილური, ბონიტარული, პერეგრინების, პროვინციული 100
41. საკუთრების უფლების შინაარსი 102
42. საკუთრების უფლების შეძენა და შეწყვეტა 103
43. საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი ხერხები: ნივთის ხელში ჩაგდება, გადამუშავება, ნივთების გაერთიანება, შეძენის ხანდაზმულობა 104
44. საკუთრების უფლებისა და შეძენის ნაწარმოები ხერხები: მანციპაცია, მოჩვენებითი სასამართლო დავა, ტრადიცია, ადიუდიკაცია, მემკვიდრეობა 106
45. საკუთრების უფლების შეწყვეტა 109
თემა 10. საკუთრების უფლების დაცვა. სარჩელები და ინტერდიქტები 110

46. სუბიექტური უფლებების თვითდაცვა და დაცვა 110
47. სარჩელების (actions)ცნება და მნიშვნელობა რომის სამართალში .. 111
48. სარჩელების მრავალსახეობა რომის სამართალში 112
49. სარჩელების კომულაცია, კონკურენცია და კოლიზია 116
50. სასარჩელე ხანდაზმულობა რომის სამართალში 116
51. საკუთრების უფლების დაცვა ადმინისტრაციული ზომებით: პრეტორული ინტერდიქტები (interdictum) 117
52. მფლობელობის უფლების დაცვა: მფლობელური ინტერდიქტები, მფლობელობაში შემოტანა, სტიპულაცია, რესტიტუცია 118
თავი 11. სხვის ნივთზე ქონებრივი უფლება. სერვიტუტი და გირაო 120
53. სხვის ნივთზე უფლების სახეობები: სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება და განკარგვის უფლება 120
54. სერვიტუტის (servitus) შინაარსი და სახეობები 121
55. რეალური (პრედიალური) სერვიტუტები (praedium serviens) 121
56. პირადი სერვიტუტები (servitutes personarum) 122
57. სერვიტუტების წარმოქმნისა და შეწყვეტის პირობები 124
58. სერვიტუტების კანონიერი და პრეტორული დაცვის საშუალებები . 125
59. ემფიტევზისი და სუპერფიციები, როგორც სერვიტუტული უფლების ინსტიტუტები 126
60. გირაო (pignus datum)და მისი სახეობები: ფიდუცია, პიგნუსი, იპოთეკა 128
თავი 12. ვალდებულებითი უფლება ძველ რომში 130
61. ვალდებულებისა და ვალდებულებითი უფლების ცნება 130
62. ვალდებულების (obligatio) შინაარსი 131
63. ვალდებულებების სახეობები რომის სამართალში 132
64. ვალდებულებები დელიქტებიდან და თითქოსდა დელიქტებიდან 134
65. ვალდებულებები თითქოსდა ხელშეკრულებებიდან (obligationes quasi ex contractu) 134
66. ვალდებულებების ნამდვილობის პირობები 135
67. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა: პირგასამტეხლო, ბე, გირაო, მოვალის ქონების დაკავება, თავდებობა 138
68. ვალდებულებების შეწყვეტის საფუძველი: შესრულება, შესრულების შენაცვლება, ჩათვლა, ერთ-ერთი მხარის სიკვდილი, კრედიტორისა და მოვალის ერთ პირში თანხვდომა, ვალის პატიება, ნოვაცია, შესრულების შეუძლებლობა 139
თავი 13. ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები 142
69. ვალდებულებების წყაროების შესახებ ზოგადი დებულებანი 142
70. იურიდიული ფაქტები, როგორც ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები: მოვლენები, მოქმედებები, ვადები, პრეზუმფციები, ფიქციები, მდგომარეობები 143

71. ვალდებულებების მიხედვით პასუხისმგებლობის პირობები და მისი ფორმები 147
72. ბრალი რომის კერძო სამართალში, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, კაზუსი 150

თავი 14. ვალდებულებები ხელშეკრულებიდან, პაქტებიდან და კვაზიხელშეკრულებიდან 153

73. რომის კერძო სამართლის ხელშეკრულებების ცნება, შინაარსი და სისტემა: ორმხრივი და ცალმხრივი, ანაზღაურებითი და უსასყიდლო, „მკაცრი სამართლის“ და „კეთილი სინდისის“ ხელშეკრულებები 153
74. ხელშეკრულების დადების ფორმის მნიშვნელობა რომის კერძო სამართალში 156
75. ვერბალური ხელშეკრულებები (contractus verbis): მანციპაცია, ნექსუმი, სტიპულაცია, გააზატებულის აღთქმა, მზითვის აღქმა, ერთობის სასარგებლოდ აღთქმა 158
76. ლიტერარული ხელშეკრულებები (contractus litteris); საკრედიტო ვალდებულებების ხელახალი ჩაწერა, სინგრაფა, ქიროგრაფია ... 161
77. რეალური ხელშეკრულებები (contractus rei): სესხი, თხოვება, შენახვა, იძულებითი შენახვა, სეკვესტრი, გირაო, დაგირავება, იპოთეკა 162
78. კონსენსუალური ხელშეკრულებები (contractus consensu): მხარეთა უბრალო შეთანხმება, ყიდვა-გაყიდვა, დაქირავება, ამხანაგობა, დავალება 165
79. უსახელო კონტრაქტები (contractus innominanti): გაცვლა-გამოცვლა, კომისია 169
80. პაქტები (pactum): ვალის დადგენა, თავდებობა, ჩუქება, კომპრომისი 170
81. თითქოსდა ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებანი (quasi ex contractu): სხვისი საქმეების წარმოება დაუვალებლად, უსაფუძვლო გამდიდრება 174
82. ვალდებულებები დელიქტებიდან (obligatio ex delictu) და კვაზიდელიქტებიდან (obligationes quasi ex delicto) 176

თემა 15. სამემკვიდრო უფლების თავისებურებანი ძველ რომში 184

83. მემკვიდრეობის ცნება (hereditas) და მემკვიდრეობის სუბიექტები რომის სამართალში 184
84. მემკვიდრეობის სახეობანი: უნივერსალური (sucessio in universum) და სინგულარული მემკვიდრეობა (successio in singulorum) 186
85. კანონით მემკვიდრეობა (successio legitima) რომის სამართლის ისტორიაში 187
86. ამდერძით მემკვიდრეობის თავისებურებანი (hereditas ex testamento) 190
87. საანდერძო დაკისრება სინგულარული მემკვიდრეობის ჩარჩოებში: ლეგატები (legatum) და ფიდეიკომისები (fideicomissa) 194
88. მემკვიდრეობის გახსნა, მიღება და გადასვლა 197

თემა 16. რომის სამოქალაქო პროცესის თავისებურებანი 199

89. რომის სამოქალაქო პროცესის თავისებურებანი და სახეობები 199
90. ლეგისაქციური პროცესის ძირითადი მახასიათებლები 200
91. ფორმულარული პროცესის თავისებურებანი 204
92. კოგნიციური (ექსტრაორდინალური) პროცესი 206

რომის კერძო სამართლის უმნიშვნელოვანესი კანონები და სარჩელები 208

სარჩევი 219